F 749
1976



ცისკარი

1976 5



ჯეინჯე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთოგების საქმეთა მთავარი სარედაქციო კოლეგია

შინაარსი

პროზა

იური ტრიფონოვი. სხვა ცხოვრება. მოთხრობა. დასაწყისი. რუსულიდან თარგმნა ეთერ კეჭალმაძემ 5

ცირილ კოსმაჩი. საყვირისა და ლრუბლის ბალადა. რომანი. დასასრული. თარგმნა ნათელა ლორთქიფანიძემ 67

კარლოს ფუენტესი. თოჯინა-დედოფალი. მოთხრობა. თარგმნა თამაზ ჩიქვანაიამ 139

არვო ვალტონი. მოთხრობები. ესტონურიდან თარგმნა ამირან კალაძემ 154

ლიტერატურული მემკვიდრეობა

ჰომეროსი. ილიადა. პოემა. ძველბერძნულიდან თარგმნა რომან მიმინოშვილმა 167

გიკენტი ვერესაევი. ექიმის ჩანაწერები. გაგრძელება. რუსულიდან თარგმნა რამაზ კობიძემ 202

ეროვნული ბიბლიოთეკა

5

(14)

სექტემბერი
ოქტომბერი

მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური ალმანახი

1976

შინაარსი

შარლ ბოდლერი. ლექსები. წიგნიდან „ბოროტების ყვავილები“. ფრანგულიდან თარგმნა მამუკა ცეცხლაძემ 184
წერილები. ფრანგულიდან თარგმნეს ედიშერ გიორგაძემ და გიორგი ლოლაძემ 189

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

სამარი ველიკოვსკი. ინტელიგენტის თვითშეგნება. რუსულიდან თარგმნა მამუკა ცეცხლაძემ 219

ლევან გრეგაძე. „სამგროშიანი ოპერა“ ქართულად 227

იუმორი. შეკრიბა და თარგმნა შოთა ამირანაშვილმა 234
სხვადასხვა ამბები 236
ჩვენი ავტორები 239

გარეკანზე: ვ. მ. ბაბარიკინი. იავთა სადგომი

კ. მარქსის სახ. საქ. ...
სახელმწიფო ... ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი: კონსტანტინე ლორთქიფანიძე.

სარედაქციო კოლეგია: **მზია ბაქრაძე, ბაჩანა ბრეგვაძე, ნანა დარჩია** (პასუხისმგებელი მდივანი), **მაგალი თოდუა, ნოდარ კაკაბაძე, კარლო კალაძე, მიხეილ კვესელავა, ზურაბ კიკნაძე, ვახუშტი კოტეტიშვილი, რომან მიმინოშვილი, ოთარ ნოდია, ნიკო ყიასაშვილი, თამაზ ჩხენკელი.**

ᲘᲣᲠᲘ ᲩᲠᲘᲤᲝᲜᲝᲕᲘ

ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐ

რუსულიდან თარგმნა ᲔᲗᲔᲠ ᲙᲔᲭᲐᲚᲛᲐᲫᲔᲛ

•

ლამით ისევ გაელვიძა, როგორც ელვიძება ახლა ყოველლამ, თითქოს ვიღაც ბრაზიანად მუჯლუგუნს ჰკრავდეს და ეუბნებოდეს: დაფიქრდი, ჰო, დაფიქრდი, ეგებ მიხვდე და ამოხსნა! ქალს კი ეს არ შეეძლო. თვითგვემის მეტი არაფერი ძალუძდა. მაგრამ ის გრძნობა, ლამით რომ აღვიძებდა, ჯიუტად ჩასციებოდა: ჰო, ეცადე მიხვდე, ამოხსნა, ხომ უნდა იყოს მიზეზი, ხომ უნდა იყვნენ დამნაშავენი, ყოველთვის ახლობლები სცოდავენ. არა, ასე ცხოვრება არ შეიძლება. დაე, თვითონ მოკვდეს, ოღონდ ეს ერთი გააგებინა: პირადად მას რა დანაშაული მიუძღვის? კიდევ მეორე ფარული, სამარცხვინო ფიქრიც ემატებოდა ამას: ნუთუ ამით დამთავრდა ყველაფერი? „რა სულელი ვარ, სიკვდილზე როგორ უნდა ვიფიქრო, როცა შვილი მყავს“.

და მაინც ეადვილებოდა სიკვდილზე ფიქრი, ეს მისთვის უსიამოვნო. მაგრამ გარდაუვალი აუცილებლობა იყო, ისე როგორც, ვთქვათ, საოპერაციოდ კლინიკაში დაწოლა. სიკვდილზე ფიქრი მოგონებებზე გაცილებით ადვილი იყო, მოგონება ტკივილს ჰგვრიდა, ეს კი არაფერს, გარდა წამიერი ჩაფიქრებისა. აი ახლაც უკვე მოეძალა ეს მტანჯველი მოგონებანი: წინათ, მუზეუმში მუშაობისას, ხელფასის აღების შემდეგ სერიოჟა შინ შეზარხოშებული მოდიოდა ხოლმე. უმეტესად მუზეუმის მახლობლად მდებარე „სევანში“ დადიოდა ან სულაც ფედოროვი შეითრევდა თავისთან და წრუპვას შეჰყვებოდნენ. შინ მოსვლისთანავე წვებოდა და მაშინვე იძინებდა. ლამით კი, ასე სამ-ოთხ საათზე, ყოველთვის გაიღვიძებდა, როგორც ახლა თვითონ იღვიძებს. წაფრატუნდებოდა სამზარეულოში წყლის დასალევად თუ მაცივარში შედგმული რაიმე

სასმელის გამოსაღებად. ოჰ, როგორ ბრაზდებოდა, როგორ ლანძღავდა ხოლმე ქმარს ძილგამკრთალი ქალი. იმ წუთებში, მგონი, ეზიზღებოდა კიდეც: „მაინც რა ეგოისტი ხარ!“.

ზოგჯერ სერიოჟა ოსტატურად მალავდა სიმთვრალეს. საზრიანად, ეშმაკურად ეჭირა თავი, მარჯვედ მსახიობობდა. ქალი კი ვერც სუნს გრძნობდა და ვერც წამოწითლებულ თვალებს ამჩნევდა, სჯეროდა ქმრის სიტყვები: „დავიღალე, არაქათი აღარა მაქვს“. ებრალებოდა, სასწრაფოდ გაუშლიდა ხოლმე ლოგინს. სერიოჟაც საბნის წახურვისთანავე ამოუშვებდა ხვრინვას. მაგრამ შუაღამისას კი, გათენებამდე კარგა ხნით ადრე, გაიღვიძებდა და ამით გათქვამდა ხოლმე თავს. ახლა თვითონ ემართება ასე, ოღონდაც ამის მიზეზი მოგონებანი და გულის ტკივილია და არა სიმთვრალე. ქალი დღისით გულდაგულ მალავდა თავის განცდებს, არ უნდოდა შეემჩნიათ არც სამუშაოზე და არც შინ, არც ირინკას და არც დედამთილს. მეტადრე დედამთილს რომ შეემჩნია, ტკივილი გაუძლიერდებოდა. ჰოდა, დღისით მთელ ძალას ამის დამალვას ანდომებდა, მაგრამ ღამით კი საამისოდ ძალა აღარ ჰყოფნიდა.

ხანდახან სერიოჟა მთვრალი არ იყო და მაინც იღვიძებდა, — უბრალოდ ისე, ღმერთმა უწყის, რატომ, რა მიზეზით. ახირება ჰქონდა ასეთი. აბა ბებერი ხომ არ იყო. უძილობა მოხუცებს აწუხებთ. ქალი ღიზიანდებოდა, ფხიზელი ძილი ჰქონდა და როგორც კი ქმარი ხვნეშას, წრიალს დაიწყებდა, განსაკუთრებით თუ საათის დახედვას მოინდომებდა, მაშინვე ეღვიძებოდა. საათი საწოლის თეთრეულის ყუთზე იდო. ჰოდა, როცა თვალთან მიიტანდა ხოლმე საათს, ყუთის თავს უთუოდ ბალთას მიახლიდა და ააწკარუნებდა. რამდენჯერ შელაპარკებულან ამ წკარუნის გამო. ქალი ბრაზობდა. ოჰ, რა სისულელე იყო ეს ყველაფერი. საწყალი, როგორ ცდილობდა ჩუმად აეღო საათი, მაგრამ რატომღაც არაფერი გამოსდიოდა. ბალთას აუცილებლად მიახლიდა იმ თეთრეულის ყუთს — და აი, ატყდებოდა წკარუნი, ღამის სიჩუმეში ასე მკაფიოდ რომ ისმოდა. ქალი შეკრთებოდა, რადგან უკვე ეღვიძა (ეღვიძებოდა კი, როგორც ქმარი ხვნეშას დაიწყებდა) და გატრუნული, გულდამძიმებული ელოდა ამ წკარუნის ხმას.

დედამთილი კვლავ მასთან ცხოვრობდა ერთ ბინაში, ან კი აბა სად წავიდოდა?

ამ ქალს ურყევად სწამდა, რომ შარშან ნოემბერში გულის შეტევით გარდაცვლილი მისი ორმოცდაორი წლის ვაჟიშვილის სიკვდილის მიზეზი ცოლი იყო. რძალ-დედამთილის ერთად ცხოვრება ჭირდა. ბარემ უნდოდათ განცალკევება, სამუდამოდ გაყრა, მაგრამ ერთი ამბავი აბრკოლებდათ: დედაბერს თექვსმეტი წლის შვილიშვილ ირინკას მეტი აღარავინ ჰყავდა და მას რომ დაშორებოდა, უცხო ადამიანებს შორის უნდა ამოხდომოდა სული (მისი და და დისშვილი მაინცდამაინც კალთებს არ ახევდნენ და არც თვითონ ალექსანდრა პროკოფიევნა ისურვებდა მათთან ცხოვრებას). გარდა ამისა, ოლგა ვასილიევნას ანგარიში უნდა გაეწია შვილისთვისაც. გოგონას ბებია უყვარდა, უმისოდ კი მოხუცი სულ მთლად უპატრონოდ რჩებოდა. ყველაფერი ეს ისე იყო ჩაკვანძულ-ჩახლართული — გამოსავალი არ ჩანდა: გაიღვიძე შუაღამისას და, სასოწარკვეთილმა, იმტვრიე თავი, დღისით კი გაიქეცი სახლიდან, გაუჩინარდი. ახლა თვითონ ისწრაფოდა, მივლინებებში რაც შეიძლება ხშირად წასულიყო. გრძნობდა, სწორად არ იქცეოდა, ხასიათის სისუსტე იჯაბნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და. ირინკას ახლა უფრო სჭიროდა მისი თავი, ვიდრე ოდესმე. აღარ ეშველა. შეეძლო შვილის გარეშე. მივლინებებში ყოფნისას ირინკას დარდი უფლეთდა გულს. ჩქარობდა შინ დაბრუნებას. ყოველ საღამოს ტელეფონით ლაპარაკი თითქმის ხუთი მანეთი უჯდებოდა. ჩამოსვლის შემდეგ კი ირკვეოდა, რომ თავისი საქმეებით გართული ირინკა მშვენივრად გრძნობდა თავს უმისოდ. ეს ამბავი. ცოტა არ იყოს, ამშვიდებდა, მაგრამ ტკივილს უძლიერებდა და კვლავ შინიდან გაქცევას, თავის შველას ლამობდა, თუმცა წინასწარვე იცოდა, ხსნას ვერსად ჰპოვებდა. ეჰ, როგორ შეიბრალებდა, როგორ დააფასებდა მოხუცს, სადმე შორს რომ ცხოვრობდეს! მაგრამ ამ პატარა ოთახებში, ამ ციცქნა დერეფანში, სადაც განვლილი წლები ისე ცხადლივ, მიჯრით ჩარიგებულიყო ერთმანეთის გვერდით, როგორც ნახმარი საშინაო ფეხსაცმელები სერიოჟას ხელით ნაკეთებ ტანსაცმლის საკიდის ქვეშ მდგარ ხის ყუთში, ამ სივიწროვეში სიბრალულისთვის ადგილი არა რჩებოდა. მაგალითად, დედამთილს შეეძლო ეთქვა: „როგორც მახსოვს, ასეთი კრენდელები წინათ არ გიყიდია. სად იყიდე, კიროვის ქუჩაზე?“ ეს ერთი ფრაზა წამსვე აქარწყლებდა მისხალ-მისხალ ნაგროვებ სიბრალულს. ეს ხომ იმას ნიშნავდა: ქმარს კრენდელებით არ აფუფუნებდი, ახლა შენთვის კი ყიდულობო. აი ასეთი სისულელე, ასეთი საბაბი, უმნიშვნელო რამ ხანჯალივით უსერავდა გულს.

მსგავსი წამება მოჰყვა ტელევიზორის შეძენასაც. ჯერ კიდევ სერიოჟას სიცოცხლეში უნდოდათ ძველი ტელევიზორის ნაცვლად ახალი, დიდი ტელევიზორი ეყიდათ და ფულს აგროვებდნენ. ოლგა ვასილიევნა ხშირად ბრაზობდა, — იქნებ არ უნდა ექნა, მაგრამ, ღმერთო ჩემო, ახლა რაღას უშველის, — ბრაზობდა სულ ტყუილუბრალოდ, უსამართლოდ, მაგრამ თავს ვერ ერეოდა; ახლა ეს მოგონებანიც წამებად ექცა — სერიოჟას საათობით შეეძლო თავდავიწყებით ეცქირა ყოველგვარი უაზრო სპორტული გადაცემისათვის. ჩაჯდებოდა მწვანე სავარძელში, გაირჭობდა პირში სიგარეტს, გვერდით იატაკზე დაიდგამდა მრგვალ საფერფლეს, ფეხს ფეხზე გადაიდებდა და მიწებებულივით ველარც დაძრავდი იქიდან. ვერც ვერას ჰკითხავდი და ვერც ვერას გაიგონებდი. მაინც რა აყურებინებდა ყველაფერს მიყოლებით? ნუთუ ყველა გადაცემა ერთნაირად საინტერესო იყო?

— მე ვისვენებ!— გაბრაზებით იტყოდა ხოლმე სერიოჟა.— ბოლოს და ბოლოს ხომ მაქვს დასვენების უფლება? — განრისხება, ცოტა არ იყოს, ყალბი იყო: სურდა ყველას სცოდნოდა, რომ სამსახურში მეტისმეტად იღლებოდა.

იგი მართლაც იღლებოდა, ჰქონდა უსიამოვნებაც, მაგრამ ეს ხომ ყველას მოსდის. მას არ ჰყოფნიდა თავშეკავება. თანაც ყველაფერს მალავდა, ფარავდა. ბევრი რამ მერე გამომჟღავნდა. ოლგა ვასილიევნა თავის საწუხარს არა მალავდა, ჰოდა, შვებასაც პოულობდა. ის კი არ ამხელდა, საკუთარი მარცხისა რცხვენოდა. აი მაშინ, ტელევიზორის წინ ვითომ ხუმრობით რომ თქვა:

— ბატონებო, ჩემი ნერვული უჯრედები დასვენებას საჭიროებენ. ძროხები ძოვენ ბალახს, ინტელიგენცია უსმენს მუსიკას, მე ვუყურებ სპორტს. — ესაა ჩემი მკურნალობა, ჩემი ბრომი, ჩემი ესენტუკი, ღმერთმა დასწყევლოს თქვენი მიუხვედრელობა, ბატონებო...

რა თქმა უნდა, პამპულაობდა, როგორც ყოველთვის, მაგრამ ალექსანდრა პროკოფიევნა უმალ გამოექომაგებოდა ხოლმე შვილს. ზოგჯერ მხარის ასაბმელად გვერდითაც მიუჯდებოდა და ჰოკეისა თუ ფრენბურთს ან სულაც სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამეს უყურებდა, მისთვის ხომ სულ ერთი იყო. თან ვაჟიშვილს საკუთარ აზრებს უზიარებდა. ამის გამგონე ოლგა ვასილიევნას გადახარხარებას ვერაფერი ერჩია. ზოგჯერ სერიოჟაც მალულად, ისე რომ მხოლოდ ოლგა ვასილიევნა მიმხვდარიყო, ტელევიზორთან მიმჯდარ ალექსანდრა პროკოფიევნას მოსწრებულად ამასხრებდა. მოხუცი კი ჯიუტად იფერებდა, ვითომ სპორტი დიდად აინტერესებდა. თუმცა ორმოცი თუ ოცდაათი წლის წინ ეს ქალი დიდად გატაცებული გახლდათ მოგზაურობით. არც ისე დიდი ხანია მას შემდეგ. საგანგებოდ რომ ჩაიცვამდა ხოლმე თავის ძველისძველ ხაკის შარვალს, სამხედრო კომუნიზმის დროინდელ ქურთუკს, უკან ზურგჩანთას მოიგდებდა და სულ მარტოდმარტო ელექტრომატარებლით სადღაც გაუყვებოდა. სერიოჟა ამ ამბავს არხეინად უყურებდა, არც სხვას აძლევდა ნებას მოხუცისთვის დაეცინა ან თუნდაც მის ზურგს უკან უჩუმრად გაეღიმა. მოხუცი ქალი, მგონი, ისევ იმ ადგილებს ნახულობდა, სადაც დიდი ხნის წინ თავის ქმართან, სერიოჟას მამასთან ერთად იყო ნამყოფი. მისი ქმარი, მათემატიკის ცნობილი პროფესორი, ხეტიალის დიდი მოყვარული, მგლისმუხლა მოგზაური და ფოტოგრაფი გახლდათ. სახალხო კომისარ კრილენკოს დროინდელ სამოგზაურო ტანსაცმელში გამოწყობილი დედამთილი სასაცილო და საცოდავი სანახავი იყო. თვითონ ოლგა ვასილიევნასაც კი ეჩოთირებოდა ეს ამბავი, აბა ირინკა ხომ პირდაპირ იტანჯებოდა. ბებიას დასცინოდნენ სადარბაზოს სულელი დედაკაცები. სერიოჟას მამა ორმოცდაერთში მოხალისე მოლაშქრეებს შეუერთდა და შემოდგომაზე დაილუპა კიდეც მოსკოვის მისადგომებთან. ოლგა ვასილიევნასათვის გასაგები იყო მოხუცის ეს მწარე, სევდიანი ახირებანი, მაგრამ რატომ მას ვერ უგებენ? რატომ ვერ ხედავენ მის მწუხარებას? ამ ყოვლად გონიერ, იურიდიული განათლების მქონე ქალს ვერა ძალით ვერ დააჯერებდი, რომ ოლგა ვასილიევნასაც ჰქონდა მწუხარების უფლება.

— ჰო, რასაკვირველია, ტელევიზორი უნდა იყიდოთ, ამას რაღა ფიქრი უნდა, იყიდეთ! — უთხრა დედამთილმა, როცა ოლგა ვასილიევნამ, მისდა სამწუხაროდ, რჩევა ჰკითხა.

ირინკამ მართლაც სული შეუწუხა დედას, გინდა თუ არა დიდი ტელევიზორი ვიყიდოთო. ოლგა ვასილიევნასათვის სულ ერთი იყო, იყიდდა თუ არ იყიდდა, მაგრამ იქვე ახლოს უნივერმაღში, სადაც წამდაუწუმ, ყოველ წვრილმანზე დარბოდა ხოლმე ირინკა, ძალიან კარგი ტელევიზორები მოიტანეს. ასეთი ტელევიზორები მართლაც იშვიათად მოდიოდა და შეძენის საკითხი ახლავე უნდა გადაწყვეტილიყო.

— აკი გეუბნებით, იყიდეთ-მეთქი! რატომ უნდა მოიკლოთ სიამოვნება.

— სულ სასიხარულოდ არა მაქვს საქმე? — უპასუხა ოლგა ვასილიევნამ.

— მე მესმის, მაგრამ, მეორე მხრივ, როგორც ვიცი, არც მონასტერში აპირებთ გამოკეტვას!

— არა. მონასტერში ნამდვილად არ ვაპირებ.

ოლგა ვასილიევნამაც განგებ უპასუხა ასე, მოხუცს რომ გული სტკენოდა, — მანაც ხომ „სიამოვნება“ რძლის გულის სატკენად ახსენა.

— ჰოდა, ნულარ იტანჯებით, გამოიტანეთ ფული, განა სერიოჟა ამისათვის არ აგროვებდა, ეს მისი სურვილი იყო...

ალექსანდრა პროკოფიევნას ბებერი თათრის ქალივით ბრტყელ, ღაწვმა-

ღალ პირისახეს თავაზიანი ღიმილი შეეყინა, ხოლო თვალები — სერიოჟას ღია ჭუტალა ცისფერი თვალები — ცივად, ულმობლად იყურებოდნენ.

ამ მწარე-მწარე ჩანისკარტებით განრისხებულმა ოლგა ვასილიევნამ დედაბრის ჯიბრზე ტელევიზორის ყიდვა გადაიფიქრა. შეუყვირა აღრიალებულ ირინკასაც, მაგრამ შემდეგ, როცა კიდევ უფრო მოერია ბრაზი, კვლავ შეიცვალა გადაწყვეტილება და ტელევიზორი იყიდა. მთელი ოთხი თვის მანძილზე დედამთილს ტელევიზორისაკენ არ გაუხედავს. ამბობდა, თვალებს ვუფრთხილდები და გამოსხივებისაც მეშინიაო, მაგრამ იგი განგებ არ უყურებდა. ოლგა ვასილიევნას ნაცნობები ამშვიდებდნენ, არა უშავს, შეეწყობით, შეეთვისებით, ერთი გაქვთ მწუხარება, ერთი გყავთ გოგო, ორთავეს რომ ასე გიყვართო. ოლგა ვასილიევნასაც ეგონა, ნელ-ნელა ალბათ მოვრიგდებითო, მაგრამ ერთმა შემთხვევამ სამუდამოდ დაუკარგა იმედი. მიხვდა, ეს არასოდეს არ იქნებაო.

სერიოჟა ორი თვის მკვდარი იყო, აუტანელი ტკივილი უსერავდა გულს. სიცოცხლე აღარ უნდოდა. უძილობისგან განაწამები ოლგა ვასილიევნა ღამით წამოდგა, სამზარეულოში გავიდა და იქ იხრჩობოდა ცრემლებით. ხან ვალოკორდინს სვამდა და ხან ჩაის ცივ ნაყენს. უცებ ალექსანდრა პროკოფიევნას ფრატუნი შემოესმა. მასაც გაკრთომოდა ძილი. გულში ლახვარივით მოხვდა ეს ფრატუნი — ნაცნობი ფრატუნი. სერიოჟაც სწორედ ასე დაფრატუნებდა იმავე ფოსტლებით. მოხუცმა ეს ფოსტლები რატომღაც თავის ოთახში წაიღო და ჩაიცვა. ოლგა ვასილიევნას მოეჩვენა, თითქოს სერიოჟა მოდისო. მოაგონდა, სერიოჟა სამზარეულოს კარს რომ მოადგებოდა, ხელს მაღლა ასწევდა და იტყოდა: „მოგესალმებით, ჩემო საწყალო ხალხო!“ თავზე კი ქაღალდის ქუდი ეკოსა. ირინკა, რა თქმა უნდა, სიცილით იჭაჭებოდა. სერიოჟა ცდილობდა როგორმე შეეთვისებინა, დაეახლოებინა ისინი, თუნდაც წამიერად, თუნდაც ოხუნჯობით, პამპულობით. ჰოდა, აი ამ ფრატუნმა ანაზადად ისე ააღელვა, თავი ვერ შეიკავა და აღრიალდა. ასეთი საქციელი კი მიუტევებელი, საშინელი დანაშაული იყო — ოლგა ვასილიევნას ცრემლი არავის არ უნდა ენახა. ალექსანდრა პროკოფიევნა სამზარეულოში ღამის პერანგის ამარა შემოვიდა. ჭალარა თმა ჩამოშლოდა, უკმაყოფილო პირსახე ჩაყვითლებოდა, — შეხედა ოლგა ვასილიევნას, მიადგა ბუფეტს, გადმოიღო ფინჯანი და ჩაიდნიდან წყალი გადმოასხა. არა, ოლგა ვასილიევნასათვის კი არ მიუწოდებია, წყალი თავად უნდოდა. მოხუცს თითქოს არც დაუნახავს, არც გაუგონია რძლის ქვითინი და ჩვეულებრივი ბუზღუნა ხმით იკითხა:

— სოდა სად არის?

ოლგა ვასილიევნას პასუხი არ გაუცია, ისე გავიდა სამზარეულოდან.

ამ შეკითხვის, ამ უჩინო თვალების დავიწყება შეუძლებელი იყო: უეცრად აშკარა გახდა ის, რაც დღისით იფარებოდა. ღამით შიშვლდება ჭეშმარიტება. ოლგა ვასილიევნა ტიროდა, მოხუცი კი სიძულვილით შესცქეროდა. საერთოდაც ყველაზე მწარე შელაპარაკებები ყოველთვის ღამით ხდებოდა. ერთხელ სერიოჟამ უთხრა, ირინკა რომ არ გვყავდეს, უსათუოდ გაგეყრებოდიო. ეს კი ისეთ მომაკვდინებელ სიმართლედ ეჩვენა, გათენებამდე ძლივს მიაღწია. დღისით სერიოჟა კვლავინდებურად ოხუნჯობდა, ენამახვილობდა, სისულელეებს ჩმახავდა, არაფერი ახსოვდა. ასე რომ ღამის დავაც კოშმარივით უკვალოდ გაქრა. რამდენიმე თვის შემდეგ ისევ ღამით წაიკინკლავეს, სწორედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი წლის წინ. სერიოჟამ უეცრად დასასვენებელ სახლში წასვლა გადაწყვიტა. ქმრის ამ სურვილმა ქალი შეაშინა, არ უნდოდა მისი მარტო გაშვება, თხოვდა, მეც წამიყვანეო. მაშინ ძნელი არ იყო უხელფასო ათდღიანი შვებულების აღება, მაგრამ უმალვე ირინკას დატოვების ამბავმა გააძნელა საქმე. დედამთილი ცოტა შეუძლოდ იყო, როგორც იტყვიან, უქეიფოდ გახლდათ, რძლის წასვლა სერიოჟასათვის რომ ყოფილიყო საჭირო, უსიტყვოდ გაუშვებდა, მაგრამ როცა გაიგო, წასვლა რძლის ახირება არისო, ცივი უარი განაცხადა. ყველაფერი თეთრი ძაფით იყო ნაკერი. საგანგებოდ ვერა პროკოფიევნა და მისი ქალი თამარაც მოიწვიეს. სერიოჟას დეიდაშვილი თამარა დახურული პოლიკლინიკის ნევროპათოლოგი გახლდათ. ოლგა ვასილიევნას ეს ქალი არ უყვარდა და არც მისი სიტყვა სჯეროდა. სწორედ ამ თამარამ ილაპარაკა ბევრი ალექსანდრა პროკოფიევნას ავადმყოფობაზე, აშკარად აჭარბებდა, თვალს უხვევდა. ოლგა ვასილიევნამ საუბრის გამწვავება აღარ ისურვა, გაჩუმება არჩია, თუმცა აღმაშფოთებელი შეთქმულების მოწმე იყო. ღამით კი თავი მაინც ვერ შეიკავა. მძინარე ქმარი გააღვიძა და ჰკითხა:

— გამოტყდი, რომ ვიღაცა გყავს და სწორედ მასთან აპირებ დროს გატარებას?

ქალს ისეთი საშინელი განცდა ჰქონდა, როცა ირგვლივ ყველაფერი ტრიალებს, როცა ფეხთით ნიადაგი გეცლება.

— ჰო, მყავს, მყავს, — ჩუმი ხმით წაილაპარაკა უეცრად გამოღვიძებულმა სერიოჟამ, — ის ვიღაცა — მე ვარ თვითონ. საკუთარ თავთან მინდა ყოფნა. მინდა თქვენგან დავისვენო, შენგან, დედაჩემისგან, ყველასგან, ყველასგან...

წამით მართლა დაიჯერა, როგორც სჩვეოდა ყოველთვის, მაგრამ შემდეგ კვლავ საგონებელს მიეცა! ვითომ მართლა სჭირდება განმარტოება? განა რა ისეთი მიზეზი ჰქონდა მოსკოვიდან მარტოდმარტო ას კილომეტრზე გაქცეულიყო. და აი, თითქოს დაიჯერა და არც დაიჯერა. მართალია, ცოტა დამშვიდდა, მაგრამ სულ მთლად მაინც ვერა. მაინც ტანჯავდა ფიქრი: „ნაღდად ვიღაცა ჰყავს“.

სერიოჟას ტანმორჩილი, ჭერა ქალები მოსწონდა. ეს ამბავი სრულიად შემთხვევით აღმოაჩინა. დიახ, პატარა ქალებისკენ ილტვოდა, ხელში აყვანილს რომ უნანავებდა. ერთხელ ოლგა ვასილიევნას ნაზად გადაუკრა:

— რა საწყენია, ჩემო დედაკაცო, ასე ტანსრული რომ ხარ, არადა როგორ მინდა ხელით გატარო ხოლმე.

და მაინც ყველა ქალი ტანსრული ჰყავდა. უბრალოდ, შემთხვევით მოხდა ასე. სერიოჟას ხუთ ქალთან ჰქონდა ურთიერთობა, ოთხთან მასზე ადრე, მეხუთე თვითონ იყო. იქნებ სხვებიც იყვნენ, უთუოდ იქნებოდნენ, მაგრამ ეს ოთხი კარგად იცოდა. სხვებზე თვითონ ვარაუდობდა, ეჭვიანობდა, სამაგიეროდ იმ ოთხზე ყველაფერი დაწვრილებით დასტყუა. სახელებით იხსენიებდა — ვალკაო, სვეტლანკაო. შემთხვევას არ გაუშვებდა, ეს ქალები და სერიოჟაც მათთან ერთად არ წაეკბინა, რაიმე საწყენი, დამამცირებელი არ ეთქვა, ვერ იტანდა იმ ნამუსგარეცხილ, კახპა დედაკაცებს. ორი მათგანი ასაკით სერიოჟაზე უფროსი იყო და ყოველგვარ სისაძაგლესაც ასწავლიდნენ. ერთი ზუსტად მისი კბილა გახლდათ, თავი რომ ფრიად განათლებულ არსებად მოჰქონდა. სინამდვილეში კი ეს გახრწნილი დედაკაცი ყოველ ღონეს ხმარობდა, როგორმე თავი შეეჩეჩებინა სერიოჟასათვის, მაგრამ, მადლობა

ღმერთს, იგი ანკესს არ წამოეგო. მოიქცა გაბედულად, შესაძლოა არცთუ მთლად კეთილშობილურად, მაგრამ იმაზე ყველაფერი ახი იყო. ჰყავდა კიდევ ერთი თეთრყირმიზა ქალი, მასთან მუზეუმში რომ მუშაობდა. ეს ჩერჩეტი, ტყლარჭია არსება მართლაც ძალიან ლამაზი იყო. ქალი ვითომ ერთთავად სადღაც გაურბოდა, სერიოჟა კი კალთებს აგლეჯდა. ერთხელაც მოსწყინდა — ქალი იმ სახლიდან გაექცა, სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ. ჰოდა, სერიოჟა ალარ დაედევნა და ყველაფერიც ამით დამთავრდა. ეს მეოთხე დედაკაცი კარგა ზორბა ალნაგობისა იყო და სერიოჟა ბრუნჰილდას ეძახდა. უთქვამს კიდეც, მძიმე, მათლაფებივით მრგვალი ძუძუები აქვსო. ოლგა ვასილიევნას ეს ქალი განსაკუთრებით ეჯავრებოდა. სერიოჟას არასოდეს ჰყოლია პატარა ტანის, ქერა ქალი. ვინ იცის, იქნებ ამიტომაც მიილტვოდა მათკენ. ერთხელ სერიოჟა მოულოდნელად პერესვეტოვოში გაემგზავრა თორმეტი დღით. ოლგა ვასილიევნას ისევ მოეძალა მტანჯველი ფიქრები. არა, არ უნდა აპატიოს, იმიტომ კი არა, რომ უთუოდ ღალატობს იქ, პერესვეტოვოში, უბრალოდ იმიტომ, რომ არ შეისმინა მისი ვედრება, გაეცალა, გაექცა. მაგრამ სამი დღის შემდეგ ტელეგრამა მოუვიდა: „ჩამოიყვანე ირინკა, აქაურობა შესანიშნავია“. სამსახურში ერთი დღე ითხოვა და ირინკასთან ერთად პერესვეტოვოში გაემგზავრა. რა თქმა უნდა, სერიოჟას ყველაფერი აპატია და ფინური ციგებით გორაკიდან მხიარულად ისრიალეს. მეორე დღეს ელექტრომატარებლით უკან, მოსკოვში რომ ამგზავრებდა, წვერგაუპარსავმა სერიოჟამ ლოყა მიადო ქალს და ჩურჩულით უთხრა: „რა სულელი, რა სულელი ქალი ხარ!“

განა სულ ახლახან, საკუროორტო ბარათი რომ აიღეს, ექიმმა არ დაუწერა: „ჯანმრთელი არისო“. ყველაფერი რიგზე ჰქონდა: ანალიზები, გული, წნევა. მაინც რა მოხდა ამ ცოტა ხანში? როგორ იცხოვროს უმისოდ? ან აქამდე როგორ მოალწია? უკვე ხუთი თვე და ოცდახუთი დღე გავიდა. თვითონაც ვერ მიმხვდარა. ყველაფერი უაზროდ მიიზლაზნება, უაზროდ ცოცხლობს, არსებობს...

მაღვიძარა შვიდზე დარეკავს. ბურანში წასული მერე კიდევ საათნახევარს იწრიალებს ლოგინში, — განა ძილის ბურანში, გამქრალი ცხოვრების ბურანში, — ბოლოს ზლაზვნით წამოდგება. ჩაიცვამს სერიოჟას ნაჩუქარ ნეილონის ხალათს ან სულაც პერანგისამარა, თმადაუვარცხნელი, წალასლასდება სამზარეულოსაკენ. ახლა იგი უკვე ალარ კოხტაობს. ქურაზე ჩაიდანს შემოდგამს, ერთ ქვაბს ფაფისათვის დადგამს, მეორეს კვერცხების მოსახარშად. მაცივრიდან ხაჭოსა და კეფირს გამოიღებს, რომ ცოტა შეთბეს, ვიდრე ის და ირინა დაიბანენ და ჩაიცვამენ. ჩართავს ბუფეტის თავზე მდგარ რეპროდუქტორს. მაგრამ რასაც უნდა აკეთებდეს, რაზეც უნდა ფიქრობდეს, ზურგს უკან მაინც ყოველთვის სიცივესა და სიცარიელეს გრძნობს.

იყო ერთი ყოვლად კეთილი და კარგი, ცოტა უნდილი, ნიჭიერი ყმაწვილი ვლადი. ფართო, ნაყვავილევი პირისახე ჰქონდა, ოდნავ წამოზიდული თვალები კი მხოლოდ სიდინჯესა და ერთგულებას გამოხატავდნენ. ერთთავად ბრტყელჩარჩოიანი სათვალე ეკეთა. სიცილისას — თუმცა ძალიან იშვიათად და ყოველთვის მოულოდნელად იცინოდა — პირზე ხელს იფარებდა, რადგან ზედა ტუჩი, ცოტა არ იყოს, ზომაზე მეტად აუდიოდა მაღლა. მთლად კურდღლისტუჩაო, ვერ იტყოდით, მაგრამ ცოტათი მაინც წააგავდა. ერთმა ძველმა ხუმარა მეგობარმა ვლადს „ნახევარკურდღელა“ შეარქვა. ვლად პოლისაევი სამედი-

ცინო ინსტიტუტის სტუდენტი იყო და ჯერ კიდევ მაშინ მედიცინამი დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. ოლგა ვასილიევნას დედისთვის — გარეგნობას, შესახედაობას — იქნებოდა ეს ადამიანი, პალტო, კარადა, ფარდა თუ ყვავილების თაიგული — არავითარი ფასი არა ჰქონდა. მისთვის მთავარი იყო ის, რაც ერთობ სადაო გახლდათ, რასაც თვითონ შინაგანად ხედავდა და არსს ეძახდა. ჰოდა, აი, დედას ძალიან უნდოდა მისი ქალიშვილი ვლადს გაჰყოლოდა ცოლად. ოლგა ვასილიევნას კი ვერა და ვერ გადაეწყვიტა, თუმცა დედაზე ნაკლებად როდი გრძნობდა ვლადის ღირსებებს, მაგრამ არ უნდოდა მთელი სიცოცხლე ვლადის ბრტყელი, ნაყვავილევი, ყვრიმალმაღალი პირისახისთვის ეცქირა...

ორსა თუ სამ წელიწადს მაინც გაგრძელდა ეს ულიმლამო არშიყობა თუ სანახევროდ ბავშვური მეგობრობა, ყოვლად უიმედო ვლადისთვის, ყოვლად უხალისო ოლგა ვასილიევნასათვის (იმ დროს კიდევ ერთი თაყვანისმცემელი უწვრილებდა გულს, სულ მთლად უვარგისი ყმაწვილი, ვინმე ინჟინერი გენდლინი, თუმცა ოლგა ვასილიევნას დედა იმასაც სწყალობდა).

მაგრამ აი, დადგა ჟამი — ოლგამ სწავლა დაამთავრა, შეუდგა დამოუკიდებელ ცხოვრებას. პალიხაზე მდებარე სკოლაში მასწავლებლად დაიწყო მუშაობა, უკვე ოცდაოთხი წლისა გახდა, სხვა გზა არ ჰქონდა. ის შეჩვენებული მეგობარი გოგოებიც დათხოვდნენ. და აი, ერთ მშვენიერ დღეს ვლადიმ ვიღაც ახალგაზრდა კაცი მოიყოლა: ზამთარში სტუდენტთა ბანაკში გაეცნო ზვენიგოროდში და დამეგობრებულიყვნენ. ვლადი საერთოდ დიდი ჰუმანისტი გახლდათ. უცებ შეუყვარდებოდა, გააღმერთებდა ვიღაცას. თუმცა ისიც უნდა ითქვას, მაინცდამაინც კარგად როდი ეხერხებოდა ადამიანების გამოცნობა. მაგალითად, სერიოჟას დედას უკეთილშობილეს ადამიანად თვლიდა, ლამის ცახცახებდა მის წინაშე, ენა ებმოდა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ალექსანდრა პროკოფიევნა სამოქალაქო ომის დროს ფრონტზე რაღაცას აკეთებდა, ჯარის პოლიტნაწილში მანქანაზე უკაკუნებდა. მაგრამ ეს იყო შემდეგ. სერიოჟას გამოჩენამდე კი ხან ვიღაც მფრინავი მოიყვანა, ხან მაიმუნის სიფათიანი ჩემპიონი მოჭიდავე, ხან ვიღაც წიგნების გადამყიდველი, ვითომ ყველაფრის მცოდნე ლაქლაქა მორფინისტი. ვლადის ეს ახალი ნაცნობი ისტორიკოსი აღმოჩნდა. სწავლა ახალდამთავრებული ჰქონდა, რომელიღაც დაწესებულებაში მუშაობდა რაღაც სხვა განხრით. როგორც ვლადიმ წარმოადგინა, ეს ახალგაზრდა ისტორიკოსი ზვენიგოროდის რაიონის აბსოლუტური ჩემპიონი იყო „ბალდას“ თამაშსა და სიტყვების უკუღმა წარმოთქმაში.

მართლაც, ამ ჭაბუკმა პირველსავე საღამოს გააოცა ოლგა ვასილიევნა თავისი შეუდარებელი ხელოვნებით. აღფრთოვანებული ვლადი სიტყვებს აწვდიდა: „სასადილო“, სტუმარი კი წამსვე პასუხობდა: „ოლიდასას“, „პორთფელი“, იძახდა ვლადი, „ილეფთროპ“, ისმოდა მაშინვე. „მანქანათმშენებლობა“, მაცდურად სთავაზობდა ვლადი და, მეგობრის შეუმცდარი პასუხით დაიმედებული, გულში ფარულად ზეიმობდა. სტუმარი თითქოს წამით შეყოვნდა, მაგრამ არა. „აბოლბენეშმთანაქნამ“, — მოისმა საჩქაროდ. „როგორ, როგორ? — გაჰყვიროდა ვლადი, — გაიმეორე, გენაცვა! შემოწმებაა საჭიროო!“ — შეამოწმეს, ყველაფერი ზუსტად გამოვიდა, შთაბეჭდილება დიდზე დიდი გახლდათ. აბა ვლადიმ ხომ მთლად ცაში აიყვანა: „რა სათქმელია: გენიოსია! ნაღდი გენიოსი...“ მაშინ სერიოჟა ხმელ-ხმელი, ქოჩორა, ტანადი ყმა-

წვილი იყო. მხიარულად და უცბაურად ლაპარაკობდა. ოლგა ვასილიევნას არც ერთ ნაცნობს არ ჰგავდა. ქალს გული აუჩქროლდა და მღელვარების დასაფარავად მანაც მიაწოდა სიტყვა „გამოხედვა!“, „ო, ეს ძალიან ძნელია!“ — დაიძახა ვლადიმ. სტუმარმა ქალს წამით თვალი შეავლო, თითქოს ვლადის ეთანხმება, მართლა ძნელი სიტყვააო, და ჩუმად, მაგრამ მტკიცედ წარმოთქვა: „ავდეხომაგ...“

იდუმალი სიტყვა ისარივით მოხვდა ქალის გულს. იქნებ სულაც ცხოვრების გამსაზღვრელი პაროლი იყო ეს არსად თქმული, არსად გაგონილი, უცნაური სიტყვა — „ავდეხომაგ“, ანარეკლი იმ სხვა, ჭეშმარიტი სიტყვისა, მას ასე უსაზომოდ რომ სწამდა — „გამოხედვა“. სწორედ ეს თამაში, ეს სასაცილო, შემთხვევითი გაცნობა, ეს უცნაური საუბარი, როცა შპროტსა და არაყს მირთმევდნენ, სამუდამოდ ჩაეჭედა მეხსიერებაში, რადგან სწორედ მაშინ აიტანა ოლგა ვასილიევნა შინაგანმა შეშფოთებამ, ბედის შეტრიალების წინათგრძნობამ. და იყო კიდევ: გაზაფხულის დასაწყისი, ის მღელვარე, ისევე გამოუცნობი ხანა, ვით სიტყვა „ავდეხომაგ“, როცა ირგვლივ ყველა სუნთქვაშეკრული ელის რაღაცას, ყველა ვარაუდშია, ჩურჩულებენ, კამათობენ.

დედას პირველივე საღამოს არ მოეწონა სიტყვების უკუღმა წარმომთქმელი, არ მოეწონა იმიტომ, რომ სერიოჟა მაშინვე არაყის მოსატანად გაიქცა. მერე, უფრო ახლოს გაცნობის შემდეგ, ოლგა ვასილიევნა მიხვდა, რომ არაყის მოსატანად გავარდნა მეტისმეტი მორცხვობით იყო გამოწვეული. ახირებული საქციელისაკენ რომ უბიძგებს ხოლმე ადამიანს, და არა სპირტიანი სასმელის სიყვარულით. დედამ დიდხანს ვერ დაივიწყა სერიოჟას faux pas. „ხომ გახსოვს, პირველსავე საღამოს არაყზე რომ გაიქცა?“ — ეტყოდა ხოლმე სიძის რაიმე საქციელით უკმაყოფილო. არსში ჩაწვდომის დიდად მოსურნე დედა ვერა და ვერ მიხვდა, რომ ეს სასაცილო საქციელი სულაც არ გამოხატავდა ადამიანის ბუნებას. დედას მტკიცედ სწამდა, რომ სხვა თაყვანისმცემლებზე მეტად მის ქალიშვილს ვლადი შეეფერებოდა: სწორედ ეს გახლდათ თავი და თავი. საწყალმა დედამ, შვილისადმი უზომო სიყვარულის მიუხედავად, მაინც ვერ მოახერხა დაეძლია მისთვის დამახასიათებელი გულუბრყვილო თავკერძობა — გულუბრყვილო იმიტომ, რომ აროდეს აზრადაც არ მოსვლია თავისი საქციელი ოდნავ მაინც თავკერძობად მიეჩნია. პირიქით, დედას ყოველთვის ეგონა, რომ მუდამ სხვებისთვის ცხოვრობდა, და თითქოს ასეც იყო. თუმცა კარგად თუ ჩაუკვირდებოდი, ეს „სხვები“ მხოლოდ ერთი კაცი, გიორგი მაქსიმოვიჩი გახლდათ. დედას ეგონა, ქალიშვილის ბედზე ვზრუნავო. როცა არწმუნებდა, სხვებს ვლადი ჯობია, უკეთესი ქმარი იქნებაო, სინამდვილეში კი თავის თავზე ზრუნავდა. ვლადი თვითონ მას ერჩია. დედას არ მოეწონა სერიოჟა, არც სიტყვების უკუღმა ტრიალი, არც ის, სერიოჟამ ვლადისთან ერთად ფსიქიატრიულ საავადმყოფოში წასვლის ამბავი რომ მოჰყვა. სერიოჟა კი ჭეშმარიტად გენიალურად ჰყვებოდა. სახელოსნოდან ჩაის დასალევად გამოსული გიორგი მაქსიმოვიჩიც დაბღვერილი იცქირებოდა.

დედისა და გიორგი მაქსიმოვიჩის ურთიერთობა ყოველთვის გასაოცრად თანხმიერი იყო. დედა მსჯელობდა, გიორგი მაქსიმოვიჩი კი დასტურის ნიშნად თავს აკანტურებდა და მოკლე-მოკლედ ურთავდა: „სწორედ რომ მასეა“, ანდა „ვფიქრობ, მართალი ხარ“. ოლგა ვასილიევნას მამა დიდი ხნის წინ მოუკვდა, მაშინ იგი ექვსი წლისა იყო. გიორგი მაქსიმოვიჩი დედამ ევაკუაციაში ყოფნი-

სას გაიცნო, ერთ ქარხანაში მოხვდნენ: დედა საგეგმო განყოფილებაში მუშაობდა, გიორგი მაქსიმოვიჩი — კლუბის მხატვრად. იგი მხატვარი იყო, რევოლუციამდე ვიღაც სახელგანთქმულ ბერძენთან სწავლობდა, იყო საზღვარგარეთ, გამოფენებში არაერთხელ მიუღია მონაწილეობა, მაგრამ მერე რატომღაც, შეუტიეს, გააკრიტიკეს, ახლებურად აღზრდა დაუპირეს, ჩრდილში მოაქციეს. ისიც თანდათანობით ჩაქრა, მოტყდა. ჰოდა, ეს მხატვარი კაცი გუდაჭშიერ თხუპნიად იქცა, ლუკმაპურს ლოზუნგებისა და პლაკატების ხატვით შოულობდა. მაგრამ შემდეგ, როცა ახალი ოჯახით, ცოლითა და ოლგა ვასილიევნათი მოსკოვში დაბრუნდა, მხატვართა სახლში ოთახი და სახელოსნო მისცეს, შეამჩნიეს, აღიარეს, როგორც მხატვარი. გაზეთების ფურცლებზე უკვე ხშირად იხსენიებდნენ, დაუდეს ხელშეკრულებები, მისცეს შეკვეთები. როგორც შემდეგ გამოირკვა, ევაკუაციაში ყოფნისას დრო უქმად არ დაუხარჯავს, თავაუწევლად, ვირივით ემუშავა. გიორგი მაქსიმოვიჩის საყვარელი მწერლის რენარის თქმისა არ იყოს — ხელოვნებას ვირივით შრომა ქმნისო. მანაც მთელი გალერეა შექმნა ზურგის მშრომელთა „ურალის ფოლადის“ სახელწოდებით. ეს ნახატები მრავალჯერ გამოფინეს, დაიბეჭდა მათი სურათებიც, საფოსტო მარკებადაც გამოუშვეს. გიორგი მაქსიმოვიჩს თავისებური ალორძინების ხანა დაუდგა, მეორე ახალგაზრდობა ანუ, როგორც თვითონ ამბობდა, „გაფურჩქვნის ხანა“. ყველაფერი დიდებულად იქნებოდა, რომ სწორედ მაშინ, ორმოციანი წლების დასასრულს ავადმყოფობას არ შემოეტია. ჯერ თავის ტკივილები აწუხებდა, მერე თვალებმაც უღალატა. აუკრძალეს მუშაობა, დადიოდა სანატორიუმებში, ბოლოს გულის შეტევები დაეწყო და, სერიოჟას გამოჩენამდე ცოტა ხნით ადრე, ინფარქტიც მოუვიდა. რამდენი წლისა იყო მაშინ? კარგა გვარიანი ხნის. დედა ჩვიდმეტი წლით უმცროსი გახლდათ. სერიოჟას გამოჩენის დროისათვის დედა ორმოცდასამი წლისა შესრულდა. ესე იგი გიორგი მაქსიმოვიჩი სამოცი წლის კაცი იყო.

ჯერ კიდევ გამართული დადიოდა, შეხვედრისას ხელს ღონივრად ართმევდა ხალხს. ჩვეულებად ჰქონდა: ახალგაცნობილს ჯიუტად დაკვირვებოდა, უბოდიშოდ აეხედ-დაეხედა. ახალგაცნობილთ კი ასეთი მოქცევა ეჩოთირებოდათ. მერე სერიოჟაც გამოტყდა, გიორგი მაქსიმოვიჩთან პირველმა შეხვედრამ, ცოტა არ იყოს, შემაცბუნაო.

— ისე მიყურებდა, თითქოს რაღაცა მომეპაროს.

გიორგი მაქსიმოვიჩს კიდევ ერთი სხვა ჩვეულებაც ჰქონდა: ახალგაცნობილს ძირისძირობამდე რომ შეისწავლიდა, განუცხადებდა, „მეტად საინტერესო სახე გაქვთ“ და, მაშასადამე, „მეტად საინტერესო“ დასახატი. ეს იყო სხვა ადამიანებზე მაღლა მდგარი ხელოვანის მფარველური კილო და ყველასათვის სასიამოვნო უწყინარი პირფერობა. სერიოჟასათვის გიორგი მაქსიმოვიჩს ასეთი რამ არ უთქვამს. დაძაბულობა პირველივე წუთებიდან იგრძნობოდა. კაცმა რომ თქვას, გიორგი მაქსიმოვიჩი აქ დამოუკიდებლად როდი მოქმედებდა, მგრძნობიარე მემბრანასავით იჭერდა ხოლმე, დედა რა განწყობილებაზე იყო. დიახ, ისინი მართლაც მშვენივრად ეწყობოდნენ ერთმანეთს. ჰოდა, ძალიანაც კარგი! მადლობა ღმერთს, ოლგა ვასილიევნა არ ეჭვიანობდა, მამა ლანდად ახსოვდა. გიორგი მაქსიმოვიჩი დედას კარგად ექცეოდა, ეტყობა, უყვარდა კიდეც. საწყალი დედა ხომ ლამის აღმერთებდა. წლების განმავლობაში ჩამოუყალიბდათ ერთნაირი გემოვნება, ერთნაირი შეხედულებანი

ადამიანებზე, მხატვრობაზე, წიგნებზე, ფულზე, ყველაფერზე. დედა ერთთავად ჩაფლული იყო ქმრის საქმიანობასა თუ მოვლა-პატრონობაში. სხვისი ცხოვრებისათვის უბრალოდ აღარ ეცალა. ირინკა რომ დაიბადა, პირველ ხანებში ლამის გაიგლიჯა ქმარსა და შვილიშვილს შორის. უნდოდა ორივესთან ყოფილიყო, ორთავეს გამოდგომოდა, მაგრამ ძალა აღარ ეყო და ადგილი მეორე ბებიას დაუთმო. ოლგა ვასილიევნამაც შეუნდო. ერთხანს დედასთან და გიორგი მაქსიმოვიჩთან ერთად სუშჩევსკაიაზე ცხოვრობდა, სადაც გიორგი მაქსიმოვიჩს მეზობლებთან ზიარი ბინა და სახელოსნო ჰქონდა. მერე დედამთილს დიდი მწუხარება დაატყდა თავს — მოუკვდა გამორჩევით საყვარელი, გაუთხოვარი, ავადმყოფი, ბედისგან გაუხარელი ქალიშვილი. ჰოდა, აი, შაბოლოვკაზე დედამთილის ოროთახიან ბინაში გადმოსვლა გადაწყვიტეს. ამ ბინაში გაატარა სერიოჟამ ბავშვობა. მისთვის აქ ყველაფერი ახლობელი და საყვარელი იყო. ოლგა ვასილიევნამ გადმოსვლისთანავე იგრძნო, რომ დედამთილთან სიამტკბილობით ვერ იცხოვრებდა, მაგრამ რა ექნა, როცა სერიოჟას ძალიან უნდოდა ეს ამბავი და დედაბერსაც — თუმცა დედაბრობა რა სახსენებელია, მაშინ იგი ქოთქოთა, ფუსფუსა, ხანში შესული ქალი იყო. ამიტომ უნდა დაჰყოლოდა მგლოვიარე დედის სურვილს, შვილიშვილით მაინც გაეხარებინა. მძიმე იყო საკუთარ დედასთან დაშორება, მაგრამ სხვა არა ეწყობოდა რა. მოხდა ისე, როგორც უნდა მომხდარიყო. ყველაფერი კი სწორედ იმ საღამოდან დაიწყო, როცა ოლგა ვასილიევნას ეს თმაგაჩეჩილი ყმაწვილი გამოეცხადა და სიტყვების უკულმა ტრიალითა და ოხუნჯობით მოხიბლა.

მერე იყო გაზაფხული, ეზოები, ჭიშკრები, სადარბაზოები, კაფეები. ვლადი ვერაფერს ხვდებოდა. შემდეგ დადგა ზაფხული. უნდა ეშოვათ ფული. და ჰა, სამხრეთისაკენ მიმავალი მატარებელი, სიცხე, თავისუფლება. ისინი ოთხნი იყვნენ: ოლგა ვასილიევნა, მისი მაშინდელი, მერე კი უკვალოდ გამქრალი მეგობარი რიტა, ვლადი და სერიოჟა. ვლადის ჰყავდა ნაცნობი, უფრო სწორად, ეს კაცი მამამისის, სამედიცინო სამსახურის გენერლის ნაცნობი იყო. იმ კაცს გაგრაში საკუთარი სახლი ჰქონდა. ის შეპირდა, ოთახებს დაგიქირავებთო, ერთს ოლგა ვასილიევნასათვისა და რიტასათვის, მეორეს კი — სერიოჟასა და ვლადისათვის. რატომღაც ამ კეთილი ნაცნობის სახლში ცხოვრება არ შეიძლებოდა. ზაფხულის პაპანაქება იდგა. გაგრაში საოცრად ცხელოდა.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ ვლადის ნაცნობს, ახლა აღარ ახსოვს, პორფირი ნიკოლაევიჩი ერქვა იმ კაცს თუ პარფენ მიხაილოვიჩი, რატომღაც ერთი ოთახი დაექირავებინა. ეს უცნაური, ახლა უკვე პენსიონერი კაცი ერთ დროს თურმე მოსკოვში მუშაობდა საკმაოდ პასუხსაგებ თანამდებობაზე, ახლა კი გაგრაში ცხოვრობდა განცალკევებით მდგარ საკუთარ სახლში. დაქირავებული ოთახი ზღვიდან ძალიან შორს იყო და საკმაოდ ცუდიც გამოდგა. ეტყობა. მასაც ეუხერხულა და ახალგაზრდებს საკუთარ ბაღში მდგარი ქოხი შესთავაზა. ნაქირავებ ოთახში ბიჭები მოთავსდნენ, გოგოებმა კი იმ კაცის ეზოში ზედ ზღვის პირას მდგარი ქოხი აირჩიეს. ეს იყო ფაცხის მაგვარი ნაგებობა ანუ, როგორც ახლა ეძახიან, „ბუნგალო“. პირველად ყველაფერი აღფრთოვანებას ჰგვრიდათ, მაგრამ შემდეგ უკვე ისე აღარ მოსწონდათ: წყალი და საპირფარეშო დიდ სახლში იყო და იქ მისასვლელად მთელი ბაღი უნდა გაევლოთ. გარდა ამისა, სახლის მდგმურები, ნათესავები, ახლობლები თუ პორფირი მიხაილოვიჩის შორეული ნაცნობები, საკუთარი მანქანებით რომ სულ ახალ-ახალ

ჯგუფებად მოედინებოდნენ, მეტად დამღლელ, ხმაურიან ცხოვრებას ეწეოდ-ნენ. ყოველ ცისმარე დღეს სვამდნენ, ქეიფობდნენ, ხმამაღლა მღეროდნენ, აყვირებდნენ რადიოლას, ცეკვავდნენ ვერანდაზე, ბაღში აშიშხინებდნენ მწვა-დებს, საღამოობით ჯგროდ ჩადიოდნენ ზღვაზე საბანაოდ. სახლი ზღვის პირას იდგა და ჭიშკრიდან პირდაპირი ბილიკით ჩადიოდნენ რიყე სანაპიროზე.

პორფირ ნიკოლაევიჩის მომლხენი, მხიარული საზოგადოება სუფრასთან ხშირად იპატიჟებდა სერიოჟას, ვლადის და გოგოებს. ბიჭებს თავპატიჟი არ დაუწყიათ, რადგან ფული გამოზომილი ჰქონდათ. გაგრაში ყველაფერს ცეცხ-ლის ფასი ედო და არც არაფერი იშოვებოდა. იქ კი გულუხვად მასპინძლობ-დნენ. ხვანჭკარა და ჭაჭის არაყი რამდენიც გინდოდა. ჰოდა, მოსკოვში სიმარ-ტოვით თავმობეზრებული ეს შეუხედავი ეშმაკი რიტა იმ, ცოტა არ იყოს, სა-შიშ, მაგრამ მომაჯადოებელ მორევისკენ ილტვოდა.

ოლგა ვასილიევნამ კი მტკიცედ გადაწყვიტა: „არა“. ღამღამობით ბაღში მოხეტიალეთა შორის ბევრი თავხედიც ერია. ერთი-ორჯერ შუაღამისას ვი-ღაცამ ქოხში შემოჭრაც კი სცადა. კარს ეჯაჯგურებოდა. თავქარიანი რიტა ხითხითებდა. ოლგა ვასილიევნა მიხვდა, რომ რიტასათვის არ იწუხებდნენ თავს. „ჰეი, ამაყო ქალიშვილო! — ყვიროდნენ გარედან, — წამოდი ჩვენთან ერთად საბანაოდ!“ განრისხებული ოლგა ვასილიევნა მილიციით ემუქრებოდა იმ თავხედებს.

დილით ეს ამბავი ვლადს შესჩივლა. ვლადიც მაშინვე სახლის პატრონთან გაიქცა და დიასახლისი მოიყვანა. პორფირი ნიკოლაევიჩის ცოლი ტანადი, თმა-ჭალარა, თეთრკაბიანი ქალი იყო. თითებზე თუ ყურებში ოქრო უბრწყინავდა, სიცილის დროს დიდი პირიდანაც ოქროს ბზინვარება გამოკრთოდა: „გოგო-ნებო, გთხოვთ შეუნდოთ ამ ჩემს ხულიგნებს. ხომ იცით, სამხრეთელები არი-ან, სისხლში მზე უდუღთ... მზე კი ადამიანებს გონებას აკარგვინებს...“

სერიოჟა ღმერთივით ცურავდა, ყვინთავდა, ხტებოდა კოშკურიდან. ის და რიტა შორს, ტივტივას იქით მიდიოდნენ, ოლგა ვასილიევნა და ვლადი კი იქვე, ნაპირთან ჭყუმპალაობდნენ. ცხოვრებისეულ საქმეებში, ადამიანებთან ურთიერთობაში ყოვლად მოუქნელი და მორცხვი სერიოჟა დიდი ფიზიკური გამბედაობის ყმაწვილი იყო. მაგრამ იმის კითხვა კი, თუ რამდენი უნდა გადა-ეხადათ ქოხის ქირა, ან იმის თქმა, გოგოებს თქვენი სახლის ბინადარნი წყალს ხუ უკეტავენო — ვერა და ვერ გაებედა, განაწყენებას ერიდებოდა. დღესხვა-ლეობით იძვრენდა თავს. აი, სტუმრებთან ვერანდაზე ჯდომასა და ხვანჭკარის გადაკვრაზე კი უარს არ იყო. ოლგა ვასილიევნა სინანულით ამჩნევდა სერი-ოჟას ამ მერყევ, არამამაკაცურ თვისებებს, თუმცა ამავე დროს სერიოჟას შე-ეძლო პლაჟზე ყოველგვარ ჩხუბსა და აყალმაყალში ჩარეულიყო; ვითომდა აქაც არაფერიო, ისე გადმომხტარიყო ცხრამეტრიან კოშკურიდან. ოლგა ვასი-ლიევნასათვის თანდათანობით ცხადი გახდა, რომ გაება, გაება ისე, როგორც არასოდეს. აღარ იყო სხვა ცხოვრება, გაქრა ყველა სხვა ფიქრი და აზრი. გა-ვიდა მხოლოდ რამდენიმე დღე — თითქოს რა უნდა შეცვლილიყო? ქალს კი ყველაფერი შეცვლილად ეჩვენებოდა: ზეცის ფერი, ზღვის სურნელება, მწვა-დის გემო. რაღაც დაემართა, რაღაც ისარი შეერხა სულის სიღრმეში, ყველა-ფერი უცნაური სისწრაფით დატრიალდა. გაუჩნდა მეტად ამაღელვებელი, სრულიად ახალი გრძნობა, გულზე დააწვა უცხო სიმძიმე. მაგალითად: უკვე ველარ იტანდა, როცა სერიოჟა პორფირის სახლში შედიოდა და იქ დიდხანს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რჩებოდა. თითქოს რა იყო ასაღელვებელი, — არაფერი. ის კი იტანჯებოდა: რატომ არის იქ? ვისთან არის? ვისი სიცილი ისმის ვერანდიდან? მამაკაცების სიცილი ქალების სიცილზე ნაკლებად როდი ხვდებოდა გულზე, ერთნაირად აღიზიანებდა. მაშასადამე, იქ უფრო მოსწონს, იქ ურჩევნია, ვიდრე აქ, მასთან. ეს იყო უცნაური წამება, გონებისგან განცალკევებული, მხოლოდ ზეშთაგონებას მორჩილი. ის ხომ ქმარი არ იყო, არც არავითარი სიახლოვე ჰქონიათ ჯერ. ეს ყველაფერი მხოლოდ მერმე უნდა მომხდარიყო, მხოლოდ ფარულად ოცნებობდა ამაზე, მაგრამ ისეთი გრძნობა, ისეთი ტკივილი ტანჯავდა, თითქოს უკვე ყველაფერი მოხდა. ერთხელ თავი ვერ შეიკავა და სერიოჟას გამოსაძახებლად ვერანდაზე ავიდა. სერიოჟამ ჭადრაკი იქ წაიღო, მათ კი პლაჟზე ჩასვლა დააპირეს და თამაში უნდოდათ. ოლგა ვასილიევნა ჭადრაკის თამაშს სწავლობდა. უნდოდა ყველაფერი სცოდნოდა, რასაც სერიოჟა აკეთებდა. ის კი არა, შიშიც კი დასძლია და სამმეტრიან კოშკურიდან გადმოხტა. ჰოდა, როცა იმ სახლის მინიანი კარი შეაღო, უხვად გაწყობილი მაგიდის ირგვლივ შემომსხდარი რამდენიმე ქალი და კაცი დაინახა. ყველა სერიოჟას მიჩერებოდა. ისიც ცოტა განზე, გამოსაჩენ ადგილს დამდგარიყო და ვიღაცას აჯავრებდა. ეს გამოჯავრება სერიოჟას მართლაც ბრწყინვალედ გამოსდიოდა, განსაკუთრებით „ძველი მეაფთიაქე“ და „დინამოს გულშემატკივარი“; საერთოდ სერიოჟა მრავალმხრივი ნიჭის მქონე გახლდათ. ხატავდა, შესანიშნავად მღეროდა, გიტარაზე დაკვრაც თვითონ, დამოუკიდებლად ისწავლა.

მაშინ კი, ვერანდაზე ოლგა ვასილიევნამ საშინელი ზიზღი იგრძნო, ლამის გული აერია — შეეზიზღა სერიოჟაც და მას მიშტერებული ეს კეთილად მომღიმარე, გამომთვრალი, მხიარული ადამიანები. რა ძალიან გაბრაზდა. სხვები კი ტაშს უკრავდნენ, ყვიროდნენ: „ალავერდს შენთან გადმოვდივარ, სერგო!“ უჯახუნებდნენ ჭიქებს, ქალმა კი ბრაზიანად უთხრა:

— ახლა დააბრუნე რომელიმე სიტყვა უკულმა, მაგალითად, პამპულა, და დაემშვიდობე. ჩვენ პლაჟზე გველოდებიან.

გაოცებულმა სერიოჟამ წვრილი ცისფერი თვალები ოლგა ვასილიევნას მიაშტერა, პირიც კი გააღო რაღაცის სათქმელად. ღმერთმა უწყის, შეპასუხება სურდა თუ მართლა „პამპულა“ უნდა წარმოეთქვა უკულმა. მაგრამ ქალმა ხელი ჩაჰკიდა და ისიც უსიტყვოდ დაემორჩილა. სერიოჟა და ოლგა ვასილიევნა ოთახიდან გავიდნენ.

პლაჟისკენ მიმავალ გზაზე შეგონებებით გამოუჭედა ყური. სერიოჟა დუმდა, ქალს სიამოვნებდა ეს დუმილი და ლამის დედური სიმკაცრით კიცხავდა:

— გაიგე, სირცხვილია, საზიზღრობაა, საკუთარ თავს იმცირებ. იმ მთვრალი სიფათების გამრთობი მასხარა იყავი და მეტი არაფერი. ეს ინტელიგენტი კაცი აცინებდი, ართობდი იმ ვაჟბატონებს, იმ ყალთაბანდებს.

სერიოჟამ საკმაოდ უწყინრად სცადა თავის დაცვა:

— შენ მეტისმეტი მაქსიმალისტი ხარ... იცოდე, მაქსიმალიზმი კარგს არაფერს მოგიტანს, მითქვამს, როგორც ისტორიკოსს...

სერიოჟას თითქოს მოსწონდა კიდეც ქალის საქციელი: ისიც, ხელჩაკიდებული რომ მიჰყავდა, ისიც, მის მაგივრად შეურაცხყოფილად რომ იგრძნო თავი. ვინ იცის, იქნებ სწორედ მაშინ ჩამოუყალიბდა ქალს გონებაში მათ დამოკიდებულებაზე ის წარმოდგენა, მრავალი წლის განმავლობაში ერთადერთ

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედნიერებად რომ თვლიდა და რისკენაც მთელი ძალით ისწრაფოდა. ეშმაკ სერიოჟას კი ისე ეჭირა თავი, თითქოს მართლა ემორჩილებოდა, სინამდვილეში მეტად შორი და გულგრილი იყო. პლაჟზე ცხარე კამათი გაჩაღდა. ვლადიმ ქალის საყვედურებს მოჰკრა ყური და ამხანაგის დასაცავად თავი გამოიდო: „შენ არ გესმის აქაური ადათ-წესი. აქ ვერ გააწბილებ, როცა გპატიჟებენ“.

გულში უკვე განაწყენებული რიტა რა ხანია გრძნობდა, რომ არც ვლადის და არც სერიოჟას იგი არაფრად ეპიტნავებოდა და ამიტომაც თანდათან ოლგა ვასილიევნას სიძულვილი შეეპარა. ოლგას საწინააღმდეგოდ აშკარად, ხმამაღლა გამოაცხადა: ოლგამ ასე იცის საერთოდ, ბუზს აქლემად გადააქცევს, რაც შეეხება პოროფირის და მის სტუმრებს, ჩემი აზრით, ფრიად კეთილი, უბრალო ადამიანები არიან და სიძულვილს სულაც არ იმსახურებენ... რა საჭიროა ამპარტავნობა... ღმერთო ჩემო, რა მოხელე ხალხია? ან საიდან აქვთ ასეთი ზღაპრული მასპინძლობის საშუალება? ეს რა ჩვენი საქმეა. საერთოდაც უხერხულია სხვის ჯიბეში ფულების თვლა, ეს ულამაზო საქციელია. თაღლითები კი არ არიან. ასე რომ იყოს, ციხეში იქნებოდნენ გამომწყვდეულნი, ისინი კი ღმერთივით ცხოვრობენ. ასე მსჯელობდა ეს სულელი გოგო, ვინც ოლგა ვასილიევნამ რატომღაც ცოტა ხნით დაიახლოვა.

რიტა ხმელ-ხმელი, წითური, ქერათმიანი გოგო იყო. ცისფერი თვალები, თეთრი, ჭორფლიანი პირისახე და წვეტიანი ცხვირი ჰქონდა. თავი ულამაზეს ქალად მიაჩნდა. წელთა სვლაც ვერ უქარწყლებდა გაოცებას: რატომ ვერავინ ამჩნევსო ჩემს სილამაზეს?

უცნაური კი იყო ამ ოთხის ერთად ცხოვრება. ყველგან ერთად დადიოდნენ: ბაზარში, კინოში, კვამლიან სახაჭაპურეში, სადაც წვრილთავა სქელ-სქელი დათიკო მაჭრითა და მსუყე ხაჭაპურებით უმასპინძლდებოდათ. აქ, ამ ზღვისპირა მთავარ ქუჩაზე იროეოდა ადამიანების თეთრი ჯგრო. საღამოობით ჩოგბურთის კორტს ეწვეოდნენ ხოლმე, სადაც ჩინებული ოსტატები თამაშობდნენ, სერიოჟა და ვლადი ხარბი თვალებით შესცქეროდნენ იმათ თამაშს. ბოლოს მათაც მისცეს ხტუნვის უფლება. ისინი მხოლოდ ახლა სწავლობდნენ თამაშს. მწვრთნელი ოტო იანოვიჩი მითითებებს იძლეოდა.

ვლადი უნიჭო გამოდგა. სერიოჟას კი ძალიან კარგად, მარჯვედ გამოსდიოდა. სულ უკეთ და უკეთ თამაშობდა, შეეძლო ნამდვილი ჩოგბურთელი დამდგარიყო. მისი ნიჭის პატრონს რა არ შეეძლო გამხდარიყო: მოცურავე, მუსიკოსი, მხატვარი, ფიზიკოსი. ოტო იანოვიჩიც ამბობდა, „შესანიშნავი ნახტომი აქვსო“, მაგრამ მათ არც ჩოგნები ჰქონდათ და არც ბურთები. ყველაფერი ძალიან ძვირი ღირდა. უკან დასაბრუნებელ გზის ფულს ზოგავდნენ. ოლგა და რიტა ალვის ხეების ჩრდილში გრძელ სკამებზე ისხდნენ და იქედან შესცქეროდნენ მოთამაშეებს. უყურებდა ოლგა თეთრქუდიან, პერანგისამარა სერიოჟას, მის მზემოკიდებულ, გამხდარ სახეს, წინდებწამოცმულ ოდნავ მსხვილ ფეხებს და გული რატომღაც ბედნიერად უცემდა. ეს ნაქსოვი წინდები სერიოჟამ მოსკოვიდან საგანგებოდ წამოიღო, ფრენბურთის თამაშის დროს კედებზე ჩავიცვამო. არ იცოდა, ჩოგბურთის თამაში თუ მოუწევდა. ფრენბურთს კი ჭეშმარიტად კარგად თამაშობდა. ოლგა ტკბებოდა სერიოჟას ცქერით, გრძნობდა, როდის იყო იგი აღგზნებული თუ დაძაბული, გახარებული თუ გულნატკენი. სერიოჟა კი ვერ ხედავდა მას. ერთხელ ოტო იანოვიჩმა ამ წვეროსანმა

ქონდრისკაცმა ოლგა ვასილიევნას შეუმჩნევლად წერილი შეაჩეჩა. მანაც წერილი რიტასგან მალულად წაიკითხა: „მობრძანდით ხვალ დილის ცხრა საათზე. მე სრულიად უსასყიდლოდ გამეცადინებთ, რამდენ ხანსაც ისურვებთ“. ქონდრისკაცი კი საათში კაი გვარიან ფულს იღებდა და, როგორც ამბობდნენ, მდიდარი კაციც იყო. ოლგა ვასილიევნამ გაუცინა და თავი გააქნია. დიდი წყენის ნიშნად ოტო იანოვიჩი საოცრად დაიმანჭა. ოჰ, მაინც რამდენი გამოუჩნდა იმ ზაფხულს ასე უფასოდ, უსასყიდლოდ, დროის დაუზოგავად სწავლების მსურველი!

დიახ, მაშინ მართლაც კარგი სანახავი იყო. მკვრივი, მოქნილი, მოხდენილი ტანი ჰქონდა. მართალია, ცურვა არ იცოდა, მაგრამ ქურციკივით მსუბუქად დარბოდა, თამაშობდა ფრენბურთს, ვარჯიშობდა. აბა ახლა სინჯე, თუ ქალი ხარ! მაშინ კი ვითომც არაფერიო, ისე თავისუფლად გამოსდიოდა ყველაფერი, თუნდაც ათჯერ ზედიზედ ერთიმეორის მიყოლებით. პლაჟზე მამაკაცებს თვალები ებრიცებოდათ. იმ წლებში საოცრად ჩქარა და თანაბრად ეკიდებოდა მზე, შემდეგ რატომღაც დაჰკარგა ეს უნარი. საათობით იწვა თაკარა მზეზე, არ უფრთხილდებოდა გულს, რა სულელი იყო! მაშინდელი მოდის მიხედვით მხრებამდე სცემდა ჩამოშლილი თმა. „მედუზის თავი გაქვსო“, ეუბნებოდა სერიოჟა. ნამდვილად ძალიან უხდებოდა გრუზა, ფაფუკი, ქერა თმის ტევრი, გაშლილ-გადატკეცილი მრგვალი შუბლი. ალბათ ის წელი ყველაზე უკეთესი იყო მთელ მის ცხოვრებაში, მისი გაფურჩქვნის წელი. ამას მამაკაცების გამოხედვაზეც ატყობდა. მისი მზირალი კავკასიელები მოურიდებლად აწკლაპუნებდნენ ხოლმე პირს, როცა კი წყლიდან ამოვიდოდა. უსინდისოდ დასდევდნენ, ძალად ეკიდებოდნენ მეგობრად, სთხოვდნენ, კინოში გამოგვყევი, ჩვენთან ითამაშეო ფრენბურთი. სერიოჟა და ვლადი ერთთავად ჩხუბის მოლოდინში იყვნენ.

გაიცნეს ვიღაც ლენინგრადელები, ვიღაც კაპიტანი, პორფირის სტუმარი, გვარად ცნაკისი, მზეზე შავად გახუხული ესტრადის მსახიობები. ერთ-ერთ მათგანს სერიოჟა ეჩხუბა კიდეც. რეზინის გასაბერი დელფინი უთავაზა და, მგონი, კანი გაუფხაჭნა. ჰოდა, ატყდა ერთი ალიაქოთი, მოვარდა მილიცია. სერიოჟა ისევ პორფირმა იხსნა. იყო კიდევ პორფირის ერთ-ერთი სტუმარი, წენგოსფერი, ხანში შესული, სასაცილო კაცუნა. იგი ერთდროულად რიტასაც ეარშიყებოდა და ოლგა ვასილიევნასაც. ეს საოცრად თავაზიანი კაცი დილდილობით თვითონ დადიოდა ბაზარში, მოჰქონდა მწვანილი, მაწონი, ხილი. სერიოჟასა და ვლადის მამაშვილურად ექცეოდა. ეტყობოდა, იმათ საშიშ მეტოქეებად არ თვლიდა. მიუჯდებოდა ქალებს პლაჟზე და თავისი მოსაწყენი საუბრით გულს უწვრილებდა. აღარ იცოდნენ, როგორ მოეშორებინათ, ნამეტნავად ზრდილი და თავაზიანი გახლდათ. ერთხელ ამ კაცმა დიდად საიდუმლოდ რიტას სამედიცინო მოწმობა უჩვენა, თან ფიცი ჩამოართვა, არ გამამხილოო. მოწმობა მკითხველს ამცნობდა, რომ ესა და ეს კაცი იყო ნორმალური სქესობრივი პოტენციისა, მაგრამ დაკარგული ჰქონდა გამრავლების უნარი, ამ მოწმობას პოლიკლინიკის მთავარი ექიმი ადასტურებდა. რიტამ, რა თქმა უნდა, საიდუმლო არ შეუნახა, ახალი ამბავი ყველას უამბო. იყო ერთი სიცილი და ხარხარი. წენგოსფერი კაცი იმდღიდან საღლაც გაქრა, უკვალოდ გადაიკარგა.

სერიოჟა ოლგა ვასილიევნას ცურვას ასწავლიდა და ორივეს ძალიანაც

მოსწონდა გაკვეთილები. მოსაწყენიც იქნებოდა, მასაც რომ სერიოჟასავით სცოდნოდა ცურვა. ვაჟს ხელებზე ეწვინა ქალი. ოლგა ფართხალებდა, კისერზე ეკიდებოდა, ხარხარებდა, იძირებოდა, შხეფებისგან თვალთ უბნელდებოდა და მაინც ყოველთვის გრძნობდა ვაჟის ხელებს, წყალში რომ ასე ემატებოდათ გაბედულება. ზღვაში უსათვალოდ შესული ბეცი ვლადი ერთთავად მათკენ იყურებოდა. უნდოდა გამოეცნო, რა ხდებოდა იქ, იმ ადგაფუნებულ წყალში, რას ყვიროდნენ. ზოგჯერ თვითონაც შეუთავაზებია:

— თუ გინდა, ახლა მე გასწავლი. იქნებ სერიოჟას მობეზრდა...

საწყალ ვლადს თვითონ უჭირდა ცურვა, მაგრამ იგი რაინდი გახლდათ. მას ატყუებდა სერიოჟას თითქოს გაბრაზებული, უხეში შეყვირება: „რა მიუხვედრელი ხარ, ქალაუ! ფეხები აი ასე, ბაყაყივით უნდა ამოძრაო!“ როგორ უყვარდა მაშინ ეს სიტყვა „ქალაუ“, გეგონებოდა, მთელი ცხოვრება ერთად გაეტარებინოთ. ამას მოჰყვა სხვა საალერსო სიტყვებიც, მაგალითად, „სპილო“, „სპილუკა“. ნაცნობებს უკვირდათ, ქალი ასეთ ულამაზო მიმართვას რომ არ თაკილობდა. ოლგას კი მოსწონდა: იცოდა, როდის, რა წუთებში, რით იყო გამოწვეული. ზოგჯერ ვლადიც მიცურდებოდა ხოლმე მათთან, ცდილობდა თავადაც ესწავლებინა. ისინიც იცინოდნენ, ხარხარებდნენ. მაინც რა სასაცილო ეჩვენებოდათ ყველაფერი! თავგამოდებულ ვლადის ლოყები ებერებოდა, ვერაფერს ვერა ხვდებოდა და ვერც იცილებდნენ. რიტა კი, რა თქმა უნდა, ყველაფერს ხვდებოდა და გულში ბრაზდებოდა. მისი აზრით, სერიოჟა სამხრეთში მხოლოდ მისი გულისათვის იყო მოპატიჟებული და ყველაფერს, რაც ახლა მის თვალწინ ხდებოდა, ღალატად თვლიდა. სერიოჟა და ოლგა თავად იყვნენ ერთმანეთის გართობის მხიარული წყარო. ყოველ სიტყვაზე, ყოველ სულელურ ბავშვურ ხუმრობაზე სიცილსა და ხარხარს სტეხდნენ.

ღამით რიტამ ჩხუბი წამოიწყო, ფანჯრის დაკეტვა მოითხოვა. ოლგა არ დათანხმდა, ცხელა, სული მეხუთებაო.

— მე კი მცივა! — ჯიუტად გაიძახოდა რიტა.

— რას ამბობ, დავიხუთებით.

— სწორედ რომ არა მსურს შენი წყალობით ფილტვების ანთება ავიკიდო!

— კი მაგრამ, როგორ დავიძინებთ?

— მშვენივრად დაიძინებ. შენი დარდი არა მაქვს...

ასე იკინკლავეს კარგა ხანს. რა თქმა უნდა, რიტამ თავისი გაიტანა: ფანჯარა დაკეტა. ოლგა ძლიერ და ბედნიერ არსებად თვლიდა თავს. რიტას გაბრაზება კი არ ცხრებოდა, ოლგას თავკერძობას საყვედურობდა:

— რა სულელი ვიყავი, შენთან წამოსვლას რომ დავთანხმდი! შენ მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობ. ათი დღეც კი აუტანელია შენთან ცხოვრება, წმინდაწყლის ეგოისტი ხარ.

ოლგა ისმენდა ამ დაუმსახურებელ საყვედურებს, მაგრამ არც გული მოსვლია და არც პასუხის გაცემა უცდია: გულის სიღრმეში ებრალებოდა კიდეც რიტა. თუმცა აბა რით უნდა დახმარებოდა? რა კარგი იქნებოდა, ვლადი მაინც რომ გაარშიყებოდა. მაგრამ ვლადი რიტას მხოლოდ ამხანაგურად ექცეოდა. ეს კი სულ სხვა რამ იყო.

— არ მესმის, რატომა ვარ ეგოისტი, — ღიმილით მიუგო ძილმორეულმა ოლგამ, — მოდი, დავიძინოთ, მეძინება.

— რა თქმა უნდა, გეძინება, რასაც შენ ხტუნავ, რასაც შენ ხარხარებ და ყვირი, — ბუზღუნებდა რიტა. — სწორედაც რომ ეგოისტი ხარ, განა ყველაფერს შენკენ არ მიითლი. სხვებზე არა ფიქრობ... ამაზე საშინლად ჩემ დღეში არ დამისვენია... ნამდვილი წამებაა... სატანჯველი.

ბოლოს ღრიალიც მორთო. ოლგა პორფირის სახლში წვეთებისათვის გაიქცა, წყალი მოიტანა, დააღვიძა ხალხი. რიტა იწვა, თავზე სველი ტილო ეფინა და საწყლად იხვეწებოდა, მოსკოვში გასამგზავრებელი ბილეთი მიშოვეთო. ლანძღავდა საკუთარ თავს, სწყევლიდა თავის ბედსა და იღბალს. ოლგა დასამშვიდებლად რაღაცას ჩმახავდა, გულში კი ფიქრობდა: ხვალ ისევ ვიცურავებთ ზღვაში... სხვისი ცრემლი თუ უბედობა ვერ ჩრდილავდა მის სიხარულს.

მერე რიტა ახალ გაგრაში ვიღაც ნაცნობ ქალს შეხვდა და მასთან გადასახლდა. დაინახეს კიდეც იმ სქელ-სქელ, არცთუ ახალგაზრდა, ქერა ქალთან მკლავგაყრით მიმავალი. გვერდით ორი პიჟამოიანი მამაკაცი მოჰყვებოდათ. მაშინ სამხრეთში მამაკაცები ზოლებიანი პიჟამოებით დასეირნობდნენ ქალაქში. ოთხივე ხმამაღლა ლაპარაკობდა. რიტამ წამით გამოიხედა, თავი ძლივს დააქნია და უცხოსავით ჩაუარა.

ახლა ქოხში მხოლოდ ოლგა დარჩა. მარტო წოლა ვერ იყო მაინცდამაინც სასიამოვნო. ჰოდა, ვერც დაიძინა, თითქმის გათენებამდე ფხიზლობდა, ესმოდა წყლის ტლაშუნი. ხან შიში აწამებდა, ხან სიხარული, ხანაც, ღმერთმა უწყის, რა. ვიღაცეები ბაღში მიმოდიოდნენ, ჭრიჭინებდნენ ჭრიჭინობლები, გუდგუდებდა ავტომობილი. ჭიშკრიდან ვიღაცა მანქანით გავიდა. მაინც სად მიდიან ამ შუალამისას? — ფიქრობდა გუნებაში, — მედუქნესთან ღვინისათვის?

დილით ბიჭებს შესჩივლა, შიშით მთელი ღამე თვალი ვერ მოვხუჭეო. ტყუილი კი თქვა: ძილი გაუსაძლისმა ლოდინმა, გაურკვეველმა ფიქრებმა გაუკრთო.

სინამდვილეში მარტო დარჩენის პირველსავე ღამეს ელოდა სერიოჟას მოსვლას. აკი უთხრეს ბიჭებმა, შენი მცველები ვიქნებითო, ღამით საბანაოდ წავალთო.

კუნაპეტი ღამე იდგა, სამხრეთის უმთვარო ღამე, თითს თვალთან ვერ მიიტანდი, ღრუბლებიც ჩამოწვა. სუნთქვა ჭირდა. პლაჟიდან ლაპარაკის ხმა და ქვების ხრაშუნი ისმოდა. ბევრი მოაგარაკე ბანაობდა ღამით, დროს არ აცდენდნენ. ჩუმად საუბრობდნენ, ზოგი ჩურჩულებდა. ჰაერში რაღაც იდუმალება გაღვრილიყო. ოლგას სისხლი აუჩქროლდა, მაგრამ იფიქრა, ალბათ მეჩვენებაო. შემდეგ გამოირკვა, რომ ხალხი მართლა ჩურჩულებდა, იდუმალება მართლაც იყო, ოღონდ მისგან დამოუკიდებლად. ოლგას თავბრუ დაეხვა, ფეხები მოეკვეთა, აწამებდა სიბნელე. ეს დახუთული ჰაერი, ეს იდუმალება. ისეთი წყვდიადი მეფობდა, შეგეძლო ტიტველს გებანავა. ნაპირთან მისული ოლგა ზღვასაც კი ვერ ხედავდა. არასოდეს, არც მანამ და არც შემდეგ. არ უბანავია ასეთ თბილ წყალში. ალბათ ოცდაექვსი გრადუსი იქნებოდა. ზღვა გატრუნულიყო, არ ღელავდა. თითქოს ზღვა კი არა, აუზის თბილი წყალი იდგა. ამ წყვდიადში მხოლოდ ჩუმი ტლაშუნი და ხალხის გაურკვეველი ბუბუნი ისმოდა.

ქალმა იგრძნო, ეს ღამე უჩვეულო რომ იქნებოდა. ვლადი სადღაც წავიდა. იქნებ სადმე ახლოსაც იყო, მაგრამ ხმას არ იღებდა, თავს არ ამჟღავნებდა. სერიოჟამ ოლგას ხელი წაავლო და წყლის სიღრმისაკენ წაიყვანა. ერთმანეთს ვერ ხედავდნენ. მხოლოდ მაშინ შედგნენ, როცა წყალი ქალს მხრებამდე

მიწვდა. ეს წმინდა განბანვას ჰგავს, — უჩურჩულა სერიოჟამ, — რომელიღაც ტროპიკულ მდინარეში ან განგის წყალში ან სადმე იორდანიაში, სადაც წყალი ახალმოწველილ რძესავითაა. რუსი თავადი ვლადიმირი დნეპრში ნათლავდა ხალხს, იქ კი, ცოტა არ იყოს, უფრო გრილია წყალი. ქალს გაეცინა.

— ნეტა ყველაფერი საიდან იცი?

— გინდა ცურვა გასწავლო? — ჰკითხა უეცრად სერიოჟამ.

ქალს გაუკვირდა: დღისით მეტს აბა რას აკეთებდნენ. უმალვე სერიოჟას მიუახლოვდა და კისერზე მოეხვია. კარგა ხანს იდგნენ ასე, მერე აკოცეს ერთმანეთს. ეს მოხდა პირველად და ისე ბუნებრივად, თითქოს მრავალჯერ ეკოცნოთ. მხოლოდ ერთი რამ იყო უცნაური: ირგვლივ ადამიანები ეხვიათ და მაინც ვერავინ ხედავდათ. ვლადი სადღაც შორიდან იძახდა. ოლგას ეუხერხულა, თავის დაღწევა სცადა. სერიოჟა ერთხანს ეჟრჩებოდა, მერე ორთავენი ამოვიდნენ წყლიდან და ლოდზე გაწვნენ.

ლოდი თბილი იყო, მაგრამ ქალს მაინც შესცივდა, კანკალი დააწყებინა.

— სადა ხართ, წყეულებო? — ყვიროდა ვლადი.

სერიოჟამ ქალს პირზე ხელისგული ააფარა, მაგრამ თავი ვერ შეიკავეს, ორივეს სიცილი წასკდა და ლოდიდან გადმოცვივდნენ.

— შეხე... სად დამალულან... — ვლადი მძიმედ დაეშვა და ქალ-ვაჟს გვერდით მიუჯდა. — მე, ჩემო კარგებო, ბილეთზე უკვე მოველაპარაკე.

ქალს აძაგძაგებდა, ამიტომაც ვერ გაბედა ეკითხა, რა ბილეთი ახსენა ვლადმა. არ სურდა შეემჩნიათ, ასე რომ კანკალებდა. მართლაც უცნაური იყო სიცხით გათანგულ ღამეში ძაგძაგი. არ უნდოდა ვლადი მიმხვდარიყო მის გასაჭირს. მოსკოვის პირველი მედინსტიტუტის კლინიკასთან შეთანხმებული ვარ, აგვისტოში უნდა ვიმუშაოო, — უთხრა ვლადმა მეგობრებს. იგი მაშინ ჯერ კიდევ მეხუთე კურსის სტუდენტი იყო, თუმცა სერიოჟასა და ოლგაზე სამი წლით უფროსი გახლდათ. გვიან დაეწყო სწავლა.

ქალმა ვლადს ხმაზე შეატყო, რომ იგი ყველაფერს მიხვდა. ძალიან შეებრალა ვლადი, ენას ველარ ატრიალებდა, გაურკვევლად ბუტბუტებდა, გამგზავრებასთან დაკავშირებით რაღაც უბადრუკ დავალებებს აძლევდა. ღამის ორ საათამდე გაგრძელდა ეს მტანჯველი საუბარი. მერე ოლგა გამოტყდა, მეძინებაო. კაცმა რომ თქვას, სულაც არ ეძინებოდა, პირიქით, აღგზნებული იყო, მაგრამ რაღაცამ უკარნახა ასე ეთქვა: უბრალოდ, სამივეს ერთად ჯდომა უკვე აღარ შეიძლებოდა. ვლადიმ ჰკითხა, გაცილება ხომ არ გჭირდებაო. მიუხედავად ყველაფრისა, იგი მაინც რაინდად დარჩა. რა კარგი ქმარი იქნებოდა, რომ... ოლგა ვასილიევნას დედის აზრით, ვლადი რაღაცით ბეზუხოვსა ჰგავდა. პიერ ბეზუხოვი მისი საყვარელი გმირი იყო და ვლადი რომ ბეზუხოვს მიამგვანა, ეს ბევრს ნიშნავდა. გიორგი მაქსიმოვიჩი კი ამტკიცებდა, ვლადს მორდოველთა ღმერთის, კერემეტის სახე აქვს და მეტად საინტერესო დასახატიაო. აკი ხატავდა და აწვალებდა კიდეც საწყალ ვლადს. დიახ, გიორგი მაქსიმოვიჩსაც ძალიან უნდოდა ოლგასა და ვლადის საქმე გაჩარხულიყო. „უკეთეს მეგობარს ვერ იშოვი“, — უმეორებდა ხშირ-ხშირად. ახლა ვლადი დოცენტია, განყოფილებას ხელმძღვანელობს, ჰყავს სამი შვილი და ჩასუქებული, მხარბეჭიანი, ულაზათო ცოლი — ექიმი-რენტგენოლოგი. აი მაშინ კი მიწასთან გასწორებული, უბედური კაცი იყო, ხმაჩამწყდარმა რომ იკითხა, გაცილება თუ გჭირდებაო.

ორთავენი წავიდნენ, ოლგა მარტო დარჩა. სველი საბანაო კოსტიუმი მზის მოლოდინში ფანჯრის რაფაზე მიფინა. აღარ ეძინებოდა, გაუქრა შიში, აღარც ფეხის ხმა ესმოდა და აღარც არავის საუბარი. თვალგახელილი იწვა, გული უფართქალებდა. იცოდა, მალე მოვიდოდა, გათენებას აღარაფერი აკლდა. ოცი წუთიც და სერიოჟა მოვიდა. ქალი კვლავ შეაშფოთა ვლადის გახსენებამ. ვინ იცის, შეამჩნია კიდეც სერიოჟას წამოსვლა, მიხვდა, სადაც მიდიოდა.

— ხვალამდე მოგეცადა, ბარემ ვლადი წასულიყო, — მოსვლისთანავე უთხრა ოლგამ.

— რაში გენაღვლება ვლადი?

მართლაც არ ენაღვლებოდა ვლადი.

— ხვალამდე მოცდა არ შემეძლო.

არ ყოფილა არც ლაპარაკი, არც დაპირება, არც ფიცი. ქალმა უბრალოდ ირწმუნა მისი, ირწმუნა სამარადჟამოდ.

შემდეგ იყო კიდევ ბევრი სხვა ღამე, ურიცხვი ღამე, ქალაქშიც და აგარაკზეც, ზაფხულშიც და ცივ შემოდგომაზეც, როცა ჯერ კიდევ არ ათბობდნენ და ოთახში რეფლექტორი ენთოთ. თითქმის ყოველღამ ცოლ-ქმარი იყვნენ. ოლგას თავისი ამხანაგი გოგოები ხშირად უზიარებდნენ ხოლმე საკუთარ ამბებს, თვითონ კი არასოდეს. კიდევაც რომ მოეთხრო, არ დაუჯერებდნენ, ისეთივე ტყუილად ჩაუთვლიდნენ, როგორსაც თავად თხზავდნენ. საქმის არსი აქ უბრალო იყო: ის, რაც აკლდა ერთს, ჰქონდა მეორეს, ხოლო ის, რაც ორივეს ჰქონდა, ერთიანდებოდა, ერთმანეთს ავსებდა, ერთმანეთს ერწყმოდა. მაგრამ ამას, რასაკვირველია, მაშინვე არ მიმხვდარან, არც პირველ ღამეს და არც პირველ წელს. ოლგა მხოლოდ მერე მიხვდა, რომ სხვასთან არ შეიძლებოდა ჰქონოდა ის, რაც სერიოჟასთან ჰქონდა. მაშინ იქ, ქოხში კი — დახუთული ღამე იყო, თავდავიწყების ღამე...

ვლადიმ მათთან ერთად კიდევ ერთ დღეს იბორიალა. ზღვაში სერიოჟა ერთხელაც აღარ მისულა ოლგასთან, სულ ვლადისთან იყო, თითქოს გაურბოდა კიდეც ოლგას. შეშინებული ქალი თავს იმშვიდებდა: ეშმაკია, განგებ იქცევა ასე. განა ოლგამ არ იცის, რომ ღამით ისევ მოვა მასთან. მერე ვიღაც კაცმა ვლადი ზღვაში გაიხმო, სიღრმეში შეიყვანა და რაღაც ცუდი ამბავი აუწყა. დაირხა ათასგვარი ჭორი. ახლა აღარ ახსოვს, სახელდობრ რა. ის კი აგონდება, სერიოჟა და ვლადი საოცრად რომ შეშფოთდნენ და პორფირთან გაქანდნენ. მაგრამ მოსამსახურე ქალმა მოკლედ მოახსენა, პორფირი მოსკოვს გაემგზავრა, დიასახლისი კი ავად არის და არავის ნახვა არ შეუძლიაო. სტუმრებიც წასულიყვნენ, ბაღში არც ერთი მანქანა აღარ იდგა.

დღისით იყვნენ ქალაქში, ბაზარში, შეიარეს მაღაზიებშიც. როგორც კი ვლადი წამით მოშორდებოდათ, ან სულაც მიბრუნდებოდა, სერიოჟა ქალს თითებზე უჭერდა ხელს, მიხუტებას, მიახლოებას ცდილობდა. ვლადმა და სერგეიმ იმ დღეს განსაკუთრებით ბევრი იკამათეს. დაობდნენ, ხმამაღლა როხროხებდნენ. ოლგა კი ერთთავად ღამეზე ფიქრობდა, რა იქნება ღამით. ბაზარში საადრეო ყურძენს ჰყიდდნენ. ქალი, რასაკვირველია, ხვდებოდა, ახალი ამბავი ალბათ ძალიან საინტერესოაო, მაგრამ მის სულს სხვა გრძნობა ავსებდა. ცოტა არ იყოს, უკვირდა კიდეც: როგორ შეეძლო სერიოჟას ასეთ დღეს სხვა რამეზე ეფიქრა, სხვა ამბით გართულიყო. ის კი არა, ზოგჯერ არც კი უსმენდა, როცა რამეს ეკითხებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულვაშა ბერძენი მოსამსახურე ქალი ბაღში ფოცხით დაფრატუნობდა, ნაგაზსაც მოსწყენოდა, პარმაღზე წაწოლილს დრუნჩი თათებზე დაედო. ყველა სადღაც გაქრა, გაუჩინარდა. ის ტანადი, ლურჯტუჩა ქალიც სადღაც გადაკარგულიყო. ჭეშმარიტად კარგი იყო მაშინ ის ზღვისპირა სახლი და ბაღი! ხუთი დღე იცხოვრეს მეორე სართულის ვერანდაზე. ბერძენ ქალს ეშინოდა მარტო ღამის გათევისა და ამათ უხმო. სახლში ყველაფერი დიდი, ბუმბერაზული ზომისა იყო. ღვინის მჟავე სუნით გაჟღენთილ ოთახებში ოდნავ ძაღლის სუნიც იგრძნობოდა. ვერანდაზე კი გამასავათებელი და კვლავ ისევ გამაცოცხლებელი ზღვაური ქროდა. საუბრობდნენ დღისით, ღამით, ხარბად სწავლობდნენ ერთმანეთს. მაშინვე ისე იქცეოდნენ, თითქოს ყველაფერი დიდი ხნის წინათ ჰქონოდეთ გადაწყვეტილი. ოქტომბერში ვლადის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, ქორწილზე რომ მიიპატიჟეს. მაინც არ ეგონა, საქმე ასე შორს თუ წავიდოდა და, რაც მთავარია, ასე მალე გადაწყდებოდა.

მათ ხომ სულ ახლახან გაიცნეს ერთმანეთი — და აი, ზღვა, ვერანდა, აღარავითარი საიდუმლო, ერთმანეთისთვის ყველაზე ახლობელნი გახდნენ.

მერე აგვისტო, სერიოჟას დედასთან უსიამოვნო, მძიმე საუბრები, მაგრამ ეს უკვე აღარაფერს ცვლიდა. პერხუშკოვო, შემოდგომა, შეხვედრები საგარეუბნო სალაროებთან, საღამოს ელექტრომატარებლები. მაშინ ამოტივტივდა სვეტლანას სახელიც, ეს წარმოუდგენელი კოშმარი. ეს სახელი კარგა ხანს არ გამქრალა და ოლგას ღამის სული გააფრთხობინა.

მაინც როდის გაიგონა პირველად ეს სახელი? სერიოჟას დედისგან?

არა, როცა დედამისმა ეს სახელი ახსენა, ოლგა ვასილიევნა შეკრთა: მისთვის უკვე ნაცნობი იყო იგი, უკვე ეჯდა თავში, ნამცეცა ხიწვივით შეჭრილი, კანს ულიზიანებდა და ყრუ ტკივილს ჰგვრიდა. სერიოჟა პატიოსანი, ერთი მოუზომელი კაცი იყო, ზედმეტად ბევრს ყბედობდა. ჰოდა, სწორედ მისგან გაიგონა ამ სათვალიანი სვეტლანას სახელი. ეს გომბიო არაფერს ერიდებოდა სერიოჟას შესანარჩუნებლად. თავდაპირველად ამ ამბისათვის ოლგას დიდი ფასი არ დაუდვია, ბოლოს და ბოლოს წარსულის გარეშეც არ იქნებოდა. მასაც ხომ ჰქონდა წარსული: თუნდაც გენდლინი, ახლა სულ მთლად რომ გადაავიწყდა და ფარაონ ტუტანჰამონის მსგავსად ათასწლეულთა მტვერმა დაფარა. გენდლინი კონსერვატორიაში გაიცნო, მგონი, ინჟინერი იყო. მაღალი, ტანადი კაცი გახლდათ, როგორღაც უცნაურად დადიოდა, გეგონებოდა, ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე მუხლებში იკეცებაო. დედის საყვედურით სავსე ხმა: „გენდლინმა ისევ დარეკა“. პასუხად დანაშაულის შეგრძნება, გენდლინის კი არა, დედის მიმართ. გენდლინის ჩამოშორება სულაც არ იყო ძნელი. შემოდგომის ქარისგან მოწყვეტილი ფოთოლივით თვითონვე ჩუმად მოსწყდა. მაგრამ ოლგა მაინც ამაყად აცხადებდა: „აი მე, გადაჭრით ვუთხარი, ნულარ დარეკავ, საჭირო აღარ არის-მეთქი და ისიც მიხვდა — მორჩა და გათავდა. მტკივანი კბილივით ერთბაშად უნდა ამოიძრო“. მაშინ ოლგა ჯერ კიდევ არ იცნობდა ქმრის მერყევ, ახირებულ ხასიათს: სერიოჟას მორჩილი თავის კანტური, ხელდახელ დათანხმება სულის სიმშვიდეს ჰგვრიდა ქალს, თუმცა ეს სიმშვიდე დიდხანს არ გაგრძელებულა. სადედამთილოსთან პირველივე საუბარმა გააქრო იგი.

ოლგა გააოცა სერიოჟას ბინამ. დიდი დარბაზის ამ ექვსკუთხა ჩამონაჭერს უჩვეულოდ მაღალი ჭერი ჰქონდა, ნაძერწი ანგელოზები შეუბრალებლად და-

ეტიხრათ, ერთი ფეხი და ერთი ფრთა ამ ექვსკუთხა ოთახში იყო მოქცეული, მეორე ფეხი და ისრიანი ხელი დერეფნის ჭერს მიბჯენოდა. ანგელოზებს თავები არ უჩანდათ, ტიხრებში მოეყოლებინათ. მუქი შინდისფერი შპალერით გაკრულ კედლებზე უამრავი სურათი ეკიდა. სერიოჟამ ოლგა ვასილიევნა ერთ-ერთი სურათის წინ შეაჩერა: ფრენჩსა და ფარაჯებში გამოწყობილი ფაფახიანი ულვაშა მამაკაცების პირამიდა, კიდეში ძლივს შესამჩნევი, თეთრთავსაფრიანი ქალი.

— ეს დედაჩემია, არმიის პოლიტგანყოფილებაში ათას ცხრაას ოც წელს მუშაობდა.

მაშინვე მიანიშნა ოლგას, სხვა დედებს რომ არა ჰგავდა, უბრალოდ ხანში შესული ქალი კი არა, ისტორიის შემქმნელი გახლდათ. ოლგა ვასილიევნა ისედაც დიდი სიმპათიით უყურებდა ამ სახედაღარულ, წვრილტუჩა, მაღალწვიან ქალს, გულით უნდოდა ჰყვარებოდა, არა იმიტომ, რომ ისტორიის შემქმნელი იყო — ყოველგვარ რელიქვიებს, გარდასულ დროთა მოწმე ნანგრევებს ოლგა ვასილიევნა გულგრილად ეკიდებოდა — უბრალოდ მხოლოდ იმიტომ, რომ სერიოჟას დედა იყო. სვამდნენ ჩაის ყოვლად იაფფასიან, ლამის საბავშვო ფინჯნებით. მოვიდა სერიოჟას დაც, დედაბერივით თავშალმოხვეული, მსუქანი უშნო ქალიშვილი. ვერაფრით ვერ იტყოდი, სერიოჟას დააო. რაღაც გაცეცებული, მრავლისმეტყველი ღიმილი ჰქონდა. საუბრისას როგორღაც ცალყბად იღიმებოდა და განზე იხედებოდა. სერიოჟაზე სამი წლით უფროსი იყო.

ამ სახლში ყველაფერი: კედლები, ჭერი, ჭურჭელი, ავეჯი, თვით ადამიანებიც რაღაც უცნაურად შეუსაბამონი იყვნენ და მაინც როგორ შეიყვარა ყველაფერი! სერიოჟა მაღაზიაში გავარდა ქართული წითელი ღვინის საყიდლად, გაგრაში ყოფნისას რომ ასე მიეჩვივნენ.

მერე, როცა სერიოჟას და მეორე ოთახში გავიდა, ხოლო ოლგა ვასილიევნა მარტო დარჩა, სადედამთილომ მაშინვე ჰკითხა:

— თქვენ რამე გსმენიათ სვეტლანაზე?

ოლგა ვასილიევნა გამოტყდა, რომ გაუგონია, მაგრამ ყურმოკვრით.

— ჰოო, მე კი გარკვევით გეტყვით, — წარმოთქვა ქალმა და ლურჯი თვალები სარძლოს ჯიქურ მიაპყრო, — დიახ, ეგ სვეტლანა, ვისი არსებობაც ჯერ კიდევ გუშინწინ არ ვიცოდი, სერიოჟასაგან ბავშვს ელოდება.

თურმე თვითონ სვეტლანა მისულიყო, წვრილად ჩაეკაკლა, გაელიზიანებინა (მერე ყველაფერი ჩვეულებრივი შანტაჟი აღმოჩნდა, სულელების გამოსაჭერად გამიზნული). მაგრამ მაშინ თვითონ მას მოუწყვეს სასამართლო — ეს უმგვანო სასტუმრო ოთახი ანაზდად ტრიბუნალად იქცა, ტყავის ქურთუკი და ხისბუდიანი მაუზერი აკლდა მხოლოდ.

— თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ სხვა ადამიანის უბედურების ფასად გაბედნიერდებით?

ოლგა ვასილიევნა ხმადაბლა ბუტბუტებდა:

— მე არ ვიცი... თქვენ კი ხართ დარწმუნებული, რომ ეს სიმართლეა?

ლურჯთვალება ქალი ცივად აქნევდა თავს.

— ჰო, მაგრამ სიყვარული... თუ უყვართ... თუ ტოვებენ, შორდებიან... — შესაბრალისი ხმით ლუღლუღებდა ოლგა ვასილიევნა.

— თქვენ ლაპარაკობთ არამზადებზე. ჩემი ვაჟი კი არამზადა არ გახლავთ. იგი უბრალოდ უპასუხისმგებლო ბიჭია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეცრად სერიოჟას და შემოვიდა. ყველაფერი გაეგონა. უცნაური ღიმილით პირმოღრეცილმა, გაბრაზებით წარმოთქვა:

— ნუ მიაქცევთ ყურადღებას დედაჩემის ლაპარაკს, ამას ყოველთვის ყველაფერი სქემამდე დაჰყავს! — მერე დედისაკენ მიბრუნდა და საკმაოდ ღვარძლიანად და გარკვევით უთხრა: — კვლავ სისულელეს ჩმახავ! შენმა მსმენელმა ყურები უნდა დაიცოს.

მოხუცი მოიკუნტა. ამასობაში სერიოჟამ ღვინო მოიტანა. ოლგა ვასილიევნა ტირილისაგან თავს ძლივს იმაგრებდა. სერიოჟა ყველაფერს მიხვდა და დედას გამოკითხვა დაუწყო. ოთახში ისევ და შემოვიდა, მაგრამ ახლა დედას გამოესარჩლა. ვის როგორი დამოკიდებულება ჰქონდა იმ გველისწიწილა სვეტლანასთან, ოლგა ვასილიევნამ მაინც ვერ გაიგო. იგი თითქოს არც არსებობდა. სამთავე მხოლოდ პრინციპის გამო დაობდა ასე ცხარედ, თვითეული თავის სიმართლეს იცავდა. ერთს კი, მგონი, ნაღდად მიხვდა: ქალებს ოლგა არ უნდოდათ. ამ ადამიანებს შეუსაბამობა ბუნებით მოსდგამდათ, მათი ნათქვამისა და საქციელის მიხედვით დასკვნების გამოტანა ნაჩქარევი იქნებოდა. სერიოჟა იფიცებოდა, სვეტლანა სტყუისო. ოლგა ვასილიევნას სჯეროდა მისი. მაგრამ რატომღაც საოცრად გაძნელდა ქალის მოშორება. სვეტლანა აშინებდა, თავს მოვიკლავო. სერიოჟაც იტანჯებოდა, დადიოდა მის მშობლებთან, შეხვდა მის მოკრივე ძმასაც, ნახა ექიმები, მივიდა ლაბორატორიაშიც. ანალიზებმა ფეხმძიმობა არ დაადასტურა, მაგრამ სვეტლანა პირწავარდნილი აფერისტივით მოქმედებდა, დედამთილზე კი ყალბი ადამიანები ყოველთვის ახდენდნენ ზეგავლენას. თუმცა ოლგა ვასილიევნამ ბოლოს მაინც დაასკვნა, რომ დედამთილს სვეტლანა კიდევ უფრო არ უნდოდა, ვინემ თვითონ იგი.

ეს კოშმარი სექტემბერში მთელი სამი კვირა გაგრძელდა. იყო დრო, როცა ეგონა, სვეტლანამ თავისას მიაღწია, სერიოჟა წამართვაო. მართალია, თვითონ ვერ დაიბრუნა, მაგრამ მე მაინც ჩამომაცილაო. გადაწყვიტა, მეტად აღარ შეხვედროდა სერიოჟას — ისეთი მომაკვდინებელი ლახვარი ჩასცა. იმ ძუკნა გოგომ, — მაგრამ რაღაცამ იხსნა, გაუძლო. დიახ, გაუძლო.

ღამის თორმეტ საათზე კარზე უეცრად ზარის ხმა გაისმა. კართან იდგა ვიღაც უსახური, თმაგაჩეჩილი, ფეხმონგრეული სათვალიანი გოგო. თქვენა ხართ ოლგა? მე გახლავარ. ოლგამ მაშინვე იაზრა, ვინც იყო და სისხლმა აასხა თავში. ჰოი, როგორ სძულდა ეს გაწრიპული გომბიო: მოკიდოს უნდა ხელი კაცმა და კიბეზე ცხვირ-პირის მტვრევით ჩააგოროს. მაგრამ არა, თავაზიანად შეიპატიჟა, დერეფანში ისაუბრეს. სვეტლანა ირწმუნებოდა, სერიოჟას არ უყვარხარო, საერთოდაც არ შეუძლია სიყვარულიო. თავი რატომ უნდა მოიტყუოთ, თქვენისთანებს იგი ვერ იტანსო. „უბედური ქალი იქნებით, თუ გონს არ მოხვალთ“. ჰოდა, და კიდევ ბევრი ამის მსგავსი აბდაუბდა ილაპარაკა. ოლგა ვასილიევნა გრძნობდა, როგორ მოეწურა შიგნით ყველაფერი, ენა ჩაუვარდა. შეჰყურებდა ქალის გამხმარ, ნიკაპწვრილ სამკუთხა სახეს, რაღაც უცნაურად რომ ელრიცებოდა. სათვალიდან კი სიცხიანი ავადმყოფივით გაფართოებული გუგები მოუჩანდა. თავის სიმართლის დასამტკიცებლად სვეტლანამ ისიც უთხრა, — თუმცა სწორედ ამის სათქმელად იყო მოსული, — რომ სულ ახლახან, აგვისტოში, სამხრეთიდან დაბრუნების შემდეგ, სერიოჟამ ორი ღამე მასთან გაატარა.

— სტყუი! — ახლა უკვე მტკიცე ხმით უთხრა ოლგა ვასილიევნამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წუთითაც არ დაუჯერებია, მაგრამ ქალმა ღვარძლიანი კმაყოფილებით ისეთი წვრილმანი უხსენა, რაიც სხვა შემთხვევაში არამც და არამც არ შეეძლო სცოდნოდა.

და მაინც არ ეჯერა, ისეთი სულელი, ისეთი გულუბრყვილო ვინმე იყო! მეორე დღეს თავსხმაში „მეტროპოლის“ გვერდით წიგნის მაღაზიისკენ სერიოჟასთან შესახვედრად გარბოდა. ვითომ უნდა შეერისხა, თავიდან მოეშორებინა, თუმცა გულში მაინც უცნაურ სიმშვიდეს გრძნობდა. ფარულად სწამდა — აი, სერიოჟა აღშფოთდება, აუხსნის, თავს გაიმართლებს, გაუქარწყლებს უეცრად თავდატეხილ საშინელ ეჭვებს. ცხოვრებაში ამდაგვარი არაფერი განუცდია. დედისა და მამინაცვლისთვის გული არ გაუხსნია. მარტო იბრძოდა. ყველაფერი რამდენიმე წამში უნდა გადაეწყვიტა. სერიოჟას პირსახე ჩაუმუქდა და აღელვებით წარმოთქვა: „იგი საძაგელი გოგოა, მაგრამ სიმართლე უთქვამს, თუმცა ორჯერ კი არა, ერთხელ ვიყავი“.

ღმერთო ჩემო, მაინც რატომ, რატომ იყო მასთან? კიდევაც რომ მართალი იყოს, რატომ ეუბნება? „შემეცოდა, ვიცოდი, ვშორდებოდი და შემებრალა“. იგი შეიცოდა, საყვარელი ქალი კი სატანჯველად გაიმეტა, ყველაფერი დაუფარავად უამბო. იმ თავსხმაში „მეტროპოლის“ გარშემო მთვარეულივით დაბორიალებდნენ, ეჯახებოდნენ გამვლელებს, ლაპარაკობდნენ, ლაპარაკობდნენ, ცდილობდნენ აეხსნათ, გაეგოთ, — იქ კი რაღაცას აშენებდნენ თუ ღებავდნენ, სახლი ხარაჩოების ტყეში იდგა. ძალიან რომ წამოუშენდა, ამ ხარაჩოებს აფარებდნენ თავს. რა ქნას, რა გადაწყვიტოს, სამუდამოდ დაშორდეს თუ პირიქით. მას დაუკავშიროს მომავალი ცხოვრება? ვერა და ვერ გადაეწყვიტა. ხან ასე ფიქრობდა, ხან ისე. დაშორდეს და დასწყევლოს მისი გზა და კვალი — მაგრამ ამ ნაბიჯის გადასადგმელად თანდათან აკლდებოდა ძალი. ჰოდა, უეცრად გაიფიქრა: თუ ამ განსაცდელს დაძლევ, გაუძლებ, — მაშასადამე, ბედნიერი იქნები. ბოლოს ყველაფერი რესტორან „მეტროპოლში“ შესვლით დაგვირგვინდა. სწორედ იმ დღეს აეღო მუზეუმში სერიოჟას ხელფასი და ნახევარი იმ სადილს მიახარჯა.

ქორწილი ერთი თვის შემდეგ, ოქტომბრის ბოლოსთვის დაინიშნა. მზიანი, ცივი ამინდები იდგა. სტუმრებს რომ არ შესცივებოდათ, ფანჯრის ჭრილები გაზეთის ქაღალდებით დააწებეს. მეზობლისგან რადიოლა და ფირფიტები ითხოვეს. ქორწილიო, იტყვის კაცი, — მაგრამ აბა რა ქორწილი ეთქმოდა ჩვეულებრივ თავშეყრას — სუფრაზე ელაგა საუზმე, მახლობელი რესტორნიდან მოტანილი კატლეტები, არაყი. სერიოჟამ სასაცილო მოსაწვევი ბარათები შეადგინა და თვითონვე დაბეჭდა მანქანაზე. „ძვირფასო მეგობარო! თუ გსურს სულიერად დაისვენო, დაივიწყო ოჯახური, სამსახურებრივი სიძნელეები, დაივიწყო, რომ დღეს უნდა იმეცადინო (რაც ზედმეტია, წაშალეთ), მოგრძანდით ჩვენთან შინაურულ ქორწილ-კონცერტზე“. პროგრამა ძალიან საინტერესო იყო შედგენილი. სერიოჟა ხომ ასეთი საქმეების ნამდვილი ოსტატი გახლდათ. ჰქონდა რაღაც მიმიკური ნომრები, თვალისდახამხამებაში ატრიალებდა სიტყვებს უკუღმა, მღეროდა სუფრულ სიმღერებს, კითხულობდა ექიმ პოლისაევის ლექციას შიმშილის სიკეთეზე. ახლა ყველაფერი დავიწყდა, ველარ გაუხსენებია, მაგრამ არა, ზოგი რამ კვლავაც შემორჩა მეხსიერებას. თუნდაც ეს ფრაზა: „ჭამა-ყლაპვაზე პასუხისმგებელია პატარძლის დედა, შემდგომში სიდედრად წოდებული“. ახსოვს იმიტომ, რომ სწორედ ამ სი-

ტყვების გამო შემდეგ, შუალამისას, პატარა წალაპარაკება მოუხდათ. ოლგას დედა, თვითონ ოლგა და მოსახმარებლად შემოსული მეზობლის ქალი ჭურჭელს რეცხდნენ, გიორგი მაქსიმოვიჩი ამშრალებდა. უგონოდ მთვრალი სერიოჟა იქით, ოთახში ხვრინავდა.

გიორგი მაქსიმოვიჩმა გაკვირვება გამოთქვა: მაინც რას ნიშნავს ეს ჭამაყლაპვა? ვითომ იუმორია? ან თუნდაც რა საჭირო იყო „სიდედრის“ ამდენჯერ ხსენება. სიდედრზე ყველა ხუმრობა ჯერ კიდევ ცხრაასიან წლებში ამოიწურა. დედას დამცინავად გაეღიმა: სულაც არა მწყინს ეგ თქვენი იუმორი, იოხუნჯეთ, რამდენიც გენებოთ. კიდევაც რომ სწყენოდა, მაინც არ გამოტყდებოდა. ისე კი, როგორც შემდეგ გამოირკვა, დედას არ სიამოვნებდა, სიდედრად რომ იხსენიებდნენ. არ უყვარდა ეს სიტყვა. გასტრონომიულ ოსტატობაზე ხომ სულაც არ იდებდა თავს.

ყოველი ქორწინება თურმე ორი ადამიანის შეერთება კი არ არის, როგორც ფიქრობენ ხოლმე, არამედ ორი ბანაკის, ორი წრის ერთმანეთთან ან შეთვისება ან დაჯახებაა. დიახ, ეჯახება კოსმოსში ერთმანეთს ეს ორი სხვადასხვა სისტემა და გაუთავებელი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ჩაღდება. ვინ ვის? ვინ რისთვის? ვინ რით? აი, მოვიდნენ სასიძოს ნათესავები, მისი წრე და უზომო ცნობისმოყვარეობით ჭყიტეს თვალები. დაინახეს საპატარძლოს ნათესავები, მისი წრე. თუმცა მათი ერთად ცხოვრების მთელი ჩვიდმეტი წლის მანძილზე მეტად არასოდეს მომხდარა ასეთი დიდი შეხვედრა, ასეთი აშკარა დაპირისპირება, მაგრამ შეხლა-შემოხლა სწორედ მაშინ დაიწყო და მთელი ამ ხნის მანძილზე დაუსრულებლივ გრძელდებოდა. ხშირად ფარულად, ყველასთვის უჩინრად. აი, ახლა სერიოჟა აღარ არის, ძველი ომი კი გრძელდება.

კაცმა რომ თქვას, მაშინ ომი არც ყოფილა. ყველაფერმა მშვიდად და წყნარად ჩაიარა, თუ არ ჩავთვლით სუსტ მიწისქვეშა ბიძგებს. ოლგა ვასილიევნა კი ღელავდა. სადედამთილოს ადრევე შეამჩნია უხეში, ჩხვლეტია ეკლები, მის უცნაურ მულსაც შეეძლო წაეკბინა ადამიანები. აქეთ საკუთარი ბიძის — დედის ძმის, ძია პეტიას შიშიც ჰქონდა: თვითონ ძია პეტიაცა და მისი ოჯახის წევრებიც უკმეხი, მყვირალა ადამიანები იყვნენ.

სუფრასთან დასხდომამდე გიორგი მაქსიმოვიჩმა სტუმრები თავის სახელოსნოში მიიწვია. იქ მისვლამდე კი გრძელი დერეფანი უნდა გაგევლო. მარჯვნივ მხატვართა სახელოსნოები იყო, მარცხნივ ზიარი სააბაზანო, ზიარი სამზარეულო, ზიარი საპირფარეშო — ყველაფერი ზიარი მთელი იმ მესამე სართულის მობინადრეთათვის. სახლი ოციან წლებში იყო ნაგები და, უნდა ითქვას, ყოვლად უაზროდაც. ბაკუნით მიმავალი სტუმრები დერეფანს გაუყვნენ. ზიარი სამზარეულოსა და ზიარი სააბაზანოს კარებთან ცნობისმოყვარე მეზობლები ატუზულიყვნენ — მხატვართა ცოლები, დედები თუ ბავშვები. ფეხის ხმის გაგონებაზე თვითონ მხატვრებმაც კი გამოაღეს თავიანთი სახელოსნოების კარები. მხატვართა მეუღლენი და დედები დიდ სიყვარულს როდი ამჟღავნებდნენ ოლგასა და მისი დედისადმი. ბარე რვა წელი სრულდებოდა, რაც დედა-შვილი ამ სახლში ცხოვრობდა და თითქოს უნდა შეჩვეოდნენ, მაგრამ მხატვართა ცოლებსა და დედებს რატომღაც კარგად ახსოვდათ გიორგი მაქსიმოვიჩის პირველი ცოლი და ვაჟიშვილი სლავა, რომელთაც გიორგი მაქსიმოვიჩი ჯერ კიდევ ომამდე რამდენიმე წლით ადრე გაეყარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტუმართა პროცესია ჩუმად, ხმაამოუღებლად მიედინებოდა. ოლგა უსიამო გუნებაზე დადგა. ზიარი სააბაზანოდან საპნიანი ოხშივარი გამოდიოდა, ეტყობა, სარეცხს რეცხდნენ; საპირფარეშოში წყალი მოშხუოდა. უეცრად სერიოჟამ ოლგა ვასილიევნას თითებზე ხელი წაუჭირა და ყოვლად თავხედური ხმით სიმღერა წამოიწყო, მენდელსონის „საქორწინო მარში“. ვიღაცამ ხმა აუწყო, ვიღაცეებს გაეცინათ, ახმაურდნენ და დაძაბულობაც გაქრა. სწორედ ამ დროს, ვარდების თაიგულით ხელში, მხატვარ ვასინის ცოლი, წითელთმიანი ზიკა გამოჩნდა. ქალმა თაიგული ოლგა ვასილიევნას უხმოდ მიაჩეჩა. მერე დაიხარა და ლოყაზე აკოცა. ამ ზიკას ოლგა ვასილიევნა თითქმის არც კი იცნობდა, სამაგიეროდ მერე გაიცნო გვარიანად.

გიორგი მაქსიმოვიჩის სახელოსნოში არაჩვეულებრივი წესრიგი სუფევდა, თუმცა ეს არავის შეუმჩნევია. ყველამ დარბაზის შუაგულში დიდი, ორასსანთლიანი ნათურის ქვეშ მოიყარა თავი. გიორგი მაქსიმოვიჩი კვარცხლბეკად გამოყენებულ სავარძელზე ერთიმეორის მიყოლებით დგამდა თავის ნამუშევრებს. ოლგა ვასილიევნას ეს სურათები დიდად არ მოსწონდა. ალბათ მხატვრობისა არაფერი გაეგებოდა. თუმცაღა ამ სახლის ბინადარნი გიორგი მაქსიმოვიჩზე მეტისმეტი მოკრძალებით ლაპარაკობდნენ, ეკითხებოდნენ რჩევას, აჩვენებდნენ თავიანთ ნამუშევრებს. ოლგა ვასილიევნას აზრით, ზეთის საღებავებით შესრულებული ყველა ეს ტბები, ხრამები, ჭალები, მდინარეები თუ ფანქრით დიდ ფურცლებზე ნახატი მოხუცები, ბავშვები, ძაღლები, ხელები, თავები სხვა მხატვართა მიერ დიდი ხნის წინათ დახატულ სურათებსა ჰგავდნენ. მისთვის გაუგებარი იყო, ვის რაში სჭირდებოდა იმის გამეორება, რაც მსოფლიოში უკვე არსებობდა.

მაგრამ, როგორც ეტყობა, სჭირდებოდათ, რადგან გიორგი მაქსიმოვიჩის სურათებს მხატვართა საბჭო ხალისით იღებდა, იძენდა ხალხი და გიორგი მაქსიმოვიჩიც გაუჭირვებლად, შეძლებულად ცხოვრობდა.

იგი კეთილი, განათლებული კაცი იყო, სწავლობდა პარიზში, პირადად იცნობდა მოდილიანისა და შაგალს. საუბრისას ფრანგული სიტყვების ჩართვა უყვარდა, თუმცა ფრანგულად ძალიან ცუდად კითხულობდა და ლაპარაკობდა. ოდესღაც „რუს ვანგოგს“ ეძახდნენ. ერთი რამ იყო საოცარი: ნუთუ შეიძლება კაცს სხვისი ყველაფერი ასე კარგად ესმოდეს, საკუთარს კი ვერა ხვდებოდეს? ამბობდნენ, ახალგაზრდობისას სულ სხვაგვარად ხატავდაო, მაგრამ ის ნამუშევრები რატომღაც არ შემორჩენია. გიორგი მაქსიმოვიჩს ძალიან უყვარდა ადამიანების სახელოსნოში შეპატიჟება და თავის ნამუშევრებზე ლაპარაკით გაბრუება. როგორც ჩანდა, იმ პატარ-პატარა ტბებითა და პატარ-პატარა ჭალებით დიდად ამაყობდა. ეს ყველაფერი, რასაკვირველია, შეგეძლო გეპატიებინა დიდებასა და განცხრომით ცხოვრებას მოკლებულ მოხუცისათვის, მაგრამ ქორწილის დღეს სტუმრების სახელოსნოში შეყვანა კი მეტისმეტი იყო. ოლგა ვასილიევნა, ცოტა არ იყოს, გაუნაწყენდა კიდეც მამინაცვალს. მოხუცმა დაურიდებლად ჩამოდგა სავარძელზე სურათების მთელი სერია — ეს იყო დივანზე წაწოლილი ტიტველი ქალი, ქალს განიერი ბარძაყები და გაშლილი ფეხი ჰქონდა, სახე არ უჩანდა. არავინ იცოდა, რომ ეს ოლგას დედა იყო. ოლგა ვასილიევნას არ ესიამოვნა ეს ამბავი, ცდილობდა სურათებისათვის არ შეეხედა. ყველაფერი კეთილად დამთავრდებოდა — სტუმრები უკვე მოწონების ნიშნად თავებს აკანტურებდნენ და სულ „დიახ, დიახს“ გაიძახოდნენ —

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ სერგეის დედას ერთი უადგილო შეკითხვა არ მიეცა. შეკითხვა გიორგი მაქსიმოვიჩის შემოქმედებას სულაც არ ეხებოდა, ქალმა რომელიღაც სხვა სურათზე მიათითა:

— თუ შეიძლება გვითხარით, ეს რა სურათია?

— ეს ცნობილი „გერნიკა“ გახლავთ,— სასწრაფოდ უპასუხა გიორგი მაქსიმოვიჩმა, არ სურდა საკუთარ შემოქმედებაზე წამოწყებული საუბარი შეეწყვიტა, — მაგრამ ეს რეპროდუქციაა და არა სურათი.

— მაინც რით არის ცნობილი? მე ეს რაღაც პირველად მესმის.

ალექსანდრა პროკოფიევნას ეს ფრაზა: „მე ეს რაღაც პირველად მესმის“ მერე იქცა სერიოჟას დედის, მისი სისტემის გამომხატველ პაროლად თუ დევიზად. ოლგა და დედამისი ზოგჯერ ერთმანეთს გადახედავდნენ ხოლმე და ჩურჩულით იტყოდნენ: „მე ეს რაღაც პირველად მესმის“, რასაც უსათუოდ სიცილი მოჰყვებოდა. მაგრამ ეს კარგა ხნის შემდეგ იყო.

გიორგი მაქსიმოვიჩმა უხალისოდ მიატოვა საკუთარი ნამუშევრები, იძულებული შეიქნა „გერნიკას“ სახელსა და დიდებაზე ელაპარაკა. ნამდვილად კეთილსინდისიერად, მგზნებარედ დაასაბუთა სურათის ყველა ღირსება. თანდათანობით ყველა სტუმარი დაარწმუნა, რომ ჭეშმარიტად დიდი მცოდნე იყო, თითქოს გაიგეს კიდეც, რის გამოხატვა სურდა დიდებულ პაბლოს, მაგრამ ალექსანდრა პროკოფიევნა მაინც თავისას ერეკებოდა:

— არა, თქვენი ეს დასკვნები დასაბუთებულად არ მიმაჩნია. ქოთნის ნამტვრევებისა და დახეული გაზეთების მეტს მე აქ ვერაფერს ვხედავ.

— დედა, ეს შენი პირადი საქმეა, — ჩაერია სერიოჟას და.

— არა უშავს, მე ავუხსნი, გავაგებინებ, ვფიქრობ, დაძლევს, გაერკვევა, — დაუმატა სერიოჟამაც.

ალექსანდრა პროკოფიევნა ვაჟის ხუმრობას საკმაოდ მკაცრად გაეპასუხა. მაგრამ სრულიად მოულოდნელად ალექსანდრა პროკოფიევნას მხარი აუბა ნაადრევად შეჭიკჭიკებულმა ძია პეტიამ.

— თქვენ, ჩემო კარგო, ამ საკითხში სავსებით მართალი ბრძანდებით! — ჩაგონებით წარმოთქვა მან და თითი მაღლა ასწია. — შენ, ეგორშა, მგონია, გვარიანად გირტყეს მაგ ფორმალიზმისათვის, მაგრამ, როგორც ჩანს, არ გეყო. აქ მაინც რამ გამოგაფენია ეს უაზრობა?

მერე ისევ ალექსანდრა პროკოფიევნამ დაამატა: „თვითონ თქვენ, გიორგი მაქსიმოვიჩ, ხატავთ როგორც რეალისტი; თქვენი ქალი — ქალსა ჰგავს, თქვენს ნახატებზე თავი — თავია, ფეხი — ფეხია“. ამ სიტყვების წარმოთქმისას ალექსანდრა პროკოფიევნამ იმ სურათზე მიათითა, ოლგას ტიტველი დედა რომ იყო გამოსახული, — თქვენ ყველაფერი რიგზე გაქვთ. ასე როგორ იქნება: ქადაგებთ ერთს, ქმნით კი მეორეს?“

მართლაც ცუდ დღეში ჩავარდა გიორგი მაქსიმოვიჩი. გაფითრდა, ჯიბიდან დიდი ლილისფერი ცხვირსახოცი ამოიღო და პირსახეზე მიისვ-მოისვა. აბა რა უნდა აეხსნა იმ ხუთ წუთში, სუფრასთან დაჯდომამდე, არყის გადაკვრამდე, „გორკას“ დაძახებამდე რომ იყო დარჩენილი. ან შეეძლო კი მთელი თავისი ცხოვრების მოყოლა?

ოლგა ვასილიევნას შეეცოდა მოხუცი, მაგრამ მამინაცვლის დასაცავად პირის გაღებაც ვერ მოასწრო, რომ ცოლი გამოექომაგა. „პეტია, ჩემო ძვირფასო, — მიუბრუნდა ქალი ძმას, — შენ, როგორც ვიცი, მთელი ცხოვრება

მანქანათმშენებლობის საქმეს ემსახურები. საინტერესოა, რას იტყოდი, ეგორს რომ შენთვის ესწავლებინა, ტანკი როგორ ააგო?“

— რას ვიტყოდი? გავსრესდი და ეგ იქნებოდა! — ყვიროდა ძია პეტია და გაჩეჩილ, ჭაღარა თავს მრისხანედ აქნევდა. — საკატლეტე ხორცივით დავბეგვავდი! კომბოსტოსავით დავკეპავდი იმ თავხედს, იმას!

ყველას გაეცინა და ეშმაკურად ალექსანდრა პროკოფიევნას გადახედეს.

— იცით რა, — წარმოთქვა ბოლოს სერიოჟას დამ, — მოსაწყენი იქნება, ყველამ რომ მხოლოდ თავისი ხელობის მიხედვით დაიწყოს მსჯელობა.

დავა თითქოს ამაზე დამთავრდა. და მაინც ეს იყო ორი სხვადასხვა ბანაკის, ორი სხვადასხვა წრის ადამიანების შეხვედრა, თვითონაც რომ არ იცოდნენ, რაოდენ ღრმად ჰქონიათ გადგმული ფესვები.

დედამთილის ღვიძლი და ვერა პროკოფიევნაც რაღაცას ბუტბუტებდა მხატვრობის თაობაზე. ოლგა ვასილიევნას კი ბედნიერებისა და შიშის გრძნობა დაეუფლა: ვიღაცამ ვიღაცას ურიგო არ უთხრას, არ გაანაწყენოსო... ბოლოს დადგა ის საზეიმო წამი — რისთვისაც იყვნენ მიწვეულნი სახელოსნოში. გიორგი მაქსიმოვიჩმა ანტრესოლიდან დიდი სურათი ჩამოიღო. ეს იყო ფრანგი მხატვრის დიუვერნუას ნამუშევარი და გიორგი მაქსიმოვიჩმა იგი ახლა ნეფე-დედოფალს უსახსოვრა. სურათზე ძველი პეტერბურგი იყო გამოხატული. მერე, ცხოვრების მძიმე დღეებში, ბევრჯერ დაადგეს თვალი დიუვერნუას ამ სურათს, ერთხელ საკომისიო მაღაზიიდან შემფასებელიც კი გამოიძახეს, მაგრამ მცირე თანხის შემოთავაზებით გაოცებულებმა (თუმცა არცთუ მცირე, მაგრამ იმაზე ნაკლები, მთელი ეს წლები ოცნებით რომ ვარაუდობდნენ), გაყიდვა გადაიფიქრეს. ეს სურათი ახლაც უკიდიათ. როცა სახელოსნოდან გამოსული სტუმრები დერეფანში ერთმანეთს მოწიწებით უთმობდნენ გზას, ალექსანდრა პროკოფიევნამ გიორგი მაქსიმოვიჩს ყურში უჩურჩულა (დედამთილს მოზეიმე კილო ჰქონდა და ოლგას გული შეუტოკდა): „და მაინც, ძვირფასო მძახალო, არ შემიძლია დაგეთანხმოთ...“

ღამით, როცა საერთო სამზარეულოში მეზობლების რიდით ჭურჭელს უხმაუროდ რეცხდნენ, გიორგი მაქსიმოვიჩმა ოლგას გადაულაპარაკა: „დედამთილი გყავს — ჰო-ჰო! ნამდვილი ქვა და რკინა... კიდევ კარგი, ჯერჯერობით ჩვენთან იქნებით...“ მერე, როგორც იცოდა ხოლმე, დიდსულოვნად დასძინა: „საინტერესო პირისახე კი აქვს, კარგი იქნებოდა მისი დახატვა“.

დიახ, ისინი სულ სხვადასხვა ადამიანები იყვნენ, დედამიწის სულ სხვადასხვა კუთხიდან.

გიორგი მაქსიმოვიჩი ლმობიერი კაცი იყო. მან მხოლოდ ერთადერთხელ მოაგონა ყველას, რომ სწორედ ის არის ბინის პასუხისმგებელი დამქირავებელი და საოცარი შეუპოვრობაც გამოიჩინა. ეს იყო მაისში, როცა ირინკას გაჩენის საკითხი წყდებოდა, მათი ერთად ცხოვრების პირველი გაზაფხული. ჯერ კიდევ არ იყო ყველაფერი კალაპოტში ჩამდგარი, დაფუძნებული, ოლგა მასწავლებლად მუშაობდა, მაგრამ უკვე სხვა ადგილს ეძებდა. უჭირდა სკოლაში მუშაობა, შორს სიარული. უნივერსიტეტელი მეგობრები კი პირდებოდნენ, სადმე უკეთეს სამუშაოს გიშოვნითო, მაგრამ ჯერ არაფერი ჩანდა. ყოველ დილით შვიდის ნახევარზე ქალაქის მეორე ბოლოში უნდა გასულიყო. სერიოჟას უთანხმოება მოუვიდა მუზეუმის დირექტორთან და იმასაც სამსახურის გამოცვლაზე ეჭირა თვალი. ხელმოკლედ იყვნენ. სწორედ ამ დროს გა-

მოირკვა, რომ ფეხმძიმედ იყო. დედებისათვის არ გაუმხელიათ. გადაწყვიტეს, სასწრაფოდ თავად ეღონათ რამე, რადგან ბავშვის გაჩენა იმჟამად ყოვლად შეუძლებელ ამბად მიაჩნდათ. ამ დარგში ნაცნობი ექიმი არ ჰყავდათ, საერთოდაც ექიმებს ნაკლებად იცნობდნენ. ვლადი კი აგერ უკვე ნახევარი წელია აღარ ენახათ, რაც ინსტიტუტი დაამთავრა და კლინიკაში ორდინატორად დაიწყო მუშაობა.

სერიოჟა ფეხს ითრევდა, არ უნდოდა მასთან მისვლა. ქალიც ყოყმანობდა, მაგრამ რადგანაც ვლადი მისთვის არასოდეს ა რ ა ფ ე რ ს არ ნიშნავდა, მაინც გადაწყვიტა სერიოჟასათვის ყური არ ეგდო და ისევ მასთან მისულიყო. რატომღაც ისიც კი ეგონა, ვლადს გაუხარდებოდა მისი გამოჩენა. და აი, დაურეკა ძველ მეგობარს. მისდა გასაოცრად, ვლადს არ გახარებია, ის კი არა, ცოტა დაიბნა კიდეც, თითქოს სახტად დარჩა, თუმცა მალევე დაფაცურდა. როცა მასთან მივიდნენ, ვლადმა ნემსი გაუკეთა. სერიოჟა დივანთან იდგა, ქალის ხელი ეჭირა და გვერდზე იხედებოდა.

სერიოჟა გამოტყდა: რაღაც ერთი წამით ვლადისადმი სიძულვილიც კი ვიგრძენი. ვლადს უარი უნდა ეთქვაო! მაგრამ მისი ვირული კეთილსინდისიერების პატრონი... ნემსმა ვერ უშველა. მერე ვლადმა ერთ თავის ნაცნობ მოხუც ექიმთან ურჩია მისვლა. მაშინ ეს ამბავი აკრძალული იყო და ამიტომ სახლში მალულად, ფარდადაშვებულ, კარჩაკეტილ ოთახში კეთდებოდა.

ოლგა ვასილიევნა იძულებული გახდა დედისათვის გაემხილა. დედამ თავისი მხრით გიორგი მაქსიმოვიჩს აუწყა. დედას ასეთი რამ არასოდეს გაეკეთებინა და მეტად სასირცხვო და თანაც მომაკვდინებელ ოპერაციად მიაჩნდა. ქალიშვილს შეშინებული, ცრემლით სავსე თვალებით შეჰყურებდა და დაზაფრული ჩურჩულებდა: „რა ვქნათ, ჩემო გოგო?“ დედა სიბერის დღემდე ბევრ რამეში საოცრად გულუბრყვილო დარჩა. ოლგა ვასილიევნამ ეს ოპერაცია მერე რამდენჯერმე გაიკეთა, სახლშიაც და საავადმყოფოშიც. მიხვდა, რომ ეს არ იყო ამქვეყნად ყველაზე დიდი ტკივილი, თუნდაც იმიტომ, რომ ამ ტკივილს დასასრული ჰქონდა.

მაგრამ მაშინ, მაისის თვეში ეს ყველაფერი გაურკვეველი იყო. ყველა განაცვიფრა გიორგი მაქსიმოვიჩის განცხადებამ: „მე, როგორც პასუხისმგებელი დამქირავებელი, გიკრძალავთ ამ ამბავს!“ დღემდე აუხსნელი დარჩა: მართლა კანონის დარღვევისა შეეშინდა თუ დედის პანიკური შიში გადაედო...

ასე რომ ირინკა ქვეყნიერებას გიორგი მაქსიმოვიჩის ამ სიტყვების წყალობით მოევლინა: „მე, როგორც პასუხისმგებელი დამქირავებელი...“ მერე ოლგა ვასილიევნა მწარე მოგონებებით იტანჯავდა თავს. გოგონამ არ იცოდა, მისი გაჩენა რომ არ უნდოდათ. ყველამ დაივიწყა ეს ამბავი — სერიოჟამ, დედამ, გიორგი მაქსიმოვიჩმა, ალბათ ვლადიმაც. მაგრამ ოლგა ვასილიევნას ახსოვდა. და აი, შემოდგომის ერთ თოვლჭყაპიან დღეს, გოგოლის ბულვარით არბატის მხარეს მალაზიაში რომ მიიჩქაროდა, უეცრად მუცელში ისეთი ტკივილი იგრძნო, წონასწორობა დაკარგა, კინაღამ წაიქცა. ვიღაც კაცმა ხელი შეაშველა, ბულვარისკენ წაიყვანა და სკამზე დასვა. ქალი კი ფიქრობდა: „ღმერთმა ალბათ დამსაჯაო“...

ირინკა შვიდთვიანი დაიბადა. როგორც კი სამშობიაროდან მოვიდნენ, ბავშვს სახვევები გამოუცვალა. სერიოჟა მივიდა, ბავშვს დავხედავო, მაგრამ ოლგამ ყვირილი ასტეხა, ზედ გადაეფარა: „არ დახედო, არ დახედო! მერე გაჩვენებ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

წადი!“ არ უნდოდა ეს საბრალო, ძვალტყავა სხეული ეჩვენებინა. მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ უჩვენა უკვე ბავშვს დამსგავსებული არსება. ახლა ირინკა კლასში. მგონი, ყველაზე მაღალია, სერიოჟა კი აღარ არის ამ ქვეყანაზე. მაინც რა ჩქარა გაიქროლა ყველაფერმა!

თითქოს რა გრძელი ცხოვრება იყო, მეხსიერებისათვის თვალუწვდენი, მაშ რატომ გაქრა ასე ჩქარა? ყველაფერი აირ-დაირია. ის, რაც ასე დიდხანს გრძელდებოდა, ახლა წამს მიაგავს, ახლანდელი წამი კი უაზროდ, უსასრულოდ იწელება. ერთხელ დეკემბერში, იმ დამღუპველი დღიდან არცთუ დიდი ხნის შემდეგ, ქალიშვილს უთხრა — აბა, იმაზე ახლობელი ვინა ჰყავს, რომ პატარა ნუგეში მაინც მიეღო, მაგრამ შეცდომა იყო ქალიშვილისგან ამ პატარა ნუგეშის მოლოდინიც — თუმცა უფრო საკუთარ თავს უთხრა ან იმას, ვინც ვერ გაიგონებდა: „რა კარგი ცხოვრება გვქონდა მე და მამაშენს!“ ეს ამოკვნესა, რა თქმა უნდა, სულ მართალი როდი იყო. შიგ ტყუილიც ერია. უბრალოდ ცხოვრება, კარგი. არც ძალიან კარგი, ცუდი თუ საშინელი, მაინც ცხოვრებაა. ან ცხოვრობ, ან არ ცხოვრობ. შუალედი არ არსებობს. ამქვეყნად ყველაფერი ან ამ ზღვარს იქით არის, ან აქეთ. ვინ იცის, სწორედ აქ იმალება ოლგა ვასილიევნას მუდმივი ტანჯვისა და იმედის მიზეზიც. მაშინ ეს არ ესმოდა, მხოლოდ ახლაღა ხვდება. ისიც ბუნდოვნად.

გოგონამ ამ ნათქვამის სიყალბე იგრძნო, იმისთვის ნაგულისხმევი, „ვინც ვერ გაიგონებდა“, დედას ალმაცერად გამოხედა და უთხრა: „ხომ გაგიგონია, კარგი ცოტ-ცოტაობითო“.

შვილის სიტყვები ლახვარივით მოხვდა ოლგა ვასილიევნას. პასუხი ვერ მოახერხა. განა ბავშვობის დროინდელმა, ძველისძველმა ამხანაგმა, უჭკვიანესმა ფაინამ არ უთხრა ოლგა ვასილიევნას: შენი ქალიშვილი დიდი თავკერძა ვინმეა. რაც შენი და სერიოჟას, განსაკუთრებით კი ბებიის წყალობაა. მაგრამ საქმე ეს როდია. ახლა იგი შენზე შიშობს და იმიტომ გაფრთხილებს: „კარგი ცოტ-ცოტაობითო“... ფაინას აზრით, სასწრაფოდ გათხოვება იყო საჭირო: „არ გასულელდე. სერგეის ვერ გააცოცხლებ. შენ კი თავს წააგებ. თანაც იცოდე, შენი დრო იწურება: ერთი, ორი წელი და მერე მოგჭამა ჭირი“. სერიოჟას სიკვდილიდან ორი თვეც არ იყო გასული, სადღაც წვეულებაში რომ მიიპატიჟა ფაინამ, მაგრამ ოლგა ვასილიევნამ გააწბილა, — რა მექეიფება. უცხოთა დახახვაზე დარდი ერთი-ორად მაღრჩობსო. მერე საშობაოდ ნოვგოროდში წაყოლა სთხოვა მეგობარმა, ამაზეც უარი უთხრა. მართალია, ირინკასთან ერთად პანსიონატ „ბერიოზკაში“ წავიდა, მაგრამ დარდმა იქ უარესად დარია ხელი. ირინკა ახალგაზრდებს დაუტოვა, თვითონ კი სასწრაფოდ გამოიქცა. ჯიუტი ფაინა კი მაინც არ ეშვებოდა.

თვითონ ფაინა ქმრისგან მიტოვებული, ორმოცდასამი წლის ქალი იყო. ვაჟიშვილი ჯარში ჰყავდა, დედა დავრდომილთა თავშესაფარში. ჰოდა, იწვევდა ამხანაგს თავის ნაცნობებთან დროის გასატარებლად: არქიტექტორები არიან, სასიამოვნო, ინტელიგენტი ხალხი და ძველი სტილით ახალ წელს შევხვდეთო. ნუ გეშინია, სულელო, არავინ მოგიტაცებს. მხოლოდ დაისვენებ, მუსიკას მოისმენო.

არა, მას არც სასიამოვნო ადამიანებთან შეეძლო ყოფნა, არც ხეპრეებთან, არც ინტელიგენტებთან, საერთოდ არავისთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ შეეძლო რაიმე პრინციპების, ან სხვა რამ მიზეზის გამო. ეს არა, უბრალოდ არ ჰქონდა არავითარი სურვილი.

მაშინ, ქალიშვილის შეუბრალებელი სიტყვების შემდეგ, ფაინამაც არ დაზოგა, მანაც პირში მიახალა სიმართლე. ალბათ იფიქრა, თუნდაც ემწაროს წამალი, ოღონდაც არგოსო: „შენ მართლა გგონია, რომ თქვენ კარგი ცხოვრება გქონდათ?“ „დიახ“, — უპასუხა ოლგა ვასილიევნამ. აბა რა უნდა ეპასუხა? თქვენთვის უფრო ნათელია, მე არ ვიცი? ამ თავისი საუკეთესო მეგობრის, საუკეთესო მრჩევლის, უპირველესი მოშურნის, ყველა ხანმოკლე ბედნიერებისა თუ უბედობის უახლოესი მეთვალყურის გვერდიგვერდ გატარებულმა მრავალმა წელმა შთააგონა ოლგა ვასილიევნას, თავისი თავი ფაინას ადგილზე წარმოედგინა და ფაინას თვალით შეეხედა თავისი მდგომარეობისათვის. ფაინა, რა თქმა უნდა, ძალიან უბედური ქალი იყო. მის გვერდით ოლგა ვასილიევნა რატომღაც ყოველთვის უზომოდ, უსირცხვილოდ მდიდარ ქალად გრძნობდა თავს. დროდადრო ეგონა და კიდეც თავის თავს უწყრებოდა იმის გაფიქრებაზე, რომ მთელი სიკეთე და მადლი, თავხედური ქალური კმაყოფილება, რაც ბედს მისთვის მოენიჭებინა, ფაინასაც ეცხებოდა მისგან. უფრო ზუსტად: ფიქრობდა, რომ ასე ჩანდა შორიდან და პირველ რიგში ასე ეჩვენებოდა საწყალ ფაინას.

უეცრად აღმოჩნდა, რომ თურმე ფაინას სულ სხვაგვარი შეხედულება ჰქონია მის ცხოვრებაზე. და აი ახლა, აქამდე შენიღბულ ამ შეხედულებათა წყალობით ოლგა ვასილიევნას გამხნევებაც კი გაბედა. თუმცა მათ ცხოვრებას განა მართლა არ ეთქმოდა მშვენიერი? მ ა თ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა — ეს იყო ერთი მთლიანი, ცოცხალი, ასე ვთქვათ, მფეთქავი ორგანიზმი, რომელიც ამ სამყაროდან გაქრა. მას ჰქონდა გული, როგორც ცოცხალ ორგანიზმს, ჰქონდა ფილტვები, შეგრძნების ორგანოები: იგი ვითარდებოდა, იფურჩქნებოდა, ავადმყოფობდა, ნელ-ნელა ცვდებოდა, მაგრამ სიბერით ან ავადმყოფობით კი არ მომკვდარა, არამედ გაქრა ის, რაიც მის სისხლს ამოძრავებდა. ჭეშმარიტად უცნაური იყო მ ა თ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა! ვერავინ შეძლო მისი ამოხსნა. ყველანი მხოლოდ ხვდებოდნენ რაღაცას, თავისებურად ხსნიდნენ, რაღაც-რაღაცეებს იგონებდნენ, ბუნდოვნად ვარაუდობდნენ, რომ მ ა თ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა ასეთნაირი და ისეთნაირი არის, ამა და ამისგან შედგებაო. თვითონ მათ კი... თვითონ მათ კი სიტყვებით არაფრის გამოხატვა არ შეეძლოთ. ოლგა ვასილიევნა ხან სრულიად გულწრფელად ფიქრობდა, რომ მ ა თ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა ჭეშმარიტად კარგი იყო, ხან ნამდვილად უმძიმდა ეს ცხოვრება. ყოფილა ისეთი საათები თუ დღეები, საშინელებადაც კი მოჩვენებია. ახლა კი არც სჯერა, ოდესმე თუ თავში ასეთი აზრები მოსვლია, თუ ზოგჯერ ზიზღსა ჰგვრიდა მ ა თ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა.

მაგრამ ხომ იყო, იყო ასეთი დღეები! თუნდაც იმ ზამთარს, სუშჩევსკაიაზე რომ ცხოვრობდნენ, როგორ გაამწარა სერიოჟამ წითელთმიანი ზიკას წყალობით. ახლა თითქმის დაავიწყდა, მეხსიერებამ განდევნა ყველა ის განცდები, ის სირცხვილი, მაგრამ ხომ იყო — დიდი ხნის, თოთხმეტი წლის წინათ! ესეც ხომ მ ა თ ც ხ ო ვ რ ე ბ ა ს ეკუთვნოდა. ოლგას ეჩვენებოდა, რომ სერგეის ზიკა მოსწონდა. აბა ზიკა რომ ეკეკლუცებოდა და მართლა ცდილობდა მის მოხიბვლას, ეს ბუნებრივად მიაჩნდა. ქალებს სერიოჟა ძალიან მოსწონდათ. ოლგამ ეს იცოდა და იტანჯებოდა, მაგრამ ისიც იცოდა, ზარმაცი რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო და თავის შეწუხება დიდად არ უყვარდა, ჩურჩუტ, კეკლუცა ქალებს გულგრილად უყურებდა. ქალთა საზოგადოებას მამაკაცებთან საუბარი ერჩია, როცა არაყს სვამდნენ და თან კიტრს აყოლებდნენ. ერთხელ გამოტეხვა დაუპირა. მითხარი, ჩემთვის თუ გიღალატიაო. სერიოჟამ ამოიოხრა: „გახსოვს, ჰემინგუეი რომ წერს: „ნეტავ მათთან ლაპარაკი არ იყოსო საჭიროო!..“

ზიკა ახალგაზრდა, მოსული ქალი გახლდათ, გრძელი ხელ-ფეხისა და ზორბა ტანის პატრონი. პირველ სართულზე მცხოვრები მოქანდაკენი ერთთავად პოზირებას თხოვდნენ ხოლმე, როცა თემატური სამუშაოები ჰქონდათ და მისგან უნდოდათ გამოეძერწათ ბადროს მტყორცნელი თუ ზურგზე კალათმოგდებული კოლმეურნე ქალები. ზიკას ხორციელი ძლიერება შიშსა ჰგვრიდა ოლგა ვასილიევნას: რატომღაც ეგონა, ეს ქალი სერიოჟას მივიწყებულ ბრუნჰილდას ახსენებსო. ზიკას საკმაოდ სასიამოვნო ქორფა, მრგვალი, ქერა კულულებით დამშვენებული უბრალო პირსახე ჰქონდა. პირზე ერთთავად ღიმილი დასთამაშებდა. საბავშვო გამომცემლობებში ცოდვილობდა როგორც წიგნის გრაფიკოსი, აკვარელით ხატავდა საკმაოდ უნიჭოდ. მისი ქმარი ვასინი კი ერთი გალეული, შეუხედავი მოხუცი გახლდათ. მაშინ მოხუცად ეჩვენებოდა ოლგა ვასილიევნას ზიკაზე ორჯერ უფროსი ორმოციოდე წლის ვასინი. ჯერ დამეგობრდნენ, ერთმანეთს პატიჟებდნენ ხან ჩაიზე, ხან სასმელზე და თან მაგნიტოფონს უსმენდნენ. მაშინ მოდაში იყო ასეთი გართობა. ვასინმა უზარმაზარი, რკინის სკივრივით მძიმე მაგნიტოფონი „დნეპრი“ იყიდა. ყველას ხმას იწერდა, ყველას თხოვდა ემღერა, ელაპარაკა, ლექსები წაეკითხა. მერე დიდი აღფრთოვანებით იქვე ისმენდნენ ყველა ამ ჩაწერილ სისულელეს.

ვასინი კაი გვარიან ფულს შოულობდა თავის მეწყვილე არკაშასთან ერთად, ოფიციალურ სურათებს ხატავდნენ. გადაჭიმავდნენ ტილოს ჩარჩოზე, უჯრედებად მონიშნავდნენ და ცინცხლად, ზედიზედ აცხობდნენ სურათებს. ზოგჯერ ზიკასაც იშველიებდნენ. კაცმა თქვას, ვასინი თავისთვისაც მუშაობდა ანუ როგორც თვითონ ამბობდა, „სულის საამებლად“ ხატავდა არცთუ ცუდ ეტიუდებს. გიორგი მაქსიმოვიჩი ვასინს ნიჭიერ, მაგრამ თავაშვებულ კაცად თვლიდა. „ასეთი ნიჭის ხალხს ღმერთი მრავლად გვაძლევსო“, იტყოდა ხოლმე. ვასინი ლოთი იყო.

როცა იტყოდა, სულს უნდა ვაამო, უნდა ვინეტაროო, ეს იმას ნიშნავდა, რომ სადღაც ქალაქგარეთ ელექტრომატარებლით უნდა გამგზავრებულიყო, სიცივეში და წვიმაში ნეტარებით ემუშავნა. საწყალი ვალერა ვასინი! ჯერ კიდევ ჭარმაგი მოკვდა, სამოცსაც ვერ მიაღწია, ლოთობამ მოუღო ბოლო. ზიკამ კი მიატოვა. ჭეშმარიტი მხატვარი იყო. ბუნებაში ცხოვრობდა და შრომობდა, იღვიძებდა მხოლოდ მოლბერტთან, როცა იმას ხატავდა, რაც ჭეშმარიტად მიაჩნდა და უყვარდა. სტუმრები დიდად არ ეპიტნავებოდა. შეეძლო მარტოს ეცხოვრა, მარტოს ესვა, მაგრამ ზიკას მოწყენილობა აცრჩობდა და ხალხისაკენ ის ექაჩებოდა. ცოლი ძალიან უყვარდა და ყველაფერზე ეთანხმებოდა, რასაც ის მოისურვებდა.

ზიკა დიდი გაქნილი ვინმე იყო, საოცრად ელაქუცებოდა ოლგა ვასილიევნას, ექლესებოდა, მეგობრად ეტენებოდა. „გინდა ირინკას გავასეირნებ? რძე ხომ არ მოგიტანო? მაღაზიაში მივდივარ...“ თანაც ყველაფერ ამას უბრალოდ, ამხანაგურად სთავაზობდა. ერთხელ ფულიც ასესხა. პირველ ხანებში ოლგა ვასილიევნაც აჰყვა, მერე კი გონს მოეგო. აქ მთლად წმინდად არ უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყოს საქმეო. უკვე თავს არიდებდა ზიკას მოპატიჟებებს და აღარც სერიოჟას უშვებდა მასთან.

სერიოჟამ იუკადრისა. მაინც რატომ მზღუდავ? ოლგა ვასილიევნას ახსნა არ შეეძლო. თვითონ კი ვერა ხვდებოდა. ტანჯავდა ეჭვი, ეჭვის მიზეზი კი ისე ნამცეცა იყო, სირცხვილიც იქნებოდა იმაზე ლაპარაკი. და მაინც ოლგა ვასილიევნა თავს ვერ ერეოდა.

— რა მოხდა? ვიცოდე მაინც, რატომ მიკრძალავ ვალერასთან სიარულს?

— გაიგე, არ მინდა, მორჩა და გათავდა.

— ეს მტარვალობაა!

განრისხებული სერიოჟა ვასინებთან გარბოდა. მთელი სიცოცხლე იმისი ეშინოდა, ცოლის მონა არ გამხადონო. ეს ის დრო იყო, მუზეუმიდან რომ წამოვიდა. ახალი სამსახურიც არსად ჩანდა. გაღიზიანებული და განერვიულებული ადგილს ვერ პოულობდა. ოლგა ვასილიევნა მთელი დღეობით სკოლაში იყო. შინ დარჩენილი სერიოჟა ეხმარებოდა სიდედრს, უვლიდა ირინკას, დადიოდა ბაზარში, მოჰქონდა სურსათი, ვედროებით ეზიდებოდა წყალს. დიდი დერეფანი დღეში სამჯერ მაინც უნდა გაევლო, წყალი ზიარი სამზარეულოდან მოჰქონდა.

ოჯახური წვრილმანებით, უსაქმობით, უფულობით და, რაც მთავარია, გაურკვეველი მომავლით თავმობეზრებულ კაცს საღამოობით კიდევ უფრო უმძიმდებოდა განწყობილება. მუზეუმიდან მოულოდნელად წამოვიდა, ვერ მოასწრო ახალი სამსახურის გამონახვა. წუხდა, არ იცოდა, რა ექნა. ის ახმახი ზიკა კი ჩასაფრებული ჰყავდა. თუმცა ისიც გაურკვეველი იყო, რაში სჭიროდა ზიკას მისი თავი?

ახლა სერიოჟა აღარ არის და აღარც არავის ესაკლისება.

ერთხელ ოლგა ვასილიევნა ვასინის სახელოსნოში შევიდა და რას ხედავს: მაგიდას მიმჯდარ სერიოჟას ჭუჭყიანი პირსახოცი აქვს აფარებული რესტორნის ხელსაწმენდის მსგავსად და ზიკა თმას კრეჭს. „მაინც რას ნიშნავს ეს?“ — დაინტერესდა ოლგა ვასილიევნა. პასუხად ხარხარი ატყდა. ვასინი და ვიღაც მისი მეგობარი ისე ხარხარებდნენ, სიტყვა ვერ დაძრეს. გამოირკვა, რომ სერიოჟას პოკერში თმა წაეგო. ზიკამ კი ყოვლად ბუნებრივი, მხიარული ხმით დააწყნარა ოლგა ვასილიევნა: „ნუ ღელავ, ოლეჩკა, ოდნავ ავაჭრი, სულ ცოტას, მხოლოდ სიმბოლურად. კიდეც მოუხდება“.

ოლგა ვასილიევნას გაუკვირდა. სერიოჟა ასე ცხვარივით მორჩილად რომ იჯდა.

არავინ იცის. რა იყო მათ შორის. იქნებ იყო. იქნებ არც იყო. ოლგა ვასილიევნამ ზიკას სალამი აღუკვეთა. ზიკა მტრად ექცა. სულ რაღაც ორ-სამ თვეში უახლოესი მეგობრობა ულმობელ მტრობად შეიცვალა. ახლა კიდევაც დაავიწყდა, როგორ დაიწყო ყველაფერი. მოუვიდათ თუ არა წალაპარაკება დერეფანში მომხდარ იმ საშინელ შეტაკებამდე. გაზაფხულზე ოლგა ვასილიევნა უკვე უფრთხოდა ზიკას. ზიკა კი განგებ ჯიუტად მიაჩერდებოდა, ხოლო როცა სამზარეულოში ან დერეფანში შემთხვევით შეეფეთებოდა, გზას აბასოდეს დაუთმობდა, ჯიქურ გაივლიდა, ზოგჯერ გვერდის გაკვრასაც კი ლამობდა. მგონი, ოლგა ვასილიევნამ ზიკაზე რაღაც მოსწრებულად და მწარედ იხუმრა, მეზობლებმა გადასცეს ზიკას და სიძულვილიც გაღვივდა. წვრილმა-

ნები უკვე დაავიწყდა, მაგრამ ეს კი ახსოვს, როგორ ეჩხუბებოდა სერიოჟას იმ უბადრუკი, იმ არარაობა ზიკას გულისათვის. მაგრამ ოლგა ვასილიევნას მაშინ ეგონა, რომ მისი სიცოცხლე ამ ჩხუბის შედეგზე იყო დამოკიდებული. ნუთუ სერიოჟას იმდენად მაინც აღარ უყვარს, იმ მცირე სიამოვნებაზე უარი თქვას, ვასინებთან ჭიქა არყის გადაკვრა რომ ანიჭებს, მით უმეტეს, როცა ასე ეკედრებიან? როგორ იტანჯებოდა და როგორ სჯეროდა თავისი სიმართლისა! რა შეიძლება იყოს ამაზე ცხადი, — ფიქრობდა ოლგა: თუ უყვარს, დათმობს. თუ არა და ისევ ივლის. უკეთესი შემოწმება არც შეიძლება. მაგრამ თვითონ სერიოჟასთვის ცხადი აქ არაფერი იყო. იგი დამამტკიცებელ საბუთს ითხოვდა. პატიმრობის ორდერს ითხოვდა.

— ათას მეერთედ გეკითხები: რატომ? იქნებ ისე გაგიჟდი, ზიკაზე ეჭვიანობ?

— არა, უბრალოდ, გთხოვ! — ლამის ტირილით ეუბნებოდა ოლგა ვასილიევნა. — გთხოვ, გთხოვ, მეტი არაფერი! მუხლმოდრეკით გემუდარები! — ერთხელ კიდეც დაეცა მუხლებზე, სერიოჟა შეშინდა და აღუთქვა: დამშვიდდი, ყველა თხოვნას შეგისრულებ, იყოს ნება შენი, იქ აღარ წავალო. ოჰ, როგორ უყვარდა მაშინ სერიოჟა, მაშინ, იმ წუთებში. დიახ, გაიგონა ის სიტყვები, რისი მოსმენაც ასე გულით ეწადა. მაგრამ გავიდა სულ რაღაც საათნახევარი — ეს ყველაფერი ხდებოდა გამთენიისას, მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავთ, — და სერიოჟა ისევ თავისას გაიძახოდა: „არა, წმინდა წყლის სიგიჟეა, აუტანელი რაღაცა... ეკლესიის მამებივით ბრმა რწმენას ითხოვ... იწამე, გინდაც აბდაუბდა იყოსო...“ ჰოდა, აი, იმ მოზღვავებული სიხარულის ნაცვლად ქალს კვლავ მტანჯველი აზრები აწამებდა. ცრემლებისა და თეთრად გათენებული ღამეების საფასურად, როგორც იქნა, დათმობა გამოგლიჯა. დიდი ამბავი, ვასინებთან აღარ ივლის! მერე? ყოველთვის ასე მუხლჩაჩოქილმა უნდა იქვითინოს? ხომ შეიძლება უფრო დიდი სათხოვარი გაუჩნდეს. ის კი კლდესავით დადგება.

ტანჯავდა იმის შეგნებაც, რომ იმ ქარაფშუტა გომბიოს გულისათვის ასე სასტიკად, ცრემლისდენამდე ჩხუბობდნენ, მაშინ როცა ის დედაკაცი ზიზღის ღირსიც არ იყო. ჰოი, როგორ გაიხარებდა, ეს რომ სცოდნოდა! რა თქმა უნდა, ყველაფერი სისულელე იყო. დიახ, ოლგა ვასილიევნა ნამდვილად სულელი იყო, ვერ მიმხვდარიყო მთავარს, სისულელის გამო იტანჯავდა თავს...

სერიოჟა განაგრძობდა ვასინთან სიარულს. დადიოდა განგებ, სიჯიუტის, პრინციპის გამო. ჰქონდათ მძიმე დღეები. ოლგა ვასილიევნას გაყრა უნდოდა, დედასთან წასვლა. დიახ, ეზიზღებოდა მათი ცხოვრება. და ეს მაშინ, როცა იგი მხოლოდ იწყებოდა.

ახლა ველარ მოუგონია, მაინც რა უძღოდა წინ ზიკასთან ღვრეფანში შეხვედრას, რამაც დააგვირგვინა მთელი ეს ამბავი. იქნებ რამე ზედმეტი წამოცდა საერთო ნაცნობებთან, იმ ჭორებთან დაკავშირებით, ზიკაზე რომ დადიოდა. ზოგმა შეწყვიტა კიდეც ვასინებთან სიარული. იმ სახლში უკვე ყველამ იცოდა ოლგა ვასილიევნასა და ზიკას მტრობის ამბავი. აღარც ვასინი ესალმებოდა ოლგა ვასილიევნას, ის კი არა, დედამისსა და გიორგი მაქსიმოვიჩსაც დაეუბრა. გიორგი მაქსიმოვიჩი შემსყიდველი კომისიის წევრი იყო და ვასინს ორი სურათი ჩაუგდო. ვასინიც ერთ მშვენიერ დღეს გამოთვრა, კარებს მოადგა და სულ უშვერი სიტყვებით ილანძღა. ოლგა ვასილიევნამ ქუჩაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამტირალევ ზიკას მოჰკრა თვალი. ახლა, მგონი, მართლა აღარ დადიოდა სერიოჟა ვასინებთან.

ოლგა ვასილიევნა დიდ დერეფანში სამზარეულოსაკენ მიდიოდა, რომ უეცრად კუთხიდან ზიკა გამოძვრა. მარტონი იყვნენ. მაშინვე ოლგა ვასილიევნასაკენ წამოვიდა, თვალი თვალში გაუყარა. „ნაღდი გიჟის თვალებია", — მოასწრო გაფიქრება. ზიკა მიუახლოვდა, პირისპირ დაუდგა, გაფითრებული ტუჩები შეარხია და უთხრა: „მე ყველაფერს მიგიხვდი, შე სულმდაბალო დედაკაცო, შენს ქმარს დაღუპავ და ის იქნება, თუმცა ჯანდაბას მისი თავი, მაგრამ თუ მე და ვალერას არ მოგვეშვები, იცოდე, გაგაქრობ! გაიგე?" და თავისი ნიჩაბივით ხელი მოუქნია.

ოლგა ვასილიევნა უკანმოუხედავად გაიქცა. შიში ცეცხლივით მოედო, გახსენებაც კი ზარავს...

იყო დრო, როცა ჩეხოვისა და სადოვაიას ქუჩების კუთხეში ფაინასთან ერთად ცხელ-ცხელ ბუბლიკებს ყიდულობდა. იქ ომამდეც ჰყიდდნენ ცხელ-ცხელ ბუბლიკებს, თითოს ექვს კაპიკად. ახლაც ახსოვს ის წარუხოცელი ბავშვური სიამოვნება: პატარა კვადრატული სარკმელი, გაწვდილი ხურდა და უმალვე იმ სურნელოვან სიღრმიდან კეთილი ხელით მოწოდებული თბილი, ახალგამომცხვარი მსუბუქი ბუბლიკი. მერე ღეჭვა-ღეჭვით, უდარდელად ჩასეირნება სადოვაიას გაყოლებით ცვეტნოი ბულვარზე. იქ ირეოდა ხალხი — იყო ცირკი, ბაზარი, იდგა ტაქსები, ნახავდი ბოშა ქალებს. იქვე იყო საკომისიო მაღაზია, კინოთეატრი, რა გნებავს, სულო და გულო! რესტორანი „ნარვაც" ხომ იქვე. გვერდით ჰქონდათ, როცა ერთმანეთის დაწყნარება, გულის გადაშლა უნდოდათ, — ფაინა მაშინ კრასნოგვარდეისკაიას ქუჩაზე კომუნალური სახლის ერთ ოთახში ცხოვრობდა, დედასთან, შვილთან, ქმართან და ვიღაც დავრდომილ ნათესავ ქალთან ერთად, ჭიანჭველებივით ამოშუშებულნი, აბა ლაპარაკი იქ სად შეიძლებოდა — ცვეტნოი ბულვარზე მიდიოდნენ. დარდიან გულზე ხან კინოში შევიდოდნენ, ხან ბაზარში. იყიდდნენ ხილს, ხან თაფლივით ტკბილ მსხალ „ბერეს", ხან საზამთროს, ხანაც ჭიქა მოხალული მზესუმზირით იქცევდნენ თავს, გაივლ-გამოივლიდნენ ბულვარში, ერთმანეთს თავის დარდს შესჩივლებდნენ და გულზეც მოეშვებოდათ.

— უსათუოდ რაიონის პროკურორს აცნობე,— ურჩია ფაინამ, — შეატყობინე მის სამსახურს, სადაც მუშაობს თუ აკვარელით რაღაცას თხუპნის.

ფაინას გაზეთში ვიღაც მეგობარი ჰყავდა. იქვე, ბულვართან, ავტომატიდან დაურეკეს და წერილის, უფრო სწორად ფელეტონის დაწერა სთხოვეს. ოლგა ვასილიევნას ბოლმა აღრჩობდა. უნდოდა იმ საზიზღარი, ხულიგნური საქციელისთვის შური ეძია და ერთი-ორი წლით მაინც შეეგდო ზიკა ციხეში. მაგრამ როცა შინ დაბრუნდა, თავის ტკივილსა და, მძიმედ ნაავადმყოფარივით, მოთენთილობას გრძნობდა. გადაწყვიტა, არავისთვის არ გაემხილა. რაღაც უსაშველოდ შეეცოდა სერიოჟა: რა დღეში ჩავარდება, ეს ამბავი რომ გაიგოს! ჰოდა, აღარც გაუმჟღავნებია არაფერი. იმ ცარიელი დერეფნის იქით აღარ წასულა ეს ამბავი, დედასაც არ გაუმხილა.

ცდილობდა არ გაეხსენებინა, დაევიწყა! მაგრამ ვასინების, კერძოდ, იმ დედაკაცის დანახვა დერეფანსა თუ საერთო სამზარეულოში ოლგა ვასილიევნას უკვე აღარ შეეძლო. თუმცა ახლა თვითონ ზიკაც გაურბოდა, თვალს არიდებდა. მალე შაბოლოვკაზე გადავიდნენ სერიოჟას დედასთან. ქალიშვილის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიკვდილის შემდეგ დედამთილი მარტო დარჩა. სერიოჟამ სთხოვა, დედასთან გადავიდეთო, და ოლგა ვასილიევნაც სიამოვნებით დაეთანხმა: იქ არ იყო ზეთის საღებავებისა და სკიპიდრის სუნით გაჟღენთილი გრძელი, უცნაური დერეფანი, არ იყო ღამის თავყრილობები, ღრიანცელი, არავინ დაობდა ფერებზე, ფრანგებზე, სუპერმატიზმზე, არ იყო გაცხოველებული სირბილი სართულებზე შემსყიდველი კომისიის მუშაობის დღეებში, არ იყო ცემენტის იატაკიანი ზიარი აბაზანა, კედელზე გაკრული წარწერა: „აბაზანაში ფუნჯის გარეცხვა სასტიკად აკრძალულია!“ არ იყო ზიარი სამზარეულო, არ იყო დედა, არ იყო გიორგი მაქსიმოვიჩი, ვისაც ჯერ კიდევ ჰქონდა მთელი სამყაროს თუ არა, სართულის მეზობლების გაოცების იმედი და ბოლოს არ იყო ვასინი და მისი ცოლი ზიკა. სამაგიეროდ, აქ იყო დედამთილი.

— იქნებ დედამთილთან რომ არ გეცხოვრათ... — გამოთქვა თავისი აზრი ფაინამ.

არა, ფაინა არ იყო სწორი. დედასთან ცხოვრება განა სერიოჟასთვისაც მწარე გამოცდას წარმოადგენდა? მიზეზი მოხუცი რომ ყოფილიყო, გული ოლგას უნდა გაჩერებოდა და არა სერიოჟას. თუმცა დედამთილის განუწყვეტელი ჭკუის სწავლება უთუოდ ემატებოდა რაღაც ძირითადსა და მთავარს. ორმოცი წლის შემდეგ მამაკაცებს უცნაური რამ ემართებათ, ზოგი საბოლოოდ მშვიდდება, ზოგს კი, პირიქით, სულიერი შფოთი აიტანს. სერიოჟა სწორედ ასეთმა სულიერმა შფოთმა შეიპყრო. ყველაფერი შეუმჩნევლად დაიწყო, მას აქეთ, რაც პრასკუხინმა ინსტიტუტში გადაიბირა. მართალია, მუზეუმში არც ფული იყო და არც იმედი რამისა, სამაგიეროდ წარმოუდგენელი სიმშვიდე სუფევდა, ინსტიტუტში კი გაუთავებელი ფორიაქი, დაპირებანი, იმედები, გეგმები, ვნებათაღელვანი, დაჯგუფებები, საშიშროება ყოველ ნაბიჯზე. პრასკუხინი დემჩენკოს ებრძოდა, დემჩენკო კისლოვსკის, იქით გენკა კლიმუკმა წამოჰყო თავი. მერე სადისერტაციო თემის გამოცვლასთან დაკავშირებით ატყდა ერთი ამბავი. სერიოჟა აქეთ-იქით აწყდებოდა, ჯერ ერთი თემა უნდოდა, მერე მეორე, მერე მესამე. ხან მოსკოვის ქუჩების ისტორიაზე შეჩერდა, ხან მეფის საიდუმლო პოლიციაზე, ხან სულაც სხვა თემაზე ეჭირა თვალი. სწორედ ამ წრიალმა დაღუპა. პირველად გატაცებით იწყებდა, მერე გაუქრებოდა ეს გატაცება და ისევ რაღაც ახლისკენ ილტვოდა ეს ნიადაგ საითლაც მიმსწრაფი, უიღბლო კაცი.

ღმერთო ჩემო, განა რა მოხდა ასეთი! იგი ხომ სერიოჟას არასოდეს საყვედურობდა, განა როდისმე მოუთხოვნია შეუძლებელი? არა აქვთ იალტაში წასასვლელი ფული — რა უშავს, ვასილკოვოში იცხოვრებენ დეიდა პაშასთან. არაა ტელევიზორის ფული — არც ამით დაშავდება რამე, რადიოს მოუსმენენ. მთელი ცხოვრება არასოდეს დასცდენია: აი იმან უკვე რას მიაღწია, შენ კი ისევ ისე ხარ, წინ არ წასულხარო. არასოდეს წაუქეზებია, წელებზე ფეხი დაიდგი, თავი შეაკალიო. სხვისი გამარჯვება ოლგას არ აღიზიანებდა.

პირიქით, ყოველთვის იმას ეუბნებოდა: არ გვინდა ეს შენი დისერტაცია! ოღონდაც ჯანმრთელად იყავი. დარჩი უმცროს მეცნიერ მუშაკად. ღვთის გულისათვის, ნუ წვალობ, შუბლით კედელს ვერ გაანგრევ, შენი შუბლი ამას ვერ გაუძლებსო.

სიმართლე თუ გნებავთ, უფრო დედამთილი განიცდიდა, მისი შვილი სხვებივით წინ რომ არ მიიწევდა.

ალექსანდრა პროკოფიევნას არ უყვარდა სერიოჟას სკოლის ზოგიერთი ამხანაგი. იმათ უკვე რაღაც მიზანს მიაღწიეს და როცა სტუმრად მოდიოდნენ, ცოტა არ იყოს, ცივად ხვდებოდა. დედამთილს სწამდა, რომ შესანიშნავი ვაჟი ჰყავდა და უკეთესი ხვედრის ღირსად მიაჩნდა. ოლგა ვასილიევნასათვის კი უცხო იყო პატივმოყვრული წუხილი. მას სულ სხვა რამ ტანჯავდა. რა თქმა უნდა, მუზეუმმა სერიოჟას შვიდი წელი უქმად დააკარგვინა, არაფერი არ მისცა, მაგრამ დამნაშავე თვითონ იყო. რად აედევნა ფუჭ ოცნებებს, თუმცა არც ისინი იყვნენ მასთან მართალნი, ისინიც სტყუოდნენ, ვინც გარს ეხვია! სტყუოდნენ უსინდისოდ: არ შეაჩერეს ეს უქმად მბრუნავი ბორბლები...

დაკარგა შვიდი წელი, სწორედ ის წლები, როცა მისი თანატოლები გაფაციცებული ილტვოდნენ, როგორმე წინ წასულიყვნენ. ეს კი ცხოვრობდა ისე, თითქოს წინ ორმოცდაათი წელი ედო. ჰქონდა რაღაც გეგმები, იქექებოდა არქივებში, უთანხმდებოდა გამომცემლობას მისი წიგნის დაბეჭდვის თაობაზე. იყო ვიღაც ილია ვლადიმეროვიჩიც, ამ საქმის წინ წაწევას რომ პირდებოდა, მაგრამ ბოლოს მაინც ყველაფერი უშედეგოდ დამთავრდა.

უამრავი შეხვედრის, ტელეფონით საუბრების, ღვინოსა თუ ჩაიზე ბაასის შემდეგ ილია ვლადიმეროვიჩმა სრული უმაქნისობა გამოამჟღავნა. ალექსანდრა პროკოფიევნა ბრაზობდა: „ყველა ოხერი შენ როგორ უნდა აგეკიდოს?“ სერიოჟა თავს იცავდა და იმ გაიძვერებსაც ამართლებდა, ასე ურცხვად რომ ატყუებდნენ: „ჰო, მაგრამ ილია ვლადიმეროვიჩი ხომ გამომცემლობის დირექტორი არ არის, იგი ისეთივე კლიენტია, როგორც მე“.

გადიოდა წლები — ამასობაში ირინკა წამოიზარდა და სკოლაში წავიდა. გამოიცვალეს ბინა, გააკეთეს კაპიტალური რემონტი, დააგეს პარკეტი. თვითონ ოლგა ვასილიევნა ჯერ უფროსი მეცნიერი მუშაკი გახდა, მერე სამეცნიერო საკვლევი ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგედ გადაიყვანეს. სერიოჟას ამდენი წვალება და ჯახირი წიგნის გამოცემაზე უშედეგოდ დამთავრდა. ვერ გამოსცა „ათას ცხრაას თვრამეტი წლის მოსკოვი“. მართალია, ამ წიგნიდან ზოგიერთი მასალა გამოიყენა დისერტაციის პირველ ვარიანტში, მაგრამ შემდეგ ის ვარიანტიც უკუაგდო. გაუჩნდა ახალი თემა: თებერვალი და მეფის საიდუმლო პოლიცია. აქაც მიადგა რაღაც ჩიხს, რაღაც გადაულახავ კედელს. მერე ერთმანეთს გადაება ათასგვარი უსიამოვნება, კლიმუკთან წაჩხუბება, სიარული სანაპიროზე მდებარე სახლში და მასთან დაკავშირებული ამბები, კლიმუკის ღალატი...

ოლგა ვასილიევნა გამომეტყველებაზე ამჩნევდა ყველაფერს სერიოჟას, სცნობდა მის ნაბიჯებს. ხმა რომ შეეცვლებოდა, იცოდა, მორიგი მარცხი იგემა ან ახალი ოცნების ბურანში გაეხვიაო.

მაშინ როცა ერთმანეთი გაიცნეს, სერიოჟა, რასაკვირველია, სულ სხვანაირი იყო.

წლიდან წლამდე წარუმატებლობა და მარცხი ნელინელ აცლიდა ძალებს, დრეკდა, აძაბუნებდა, თუმცა რაღაც შინაგანი ღერძი ხელუხლებელი რჩებოდა. დიახ, ეს ღერძი ფოლადის წნელივით იღუნებოდა, არა ტყდებოდა. სწორედ ეს იყო უბედურება. არ უნდოდა შინაგანად შეცვლილიყო, ეს კი ნიშნავდა, რომ თუმცა ძალიანაც ტანჯავდა მარცხი, ეკარგებოდა საკუთარი თავის რწმენა, აკეთებდა ისეთ სისულელეებს, იფიქრებდი, უკვე გონება დაუკნინდაო, ეუფლებოდა სასოწარკვეთა და თავის საწყალ გულს ასკდე-

ბოდა, მაინც არ უნდოდა სხვათათვის უხილავი ამ ფოლადისებური ღერძის დამსხვრევა. ოლგა ვასილიევნას კვლავ ძველებურად უყვარდა, ყველაფერს პატიობდა, მისგან კი არაფერს ითხოვდა.

დაკრძალვიდან სამი კვირის შემდეგ ოლგა ვასილიევნას ბეზიაზიჩნი ეახლა. ქალი პირადად არ იცნობდა ამ კაცს, გვარი კი გაეგონა, მაგრამ რასთან დაკავშირებით, ეს ვეღარ გაეხსენებინა. მგონი, სერიოჟას „საქმის" განხილვაში მონაწილეობდა, ის კი აღარ ახსოვდა, ვის მხარეზე იყო. როგორც სერიოჟამ თქვა, მაშინ თანამშრომლები სამ ჯგუფად გაიყვნენ. იყო რამდენიმე არამზადა, იყვნენ ისეთნი, თავს რომ იკავებდნენ, და ისეთნიც, ყოვლად უმწიკვლოდ რომ იქცეოდნენ. ოლგა ვასილიევნა ღელავდა, არ იცოდა, რომელი ჯგუფის წევრი იყო ეს ბეზიაზიჩნი და როგორ ელაპარაკა მასთან. ბეზიაზიჩნის ვიღაც ხნიერი ქალი ახლდა, გვარად სოროკინა.

— მაპატიეთ, ჩემო ბატონო, მე აქ თქვენს მახლობლად გასტრონომში ვიყავი, — დამნაშავის ხმით წარმოთქვა სოროკინამ და რატომღაც თავის სურსათით სავსე ჩანთაზე მიათითა. ერთი-ორი წამი თვალიც კი აცეცა, სად წაეღო ეს ჩანთა. სხვა უკეთესი რომ ვერაფერი ნახა, ფეხსაცმელების შესანახ ყუთს დაადო. ოლგა ვასილიევნამ ჩანთას ხელი მოჰკიდა და ტელეფონის პატარა მაგიდაზე უსიტყვოდ დადგა.

— რა შესანიშნავი გასტრონომი გქონიათ, ჩემო ბატონო! „საექიმო" ძეხვს ისურვებთ, ჩემო ბატონო, თუ ტკბილ ხაჭოს. ჩვენს გასტრონომში კი იშვიათად ნახავთ, თუმცა ისიც დიეტურ გასტრონომად ითვლება...

ქალი როშავდა ამ სისულელეებს და ოლგა ვასილიევნას საოცრად მგრძნობიარე სახით მიჩერებოდა, ხმასაც ისეთი თანაგრძნობით სავსე კილო მისცა, თითქოს გასტრონომის ქება, რომლის მახლობლადაც არგუნა ბედმა ცხოვრება, ოდნავ მაინც შეუმსუბუქებდა ოლგა ვასილიევნას მწუხარებას. მაგრამ როცა შეამჩნია, ოლგა ვასილიევნა არ აჰყვა საუბარში, ქალმა ამოიოხრა. მერე პალტო და ქუდი მოიხადა და ერთხანს კრინტი არ დაუძრავს.

სერიოჟას სამსახურიდან თანამშრომლების მოსვლას ოლგა ვასილიევნა მწარე გულისტკივილით ელოდა, თუმცა ტკივილის მეტს სხვას აბა რას მოუტანდნენ. ყველას ტკივილი მოჰქონდა, გინდაც ზერელედ სცნობოდა სერიოჟა. მაგრამ რა ექნა, უნდა გაეძლო და რაც ჩქარა მოვიდოდნენ და წავიდოდნენ, მით უკეთესი იქნებოდა. ორივენი პროფკომიდან იყვნენ, როგორც ოლგა ვასილიევნა მიხვდა, რაღაც საზოგადოებრივი დავალების შესასრულებლად. კრემაცია და ურნის დასაფლავება უკვე მომხდარი იყო, დამკრძალავი კომისია დაიშალა. ასე რომ, ეს ადამიანები ან „საყოფაცხოვრებო კომისიის" წევრები იყვნენ ან რაიმე ამდაგვარ საქმეებთან დაკავშირებულნი. მოვიდოდნენ ცოტა ხნით. საუბრის გაგრძელების შემთხვევაში ხაჭოს ამჟავება ემუქრებოდა, მაგრამ ოლგა ვასილიევნას არ შეუთავაზებია, მაცივარში მოვათავსებო, თავს ძალა ვერ დაატანა. ბეზიაზიჩნი კარის წინ დაგებულ პატარა ნოხს ტკეპნიდა, აქეთ-იქით იცქირებოდა, რაღაცას გაურკვევლად ბურტყუნებდა. ოლგა ვასილიევნა ვერ მიუხვდა, რა უნდოდა. მერე უეცრად სტუმარმა ფეხსაცმელები გაიხადა და წინდების ამარა დარჩა. აჰა, არ უნდა იატაკი გააჭუჭყიანოს, გარეთ ტალახია, თითქოს ოლგა ვასილიევნას ახლა იატაკისათვის ცხელა.

რა უგრძნობი, მიუხვედრელი ადამიანები არიან! იძულებული შეიქნა იქვე კართან მიწყობილი სერიოჟას საზაფხულო ფეხსაცმელი მიეცა. თუმცა არც, ოლგა ვასილიევნასათვის იყო ეს სასიამოვნო და არც ამ კაცის მხრივ გახლდათ ლამაზი, სერიოჟას ფეხსაცმელი რომ წამოიცვა.

დედამთილი სამზარეულოში რაღაცას აკეთებდა. ოლგა ვასილიევნაც შევიდა და ქურაზე ჩაიდანი დადგა, რაღაცათი ხომ უნდა გამასპინძლებოდა. ალექსანდრა პროკოფიევნამ გამოსვლაზე უარი განაცხადა.

— არავისი დანახვა არ მინდა, ჯერ მოწამლავენ, კაცს სულს ამოხდიან, მერე კი მოდიან თანაგრძნობის გამოსახატავად. არც ვიცი, რაზე უნდა ველაპარაკო, — ბრაზიანად განაცხადა დედამთილმა.

ისე გამოდიოდა, რომ ოლგა ვასილიევნას შეეძლო ლაპარაკი ამ ხალხთან, რადგან, დედამთილის აზრით, ისიც უწამლავდა სერიოჟას სიცოცხლეს.

უნდოდა არ ეპასუხა, მაგრამ თავი ვერ შეიკავა:

— ამ ადამიანებს სულაც არ მოუწამლავთ სერიოჟასთვის სიცოცხლე, რა საჭიროა ზედმეტი ლაპარაკი. ესენი უდანაშაულონი არიან, მოვიდნენ ჩვეულებრივი ყურადღების გამოსახატავად. საერთოდაც, სერიოჟასთვის არავის არ მოუწამლავს სიცოცხლე.

— კი, კი, მოუწამლეს, — წარმოთქვა ალექსანდრა პროკოფიევნამ და სამზარეულოდან გავიდა.

ოლგა ვასილიევნა ტაბურეტზე ჩამოჯდა და ერთი-ორი წუთი გაუნძრევლად იჯდა: გული ამოვარდნაზე ჰქონდა. არა, სერიოჟასთვის არავის მოუწამლავს სიცოცხლე, მას შეუგნებლად ვნებდნენ და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაცეებს თავიანთი მიზნების მიღწევა სურდათ. ეს კი სულ სხვა ამბავია.

ოლგა ვასილიევნამ გაიგონა, როგორ შევიდა ალექსანდრა პროკოფიევნა თავის ოთახში და კარი ჩაიკეტა. უხერხული იყო ამ უცხო ადამიანების წინაშე. თუმცა ჯანდაბას! რაღა მნიშვნელობა აქვს. ოლგა ვასილიევნა წამოდგა და დიდ ოთახში ვაზით რაღაც შეიტანა. ღრმა მწუხარების გამოხატვის ნიშნად პროფკომის წარმომადგენლები მაგიდასთან გაუნძრევლად ისხდნენ. მხოლოდ იატაკზე ერთ წერტილს მიჩერებული ქალი ნელა უქნევდა თავს. უთუოდ ეგონა, ამ თავის ქნევით ჭეშმარიტ თანაგრძნობას გამოხატავდა. „რა სულელი ქალია“, — გაიფიქრა ოლგა ვასილიევნამ.

ბეზიაზიჩნი უმალვე წამოხტა: ნუ წუხდებით, ჩაი არ გვინდა, ჩვენ მხოლოდ ერთი წუთით შემოვიარეთ. ამ მოკლეფეხება, ლოყაწითელ, ჯანმრთელი იერის კაცს თმა სულ მთლად გაჭაღარავებოდა. ვერ გაარკვევდი, რა ხნის კაცი იყო, ალბათ ასე ორმოცდაათი წლისა თუ იქნებოდა. დაბამბული, დაჭმუჭნული, განიერი პიჯაკი ეცვა. „ალბათ ზანდუკიდან საგანგებოდ ამოიღო, რომ ქვრივთან ამ შავი კოსტიუმით მოსულიყო“, — გაიფიქრა ოლგა ვასილიევნამ.

— აი, სერგეი აფანასიევიჩის ნივთები მოვიტანე... — სტუმარმა პორთფელიდან ამოლაგება დაიწყო. ამოიღო სიგარეტების ჩასაწყობი რკინის პატარა კოლოფი, სახაზავი, სამგზავრო დასაკეცი დანა, სერიოჟა ალბათ კონსერვის გასახსნელად ან საცობის ამოსაძრობად ხმარობდა განყოფილების „ამფსონებთან“ თავშეყრის დროს, სამი გაქექილი წიგნი, გრძელტარიანი სავარცხელი, 1969 წლის ფებბურთის კალენდარი, „ინოსტრანნაია ლიტერატურას“ ერთი ნომერი და რაღაც ძველთაძველი უბის წიგნაკი. ყოველ ნივთს ისეთი სიფრთხილით იღებდა. გეგონება, შუშაა და გატეხვის ეშინიათ.

ოლგა ვასილიევნა გაშეშებული მიჩერებოდა ქმრის ამ ნივთებს, რატომ-ღაც უკან რომ მოუბრუნეს. უყურებდა და ფიქრობდა: „ალბათ ძნელია უცქერო მკვდარი ქმრის ნივთებს, მაშ რატომღა აკეთებენ ამას?“ უნდოდა ხელი დაევლო და ყველაფერი გადაეგდო, მაგრამ არა, ფრთხილად მოაგროვა და ფანჯრის რაფაზე გადააწყო, თვალს მოაშორა.

მერე ბეზიაზიჩნიმ კონვერტი გაუწოდა და რაღაც უთხრა. ოლგა ვასილიევნამ მადლობა გადაუხადა და ჩაი დაასხა. კონვერტში პროფკომიდან გამოგზავნილი ფული იდო. ბეზიაზიჩნი თან ჩაის სვამდა და თან ჰყვებოდა, თუ როგორ განიცდიან განყოფილებაში სერიოჟას სიკვდილს, როგორ აკლიათ მისი თავი, იქ ხომ სერიოჟა ბევრს უყვარდა. ეს სიტყვა გულზე მოხვდა ოლგა ვასილიევნას, თითქოს გამოაფხიზლაო. რატომ ბ ე ვ რ ს უ ყ ვ ა რ დ ა! წესით ასე უნდა ეთქვა: „ის ხომ ყველას უყვარდა“, ანდა „ჩვენთან ხომ უყვარდათ იგი“ ანდა უბრალოდ ერთი სიტყვა „უყვარდათ“. მაგრამ თქვა სხვაგვარად, ბევრს უყვარდაო, ეს კი იმას ნიშნავს, რომ იყვნენ და ახლაც არიან ადამიანები, რომელთაც არ უყვარდათ და არც ახლა უყვართ, როცა იგი აღარ არის. რა თქმა უნდა, ოლგა ვასილიევნას ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ იყო ასეთი რამდენიმე ადამიანი, მაგრამ მოსვლის პირველსავე წუთებში ქვრივისათვის ამის თქმა როგორღაც უცნაურად მოეჩვენა.

ოლგა ვასილიევნა ყურადღებით მიაჩერდა ბეზიაზიჩნის. ცდილობდა როგორმე მოეგონებინა, როგორ ახასიათებდა ამ კაცს სერიოჟა, მაგრამ ვერაფერი გაიხსენა.

— თქვენ ისე ჰყვებით, თითქოს სერგეი აფანასიევიჩი ბოლო დღემდე თქვენთან იყო, თითქოს ინსტიტუტში წასვლის განცხადებაც არ დაეწეროს. იგი ხომ სინამდვილეში თავს დათხოვნილად თვლიდა, — ჩაურთო ოლგა ვასილიევნამ.

— ოო, ეს კი არ არის სწორი! თქვენ ცდებით! — წამოიძახა ბეზიაზიჩნიმ და ხელი გულზე მიიდო. — მე ვიცი იმ განცხადების ამბავი. ჯერ ერთი, საკითხი ღიად დარჩა იმ, ასე ვთქვათ, უბედურ დღემდე... დირექტორი შვებულებაში გახლდათ. გენადი ვიტალიევიჩს კი ამ საკითხის განხილვა გადაჭრით არ უნდოდა...

— ვის არ უნდოდა, გენადი ვიტალიევიჩს? რას ამბობთ, ყველაზე მეტად სწორედ მას უნდოდა, მაგრამ სხვისი ხელით.

— მერწმუნეთ, რომ ცდებით.

— არა, არ ვცდები.

ამ კაცს უმიზეზოდ არ უთქვამს, ბ ე ვ რ ს უ ყ ვ ა რ დ ა ო, წამოსცდა ეს სიტყვები. უკვე აშკარაა, სერიოჟას მტერია, ყოველ შემთხვევაში, მის მტრებს თანაუგრძნობდა. ნუთუ ასე სულმდაბლები არიან, რომ სერიოჟას მტერს უგზავნიან აქ და ისიც ასეთი დავალებით?

— სერგეი აფანასიევიჩი, ჩემო ბატონო, სწორედ ჩვენ სექტორში მუშაობდა, — მთრთოლვარე ხმით ალაპარაკდა ქალი, სათვალე მოიხსნა, ღაბაბიანი ნიკაპი მკერდს დაადო და ცხვირსახოცით სათვალეს წმენდა დაუწყო. ატირებული გამომეტყველება ჰქონდა, ხმა თითქმის ჩაუწყდა. — რევოლუცია, ჩემო ბატონო, სამოქალაქო ომი. მე და სერიოჟა შვიდ წელიწადს ერთად ვმუშაობდით... იგი შესანიშნავი ადამიანი იყო, ძალიან კეთილი, გულისხმიერი, კარგი კაცი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაბაბიანი ნიკაპი უთრთოდა... ოლგა ვასილიევნა ქალს ცივად მიჩერებოდა.

— საინტერესოა, თქვენ ორთავემ ვის მიეცით ხმა, როცა სერიოჟას საქმე ირჩეოდა? — იკითხა ოლგა ვასილიევნამ.

ქალი შეკრთა, თვალები გაუფართოვდა, აცაბაცა წაუვიდა. რა თქმა უნდა, ოლგა ვასილიევნამ უხეშად ჰკითხა. უთუოდ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა სტუმრები, მაგრამ ისინიც ხომ სხედან აქ, სვამენ ჩაის, ლაპარაკობენ სერიოჟაზე...

— მე კენჭისყრაში საერთოდ არ მიმიღია მონაწილეობა, მივლინებაში გახლდით პოლონეთში, — თქვა ბეზიაზიჩნიმ და ხელი ჩაიქნია. — საერთოდაც...

მის ხელის მოძრაობასა და კილოში მხოლოდ ეს იგრძნობოდა: ღირს კია იმ სისულელის მოგონება?

— მე კი, ჩემო ბატონო, — დაიწყო სოროკინამ, — ხმა მივეცი, რომ შენიშვნები... — ქალი გაწითლდა, — ეს იყო ერთადერთი, რის გაკეთებაც შეიძლებოდა მაშინდელ პირობებში.

სწორედ ამ დროს ოთახში ირინკა შემოვიდა, უფრო სწორად, შემოვარდა და დედას მანეთნახევარი სთხოვა, თანაც აჩქარებდა, მალე მომეცი, ვიდრე უნივერმაღი დაიკეტებაო. სათქმელს რომ მორჩა, სტუმრები მერეღა შეამჩნია, შემობრუნდა და მიესალმა:

— გამარჯობათ!

ოლგა ვასილიევნამ ირინა სტუმრებს წარუდგინა. გოგონამ ალერსიანი, მომხიბვლელი ღიმილი დააფრქვია, როგორც იცოდა, როცა ფულის დაცინცვლა უნდოდა.

ოლგა ვასილიევნამ ხურდა ფულის ძებნაში კარგა ხანს ქექა ჩანთა.

—ოი, ამას რას ვხედავ! — სიხარულით წამოიძახა ირინამ და რაფასთან მიიჭრა. — რამდენს ვეძებდი! აქ საიდან გაჩნდა? — და მაშინვე გრძელტარიან სავარცხელს წაავლო ხელი.

— ეს მამას სამსახურიდან მოიტანეს. აჰა, შენ მანეთნახევარი.

— ჰოო... — წარმოთქვა გოგონამ და სავარცხელი ისევ რაფაზე დადო, მაგრამ ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ მაინც იკითხა: — დედა, შეიძლება წავიღო ეს სავარცხელი? ხომ გახსოვს, მე რომ მიყიდე!

— წაიღე, — ცივად მიუგო ოლგა ვასილიევნამ.

ირინკა გაიქცა. ეტყობა, ვიღაც უცდიდა შემოსასვლელში, მოისმა ჩურჩული და მერე კარიც გაჯახუნდა. სტუმრები ჩუმად ისხდნენ. ან რაღაზე უნდა ელაპარაკათ. გეგონებოდა, ახლა ადგებიან და წავლენო, მაგრამ ბეზიაზიჩნიმ სერიოჟას დაუმთავრებელ დისერტაციაზე ჩამოაგდო სიტყვა: სამეცნიერო საბჭოს აზრით, — არა, ჯერ გადაწყვეტილი არ არის, მაგრამ დაბეჯითებით კი ითხოვენ — სამუშაო ინსტიტუტმა უნდა დაამთავროს და წიგნად გამოსცეს. გამოყოფენ მუშაკებს. სამუშაო დაგეგმილია და მთელი განყოფილებაა დაინტერესებული. საჭირო იქნება გამოუყენებელი მასალების შერჩევა, უნდა მოიძებნოს ყველაფერი, რაც სერგეი აფანასიევიჩს საქაღალდეებში თუ სამუშაო მაგიდაზე დარჩა. ყველას თქვენი დახმარების იმედი აქვს.

ოლგა ვასილიევნა გრძნობდა, თანდათან როგორ წაეკიდა ბრაზი.

— მე ამ საქმეს მხოლოდ მაშინ მოვკიდებ ხელს, როცა საამისო ძალა და დრო მექნება, ახლა ვერაფრის ძებნას ვერ დავიწყებ.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! ვსევოლოდ ბორისოვიჩ, ეს თავისთავად იგულისხმება, — აქაქანდა სოროკინა, — როცა ოლგა ვასილიევნა შეძლებს...

— ეს ხომ ოლგა ვასილიევნასათვისაც არის კარგი, — მტკიცედ წარმოთქვა ბეზიაზიჩნიმ.

დერეფანში ბეზიაზიჩნიმ თავის თანამგზავრ ქალს პალტო მიაწოდა და მოულოდნელად უთხრა:

— ბოდიშს ვიხდი, პოლინა რომანოვნა, მაგრამ ვერ გაგაცილებთ. ოლგა ვასილიევნას ორი სიტყვა უნდა ვუთხრა.

ისევ ოთახში შემობრუნდნენ. ოლგა ვასილიევნას არ უნდოდა დერეფანში, დედამთილის ოთახის წინ ესაუბრა, იგრძნო, რაღაც უსიამოვნო უნდა გაეგონა.

ბეზიაზიჩნიმ თქვა, რომ ძალზე ეჩოთირება ამ თემაზე საუბარი, მაგრამ როგორც ურთიერთდამხმარე სალაროს მმართველობის თავმჯდომარე, იძულებულია მაინც უთხრას.

— დიახ, უნდა მოგახსენოთ, რომ სერგეი აფანასიევიჩმა სალაროდან წაიღო ას სამოცი მანეთი იმ პირობით, რომ ნახევარი წლის მანძილზე დააბრუნებდა, მაგრამ გავიდა თითქმის ორი წელი და ფული არ დაუბრუნებია. სალარო ცარიელია. თანამშრომლები პატარ-პატარა სესხებსა გვთხოვენ, დაკმაყოფილება კი არ შეგვიძლია...

ოლგა ვასილიევნა განაცვიფრა სტუმრის სიტყვებმა.

— ამდენი ფული მე არა მაქვს, — წყნარად წარმოთქვა ქალმა.

— კაცმა რომ თქვას, საქმე შემდეგნაირადაა... როგორც მოგეხსენებათ, ჩვენ არა გვაქვს უფლება... ეს მხოლოდ მეპაიეთა საერთო კრებამ უნდა ჩამოგაწეროთ, მაგრამ ისურვებდით კია... — ბეზიაზიჩნი ლუღლუღებდა, ღაჟღაჟა პირსახე ისე ემანჭებოდა და ისე ნაძალადევად აცემინებდა ცხვირს, გეგონებოდა, ამ გზით უნდა თავისი დაბნევა გამოხატოსო. — მერწმუნეთ, ძალიან არ მსიამოვნებს... მაგრამ რაკიღა მე მევალება...

ოლგა ვასილიევნამ უთხრა, რომ სერიოჟას შემნახველ სალაროში ასი მანეთი ჰქონდა. მაგრამ ამ ფულის გამოტანა ჯერ არ შეუძლია, ვიდრე ძალაში არ შევა მემკვიდრეობის უფლება. ურთიერთდამხმარე სალაროდან გამოტანილი იმ ას სამოცი მანეთის ამბავი კი პირველად ესმის.

— როდის გაიტანა ეს ფული?

ბეზიაზიჩნიმ ჯიბიდან ბლოკნოტი ამოიღო და გადაფურცლა: ფული სამოცდათერთმეტი წლის 5 მარტს იყო გაცემული. საიდან გამოტყვრა ეს ყველაფერი? რაში უნდა დასჭირებოდა ფული? ალბათ ვიღაც ქალისთვის. გონებამ მაშინვე ეს უკარნახა და ალმურიც მოედო, მაგრამ სავსებით მშვიდად უპასუხა:

— მე ნამდვილად პირველად მესმის. საოცარია, ყოველთვის მიმხელდა თავის ვალებისა თუ ხარჯების ამბებს...

ასეთი პასუხი მთლად სიმართლედ ვერ ჩაითვლებოდა, მაგრამ ზოგადად მაინც მართალი იყო.

— თუ ასეა, მით უფრო სამძიმოა ჩემთვის. მაპატიეთ, — ბეზიაზიჩნი ერთხანს დუმდა, მერე დასძინა:

— შევეცდები, ყველაფერი გავაკეთო, დავარწმუნო გამგეობის წევრები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავუხსნა მდგომარეობა... შესაძლოა, თქვენ წერილის დაწერა მოგიხდეთ, რასაც შევიძლებ, ყველაფერს გავაკეთებ! — ბეზიაზიჩნი ხელებს გულზე იწყობდა, თავს დაბლა ხრიდა. — ამხანაგების უმრავლესობა სერიოჟასადმი კეთილად იყო განწყობილი, ასე რომ იმედი მაქვს... ზოგიერთებს სულაც წინასწარ მოველაპარაკები...

ასე გულზე ხელის დებითა და ბუტბუტით გავიდა ოთახიდან დერეფანში. თითქოს ყველაფერი ითქვა. ეს ამბავიც მორჩა. მაინც რატომ გადმოსცეს ფული, თუ თვითონვე უკან ითხოვენ? ვერაფერს მიმხვდარიყო. ოლგა ვასილიევნა შესცქეროდა ამ დაბალ, ჭალარა კაცს, ორმოცდაათიანი წლების დროინდელ შავ დაჭმუჭნულ კოსტუმში რომ გამოწყობილიყო, და რას ლაპარაკობდა, თვითონაც აღარ ესმოდა.

დამშვიდობებისას ბეზიაზიჩნი ისევ სერიოჟას დაუმთავრებელ სამუშაოს დაუბრუნდა.

— მაშასადამე, თქვენ დაგირეკავენ მონოგრაფიის თაობაზე. გთხოვთ როგორმე შესძელით და მონახეთ ის საქალალდე, როგორც მოგახსენეთ, ვარდისფერი ზონრები რომ აქვს.

წინათ, როცა ოლგა ვასილიევნას რაიმე უეცარი უსიამოვნება გამოუტყვრებოდა, როცა არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, ყოველთვის სერიოჟას უხსნიდა გულს, ჩვეულებრივ ღამით, ძილის წინ, ირინკა რომ დაიძინებდა და დედამთილიც მიიხურავდა თავისი ოთახის კარს. სერიოჟამ საკუთარ საქმეებს ვერ გაართვა თავი, თორემ ცოლს ჭეშმარიტად საზრიან რჩევებს აძლევდა ხოლმე. ადვილად უამებდა განაწყენებასა და გულის ტკივილს. ახლა ვის, ვის შესჩივლოს? დედამთილს არ უნდა სცოდნოდა, ნიშნის მოგების მეტს ვერაფერს გამორჩებოდა, საკუთარი შეხედულების დადასტურებად მიიჩნევდა, ერთმანეთის გამგები ცოლ-ქმარი არ იყავით, სერიოჟას საკუთარი ცხოვრება ჰქონდაო. ოლგა ვასილიევნას მტანჯველი ფიქრები მოეძალა. არა, ეს არ იყო ეჭვიანობა, ახლა რაღაც სულ სხვაგვარ განცდას აეტანა: თითქოს ფერფლად ქცეულიყო ეჭვები, თითქოს ხელში სწორედ ამ უცნაური ფერფლით სავსე ურნა შეაჩეჩეს. ეჭვები უკვე აღარ არსებობდა, მაგრამ დაფერფლილი მათი ნეშტი კი გულთან მიკრულ ხელში ეჭირა.

რატომღაც სჯეროდა, რომ აქ ქალი იყო გარეული. ჰო, ფერფლი, ფერფლი, სხვა არაფერი. მაგრამ ხელები მაინც უკანკალებდა. შემნახველ სალაროში ოლგა ვასილიევნას ორას ოთხმოცდაათი მანეთი ჰქონდა თავის წიგნაკზე, ტელევიზორის შესაძენად ორთავეს მიერ ნაგროვები. ახლა ამ ფულის გამოტანა ასეთი საეჭვო ვალის დასაფარავად სისულელედ ეჩვენებოდა.

— დედაკაცო, ნუ ქოთქოთებ! — ეტყოდა ხოლმე სერიოჟა.

ეს გახლდათ მისი საყვარელი სიტყვები, იყო თუ არ იყო საჭირო, დღეში ათჯერ მაინც რომ იტყოდა. ეს ვაჟბატონებიც კარგები ყოფილან! ჯერ ერთი თვეც არ გასულა და ქვრივთან ვექსილით მორბიან! მაგრამ ერთი რამ ქალმა მტკიცედ იცოდა: მას და სერიოჟას ჭეშმარიტი სიახლოვე ჰქონდათ. უფრო ახლობელი სერიოჟას არავინ ჰყოლია. ისე რომ დედამთილს ურჩევნია გაჩუმდეს. ბოლო წლებში დედას აღარაფერს უმხელდა სერიოჟა, უმალავდა თავის ამბებს. განა ერთხელ უთქვამს:

— ზოგი რამის ახსნა დედაჩემისათვის ვერ მომიხერხებია.

ალექსანდრა პროკოფიევნა ბევრ რამეს მართლაც ვერ ხვდებოდა და ეს

მიუხვედრელობა საოცრად აღიზიანებდა სერიოჟას. მათ შორის კი ეს არ ყოფილა. ოლგა ვასილიევნა ყველაფერს ზედმიწევნით ხვდებოდა, მის უბრალო ამოოხვრასაც კი. ჰოდა, კიდევაც რომ ჰყოლოდა ვინმე ქალი, ამას მნიშვნელობა არა ჰქონდა.

ასე არწმუნებდა საკუთარ თავს, ცდილობდა მშვიდი და აუღელვებელი ყოფილიყო, მაგრამ აბა სადღა იყო ეს სიმშვიდე. შველაც არავის შეეძლო. ფაინასაც ვერ მოუყვება, თავისებურად გაიგებს, გულში ალბათ მასაც გაუხარდება. მისი მიზანიც ხომ სწორედ ეგ არის, გამოიყვანოს ოლგა ვასილიევნა ამ მდგომარეობიდან და სერიოჟას თუნდაც ლაქა მოსცხოს. მაგრამ მას არა სჯეროდა, არ სურდა ერწმუნა! აქ რაღაც საიდუმლო იმალებოდა. ამ მტანჯველმა ფიქრებმა თავი აატკივა, ოლგა ვასილიევნამ ჩაიცვა, აიღო ჩანთა და ქუჩაში გავიდა.

ჟინჟღლავდა. გასტრონომში უკანასკნელი მუშტრები შედიოდნენ. ოცი წუთი აკლდა მაღაზიის დაკეტვას. ოლგა ვასილიევნა კარაქის, კეფირისა და ირინკასათვის ჩაიზე რამე ტკბილეულის ყიდვას აპირებდა. დამლაგებელი ქალი მყიდველებს ერეკებოდა და ბრაზიანად ბუზღუნებდა. ოლგა ვასილიევნა სალაროსთან პატარა რიგში ჩადგა. მერე რძის ნაწარმის დახლს მიადგა, გონებაში კი კვლავ თავის ფიქრებს უტრიალებდა. რამდენი ხალხია ირგვლივ, რამდენი ნაცნობი, რამდენი მეგობარი, მაგრამ აღარ ჰყავს უახლოესი ადამიანი, მაშასადამე, აღარავინ აღარ ჰყავს. მომავალში კი ყველაზე საშინელი რამ — მარტობა ელის. სიკვდილი და უბედურება უარესის მახარობელია მხოლოდ. როგორ იცხოვროს, როცა აღარ ჰყავს ის ადამიანი, ვისაც გულს გაუხსნის, ფიქრს გაუზიარებს? რიგში მდგარ ჩეკებიან ადამიანებს როგორღაც აფუსფუსებული, გაოგნებული იერი ჰქონდათ, თითქოს აქ შეცდომით შემოეხეტნენო. გასტრონომში საღამო ხანს შემოსულ, თავიანთ ფიქრებში გართულ ამ ხალხს ალბათ შინ აგვიანდებოდა. ასეთ დროს ხომ ჩვეულებრივ, საშინაო ჩუსტებში ფეხწაყოფილნი, ტელევიზორებს უსხედან ან სააბაზანოში წიკამაკოს რეცხენ ანდა სულაც სამზარეულოს მაგიდაზე ბაიკის ძველ საფენზე მოსწავლის ფორმას აუთავებენ. დიახ, ეს საქმეები ყველას წინ ელოდა, მაგრამ არა ჩქარობდნენ. გამყიდველები დინჯად მოძრაობდნენ. პირსახეზე ეტყობოდათ მთელი დღის ფეხჩაუხრელი შრომის კვალი.

ოლგა ვასილიევნას ზურგს უკან ნაცნობი ხმა შემოესმა და მიტრიალდა: ირინკა! მისი გოგონა მაღალ მაგიდასთან იდგა, სადაც ყავასა და ღვეზელებს ჭამენ ხოლმე, მაგრამ ახლა ყავა აღარ იყო, ბუფეტი უკვე დაეკეტათ. ირინკას თავისი მეგობარი ორი გოგონა ახლდა, თან ლაყბობდნენ და თან რაღაცას იღეჭებოდნენ. შეხედა ირინკას გრძელ, გაჩხინკულ ფეხებს, დამოკლებულ პალტოს, — ამ პალტოს დანახვისას ოლგა ვასილიევნას ყოველთვის გული წამიერად შეეკუმშებოდა, მაგრამ ახლის ყიდვაზე კრინტს არ ძრავდა, ირინკაც დუმდა: აი, შემოდგომა თითქმის იწურება, ზამთრისათვის კი საკმაოდ კარგი ქურქი აქვს. ქალიშვილის ამ აწოწილი, ოდანვ მოხრილი ტანისა და ახლანდელი მოდის მიხედვით ჩამოშლილი თმის დანახვამ ოლგა ვასილიევნას თავშეუკავებელი მოფერების სურვილი აღუძრა. თანაც ისეთი ძლიერი, კინალამ სირბილით მიეჭრა. „ჩემი ობოლი გოგო, — გაიფიქრა ლამის აცრემლებულმა. — მას ჯერ კიდევ არ ესმის, რას ნიშნავს ეს, მაგრამ მე ხომ ვიცი!“

ოლგა ვასილიევნამ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა გოგონებისაკენ. ყველაზე

მაღალი, ყველაზე ღარიბულად ჩაცმული, ყველაზე კეთილი, ყველაზე ლამაზი — აი ვინ არის ახლა მისი ყველაზე ახლობელი ადამიანი. მხოლოდ ამას უნდა გაენდოს, ამას გაუზიაროს ყველაფერი. ამ გოგოზე ახლობელი აღარავინ ჰყავს. ოლგა ვასილიევნა მაგიდას მიუახლოვდა. ირინას ყველაზე საყვარელმა ამხანაგმა, აღმოსავლელი ქალივით ფერმკრთალმა, ნუშისთვალება ლამაზმა დაშამ ოლგა ვასილიევნა დაინახა და ღიმილი შეცბუნებით შეეცვალა.

— აი თურმე სად ატარებენ დროს! — წარმოთქმა ოლგა ვასილიევნამ. — საინტერესოა, აქ რაზე მსჯელობთ?

— ჩვენ, ოლგა ვასილიევნა, საზოგადოებათმცოდნეობის გაკვეთილზე ვსაუბრობდით, სწორედ ხვალ გვაქვს და უნდა განვიხილოთ მეტად საინტერესო საკითხი — პიროვნება და საზოგადოება. ჰოდა, აი, ვბჭობდით, უკეთ როგორ მოვემზადოთ-მეთქი. — შემცბარი გამომეტყველება დაშას ლამაზ პირისახეზე დაცინვამ შესცვალა.

მეორე გოგონას სიცილი წასკდა. ირინკა წარბშეკვრით, მაგრამ ფარული აღტაცებით უყურებდა დაშას: წარბშეკვრა დედას ეკუთვნოდა, აღფრთოვანება კი, რასაკვირველია, დაშას. მერედა როგორ ძალიან უყვარდა საწყალ ირინკას ეს ურცხვი გოგო. ოლგა ვასილიევნას კი დაშა არ მოსწონდა, არაგულწრფელ, პრანჭია გოგოდ თვლიდა და, რაც ყველაზე ცუდი იყო, დროზე ადრე მომწიფებულად. ირინკას შემთხვევით წამოცდენილი სიტყვების მიხედვით ოლგა ვასილიევნამ დაასკვნა, რომ დაშას მეტად დახლართული პირადი ცხოვრება ჰქონდა, რომ არსებობდა ვიღაც მასზე ბევრად უფროსი კაცი, ვისაც დაშა მეგობრად იხსენიებდა. ღმერთმა უწყის, ვინ იყო ან რა მეგობარი იყო ეს კაცი. ოლგა ვასილიევნა მოხერხებულად ცდილობდა ირინასათვის კიდევ რამე დაეცდინა, მაგრამ ვერაფერი გამოტყუა. არ უნდოდა ერწმუნა ამ ამბის სიმართლე, გოგონები ხომ ჯერ ჩვიდმეტი წლისაც არ იყვნენ. ამ ასაკში ოლგა ვასილიევნა სწავლის გარდა არაფერზე ფიქრობდა. მერედა რაოდენ პასუხისმგებლობას ითხოვს მეათე კლასი!

— მგონი, უნივერმაღში რაღაც უნდა გეყიდა, ფული იმიტომ გამომართვი, — უთხრა დაშას თავხედობით გალიზიანებულმა ოლგა ვასილიევნამ ირინკას. — შენ კი, როგორც ვხედავ, ნამცხვრებსა და სიგარეტებში ფლანგავ. გოგოებო, აბა რატომ ეწევით პაპიროსს?

გოგონებმა რაღაც სასაცილო წაიბურტყუნეს, მგონი, განზრახ გაუგებრად და დაცინვით. ოლგა ვასილიევნამ იგრძნო, გოგონებს არ სიამოვნებდათ მისი იქ ყოფნა. სულელურად დარცხვენილი ირინკა დედას არც უყურებდა, სამაგიეროდ, ამხანაგების სიტყვებიდან ერთი არ ეკარგებოდა და როგორღაც აარაბუნებრივად კისკისებდა. ირინკას მეორე ამხანაგი ლენა კუკშინა ზანტი, უსიცოცხლო, დუდრუქანა გოგო იყო. ძალიან შეძლებული ოჯახის შვილს ზამშის პალტო ეცვა, ფუნთულა ხელზე თვლიანი ბეჭედი ეკეთა — რა საზიზღრობაა, წინათ ვერც ერთი გოგო სკოლაში ბეჭდის გაკეთებას ვერ გაბედავდა! — მის გვერდით მაგიდაზე ლამაზი დასაკეცი იაპონული ქოლგა იდო. ოლგა ვასილიევნამ ასეთი ქოლგა ერთ ნაცნობ ქალს უნახა. კუკშინას ეტყობოდა კიდეც უზრუნველობა და სიმდიდრე. ირინკას თქმით, კეთილი, გულისხმიერი გოგო იყო. მხოლოდ ის არ მოსწონდა, დაშას რომ უძვრებოდა. აბა დაშა ხომ ამათი ნამდვილი უგვირგვინო დედოფალი გახლდათ, ეს მოლეული გოგო, ესა; მისი სიტყვაც კანონი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ირა, წავიდეთ შინ, ვახშმობის დროა! — უთხრა ოლგა ვასილიევნამ და იდაყვზე წაავლო ხელი, ძალით გამოსაწევად კი არა, უბრალოდ, შვილისათვის უნდოდა ხელი შეეხო.

— დედა, მე როცა მომინდება, მაშინ მოვალ, — მკვახედ, უეცარი გაბრაზებით მიუგო ირინკამ.

— რას ნიშნავს, როცა მოგინდება?

— იმას ნიშნავს, რომ როცა მომინდება, მაშინ წამოვალ.

— არა, შენ ახლა ჩემთან ერთად წამოხვალ.

— არა, არ წამოვალ.

ოლგა ვასილიევნამ იგრძნო, როგორ მოაწვა ბრაზი.

— კი მაგრამ, როგორ მელაპარაკები... ასე... ისიც ახლა... — უთხრა მღელვარებისგან სუნთქვაშეკრულმა ქალმა.

— შენ როგორღა მელაპარაკები? იქნებ მეც შემემთხვა უსიამოვნება და გოგოებს მინდა ვუთხრა.

— აჰ, შენც შეგემთხვა, არა? — წამოიყვირა ოლგა ვასილიევნამ, — ეჰ, შე...

ქალი გატრიალდა და მალაზიიდან გავიდა.

ვიღაც დაეწია და მკლავზე ხელი მოჰკიდა.

— ოლგა ვასილიევნა! დაიცადეთ!

დაშა აღმოჩნდა. მისი თაფლისფერი ლამაზი თვალები კვლავ შიშით შეჰყურებდნენ ოლგა ვასილიევნას.

— ირამ მართალი გითხრათ, ერთ მეგობარ ბიჭთან ვერა აქვს საქმე კარგად — თქვენც იცნობთ ალბათ ბორიას. ჰოდა, ცოტა სალაპარაკო გვაქვს. თუნდაც მხოლოდ ათი წუთი. ახლა ისედაც გამოგვყრიან მალაზიიდან და ბულვარზე ჩავისეირნებთ.

— ირინა საძაგელი გოგოა, — ბრაზიანად წარმოთქვა ოლგა ვასილიევნამ.

მერე, როცა ლიფტით მერვე სართულზე ადიოდა, გუნებაში ფიქრობდა: ჭეშმარიტება აი ეს არის. მარტოდმარტო იმყოფება დახშულ ყუთში. შეგიძლია ლუსმნით ნაკაწრი წარწერები იკითხო, მაგრამ ვერავის ეტყვი შენს გულის ტკივილს. ვერავინ გაიგონებს. რა მნიშვნელობა აქვს, სადმე შახტში მარტოხელა კაცი მაღლა მიცოცავს თუ დაბლა, გააჩნია, რას ჩათვლი სიმაღლედ. „ვერავინ გაიგონებს“, ხმამაღლა წარმოთქვა ოლგა ვასილიევნამ. „ალო? ილაპარაკეთ ხმამაღლა!“ ზედ ყურთან მოესმა გუგუნა, უსიამოვნო ხმა.

ქალი შეკრთა: თურმე დისპეტჩერი გამოეპასუხა მესამე კორპუსიდან. როცა გჭირდება, ყვირილსაც ვერ გააგონებ, ახლა კი გაიგონა. მაშასადამე. უნდა ილაპარაკო, იყვირო, თუნდაც ირგვლივ მარტო შიშველი კედლები გერტყას. ვიღაცა მაინც გაიგონებს.

ირინკა ათი წუთის მაგივრად ერთი საათის შემდეგ მოვიდა. ოლგა ვასილიევნამ უკვე აპატია ყველაფერი, როგორც კი კარი შემოაღო და თავდახრილი, სრუტუნ-სრუტუნით შემოვიდა. რა თქმა უნდა, გაიყინა, აბა რას უზამდა იმ თხელ პალტოში მთელი საათი ბულვარზე სეირნობა. როცა დაინახა შემცბარი, დამნაშავე, ბავშვური პირსახე, კვლავ სიბრალულისა და ალერსის ტალღამ გადაუარა. „რა უსინდისო ვარ! რატომ ვუყვირე? — გაიფიქრა გულაჩუყებულმა ოლგა ვასილიევნამ. — ეს ხომ ობოლი, უმამო გოგოა, არა ჰყავს დამცველი. მე თუ არ შევიბრალე, მაშ ვიღა შეიბრალებს...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლგა ვასილიევნამ უხმოდ გადაუსვა შვილს თმაზე ხელი. გოგონა უეცრად მიეკრა დედას, ჩაეხუტა. ხან ლოყაზე უსლაგუნებდა თავის გაყინულ ცხვირ-პირს და ხან ყურზე, რაღაცას საწყლად ბუტბუტებდა. ბუტბუტებდა ოლგა ვასილიევნაც, თუმცა ერთმანეთის არაფერი ესმოდათ. ყველაფერი ეს სულ რაღაც ორიოდ წამში მოხდა. მერე, ასევე გადახვეულები, სამზარეულოში გავიდნენ. ცრემლებს ძლივს იკავებდნენ. უნდოდათ მარტო დარჩენილიყვნენ, სულ მარტო, ბებიის გარეშე, იმიტომ რომ ერთმანეთზე ახლობელი ადამიანი მათ არ ჰყავდათ. იქ დიდხანს ისხდნენ, დალიეს ჩაი. ირინკამ ბორიას ამბებიც გაანდო. საერთოდ გულჩათხრობილი გოგო იყო, იშვიათად უზიარებდა გულისნადებს, თვითონ უმკლავდებოდა, თუ რამ გასაჭირი შეხვდებოდა თავის პატარა ცხოვრებაში. ეს განდობა კი ნიშნავდა, რომ მართლა გაუჭირდა, დახმარება სჭირდებოდა. ბორია აღარ ურეკავს შინ, სკოლაშიაც აღარ ეკარება. ირინკას აზრით, ბორიას იმ გოგომ შეუცვალა გუნება, სამხრეთში მასთან ერთად რომ ისვენებდა. დაშა შეპირდა, ყველაფერს გავიგებო. ბორია ერთი უშნო ბიჭი იყო, პარალელურ კლასში სწავლობდა. ირინკას დიდად არასოდეს მოსწონდა, თუმცა ეს მწუხარება უკვე ნამდვილსა ჰგავდა.

ოლგა ვასილიევნა რაღაც საალერსო სიტყვებს ეჩურჩულებოდა, ერთხანს ეფერა. დააწყნარა. მერე ირინკა სააბაზანოში გავიდა თავის დასაბანად. ოლგა ვასილიევნამ მაგიდიდან ჭუჭყიანი თეფშები აალაგა და ონკანის ქვეშ გასარეცხად ჩააწყო. ასე გვიან ცხელი წყალი ცუდად მოდიოდა და არც საკმარისად ცხელი იყო. ჩაიდნით წყლის გაცხელება დაეზარა. იფიქრა, ხვალ შვიდ საათზე ავდგები და დავრეცხავო. უეცრად ტელეფონის ზარი გაისმა. რეკავდა ის ქალი. ბეზიაზიჩნის რომ მოჰყვა.

— მაპატიეთ, ასე გვიან რომ გირეკავთ, მაგრამ ვინემ კუზმინკამდე მოვალწიე. ვინემ, ჩემო ბატონო, მივტრიალდ-მოვტრიალდი, ვინემ რაღაც გავაკეთე... ჰოდა, აი რაზე გირეკავთ: ალბათ ვსევოლოდ ბორისოვიჩმა იმ ურთიერთდამხმარე სალაროს ვალით დაგაშინათ. საშიში კი არაფერია, სერგეი აფანასიევიჩის ვალს ჩამოვწერთ. ეს, შეიძლება ითქვას, უკვე გადაწყვეტილიცაა. გესმით? თქვენ კი გთხოვთ, ჩემო ბატონო, არც ერთი საქაღალდე, არც ერთი ფურცელი იმათ ხელში არ ჩაუგდოთ. ჩემთვის სულაც არ არის ხელსაყრელი ეს დარეკვა, მაგრამ მე უბრალოდ დიდ პატივს ვცემდი სერგეი აფანასიევიჩს. მაპატიეთ. ძვირფასო ოლგა ვასილიევნა, ასე გვიან რომ შეგაწუხეთ. კარგად იყავით!

ამ უცნაურმა საუბარმა, თუნდაც ამ სიტყვამ „კარგად იყავით!“ ახალი საფიქრალი გაუჩინა, თუმცა ოლგა ვასილიევნას აზრებს მიმართულება მაინც ვერ შეუცვალა, რადგან ღამით მას მხოლოდ წარსულ ამბებზე შეეძლო ფიქრი და არა მომავალზე.

ამ საქმეს რა ხანია უნდა ჩაჯდომოდა, მაგრამ ნებისყოფა არ ეყო. სერიოჟას საქაღალდეები, ბლოკნოტები, თხელი თუ სქელი რვეულები, ალბომებში ულაზათოდ ჩაკრული გაზეთების ამონაჭრები, ჟურნალებიდან ამოგლეჯილი ფურცლები, დასტებად შეკრული ნაწერი ქაღალდები ზოგი სად ეწყო და ზოგი სად — ნაწილი სამუშაო მაგიდის უჯრებში ელაგა, ნაწილი კარადის ქვედა თაროებზე. რამდენიმე საქაღალდე კარადის თავზე, ჭერქვეშ იყო შეგდებული და თვეობით არ უწევდა მტვრის გადაწმენდა. ოლგა ვასილიევნა ჯავრობდა და სახლის დალაგებისას ამ „ხარახურის“ სადმე მოთავსებას სთხოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ქმარს; სულ უკეთესი, ნაგვის ყუთში თუ ჩააგდებდა, რადგან თუ „ხარა-ხურა“ არა, არც სხვენზე იქნებოდა შეგდებული. რემონტის დროს სერიოჟას კიდევ ბევრი სხვა ნაწერიც შემოდეს ზემოთ. დიახ, ყველაფერი ეს ჯერ კიდევ მისი სისხლი და ხორცი იყო, მისი სუნი სდიოდა. ამიტომაც უჭირდა, ეძნელებოდა ხელის შეხება. ქალმა იცოდა, ადრე თუ გვიან ეს მწარე განცდა გაუნელდებოდა, მაგრამ ჯერ არ შეეძლო. არც კარადაში დაკიდული მისი ტანსაცმლის შეხედვა და ხელის ხლება ძალუძდა. ფაინამ უთხრა, უნდა გაყიდოო. ყველა ქვრივი ასე აკეთებს, თავი რომ არ გაიმწარონო. მუშტრის მოყვანასაც შეპირდა. რვა წლის წინ დაქვრივებულმა ფედია პრასკუხინის ცოლმა ლუიზამაც იგივე უთხრა, ფედიას ტანსაცმელი მაშინვე ერთიანად გავყიდეო. მაგრამ ოლგა ვასილიევნას ვერ გადაეწყვიტა, ვერ შელეოდა.

კაცმა რომ თქვას, ამ საქმეებისათვის დროც არა ჰქონდა. ლუიზა არ მსახუროობდა — მგონი, ახლა დაიწყო სადღაც დამზღვევ აგენტად მუშაობა, იჯდა შინ ბავშვებთან. ძიძაც ჰყავდა და დედაც მასთან ცხოვრობდა. შინ ჯდომამ კი შეიძლება შეშალოს ადამიანი.

აბა მისი სურათების შეხედვა ხომ ყველაზე მწარე ტკივილი იყო. კედელზე ეკიდა სერიოჟას ახალგაზრდობის დროინდელი ძალიან კარგი სურათი. ჩაფიქრებით მღიმარს პირში რაღაც ბალახის ღერი გაერჭო. ოლგა ვასილიევნას ძალიან უყვარდა ეს სურათი და კარგა ხანია, ჯერ კიდევ სერიოჟას სიცოცხლეში დაკიდა. ჰოდა, მიჩვეული იყო. და მაინც ოთახში შესული ოლგა ვასილიევნა ცდილობდა სურათისათვის არ შეეხედა, ანდა წამით უეცრად შეეცალა თვალი. ალბომზე ხომ ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. სადღაც შორს შეინახა. ყოველი შეხება ტკივილს გვრიდა. ცხოვრება კი სწორედ ასეთი შეხებებისგან შედგება, — ვინაიდან ათასობით ძაფია და ყოველ ძაფს ცოცხალი სხეულიდან, ჭრილობიდან გგლეჯენ. თავდაპირველად ეგონა: როცა ეს ნაზი, წვრილზე წვრილი ძაფები დაწყდება, შვებას ვიგრძნობო, მაგრამ ახლა აზრი შეეცვალა. ალბათ არასოდეს დადგება ასეთი დრო, რადგან ძაფებს თვლა არ აქვს. ყოველი საგანი, ყოველი ნაცნობი, ყოველი აზრი, ყოველი სიტყვაც კი, ყველაფერი და ყოველივე, რაც კი არსებობს ქვეყანაზე, ამ ძაფებით სწორედ სერიოჟას უკავშირდება. განა ეყოფა კი სიცოცხლე? აი გუშინ რაღაც საქმეზე ნოვობასმანაიაზე იყო. მეტრო „ლერმონტოვსკაიადან“ ამოვიდა თუ არა, გულში ისარივით მოხვდა, — მოაგონდა, როგორ გარბოდნენ ისა და სერიოჟა სადოვაიას ჩაყოლებით ერთ ყინვიან საღამოს ვიღაცასთან სტუმრად. უკვე მეშვიდე თვეა და არავითარი შვება არ უგრძვნია. ზოგი ამბობს, ხუთი წელი უნდა გავიდესო. მაგრამ ლუიზამ ხომ თქვა, რომ შემსუბუქება დღემდე არ უგრძვნია, თუმცა ხუთი წელი რა ხანია გავიდა.

ლუიზა ამას წინათ ქუჩაში შეხვდა, სრულიად შემთხვევით, ძალიან გაუხარდათ ერთმანეთის ნახვა. რამდენი რამ უნდოდა ეთქვა, ეკითხა: როგორა ხარ? რა გუნება-განწყობაზე? რასა გრძნობ? მოგეშვა თუ არა, თუნდაც აი ამოდენაზე, ერთი ნამცეცით მაინც?

ლუიზა უყურებდა თავისი ნაცრისფერი, ჩამკვდარი თვალებით:

— არ ვიცი, რითი გავზომო, არ არსებობს საამისო საზომი...

ოლგა ვასილიევნას იმის კითხვაც კი უნდოდა, თუ გყავს ვინმეო, მაგრამ ვერ გაბედა. ამ ომში ყველა მარტოა, ყველამ თავისთვის უნდა იბრძოლოს. გამოიყურებოდა ლუიზა კარგად. ეცვა თავისი ძველი. უკვე განაწმენდი ტყა-

ვის პალტო, ყავისფრის ნაცვლად გამოხუნებული უსიამო ვარდისფერი რომ დასდებოდა.

— როგორა გყავს ბავშვები? — ჰკითხა ოლგა ვასილიევნამ.

— ძალიან კარგად, — უპასუხა ლუიზამ. საერთოდაც ყველა კითხვას ერთნაირი პასუხი გასცა: „ძალიან კარგად“.

რვა წლის უკან, სექტემბრის თვის ერთ ადრიან დილით კარზე გაბმული რეკვა ატყდა. ოლგა ვასილიევნა გაოცდა, როცა კართან გენა კლიმუკი დაინახა, — სერიოჟას ძველი მეგობარი, მაშინ ჯერ კიდევ გენად წოდებული. საკვირველი ის იყო, რომ იგი იმ დროს კოკტებელის რიყიან პლაჟზე დილის ვარჯიშით უნდა ყოფილიყო გართული. კლიმუკს სახეზე წითელი ლაქები ეყარა. ქალს არც კი მისალმებია, ისე ჰკითხა: „სად არის სერგეი?“ შემოსასვლელში შემოვიდა და მხრებით კედელს მიეყრდნო. წვერის გასაპარსად გამზადებული, პირგასაპნული სერიოჟა სააბაზანოდან გამოვიდა.

— სერიოჟა, ლუიზას შენ უნდა უთხრა... მე არ შემიძლია... გესმის... მე ვერ... ვერ.... — და ეს პირმრგვალი, უზარმაზარი კაცი შებარბაცდა, მაგრამ არ დაცემულა, როგორღაც ჩაიჩოქა. მძიმედ სუნთქავდა.

ორი დღით ადრე კლიმუკი და ფედია ერთი კვირით სამხრეთისაკენ გავარდნენ. ფედიამ ის იყო ახალი „მოსკვიჩი“ გამოიყვანა. ეს ყმაწვილები აწყობდნენ ხოლმე ზოგჯერ ეგრეთწოდებულ „მარტოხელა განავარდებებს“. სერიოჟასაც ეპატიჟებოდნენ, მაგრამ ოლგა ვასილიევნა ყოველ ღონეს ხმარობდა სერიოჟასათვის ამ „განავარდებაზე“ უარი ეთქმევინებინა. იმასაც ვერ იტყოდით, მამაკაცების მეგობრობაზე ეჭვიანობსო, არც სერიოჟას ზნეობაზე ზრუნავდა დიდად, თუმცა ძველ მეგობართა წრეს ჯერაც შერჩენოდა ის შეუზღუდავი სტუდენტური ჩვევები. სამივეს ერთად შეყრა და ძველი ჩვევების ხელახლა გაცოცხლება ერთი იყო. უსაქციელობდნენ, ფახიფუხობდნენ, კაცმა არ იცის, რაზე ოცნებობდნენ. ოლგა ვასილიევნას ასეთ წინააღმდეგობას ვერც სერიოჟას ჯანმრთელობაზე ზრუნვას მიაწერდით. უბრალოდ არ უყვარდა, როცა სერიოჟა თვალიდან ეკარგებოდა. იგი ყოველთვის მის გვერდით უნდა ყოფილიყო, სადმე მახლობლად, მთლად უკეთესი, თუ სულაც ერთ ოთახში. ეს ალბათ მისი ცხოვრების უდიდესი შეცდომა იყო, მაგრამ საკუთარი თავის შეცვლა არ ძალუძდა და არცა ცდილობდა.

ყოველთვის ეურჩებოდა კლიმუკის, ფედიასა თუ სხვების ხრიკებს, წაერთმიათ მისთვის სერიოჟა! ზოგჯერ ძალზე მარჯვედ გამოძებნიდა მიზეზს, მოხერხებულად მოიგონებდა ავადმყოფობას, რომ სერიოჟა მის გვერდით ყოფილიყო. ზოგჯერ კი დაუფარავად და პირდაპირ მოუწოდებდა სინდის-ნამუსისა და დიდსულოვნებისაკენ. კაცმა რომ თქვას, აქ ორი ადამიანის ეგოიზმი ეჯახებოდა ერთმანეთს. სერიოჟას უყვარდა ეს „განავარდება“, რათა ყოველდღიურ გაწამაწიას, საქმეებს, შინაურებს გამოთიშვოდა. განსაკუთრებით მუზეუმში შეძენილ მეგობარ ფედოროვთან „განავარდება“ საიმოვნებდა, ანდა ფედია პრასკუხინთან ერთად მანქანით გასეირნება. თუნდაც მხოლოდ რესტორან „სევანში“ შესვლა. დიახ, ქალმა იცოდა სერიოჟას ეს გატაცება. იქნებ სხვადასხვა მიზეზის გამო იგი აუცილებელიც იყო, მაგრამ საკუთარი თავისათვის ვერაფერი მოეხერხებინა. როცა სერიოჟა ხელიდან დაუძვრებოდა, ოლგა ვასილიევნა ავადმყოფს ემგვანებოდა ხოლმე, ზოგჯერ ჭინჭრის ციებიანივით დააყრიდა. მაგრამ სერიოჟა შეუპოვრად იცავდა თავის დამოუკიდებლო-

ბას და იშვიათად უთმობდა. სწორედ ეს იშვიათი შემთხვევა მოხდა იმ სექ-ტემბერშიც. ინსტიტუტში მთავრდებოდა რემონტი, მუშაობა შეწყვეტილი იყო, ყველა შინ იჯდა. ჰოდა, ფედიამ და კლიმუკმა ზღვაზე ერთკვირიანი გასეირნება გადაწყვიტეს, აგულიანებდნენ სერიოჟასაც. ინსტიტუტში ისეთი არეულ-დარე-ულობა იყო, აბა ვინ რას ეტყოდათ. ანკი ვის უნდა ეთქვა? ფედია პრასკუხი-ნი თავად იყო უფროსი, სწავლული მდივანი.

სერიოჟასაც ძალიან უნდოდა წასვლა. ოლგა ვასილიევნას კი წინათგრძნო-ბამ უკარნახა: არაფრით არ გაუშვაო. არა, წინათგრძნობამ კი არა... უბრალოდ სწყინდა, უმისოდ რომ გაიქროლებდა სამხრეთისკენ, გაერთობოდა და, რა თქმა უნდა, დალევდა. ქალი იმიზეზებდა უფულობას, იმასაც, რომ არც დი-სერტაციის საქმე მიდიოდა წინ და არც იმ ყალთაბანდ ილია ვლადიმიროვი-ჩის შემწეობით წიგნის საქმე იძვროდა ადგილიდან. რა თქმა უნდა, ფედია პრასკუხინი და გენია კლიმუკი იქნებიან დროს ტარების ხასიათზე. მათი საქმე სულ სხვაა, მათ სხვა მდგომარეობა შეიქმნეს.

— ან ის ოცდაათი მანეთი რას გეყოფა, ამ მგზავრობისათვის რომ შე-მიძლია მოგცე. ატორღიალებული მესუფრია გამოხვალ და მეტი არაფერი. არც ეს ამბავი გაშინებს?

— არა, არ მაშინებს, ჩვენ ვაჟკაცური ანგარიში გვაქვს, ქალებივით კა-პიკებს კი არ ვუთვლით ერთმანეთს, — სწრაფად მიუგო სერიოჟამ, ის კი არა, ქედმაღლურადაც კი დაუმატა:

— შენ ამას ვერც მიხვდები!

საწყალი, როგორ ცდებოდა. მკაცრი იყო ოლგა ვასილიევნას პასუხიც:

— თუ იმათ ყირიმში წაყვები, იცოდე, გაგეყრები.

ვიღაცამ დაურეკა კიდეც, ახლა აღარ ახსოვს, ლუიზა იყო თუ ის სულე-ლი მარა კლიმუკი — კაცებს შეეგულიანებინათ. თხოვდა, მოტყდი, ნუ ჯიუტობ, ნება დართეო. მაგრამ ქალი უდრეკად იდგა. თუ წავა — გავეყრებიო. კი, ბა-ტონო, წაბრძანდი, არავინ გიჭერს, მაგრამ როცა ჩამოხვალ, აქ აღარ დაგ-ხვდები. ნუთუ მართლა წინათგრძნობამ უკარნახა? სერიოჟა გაცოფდა. რამ-დენიმე დღე არ ელაპარაკებოდა, მაგრამ გამგზავრება მაინც ვერ გაბედა.

ხარკოვის სამხრეთით გამთენიისას შარაგზას ვიღაც მოხუცი გადადიოდა. ეტყობა, საყვირი ვერ გაიგონა, ფედიამ კი სიჩქარე ვერ შეანელა და უეცრად მარცხნივ გაუხვია. და აქ მოხდა საშინელება. მათ მანქანას „მაზი“ და-ეჯახა.

ფედია სოფლის საავადმყოფოში გარდაიცვალა, ისე რომ გრძნობაზე არც მოსულა. კლიმუკი დაიბეჟა, მაგრამ გადარჩა. თავისი ძლიერი ხელებით კაბი-ნის კედელს მიყრდნობოდა და, თუმცა მანქანა ორჯერ ამოტრიალდა, მაინც სალსალამათი დარჩა.

ახლა კი გაფითრებულ ტუჩებს ძლივსღა ამოძრავებდა...

— ცხედარი ავტობუსით მოაქვთ... მე მივეცი ას ოცი მანეთი...

ლუიზასთან შენ წადიო, ემუდარებოდა. სერიოჟაც წავიდა. დიახ, იგი მართლაც ჭეშმარიტი მეგობარი იყო. ამიტომაც ბევრს უყვარდა. გა-ჭირვების ჟამს მასთან მოვარდებოდნენ ხოლმე, თუმცა მისი ამ ბუნების წყა-ლობით მეტისმეტსაც აკეთებდნენ.

ოლგა ვასილიევნამ ღამით ველარ მოითმინა, თუმცა არავითარ შემთხვე-ვაში არ უნდა ეთქვა, და ყურში ჩუმად ჩაულაპარაკა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სერიოჟა, ხედავ, როგორ გადაგარჩინე... როგორი მისანი ვყოფილვარ?

სერიოჟამ უხმოდ მოიცილა ქალი და კედლისკენ გადაბრუნდა.

ოლგა ვასილიევნა მაშინვე მიხვდა, კარგად რომ არ გამოუვიდა, მაგრამ რა ექნა, გულში ველარ დაიტია განცდები. იწვოდა ფედიას ცოდვით, ეს კაცი ნამდვილად უყვარდა, მაგრამ რაღაც უცნაური, ფარული თვითკმაყოფილების გრძნობა გაჩენოდა და ვერ დაეძლია. ალბათ ამდაგვარი გრძნობა ეუფლებოდათ ომში ადამიანებს, როცა გვერდით ამხანაგს უკლავდნენ, თვითონ კი ცოცხალი და უვნებელი რჩებოდნენ. არა, არ უნდა ეთქვა. ეს სწორედ ის წუთი გახლდათ, როცა ხმამაღლა წარმოთქმა აზრს აყალბებს.

— მეგონა, ენას კბილს დააჭერდი... მაგრამ არა, მაინც თქვი...

რასაკვირველია, არ უნდა ეთქვა, მაგრამ არც სერიოჟას უნდა ეპასუხა ასეთი გაბოროტებით. ბოლოს და ბოლოს მართლაც ხომ გადაარჩინა.

მე ასეთი ამხანაგი აღარ მეყოლებაო, ამბობდა სერიოჟა ფედიაზე. ჭეშმარიტად, ნამდვილი მეგობარი იყო. სამთავე ერთ კურსზე სწავლობდნენ — ოდესლაც, ძალიან დიდი ხნის წინ, სერიოჟა, ფედია და გენა კლიმუკი. ოლგა ვასილიევნას აკვირვებდა ძველი ამხანაგებისადმი მისი ასეთი გულუბრყვილო სიყვარული, სულ ერთია, სკოლის მეგობრები იყვნენ თუ ინსტიტუტისა. ცდილობდა არ დაენახა მათი ნაკლი, მათი სასაცილო თუ უსიამო თვისებები. „ჩემი სკოლელი“ ანდა „ჩემი კურსელი“ სერიოჟასთვის დიდ რასმე ნიშნავდა და ყველა სიკეთეს იტევდა. ამორჩევით კი არა, გარემოებით განსაზღვრული მეგობრობა: ვისთანაც აღმოვჩნდი მერხზე, იმასთან ვმეგობრობ. თუმცა ეს უცნაურობა ყველა მამაკაცს ახასიათებს. არ შეუძლიათ ძველი ძმაკაცების გარეშე. ოლგა ვასილიევნა კი მშვენივრად გრძნობდა თავს უმეგობრებოდ. ოღონდ სერიოჟა კი ჰყოლოდა და ფაინასა და სხვა მეგობრებს თუნდაც თვეობით არ ნახავდა. მას მხოლოდ სერიოჟა უნდოდა — ეს ერთი კაცი. ლუიზასა და მარას იძულებით ხვდებოდა, რადგან კაცები ვერ სძლებდნენ უერთმანეთოდ. სულ იმას გაიძახოდნენ: „ერთად ვიყოთ“, „ერთად ვიყოთ“, „რაღაც დაგვიძველდა პურმარილი“.

ახლა მათ საერთო ინტერესებიც ჰქონდათ: სამეცნიერო ინსტიტუტი და ამ ინსტიტუტის ამბები. გენა კლიმუკი ხუმრობით იტყოდა ხოლმე და თან თვალს ეშმაკურად ჩააპაჭუნებდა:

— მოდით, ჩვენი პატარა ჯგუფი ჩამოვაყალიბოთ, ჩვენი პატარა ხროვა, ჩვენი პატარა მოყუჩებული ბანდა.

ფედია არ ლაყბობდა, საქმიანად მოქმედებდა, ჭეშმარიტად ეხმარებოდა: ძალით გადაიყვანა სერიოჟა ინსტიტუტში, ყოველნაირად ხელს უწყობდა, მოამატებინა ხელფასი. დაარწმუნა ინსტიტუტის დირექტორი, თვალდაყლაპული ივან ევდოკიმოვიჩ დემჩენკო, სერიოჟამ დისერტაციის თემა უნდა გამოსცვალოსო. იქით თემის ხელმძღვანელი პროფესორი ვიატკინიც მოთაფლა, სულაც რომ არ სიამოვნებდა თემის შეცვლა. ყველაფერი ამის მოგვარება არცთუ იოლი საქმე იყო, მაგრამ მაინც მოახერხა, მოაგვარა. ფედია რომ ცოცხალი ყოფილიყო და კვლავ სწავლულ მდივნად ემუშავა, რა თქმა უნდა, სერიოჟას ასე ვერავინ ატკენდა გულს, იმ სიმწარესაც ააშორებდა, რაც სწორედ იმ ძმაკაცის, ძველი მეგობარი კლიმუკისა და მისი „პატარა ბანდის“ წყალობით იგემა.

გენა ისე უცებ და ისეთი ხალისით ჩახტა სწავლული მდივნის სავარძელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში, იფიქრებდი, ბულგაკოვის ვოლანდის მსგავსად განგებ მოაწყო ეს ამბავი, განგებ დააჯახა მანქანები ერთმანეთსო.

თანამდებობა რომ მიიღო, რაღაც დაირღვა, რაღაც შეუმჩნევლად გაწყდა. ოლგა ვასილიევნამ კარგა ხანს ვერც შეამჩნია ეს ცვლილება. გენა დარეკვისას ძველებურად, მხნედ და მხიარულად მოიკითხავდა ხოლმე. ზოგჯერ მარაც ურეკავდა, უზიარებდა ოლგა ვასილიევნას, რა იყო ახალი ტრიკოტაჟისა და კოსმეტიკის დარგში. იგი ხომ ბრწყინვალე ადგილას, პეტროვკაზე, პასაჟის გვერდით მუშაობდა. და აი, გავიდა რამდენიმე თვე, ვიდრე ოლგა ვასილიევნა მიხვდებოდა, რომ აღარც გენას ხვდება და აღარც მარას. ურთიერთობა მარტო დარეკვითღა იფარგლებოდა. რა ხანია აღარ გაუგონია გენკას მხიარული შეძახილი: „დაგვიძველდა პურმარილი!“ თუმცა როცა ჩაუფიქრდა, ეს ამბავი ფედიას სიკვდილს მიაწერა. ყველაზე ხშირად მართლაც ფედიასთან იკრიბებოდნენ. იქ ხომ ფედიას სხვა ამხანაგებიც მოდიოდნენ: ფიზიკოსი შჩუპაკოვი თავისი ბულგარელი მეუღლით კრასინათი და ექიმი ცოლ-ქმარი ლუჟსკები. ქალი რენტგენოლოგი იყო, ქმარი ფსიქიატრი. კაცმა რომ თქვას, უფრო ამ ლუჟსკების ხათრით დადიოდა იგი ფედიასა და ლუიზასთან. ოლგა ვასილიევნას მედიცინა ძალიან აინტერესებდა და უყვარდა ექიმებთან საუბარი.

მაგრამ ქმრის სიკვდილის შემდეგ ლუიზა უკვე აღარ უყრიდა თავს მეგობრებს. ასე ყველა ერთად მხოლოდ ფედიას ორმოცზე იყვნენ და შემდეგ კიდევ მისი დაღუპვის ექვსი წლის თავზე. რაც შეეხება გენა კლიმუკს, იგი არც მანამდე აგლეჯდათ კალთებს, შინ მეწვიეთო. სულ ერთთავად რემონტში, გადაკეთებასა და ბინის გამოცვლაში იყო. ზრდიდა და ზრდიდა ბინის ფართობს, თან სულ უფრო კეთილმოწყობილ რაიონებში. ახლა, მგონი, ახალი არბატის ცათამბჯენში ცხოვრობს, მაღაზია „მელოდიას“ თავზე.

ერთხელ როგორღაც სერიოჟამაც წაიხუმრა:

— ეს ჩვენი გენკა მართლა დიდი ვინმე გაგვიხდა. თვალში მოგხვდება კაცს. როცა ფედია იყო ამ ადგილზე, ვერც კი ვამჩნევდი...

ოლგა ვასილიევნამ ჰკითხა: მაინც რა განდიდება შეამჩნიე? სერიოჟამ ჩაიცინა, მაგრამ არაფერი თქვა. ქალმა იცოდა, ადრე თუ გვიან ვერ მოითმენდა, მაინც ეტყოდა. ასეც მოხდა: რამდენიმე დღის შემდეგ „გასკდა ბუშტი“. პროფკომში საფრანგეთის თერთმეტდღიანი ტურისტული საგზური გაჩნდა. ექვსი დღე პარიზი, ხუთი მარსელი, ნიცა და სხვა მისთანანი. ერთი სიტყვით, მთელი ცხოვრების ოცნება. საგზური საკმაოდ ძვირი ღირდა. ვინაიდან სულ მხოლოდ ოთხი საგზური იყო, პროფკომში, ასე ვთქვათ, ჩუმად განაწილება გადაწყვიტეს. სერიოჟამ ეს ამბავი ივან ევდოკიმოვიჩის მდივანი ქალისაგან შემთხვევით გაიგო და არა თავის ძმაკაც გენასაგან. საფრანგეთში გამგზავრების მოსურნე ბევრი აღმოჩნდა. პროფკომში ჯერ კენჭის ყრა დააპირეს, მაგრამ შემდეგ იმავე კლიმუკმა წინდახედულება გამოიჩინა, წილისყრა ალიაქოთს გამოიწვევსო, შესაძლოა ისეთს ერგოს, სულაც რომ არ უნდა საფრანგეთში წასვლა, ისეთი კი დარჩეს, ვისთვისაც მართლა აუცილებელია იქ გამგზავრებაო. კაცმა რომ თქვას, ეს განმარტება ლოგიკური იყო, ისევე როგორც ყველაფერი, რასაც კლიმუკი იჩემებდა. მაგრამ მთავარი სწორედ ის იყო, ვინ შეაბამდა კატას ეჟვანს, ვინ იტყოდა, ვის სჭირდებოდა ეს საგზური და ვის არა. სერიოჟამ პირდაპირ უთხრა: პარიზი გართობისა და გასეირნებისათვის კი არ მჭირდება — რასაკვირველია, ცოტაოდენ წაითვალთმაქცა კიდეც—არა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედ ჩემი სამუშაოსათვის საჭირო მასალების მოსაძებნ-მოსახსნელად. ახლა ყველამ იცის, — კლიმუკმაც მშვენივრად იცოდა — რომ რუსეთის საიდუმლო პოლიციის შესწავლისას ისტორიკოსი გვერდს ვერ აუვლის საფრანგეთს, ემიგრაციას, რუს აგენტებს. შეიძლებოდა ეს ყველაფერი დაბეჯითებით ახსნილიყო, რადგან სერიოჟა მართალი იყო და სრული უფლება ჰქონდა საფრანგეთში გამგზავრება მოეთხოვა, მაგრამ კლიმუკი იწმახნებოდა, ოხრავდა, აზუსტებდა, თუმცა საოხრავი არაფერი იყო, მოთხოვნა სამართლიანი გახლდათ. ჰოდა, სერიოჟასაც აევსო მოთმინების ფიალა და საკმაოდ უხეშად, შინაურულად ამდაგვარი რაღაცა უთხრა: „მორჩი მაგ წილადობილას“ თუ სულაც: „ნუ იბღინძები, თუ კაცი ხარ“.

კლიმუკმა მხრები აწურა და ცივად უპასუხა:

— დაგვიწერე შენი მოსაზრება და სამეული გადაწყვეტს. გაიგე, ეგ საქმე არც ისე იოლია, შენ რომ გგონია.

სიტყვა „გაიგე“ იყო ერთადერთი ადრინდელი და ადამიანური მთელ ამ საუბარში.

სერიოჟა საოცრად გულდამძიმებული ჰყვებოდა კლიმუკთან საუბრის ამბავს.

იქნებ სერიოჟა აზვიადებს, — ფიქრობდა გუნებაში ოლგა ვასილიევნა — წვრილმანები აღიზიანებს, განსაკუთრებით ის ამბავი, რომ კლიმუკი ნაღდი უფროსივით ელაპარაკა. რას იზამ, ამას უნდა შეურიგდე. იგი უფროსია, შენ კი ხელქვეითი.

სერიოჟასაგან მალულად, როცა იგი შინ არ იყო, ოლგა ვასილიევნამ მარას დაურეკა, უბრალოდ ისე, როგორც ახლობელმა. რატომ აღარ რეკავთ, სად დაიკარგეთ, რაა თქვენთან ახალი და მისთანანი.

ოლგა ვასილიევნა მიხვდა, რომ მოქმედება იყო საჭირო. სერიოჟა გულმოკლული ჩანდა, თუმცა ჯერ საკითხი არ გადაეწყვიტათ. რა იქნებოდა მაშინ, როცა მართლა უარს ეტყოდნენ? ოლგა ვასილიევნას გულით უნდოდა სერიოჟას საფრანგეთი მოევლო. იქნებ ამ „განავარდებას“ ძალა მოემატებინა. მისი საქმე შემოებრუნებინა. როცა ადამიანს ერთიმეორის მიყოლებით მარცხი ატყდება, უკეთუ, ატყდება კი არა, უბრალოდ ისე რბილად, ბუნებრივად შემოასხდებიან, როგორც ჩიტები ხეებს, ადამიანს ნელ-ნელა უქვავდება სული, უგრძნობელი ხდება და თანდათან თვითონაც ხევდება.

გამგზავრებისათვის ბევრი ფული იყო საჭირო. ბოლოს ასე შეთანხმდნენ: თანხის ნახევარს სერიოჟა იშოვის. წიგნების ერთ ნაცნობ შემსყიდველს სტეფან ცვაიგის რვატომეულს მიჰყიდის, გამომცემლობა „ვრემიას“ მიერ გამოცემულ წითელ ტყავში ჩასმულ შესანიშნავ ტომეულებს. ოდესღაც ამ წიგნებში ათას ხუთასი მანეთი მისცა ძველი ფულით. მეორე ნახევარს კი თვითონ უშოვის, დედას სთხოვს.

და აი, დაურეკა მარას და ნაძალადევად მხიარული, მეგობრული ხმით ელაპარაკა, თუმცა არ იცოდა, რა გამოვიდოდა ამ ლაყბობიდან. უნდოდა ნიადაგი მოესინჯა, მაგრამ ვერაფერი მოსინჯა. მარა ჩვეულებრივად გაპრანჭული, თითქოს ალერსიანი ხმით ლაპარაკობდა, რაღაც სისულელეებს როშავდა, უადგილოდ კისკისებდა. ერთი სიტყვით, აუტანელი იყო, მაგრამ ეს ყველაფერი ძველი ამბავი გახლდათ. ოლგა ვასილიევნაც ოდნავ დამშვიდდა. არაფერი არ შეცვლილა, სერიოჟა ტყუილად ღელავსო. მაგრამ მარას საკმაოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სქელი ტყავი ჰქონდა და ფხიზელი რეაქცია ვერ ექნებოდა. თვითონ კლიმუკთან მოლაპარაკება იყო საჭირო. ოლგა ვასილიევნამაც, ისე რომ თავისი საქციელი თვითონაც უკვირდა, მარა და გენა ვასილკოვოში, აგარაკზე მიიპატიჟა. ზაფხულის დასაწყისი იყო, ბანაობის, მზეზე მიფიცხების, ტყეში ხეტიალის დრო... ჰო, ვითომ რა იქნება, იქითკენ რომ გავისეირნოთ, გნებავთ შაბათს, გნებავთ პარასკევს, როცა იტყვით. მარა მიპატიჟებას სიამოვნებით დათანხმდა, მაგრამ აი გენა რას იტყვის, ეს არ ვიცოო. დღედაღამ მუშაობს, აღარსად არ დავდივართ, სულ მთლად ჩავიკეტეთო. გენა მეორე ოთახში იყო, ცოლის პირით მოკითხვა გამოუგზავნა და ჩამოსვლაც შეჰპირდა.

სერიოჟა ბუზღუნებდა:

— ეს რა სულელური რაღაც გამოდის. კაცს თითქმის ყოველდღე ვხედავ და არ ვეპატიჟები, შენ სრულებით არ ნახულობ და, მობრძანდი, კალთებს აგლეჯ.

მაგრამ გულში, მგონი, მაინც კმაყოფილი იყო. არაფერია გაბზარულ მეგობრობასავით მტკივნეული. ოლგა ვასილიევნა ყოველ საღამოს ეკითხებოდა:

— ნახე კლიმუკი? თუ იცი, აპირებენ ჩვენთან ჩამოსვლას?

— კი, ვნახე, მაგრამ არაფერი მიკითხავს... ხომ არ შევუჩნდები...

ის, რაც წინათ ბუნებრივად და ადვილად ხდებოდა, ახლა პრობლემად იქცა. სერიოჟას ენა არ უტრიალდებოდა უბრალოდ ეკითხა: გენა, როდის აპირებთ ჩვენთან ჩამოსვლას, მაგრამ ერთხელ, ინსტიტუტიდან დაბრუნებულმა, ოლგა ვასილიევნას ხალისით უამბო; — კლიმუკი ჩემთან ოთახში შემოვიდა და მითხრა, ვასილკოვოში მოპატიჟება თუ ისევ ძალაში რჩება, მაშინ შაბათს გამოგივლითო ცოტა ხნით.

— ცოტა ხნით? — ჰკითხა ოლგა ვასილიევნამ.

— აბა რა ვიცი, ასე მითხრა.

პარასკევს იყიდეს სურსათი: ორი ბოთლი არაყი, ორი ბოთლი ღვინო, რამდენიმე ბოთლი ლუდი, ჩასხდნენ ტაქსში და ვასილკოვოსკენ გასწიეს. ირინკა და დედამთილი მთელი ის კვირა მარტონი იყვნენ დეიდა პაშასთან. სამუშაო დღეს აგარაკზე წასვლა უჭირდა ოლგა ვასილიევნას: სადგურიდან შორს იყო, დილით ძალიან ადრე უნდა ამდგარიყო და მერე ელექტრომატარებლით მთელი საათი ემგზავრა. და მაინც, როცა კი გამოულწევია სამსახურის შემდეგ, როგორი გაწამებულიც არ უნდა ყოფილიყო მატარებელში მგზავრობით, მაღაზიების რიგებში დგომით, რა მძიმე, ცხენის საპალნეც არ უნდა ეზიდა, — ქილებით, წიგნებით, პარკებით, დატენილი ჩანთები, — როგორც კი ბაქანზე ჩამოვიდოდა, როგორც კი ტყის სასიამოვნო, გრილი ჰაერი მოხვდებოდა, მაშინვე შვებით ამოისუნთქავდა. გრძნობდა, როგორ თანდათანობით ეცლებოდა დაღლილობა, როგორ ივსებოდა ახალი ძალითა და ენერგიით. რა კარგი იყო, რა სასიამოვნო! მაინც საიდან იკრებდა ამ ძალას, ისეთი დამღლელი, შეუსვენებელი, ქანცისგამცლელი დღის შემდეგ. ზეცისგან, ტყისგან? თუ ის ყოფნიდა, ჩანთებამოჩრილი სერიოჟა გვერდით რომ მოყვებოდა და რაღაცას თავისთვის ბუტბუტებდა ან სულაც სოფლის ახალ ამბებს უამბობდა? — დეიდა პაშამ არაჟანი მოიტანა. რიჟიკა ისევ დაერია მეზობლის ქათმებსო...

სერიოჟა ინსტიტუტში განსაზღვრულ დღეებში დადიოდა, დანარჩენ დროს კი, ზოგჯერ სამ-ოთხ დღეს ზედიზედ აგარაკზე ატარებდა. დახვდებოდა ხოლმე ბაქანზე, გამოართმევდა ჩანთებს და, მოაგარაკეთა ტალღაში გარეულე-

ბი, მწვანე ლობეების ჩამოყოლებაზე შარაგზას დაადგებოდნენ. მერე მუხნარის-კენ შეუხვევდნენ. მოაგარაკეები თანდათან ეფანტებოდნენ, ხოლო როცა მუხ-ნარსაც გაივლიდნენ და ვასილკოვოს მინდორზე გავიდოდნენ, ერთთავად მარ-ტონი რჩებოდნენ. მოაგარაკენი სადგურის მახლობლად მდებარე სახლებში ბინავდებოდნენ ხოლმე, ხოლო თვითონ ვასილკოვოელები ასე გვიან არ ბრუნ-დებოდნენ მოსკოვიდან. მინდორი დიდი და ოდნავ ამოზნექილი იყო. სოფელი მინდვრის ბოლოს, ფერდობს გადაღმა მდებარეობდა, თითქოს მინდვრის იქით ხრამში ჩავარდნილაო. აქა-იქ ქოხების სატელევიზიო ანძებაშვერილი სახურა-ვებიც მოჩანდა. უხილავი მდინარის გასწვრივ ვერცხლისფრად შრიალებდნენ ტირიფები, ველოსიპედზე შემჯდარი წითელპერანგა ბიჭი ბილიკს მიუყვებოდა და მინდორს გეზად სჭრიდა. სადღაც ტრაქტორი გუგუნებდა. ცა ისეთი ნათე-ლი იყო, გინდოდა სულ მაღლა გეცქირა. ქალაქში ცას ვერც კი ამჩნევ, არც სურვილი გაქვს მაღლა ახედვისა.

სოფლამდე სამი კილომეტრი იყო. ჯერ კიდევ ქალაქში ოცნებობდა: ერ-თი როგორმე მივაღწიო, ეს ბარგი-ბარხანაც მივათრიო, საჩქაროდ რაღაც წავ-ყლაპო ან ჩაი დავლიო და დეიდა პაშას დიდ ოთახში ლოგინზე წამოვგორდეო. ოთახში ახალმოთიბული ბალახისა და ურცის სურნელება ტრიალებდა, კუთხე-ებში კონებად რომ იყო გარჭობილი. მაგრამ ყოველთვის სულ სხვანაირად გა-მოდიოდა: ჩაის დალევის შემდეგ ირინკას ჭალაში მიჰყვებოდა ხოლმე, ათ სა-ათზე ირინკას აძინებდა, მერე კი ისა და სერიოჟა სეირნობდნენ გვიან ღამემ-დე. თუ ალექსანდრა პროკოფიევნაც დაემგზავრებოდათ, მაშინ შორს ველარ მიდიოდნენ და უკან ადრევე ბრუნდებოდნენ. კაცმა რომ თქვას, დედამთილი ხშირად როდი აცხადებდა გასეირნების სურვილს, ხვდებოდა, ცოლ-ქმარს მარტო ყოფნა უნდოდათ. ზოგჯერ მორევშიაც ბანაობდნენ, ისხდნენ მდინა-რის ნაპირას, ლაყბობდნენ მეზობლებთან. კაცმა არ იცის, საიდან იკრებდა ამ ძალებს და მერე ძილიც აღარ უნდოდა.

რა თქმა უნდა, იყო წვიმებიც, სიცივეებიც, მთელი მინდორი გაუვალ ჭან-ჭრობად რომ იქცეოდა ხოლმე. იწყებოდა სოფლური მოწყენა. ალექსანდრა პროკოფიევნა ვიღაცეებს დაუსრულებლად წერდა წერილებს. ირინკა წუწუ-ნებდა, ხან ყური ტკიოდა და ხან მუცელი. ჰოდა, სერიოჟაც თავსხმა წვიმაში ექთან აგნიასთან გარბოდა ხოლმე...

კლიმუკი თავისი ძველი „პობედით“ ესტუმრათ და თან ინსტიტუტის დი-რექტორი კისლოვსკი მოიყოლია. კისლოვსკის არავინ ელოდა. ოლგა ვასილი-ევნამ შეამჩნია, მანქანიდან გადმოსული კისლოვსკი რომ დაინახა, როგორ და-ემანჭა სახე სერიოჟას. ქალისათვის კარგად ნაცნობი იყო ტუჩების ეს მოძრა-ობა, რაც დაახლოებით ამას ნიშნავდა: „ესეც ახალი ამბავი“. კლიმუკს მე-ულლეც ახლდა. მარას შესანიშნავი მუქი მწვანე ფერის შარვალ-კოსტიუმი ეცვა. საზღვარგარეთიდან შემოტანილი ასეთი კოსტიუმები სწორედ მაშინ შე-მოდიოდა მოდაში. ფეხზე თეთრი ქოშები ეცვა, ხელში თეთრი ჩანთა ეჭირა, ყურებზე თეთრი საყურეები ეკეთა. ერთი სიტყვით, მოდას აყოლილი თვა-ლისმომჭრელი არსება გახლდათ, ინის წყალობით ახლა წითურ ქალად რომ ქცეულიყო. მარას თავით ფეხებამდე ყველაფერი ძვირფასი და ახალი ემოსა. ოლგა ვასილიევნა გაოცდა. ანკი რა უნდა გახარებოდა: ზიხარ შენთვის შინ წინსაფრიანი და უცებ გამოგეცხადება შენი. ასე ვთქვათ, კეთილი მეგობარი ამგვარად გამოპრანჭულ-გატყლარჭული. მაგრამ მარას მაინც არაფერი შვე-

ლოდა, მაინც ეტყობოდა, რომ სულელი იყო. სადმე კუთხეში რომ მიმჯდარიყო, თლილ თითებში სიგარეტი გაერჭო და ჩუმად, ხმაამოუღებლად ფიქრიანი ღიმილი ეფრქვია, მართლაც შეუდარებელი იქნებოდა. მაგრამ არა, მაინცდამაინც საუბარში ჩარევა და თავისი აზრების გამოთქმა სურდა. უფრო მეტიც, ოლგა ვასილიევნასთან შეკამათებაც კი დააპირა ბიოლოგიის პრობლემებზე. მიუხედავად ამისა, მარას მაინც არ შეეძლო ოლგა ვასილიევნას გუნება-განწყობილების გაფუჭება.

ეს იმ მეორე ქალმა მოახერხა, კისლოვსკის რომ მოჰყვა. სახელი ახლა აღარ ახსოვს. ეს როგორღაც მორღვეული, ბოშა ქალივით შავგვრემანი, გამხდარი, პრანჭია ახალგაზრდა ქალი თავიდანვე არ მოეწონა ოლგა ვასილიევნას. თავით ფეხებამდე ჟღრიალები ესხა — სამაჯურები, მძივები, თვალისმომჭრელად ლამაზი და ძვირფასი. მაგრამ სოფელში წამოსასვლელად ამ ზიზილ-პიპილების ასხმა ნამდვილი უაზრობა იყო და მხოლოდ თავის უგემოვნებას ამჟღავნებდა.

ოლგა ვასილიევნამ, როგორც კი დრო მოიხელთა, მარას ჩუმად ჰკითხა: რას წარმოადგენს, სად მუშაობს კისლოვსკის ცოლი?

— ეს ისეთივე ცოლია, როგორც მე შენი ბებია, — უპასუხა მარამ. კაცმა რომ თქვას, ოლგა ვასილიევნაც ამდაგვარ პასუხს ელოდა.

მოკლედ რომ ვთქვათ, ეს იყო კლიმუკის მორიგი თავხედობა. ერთხელაც მოათრია იქ, მოსკოვში ვიღაც საეჭვო გოგოები, ვითომდა ტელევიზიიდან. ყოველგვარი გაფრთხილებისა და წინასწარ დარეკვის გარეშე. სერიოჟა მაინც აპირებდა ფრანგული კონიაკითა და ნამცხვრით გამასპინძლებას. სწორედ ამ დროს სამუშაოდან დაბრუნდა ოლგა ვასილიევნა. ყველაფერში უეცრად გაერკვა, აწონ-დაწონა და დაუპატიჟებელი სტუმრები პანღურით გაყარა. კლიმუკი მაშინ ძალიან განაწყენდა. მაგრამ ახლა იგი უკვე უფროსად გრძნობდა თავს. თანაც მოპატიჟებული სტუმარი იყო და ცოლიც გვერდზე ჰყავდა.

— ჩვენ მხოლოდ ერთი წუთით... წყალსაცავზე მივდივართ და გზად გამოვიარეთ... უბრალოდ, წუთით შევისვენებთ... — ისე თქვეს კლიმუკებმა, თითქოს პატიებას ითხოვდნენ უცხო სტუმრების მოყვანისათვის, თან სტუმრობასაც უგულვებელყოფდნენ, აქაოდა სრულიად შემთხვევით შემოვიარეთ და მეტი არაფერიო.

ოლგა ვასილიევნა გვარიანად დაიღალა, მაგრამ ირინკა წაეშველა, ხელი წაახმარა დეიდა პაშამაც, სარდაფიდან ხან კიტრები ამოუტანა, ხან კომბოსტო, ხანაც დამწნილებული სოკოები. იქით თავისი ვაჟი კოლკა პურისათვის სოფლის მაღაზიაში გააგზავნა. ისიც მაშინვე მოტოციკლს მოახტა და, წაქეიფების მოლოდინით მხიარულად აფორიაქებული, გზას დაადგა. მხოლოდ ალექსანდრა პროკოფიევნა არ მისულა ქურასთან, ხელი არ დაუკარებია ჭურჭლისათვის, იჯდა ტერასაზე და წერილს წერილზე აცხობდა. დედამთილი რომელიღაც გაზეთის მკითხველებს წერდა წერილებზე პასუხს. გაზეთში იგი საზოგადოებრივ საწყისებზე „ჩვენი იურკონსულტაციის“ განყოფილებას ხელმძღვანელობდა. იგი ერთ დროს სასამართლოში ვექილად მუშაობდა. ოლგა ვასილიევნას არა სჯეროდა, მისი დედამთილი როდესმე კარგი და სამართლიანი ვექილი თუ იყო. დიახ, არაფრით არა სჯეროდა, მაგრამ თავისი აზრი სერიოჟასათვის არროდეს გაუმხელია.

ისადილეს ბაღში, სახლის უკან. ზაფხულის თაკარა იდგა. ვაშლების

ჩრდილშიც ალხი წვავდა იქაურობას. სუნთქვა ჭირდა. ყველაზე მეტად ჭის ცივ-ცივი წყალი შეისვა, კოლკა ვედროებით ზედიზედ რომ ეზიდებოდა — წყალი კი ვასილკოვოში მართლაც რომ ჩინებულია! უფრო გემრიელი და ცივი წყალი ოლგა ვასილიევნას არსად დაულევია. ერევნის წყალი ამასთან ვერ მოვა, თუმცა ძალიან კი ტრაბახობენ, ჩვენი წყალი განსაკუთრებული და შესანიშნავიაო...

ოჰ, რამდენი რამ გაიხსენოს! რაღაც აწვალებდა, ის გოგო აღიზიანებდა, კისლოვსკის რომ მოჰყვა. გულზე ხვდებოდა, სერიოჟასკენ რომ იცქირებოდა და რაღაცეებს კეკლუცად ეკითხებოდა. არც სერიოჟას სულელური ბღვერა და დაბნეული პასუხები მოწონდა. იქით მარას ლაქლაქი სჭრიდა ყურს. შიშობდა, ვაითუ არ გვეყოს საჭმელი, დაგვაკლდეს ღვინო და სერიოჟამ საფრანგეთში გამგზავრებაზე კლიმუკს ვერაფერი უთხრასო. ან იმ კისლოვსკისთან როგორ დაიჭიროს თავი, იმ თმაგადასლექილ, ცირკის არტისტივით გამოპრანჭულ კაცთან.

და მაინც იყო რაღაც ჭეშმარიტი, ახალგაზრდული, განუმეორებელი — მაინც, მაინც რა? — ბედნიერება უთუოდ. — დიახ, სწორედ ბედნიერება სუფევდა სოფლის იმ პატარა, ნაკელისა და მიწის სუნით გაჟღენთილ ეზოში, საამო სურნელს აფრქვევდა ივნისის თაკარა მზის ქვეშ ახასხასებული მწვანე. უკანა მხრიდან ღრუტუნი ისმოდა, წინა ჭიშკარში კი შუკიდან ლაწუნით შემობაკუნდა ჭკვიანი მატილდა და თავისით შევიდა ბოსელში. შეჭიკჭიკებული დეიდა პაშა მარჯვედ იქნევდა თავის ყავისფერ მჯილს: „დაიკარგოს აქედან ეგ შარახვეტია!“ დღე ჩაილია, დადგა საღამო. ისინი კი ისევ ისხდნენ, სვამდნენ, ბუტბუტებდნენ, ლაყბობდნენ. რა ხანია დაცალეს ბოთლები, კოლკაც აფრინეს თავისი მოტოციკლით სოფლის ბოლოს ბებია კრენდელიხასთან შინნახადი არაყის მოსატანად.

ოთახში შესულმა ოლგა ვასილიევნამ თვალი ჰკიდა, როგორ წაავლო წელზე ხელი პატივცემულმა კისლოვსკიმ თავის თანამგზავრ ქალს და სახლის პატრონის მაღალ საწოლზე გადაყირავება დაუპირა. თანამგზავრი ქალი სამკაულების ჟღარუნით კეკლუცად ეწინააღმდეგებოდა.

ეზოში გამობრუნებული ოლგა ვასილიევნა სერიოჟასთან მივიდა და ყურში უჩურჩულა კლიმუკებთან ლაყბობაში გართულ ქმარს, რომ სწორედ ახლა ოთახში ფრიად უამურ სურათს გადააწყდა.

— რა იცი, იქნებ სიყვარულია? — ჰკითხა ქმარმა და გამოლენჩებული თვალები მიაშტერა. იგი არც ისე მთვრალი იყო, როგორადაც თავს აჩვენებდა. მის გამოხედვაში ბედის მორჩილება იგრძნობოდა.

— ჰო, მაგრამ ასეთი სიყვარულისათვის გარკვეული ადგილი არსებობს და არა დეიდა პაშას ქოხი, — მიუგო აღელვებულმა ოლგა ვასილიევნამ.

დეიდა პაშამ სხვა ვერაფერი გაიგონა, მაგრამ თავის სახელს რომ მოჰკრა ყური, გაცხარებით წამოიძახა:

— რა გინდა დეიდა პაშასთან? შენ დეიდა პაშას თავი გაანებე, თორემ! დეიდა პაშა — მე მოგცემ შენ დეიდა პაშას! — თანაც მუჭარით თითს იქნევდა. — სათითაოდ გამოგიტანთ ყველა თქვენს საიდუმლოებას... კოლკა, შენ იქ... უთხარი...

კოლკა ბრიგადირი გახლდათ და ამიტომაც ცოტას როდი იბღინძებოდა. დიდად საიდუმლოდ უმხელდა ყველას ამ ამბავს. საერთოდ კი საბჭოთა მეურ-

ნეობაში დურგლად მუშაობდა. ჩია ტანის გამხდარი ბიჭი იყო. გოგოსავით ნაზი, გალეული, ფერმკრთალი სახე ჰქონდა. ზაგორსკელი სემინარიელივით გრძელ თმას ატარებდა. გვარიანად უკრავდა გიტარაზე, ყოველ საღამოს ერთთავად ქალიშვილების ალყაში იჯდა. დეიდა პაშა ბრაზობდა: ცოლს არ თხოულობს ეს ეშმაკის კერძი, „ტყუილუბრალოდ ხარჯავს ძალ-ღონეს“. ჯანმრთელობის მიზეზით ჯარში არ მიჰყავდათ, გული ჰქონდა სუსტი. სმა სასტიკად ეკრძალებოდა — ერთი სირჩის მეტი არ შეიძლებოდა, მაგრამ ლამის ყოველდღე სვამდა.

ალექსანდრა პროკოფიევნა გულით ზრუნავდა კოლკას ჯანმრთელობაზე. ყოველთვის ტუქსავდა, როცა კი მთვრალს ნახავდა. ისიც უნდა ითქვას, რომ ბიჭი მხოლოდ ამ ქალს უგონებდა. მაინც რა საოცარი თვისება ჰქონდა მოხუცს. შინაურები ჩირად არ აგდებდნენ, ანკი რისთვის უნდა ჩაეგდოთ, ამათ ხომ კარგად იცოდნენ მისი ყველა ღირსება, — მაგრამ აი გარეშე ხალხი კი დიდი მოწიწებით ეპყრობოდა, ის კი არა, ეშინოდათ კიდეც. როგორც ჩანს. მბრძანებლობის რაღაც დაუძლეველი მოთხოვნილება ჰქონდა, რასაც უბრალო, დაბალი გონების ადამიანი მაშინვე ემორჩილება, მოაზროვნე ადამიანი კი დიდ წინააღმდეგობას უწევს.

იმ საღამოს, როცა გაჭიანურებული სადილის შემდეგ ჭალაში სასეირნოდ წავიდნენ, კისლოვსკი ძლივს გამოიტყუეს ოთახიდან. ალექსანდრა პროკოფიევნამ კლიმუკს რაღაც უსიამოვნო, შარიანი საუბარი გაუბა. საერთოდაც კლიმუკი დიდად არ ეხატებოდა გულზე. გენადი კლიმუკი მას სულ მთლად ჭაბუკი, სტუდენტობის პირველი დღიდან ახსოვდა, როცა ერთი ჩამოხეული, ძვალტყავა მშიერი ბიჭი საერთო საცხოვრებლიდან სერიოჟასთან მოდიოდა ხოლმე („ერთთავად მშიერი იყო, როცა არ უნდა მოსულიყო. ყოველთვის შეეძლო იმდენი შეეჭამა, რამდენიც კი გაგვაჩნდა, ხუთი კატლეტი, რვა კატლეტი, თორმეტი კატლეტი, რაღაც ფანტასიტკური რაოდენობა“). სერიოჟა ხშირად ტოვებდა ღამითაც. შუაღამემდე ჭადრაკს თამაშობდნენ, აბოლებდნენ პაპიროსს, ემზადებოდნენ გამოცდებისათვის, ჩხუბობდნენ, რიგდებოდნენ. ალექსანდრა პროკოფიევნა კლიმუკს მაშინ მოფერებით გეშას ეძახდა, ცოტა დოყლაპია. მაგრამ კეთილ ბიჭად მიაჩნდა. სერიოჟა ამეცადინებდა დიამატსა და ენაში. და აი ეს გეშა ისე წაიწია წინ, რომ ახლა სერიოჟას უფროსიც გახდა. ალექსანდრა პროკოფიევნამ პირველმა იგრძნო მისი შვილისა და გენადის ურთიერთობის შეცვლა, თვით ოლგა ვასილიევნაზე ადრეც, რადგან ეს მეგობრობა მის თვალწინ ჩაისახა, როცა მის სამზარეულოში ეს ბიჭები ჩაის ხვრეპდნენ და უზარმაზარ პურის ნაჭრებს ვაშლის ჯემს უსვამდნენ. იყო კიდევ ბოხი ხმით მოლაპარაკე მესამე ყმაწვილიც. ყველაზე ადრე დაცოლშვილებული საცოდავი ფედია. აი ფედია კი ნამდვილად უყვარდა ალექსანდრა პროკოფიევნას. დედის გული ამჩნევდა, რომ მისი შვილი როგორღაც შეზღუდულად გრძნობდა თავს ამ ტლანქი გეშას წინაშე, თითქოს დარცხვენითაც კი ელაპარაკებოდა, როგორც საერთოდ უმცროსი იქცევა უფროსთან. ეს კი მისთვის ჭეშმარიტად აუტანელი ამბავი იყო, გული სტკიოდა სერიოჟაზე. კლიმუკი თუ იბღინძება, თუ მართლა გაბერილ ბიუროკრატად იქცა, ისეთად, როგორსაც ჯერ კიდევ ოციან წლებში დასცინოდნენ, სერიოჟამ არამცდაარამც არ უნდა შეაფერებინოს ეს ქედმაღლობა, ჭკუაზე უნდა მოიყვანოს ეს აყლაყუდა სულელი. ესა! დიახ, ალექსანდრა პროკოფიევნა ხაზგასმულად მიმართავდა შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნობით, ძველებურად ისევ გეშას ეძახდა, ერთი სიტყვით, ყოველნაირად ცდილობდა მის გაბიაბრუებას.

— ჰო, მართლა, დამავიწყდა, როგორ მღალატობს ამ ბოლო დროს მეხსიერება! საოცარია, გიმნაზიის წლებიდან მოყოლებული ყოველთვის ვამაყობდი ჩემი მეხსიერებით... გეშა, რომელ წელს ჩამოვიდა შენი ძმა კრემენჩუგიდან? მახსოვს, ჩვენთან ცხოვრობდა, ვექილიც კი ვუშოვე. რაღაც ფულის დატაცებასთან დაკავშირებული საქმე იყო...

— ალექსანდრა პროკოფიევნა, რა საჭიროა ამ ძველისძველი ამბების გახსენება, — ჩაერია ლაპარაკში ოლგა ვასილიევნა, როცა კლიმუკს გაბუსხვა და გაღიზიანება შეამჩნია.

— არა, მე კარგად მახსოვს, ელიზავეტა მარკოვნას რომ დავურეკე ქალაქის კოლეგიაში. ჰოდა, რადგანაც ელიზავეტა მარკოვნას დავურეკე, მაშასადამე, სამეურნეო საქმე იყო. ასეთი საქმეები იმას უყვარს, უკეთუ უყვარს კი არა, კარგად ერკვევა, შესანიშნავად იცის ბუღალტერია... იქ კი რა არის მთავარი? გაფლანგვის რაოდენობის დადგენა. თითოეულ კაპიკზე უნდა იბრძოლო...

დიახ, მოხუცის რაღაც უცნაურმა ძალამ თვით მთვრალებიც დაიმორჩილა, ცოტა გამოფხიზლდნენ კიდეც. ყური მიუგდეს მის ლაპარაკს. ქალი ტყუილად საყვედურობდა მეხსიერებას, ყველაფერი მშვენივრად ახსოვდა. მოღუშულმა კლიმუკმა უცებ ხარხარი ატეხა:

— დაიცათ, ეს ხომ აბსურდის თეატრია! ღმერთო ჩემო, რა საჭიროა ყველაფერი დაიმახსოვროს კაცმა? არსებობს ასეთი ცნება: ისტორიული მიზანშეწონილობა... თქვენ იცით, ვინ არის ახლა ჩემი ძმა?

ხარხარითა და ტრაბახით მოჰყვა რაღაცას თავის ძმაზე. სხვებმაც სიცილი ასტეხეს. ასე უაზრო სიცილ-ხარხარით მდინარის სილიან სანაპიროს მიადგნენ. დღისით აქ ბავშვები ჭყუმპალაობენ, მზეს ეფიცხებიან მოაგარაკენი, სალდათებივით გაჯგიმული ბიჭები ოსტატურად ხტებიან რკინის ბოგიდან. ახლა კი უკაცრიელ სანაპიროზე სიმშვიდე სუფევდა. ბინდბუნდში ნაცრისფერ სილაზე თეთრად მოჩანდა გაზეთის ნაფლეთები.

წყალი ცივი იყო. იბანავეს მხოლოდ მამაკაცებმა. ქალები ბალახიან ფერდზე ისხდნენ და საუბრობდნენ. მაგრამ ალექსანდრა პროკოფიევნასათვის ბალახიან ფერდზე ჯდომა და მასლაათი მეტისმეტად ქალური და მეშჩანური გახლდათ. მოხუცმა უეცრად ბანაობის სურვილი გამოთქვა, იქით, მამაკაცებისგან განზე, ქალებისგან მოშორებით, — თანაც ითხოვა, მურყნარს აქეთ ნუ გამოხვალთო. დაახლოებით ოცი წუთის შემდეგ სწორედ მურყნარის მხრიდან ყვირილი მოისმა, მიშველეთო: ქალს ველარ ამოელწია მდინარის სანაპიროს თიხიან ფერდზე და სერიოჟას ეძახდა, ხელი მომაწოდეო.

მთელი თავისი სიშტერის მიუხედავად, მარაც კი რაღაცას მიხვდა და ოლგა ვასილიევნას უჩურჩულა:

— გითანაგრძნობ!

ის საღამო სულ სხვა მიზეზმა დაამახსოვრა. სერიოჟა ჩააცივდა კლიმუკის სიტყვებს ისტორიული მიზანშეწონილობის თაობაზე. ეტყობა, რატომღაც გულზე მოხვდა. ჯერ წყალში მშვიდად კინკლაობდნენ, პამპულაობდნენ, პატარა ბიჭებივით წყალს აშხეფებდნენ ერთმანეთს, მერე კამათი თანდათან გამწვავდა. როცა უკან, სოფლისაკენ ბრუნდებოდნენ, უკვე ცხარე დავად იქცა.

ცივ წყალში ბანაობამ სიმთვრალე გამოანელა. ერთმანეთს უკმეხად მიმართავდნენ, დავაში კისლოვსკიც ჩაება. დავა სერიოჟას სამუშაოს, კიდევ რაღაც სხვა საქმეებსა და საერთოდ ისტორიაზე შეხედულებებს ეხებოდა.

იქნებ სწორედ იმ საღამოს შემდეგ — სინამდვილეში ალბათ უფრო ადრეც, მაგრამ ოლგა ვასილიევნას ცნობიერებაში ის საღამო იყო დასაწყისი — ჩამოვარდა სერიოჟასა და კლიმუკს შორის ის ხანგრძლივი შუღლი, რაც სერიოჟას ასე აწამებდა და რაც ესოდენ უბედურად დამთავრდა. როცა დეიდა პაშას სახლს მიაღწიეს და ჩაის დასალევად აივანზე დასხდნენ, სერიოჟა და კლიმუკი უკვე გააფთრებით ყვიროდნენ. ოლგა ვასილიევნას არ ეგონა, კლიმუკს თუ ასეთი გაცოფება შეეძლო.

აბა სერიოჟას ამბავი კარგად იცოდა: კამათის დროს ნამდვილად შმაგდებოდა, ავიწყდებოდა ზრდილობისა და სულგრძელობის ყველა წესი. მას მხოლოდ ერთი რამ სურდა — თავისი შეხედულების დამტკიცება.

— აი ხომ ხედავთ, დეიდა პაშას ხისჩარჩოიანი ძველებური საათი აქვს! მაინც საიდანა გაქვთ, დეიდა პაშა? — ყვიროდა კლიმუკი და მარჯვენა ხელს ტრიბუნაზე მდგარი ორატორივით იქნევდა.

— აბა რა ვიცი, მამაჩემმა მოათრია საიდანღაც, ასე თქვა. შიმშილობის წლებში გავცვალეო...

— გაცვალა, მოათრია — თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს! მთავარი ის არის, რომ დროს ზუსტად აჩვენებს და ყოველ ნახევარ საათში შტრაუსსაც უკრავს. ხომ მართალს ვამბობ, დეიდა პაშა?

დეიდა პაშამ ტუჩები აპრუწა:

— მე არც არაფრად მჭირდება, ჩემო კარგო, მაგრამ იმის უფლება მაინც როდის მოგეცი, დეიდა პაშა მეძახე-მეთქი...

— სწორია, სწორი! მაგრამ არც ამას და არც სხვა რამეს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, გარდა ისტორიული მიზანშეწონილობისა, — აი მხოლოდ ეს დაიმახსოვრე, დეიდა პაშა, და თუ შეიძლება კიდევ ერთი ჭიქა ჩაი დამისხი. უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემი დედაც თქვენნაირი დეიდა პაშაა, მხოლოდ იმას დეიდა პავლინა ჰქვია და ბელგოროდსკის ოლქის შებეკინსკის რაიონში ცხოვრობს...

— ის ისტორიული მიზანშეწონილობა, რაზედაც შენ ლაპარაკობ, — ჩაურთო სერიოჟამ, — ფრიად ბუნდოვანი რაღაცაა.

— პირიქით, ეს ერთადერთი გამძლე ძაფია, რასაც უნდა მოეჭიდო!

— საინტერესოა, მაინც ვინ უნდა განსაზღვროს, რა არის მიზანშეწონილი და რა არა? სამეცნიერო საბჭომ ხმის უმრავლესობით?

სერიოჟამ იმდენად შეტოპა, ისიც კი დაავიწყდა, კისლოვსკი რომ სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე იყო.

ოლგა ვასილიევნა იმედოვნებდა, მთელი დღის განმავლობაში ღვინის სმასა და სისულელეების როშვას აყოლილი ადამიანები ვერ დაიმახსოვრებდნენ, ვინ რას ამბობდა და რატომ. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, სერიოჟას წამოძახილები ზედ გულის ფიცარზე დაიწერეს. ადამიანებს სიტყვების მნიშვნელობაზე მეტად ნათქვამის კილო სწყინთ, რადგან სწორედ კილო ამჟღავნებს იმ მთავარსა და ფარულს.

დიახ, სერიოჟას გამასხრება „სამეცნიერო საბჭო თავისი ხმის უმრავლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სობითო“ და აგდებული სიცილი სიტყვებზე მეტად ეწყინათ. საეჭვოა, კისლოვსკის დავიწყებოდა იგი.

სერიოჟა ყბედი, წინდაუხედავი კაცი იყო. აკი იმრავლებდა კიდეც ირგვლივ მტრებსა და ორგულებს. რამდენი მტერი გაიჩინა თავისი ხუმრობით, შეკამათებით, გესლიანი წამოძახილებით. გაიჩინა იმიტომ, რომ დროზე თავშეკავება არ იცოდა და არც სიტყვის აწონ-დაწონის უნარი ჰქონდა. მარტო ის მეტსახელი რად ღირს, კლიმუკს რომ შეარქვა ჯერ კიდევ მანამ, ვიდრე ერთმანეთს მტრებად მოეკიდებოდნენ. სერიოჟამ გენადი ვიტალიევიჩი აგდებულად გენიტალიჩად ახსენა. ინსტიტუტში აღფრთოვანებით აიტაცეს ეს სახელი და პირს უკან გენიტალიჩს ეძახდნენ. ჰო, მაგრამ რა საჭირო იყო ადამიანის ასე გაბოროტება?

შუალამე მოახლოვდა. ისინი კვლავ ისხდნენ და ისხდნენ. მამაკაცები დაობდნენ, ყვიროდნენ, აბოლებდნენ, წრუპავდნენ ბოთლში ჩარჩენილ არაყს — ისევ გზავნიდნენ კოლკას კრენდელიხასთან. ქალები ყვინთავდნენ. ირინკას რა ხანია ეძინა. ოლგა ვასილიევნა მოურიდებლად ამთქნარებდა და არც იმას მალავდა, რომ უსაშველოდ დაღლილი იყო. ღია ფანჯარაში ბადრი მთვარე იყურებოდა.

სტუმრები კი არ მიდიოდნენ! არც ისინი ცდილობდნენ თავიანთი დაღლილობისა და სადმე თავის მიდების სურვილის დაფარვას, უსაშველოდ ამთქნარებდნენ. მერე სერიოჟა და კლიმუკი ეზოს ბოლოში გავიდნენ, რაღაც ილაპარაკეს და როგორც კი დაბრუნდნენ, სტუმრები წასასვლელად მოემზადნენ. ოლგა ვასილიევნა მიხვდა, რომ კაცები ვერ მორიგდნენ: ხელახალი წაქეიფების შემდეგ ორთავე როგორღაც კუშტად გამოფხიზლდა. კისლოვსკი ლამის უგონოდ შეათრიეს მანქანაში. მარა საჭეს მიუჯდა, განგებ არ სვამდა, კაცებისათვის ქეიფის საშუალება რომ მიეცა. უცნაური იყო: ეს სულელი მარა ყველაზე გონიერი ეჩვენა ამ ოთხეულში. ოლგა ვასილიევნას ლოყაზე აკოცა და ყურში კმაყოფილმა უჩურჩულა:

— სწორად მოიქცა სერიოჟა, ღამე რომ არ გაათევინა! ერთი მაგათი. გამომივიდნენ რაღა დიდკაცები!

კოლკამ ბრიგადირის სასტვენით ყველას ყურები გამოუჭედა, მერე მანქანის წინ დადგა და ხელების ქნევით ხმამაღლა ყვიროდა:

— ეს რასა ჰგავს — მთვრალები საჭესთან? ვინ მოგცათ უფლება, აბა გადმოდით, მანქანა არ წავა!

სერიოჟა ოლგა ვასილიევნას დაწვრილებით მოუყვა, თუ როგორ ეხვეწა კლიმუკი. — კისლოვსკისა და მის თანამგზავრ ქალს ღამე გაათევინეო. ისინი სწორედ ამიტომაც ჩამოვიდნენ. სერიოჟას გული მოუვიდა და უარი უთხრა. კლიმუკი თხოვდა, ყოველნაირად არწმუნებდა:

— შენ ხომ მე და მარა ღამისთევით დაგვპატიჟე, ესე იგი ამაღამ აქ ორი საწოლის უფლება მაქვს. შენ რა გინდა, მე თუ ამ უფლებას ჩემს მეგობარს დავუთმობ... — მერე მუქარაზე გადავიდა: — სერიოჟა, იცოდე, წინდაუხედავად იქცევი. ჰოდა, რაც მოგივა, შენს თავს დააბრალე... — ბოლოს ლამის ცრემლმორეული შეეხვეწა: — თუ ძმა ხარ, ჩემი გულისათვის გააკეთე! ისე მტკიცედ დავპირდი ამ შენი მოპატიჟების იმედით! რა კაცი გამოვდივარ ასეთი გაცრუების შემდეგ?

— უეცარი ზიზღი ვიგრძენი. — თქვა სერიოჟამ, — მივხვდი, ჩემ წინ ვა-

ჭარი იდგა. ჩვენი აგარაკი სჭირდებოდა რაღაც მომავალი გეგმებისათვის. კლიმუკი ამას დაჰპირდა, ის სანაცვლოდ რაღაც სხვას. ახლა კი ეს გარიგება ეშლებოდა... უნდა გენახა, რა ისტერიკა ასტეხა, როგორ სისინებდა, როგორ ბობოქრობდა გაშმაგებული! „შენ ყოვლად გამოუსადეგარი ამხანაგი ხარ, შენი იმედით კაცი ვერ იქნება. შენ გძულს ადამიანები!“ და ეს ჭეშმარიტი გაცეცხლება მეგობრისადმი თანაგრძნობამ როდი მოგვარა, არა, ეს თვითონ მას წაართვეს რაღაც. მე ის გავძარცვე, გესმის, გავძარცვე!

მაინც რატომ არ შეიძლებოდა იმ წყვილს ღამე იქ გაეთია? ის ბოშური გარეგნობის გოგო, რა თქმა უნდა, საზიზღარი იყო, მაგრამ თუ კისლოვსკი ესოდენ დიდი ვინმეა, თან კლიმუკიც ასე თხოვდა... სტუმრები ოთახში დაწვებოდნენ, მასპინძლები კი აივანზე. მაგრამ სერიოჟა ყველაფერს რაღაც უცნაურად, თავისებურად ეკიდებოდა, თვით პირად ბედსაც კი... აკეთებდა იმას, რაც მოსწონდა, თუ არა და საერთოდ არ აკეთებდა. სწორედ ეს იყო მიზეზი იმ გაუთავებელი გაუგებრობებისა.

— უეცრად მომეჩვენა, რომ მეც ვაჭარი ვარ და იმ მოსაწყენ გარიგებაში ვმონაწილეობ. გული ამერია და უარი ვუთხარი. შენ დაგაბრალე, ვითომდა წესიერების დიდი დამცველი მყავხარ... წავიდეს ერთი მაგისი!

ღმერთო ჩემო, ახლა ხომ აშკარად ჩანს, რა სისულელეებისა და უბადრუკ გამოგონებათა ჯაჭვი იყო ეს ყველაფერი! ისინი აგარაკზე არ უნდა მოეწვიათ, ხოლო თუ მოიწვიეს, არც უდიერად უნდა მოქცეოდნენ, არ უნდა გაენაწყენებინათ. არც იმ საოცნებო საფრანგეთში წასვლაზე უნდა გამოედო თავი...

ვასილკოვოში, რასაკვირველია, სერიოჟას კრინტიც არ დაუძრავს საფრანგეთზე და სწორადაც მოიქცა, მაგრამ რაღა საჭირო იყო მაშინ ამისთანა გადაგებული მასპინძლობა?

გავიდა ორი დღე. სერიოჟა ინსტიტუტში წავიდა. საღამოს შინ, შაბლოვკაზე მშვენიერ გუნებაზე დაბრუნდა. უამბო ოლგა ვასილიევნას, თუ როგორ მეგობრულად, სიყვარულით შეხვდა კლიმუკი, როგორ მოიკითხა ყველა — ოლგა ვასილიევნა, დედა, ირინკა, დეიდა პაშა, ბრიგადირი კოლკა. თავზე ხომ არ წამოვიცვით მთვრალებმა იქაურობაო.

სერიოჟამაც ასევე წახუმრებით მიუგო: ყველაფერი დიდებულად ჩატარდა და დიასახლისსაც სასაყვედურო არაფერი აქვსო.

— ჰო, მართლა, ედუარდ ნიკოლაევიჩს საყვედური ხომ არ გამოუთქვამს, სასტუმროში ღამის გასათევი ადგილები რომ ვერ ვუშოვეთ?

— არა, არავითარი, ან როგორ იტყოდა, როცა მოსკოვში ჩასვლამდე ენა ვერ დაძრა. მხოლოდ მოსკოვში შესვლისას ხრინწიანი ხმით ერთადერთი სიტყვა წამოისროლა: „მოიტანეს?“ თუმცა ვერავინ ვერ გავიგეთ, რას ნიშნავდა ეს.

— რა ისმის საფრანგეთში წასვლაზე? — ჰკითხა ოლგა ვასილიევნამ.

— ჯერ არაფერი გარკვეული არაა თურმე, საერთოდ კი კლიმუკი მოელაპარაკება, სადაც ჯერ არს. ნაღდად შემპირდა. ისე რომ შენ ნუ წუხარ, გენკა მოაგვარებს ყველაფერს, არც ისეთი ძნელი საქმეა.

საქმე ფულის შოვნა იყო. ოლგა ვასილიევნა ჯერ ფაფუკად მოელაპარაკა დედას. დედა ხშირად აძლევდა ოლგას ფულს, ხან სესხად, ხანაც უბრალოდ ისე, ჩუქნიდა. მაგრამ ახლა ქალი გააოცა თანხის სიდიდემ და შეყოყმანდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამდენი ფული დედას ნამდვილად არა ჰქონდა. გიორგი მაქსიმოვიჩი ყოველთვიურად მხოლოდ სახარჯო ფულს აძლევდა.

— ვითომ ასე აუცილებელია ეს მოგზაურობა? — სცადა ოდნავი შეპაექრება ქალმა. — თქვენს ოჯახს იმდენი რამ აკლია... შენ ქურქი გინდა, ირინკას პალტო დაუპატარავდა... ესეც არ იყოს, ორივე რომ მიდიოდეთ, კიდევ ჰო!

— ამას არც არავინ გვთავაზობს, მაგრამ ერთად წასვლას ვერც შევიძლებთ, სერიოჟასათვის კი ეს მოგზაურობა ყოველმხრივ სასარგებლო იქნება, — მიუგო პასუხად ოლგა ვასილიევნამ.

დედამ მთლად კარგად ვერ გაიგო, რად იქნებოდა ყოველმხრივ სასარგებლო. მართლაც ძნელი გასაგები იყო. თუმცა, როგორც ყოველთვის, დედამ ახლაც ირწმუნა ქალიშვილის სიტყვები, შეჰპირდა, გიორგი მაქსიმოვიჩს მოველაპარაკებიო. მეორე დღეს დაურეკა და უთხრა, — გიორგი მაქსიმოვიჩს სერიოჟას ნახვა სურს და გამოიაროსო.

დარწმუნებული იყვნენ, „გამოიაროს“ ნიშნავდა, მოდით და ფული წაიღეთო. შაბათს სამთავენი წავიდნენ. დედა და გიორგი მაქსიმოვიჩი უკვე სამი წელია ახალ ბინაში ცხოვრობდნენ, იქვე, სუშჩევსკოეზე, წინანდელი ბინის მახლობლად, სადაც გიორგი მაქსიმოვიჩს სახელოსნო ჰქონდა. ნამდვილად კარგად მიდიოდა გიორგი მაქსიმოვიჩის საქმეები. ეჭირა რაღაც არჩევითი თანამდებობა, რაღაცას გამგებლობდა, სადღაც ასწავლიდა, ცოტ-ცოტას სახელოსნოშიც მუშაობდა. ბევრი მუშაობა ექიმებმა სასტიკად აუკრძალეს, თუმცა ახლაც დილიდანვე უყვარდა სახელოსნოში გასვლა. თუ არ ხატავდა, სურათებს დაფუსფუსებდა, პატარა ჩაქუჩით ბაგეტებზე ლურსმნებს აჭედებდა, ამაგრებდა მუყაოს, აწყობდა ქაღალდებს, ნელა, მხედველობის დაუძაბავად. რაღაცრაღაცეებს ასწორებდა ან სულაც რომელიმე მეგობარს მოიპატიჟებდა პირველი ან მეორე სართულიდან. ქურაზე ადუღებდნენ ჩაის, სვამდნენ და მუსაიფობდნენ. მსჯელობდნენ საქმეებზე, იგონებდნენ წარსულს. თან უზარმაზარ საქაღალდეებად შეკრულ სურათების უმდიდრეს კოლექციას ათვალიერებდნენ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ცირილ ჯოსეპაჩი

საყვირისა და ლრუგლის გალადა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომანი

თარგმნა ნათელა ლორთქიფანიძემ

IV

ჰეტერ მაიცენი წყნარი ბარის მარჯვენა მხარეს იდგა, ზვარს ზემოთ; საყვირი ისევ იმ ნაღვლიან ჰანგს უკრავდა, მაგრამ ახლა ისეთნაირად ისმოდა მისი ხმა, თითქოს პეტერ მაიცენს უხმობს, ეს მყუდრო კუთხე კარგად დაათვალიერეო.

ხეობის სილამაზემ მართლაც ისე გაიტაცა იგი, ყველაფერი დაავიწყდა ამ ქვეყნად.

— აი, ეს წყნარი ბარიც! — ხმამაღლა თქვა მან. — თითქოს ხელისგულივით გადაშლილა. ჰოი, რა ლამაზი, რა მსუბუქი ხელისგულია!..

საყვირის ხმა ტალღებად იშლებოდა და ნელა ეფინებოდა წყნარსა და მშვიდობიან მხარეს.

პეტერ მაიცენი წელში გაიმართა და ღრმად ამოისუნთქა, თითქოს უნდოდა შეესრუტა ამ მიწის მთელი ეს ტურფა სიმწვანე, ცარგვალის ეს ლურჯი სილამაზე — სიმშვიდითა და სიწყნარით სავსე. ფილტვები გაუფართოვდა, გული ბედნიერებით აუჩქროლდა. ბედნიერებას კი ნაღველის ერთი წვეთი უფრო სავსეს ხდის.

— განა მშვენიერი არ არის! — შესძახა მან და ხელები გაშალა, თითქოს სურდა მთელი ხეობა ჩაეკრა გულში. — ვინ იცის, აქ სადმე, იქნებ იმ ზვრის ქვემოთაც დგას ის სტუმართმოყვარე, განმარტოებული თეთრი სახლი. ქერათმიან, შავთვალა, თეთრყირმიზა ქალს რომ ჰგავს. ჰო, კინაღამ არ დამავიწყდა! ჯერ კიდევ მდინარის პირას იმ ტოტებგაშლილ ტირიფებს დავპირდი,

---

დასასრული. დასაწყისი იხილეთ „საუნჯე“ № 4.

უკან გამობრუნებისას ჩამოგივლით-მეთქი. ჩავალ კიდეც, ერთი იმ ბიბინა ბალახზე გავგორდები. ჯერ აქ ვიჯდები ცოტა ხანს, გავძღები ყურებით. ტემ ნიკარი დაიცდის, ბოლოს და ბოლოს უკეთესიც იქნება, თუ ეს მადლიანი დოლენის მხარე იმ მკაცრ ტოლმინის მხარეს მომაგონებს.

პეტერ მაიცენი მიწაზე დაჯდა. მაგრამ იმის შიშით, ჩვეულებამ არ მძლისო, ანუ გულალმა არ წამოვწვე და უნაყოფო ოცნებამ არ გამიტაცოსო, საჩქაროდ წამოდგა, მუხის ჯირკზე ჩამოჯდა, გააბოლა და მიდამოს გადახედა.

„ასე!.. ახლა კი დავათვალიეროთ აქაურობა! ქვემოთ, ხევში უკიდეგანო ველი გაშლილა, მწვანე ბალახის ფაფუკი საბანი რომ აფარია. ზედ მდინარე მიიკლაკნება. სველი ბალახი აქ უფრო მწვანე ჩანს, წყალი კი თითქმის შავი... ნაპირ-ნაპირ სამი ტირიფი მიაბიჯებს — სამი თმაგაწეწილი დიაცი. არ წასულან მაინცდამაინც შორს. მორევამდეც კი ვერ მიუღწევიათ“.

პეტერ მაიცენმა თავი გვერდზე გადახარა და მზერა ტოტებგაშლილ რცხილაზე შეაჩერა, მორევის თავზე რომ იდგა.

„და მაინც კაცმა არ იცის, რატომ ერიდება ხალხი ამ ადგილს. ხეც საოცრად დადინჯებული და დალონებული ჩანს. უძრავად დგას და ჩაჰყურებს მორევის გამჭვირვალე სიღრმეს. რასაკვირველია, ეს მორევი მისია. მისი თვალია, დიდი, ღრმა, მწვანე თვალი... რა არ უნახავს ამ თვალს! მერე სად არის ის ყველაფერი, რაც მას უნახავს? ზემოთ, ტოტებში? რასაკვირველია, ტოტებში. ამ რცხილის ყოველ ფოთოლში ასაოკულა ცოცხალი სურათი იმისა, რაც ოდესმე მორევში დაუნახავს... დიახ, დიახ! სწორედ იმ წამში, როცა ახალგაზრდა მრეცხავმა ქალმა თეთრი ზეწრები მწვანე ბალახზე გაფინა და საბახაოდ ტანთ გაიხადა, როცა ქალი წყალში გადახტომამდე წამით შეჩერდა ნაპირზე, რცხილამ ჩუმად გადაიღო წყლის ზედაპირიდან მისი სურათი, დააპატარავა და თავის ხეშეშა ფოთლებში დამალა... ვინ იცის, რამდენ მშვენიერ სურათს ინახავს იგი თავის დაბურულ ფოთლებში. ხოლო როცა რცხილა მარტო რჩება, განსაკუთრებით შემოდგომაზე, მოახლოებული ზამთრის, მისი ცხოვრების იქნებ უკანასკნელი ზამთრის ძილის წინ, როცა თანდათან უფრო და უფრო ნაკლებ წვენს იღებს, და უკვე გრძნობს, მის ბებერ ფესვებს როგორ ეცლება ძალა, მაშინ ნელ-ნელა, ფოთოლს ფოთოლზე ჰყრის მორევში, ახლა უკვე მეხსიერების სარკედ რომ ქცეულა, და ყოველი მათგანი იშლება წყლის ზედაპირზე; აი მაშინ ერთხელ კიდევ ცოცხლდება სურათი, მერე კი მსუბუქი თრთოლვით სამუდამოდ ქრება, სუნთქვის ნაორთქლი რომ შებურავს სარკეზე რაიმე გამოსახულებას, ისე... ითვლის ბებერი რცხილა გარდასულ დღეებს...

პეტერ მაიცენმა მწარედ ჩაიცინა და თავი გაიქნია:

„ჰო, ჩემო ძვირფასო რცხილავ, ცხოვრება გრძელია და უღიმღამო, ოქრო წამები იშვიათად გამოერევა! ჩვენ კი ქარაფშუტულად ვხარჯავთ ამ წამებს, როგორც ოქროს ფულს, თუ ხელში ჩაგვივარდა... ვერც ოქროს ვუფრთხილდებით და ვერც ბედნიერებას!“

მან ნამწვი მიწაზე დააგდო და ქუსლით ჩასრისა.

„კმარა. თავი გავანებოთ ამას! ეს სამყარო, ჩვენ თვალწინ რომ გადაშლილა, ასევე ოქროსია და ამ სამყაროში ახლა მე ვარ. აი იქ, რცხილის ჩრდილში თეთრი წანწალა მოჩანს. ისე ქათქათებს, ვით თეთრი იხვი, თოლია ან თეთრი გედი. შორს, წყალში დგას იგი და მაინც რა ნათელი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოცხალი ჩანს! ღმერთმანი, ცოცხალი! განა საოცარი არ არის, როცა ახლოს არც ადამიანი ჭაჭანებს, არც ცხოველი, უსულო საგნები რომ ზოგჯერ უეცრივ ცოცხლდებიან? მერე რარიგ შერწყმიან ერთმანეთს!.. დიახ, ყოველივე ცოცხალია! გზაც ცოცხალია. რა კარგია! რცხილა, მდინარე, ტირიფი, აქვიტი და გზა — ყველა ერთად მშვენივრად ეხამება ხეობის სურათს... ხოლო იქ, ფერდობზე დგას მშვენიერი მუხა. მაღლა — აყვავებული წიწიბურას ყანაა. როცა იქ აბზუილდება ათასობით ფუტკარი, ისე ირხევა და მღერის ეს ყანა, თითქოს ფერდობზე თეთროსანი ქალწული იწვეს, შესცქეროდეს ლურჯ ცას და თავის სიმღერას უსიტყვოდ აწკრიალებდეს... მაგრამ განვაგრძოთ გზა! ყანის ზემოთ მდელოა, ხოლო მდელოზე — ვიღაცის კარ-მიდამო, წითელი კრამიტით გადახურული. ლამაზი სახლი ბებერი ხეხილის ხეებში დგას. ეტყობა, ახლად გადხურულია, რა თქმა უნდა, ახალი იქნება, რაკი მზეზე ცეცხლივით ბრიალებს ახლად გამომწვარი კრამიტი“.

პეტერ მაიცენმა გაიღიმა და ხმამაღლა თქვა:

— წითელი სახურავი ცეცხლივით ბრიალებს მწვანე ხეებში!.. ვერაფერს იტყვი, კარგი შედარებაა, ცოცხალი და... — მან აღარ დაამთავრა სათქმელი. „დიახ, ახლა ეს კარგი და ცოცხალი შედარებაა, მაგრამ არცთუ ისე დიდი ხნის წინ საშინელი სინამდვილე იყო. სახლი ხომ გადამწვარია! კედლები კი ახლაც შებოლილი არის... ალბათ ომის დროს დაიწვა. ცეცხლი წაუკიდეს ალბათ. რა არის გასაკვირი, რამდენი სახლი გადაბუგეს! აკი ტემნიკიც დასწვეს!“

„რაო? ტემნიკიც დაწვეს განა?“

პეტერ მაიცენი დაფიქრდა და მერე თავი გააქნია.

„არ ვიცი... თუმცა ამაზე არც მიფიქრია. და არც უნდა მეფიქრა, რადგან ჩემი მოთხრობა ტემნიკარის დალუპვით მთავრდება. საერთოდ მე ხომ ტემნიკარზე ვწერ, უფრო სწორად, მის უკანასკნელ დღეზე: განთიადიდან დაწყებული, როცა გულდამძიმებულმა გაიღვიძა, მზის ჩასვლამდე, როცა ტყვიით გულგანგმირულმა ორობში დალია სული“.

„სწორია, მაგრამ...“

„არავითარი მაგრამ!“ — სასწრაფოდ შეესიტყვა თავის თავს პეტერ მაიცენი, რაკი იგრძნო, უკვე იღვიძებდა ის უჩინარი ძალა, რაიც აიძულებს სწეროს. — ტემნიკარის საქციელს რა მოჰყვა, ის რომ დავწეროთ, მთლად დავარღვევ ნოველის წყობას, ახლა მარტივი კი არის, მაგრამ სამაგიეროდ კარგადაა შეკრული. ყოველივე, რაც ტემნიკში მოხდა მისი სიკვდილის შემდეგ, ამ ჩარჩოებს სცილდება!“

მაგრამ უჩინარი ძალა ყურს არ უგდებდა გონების ნაკარნახევ დასკვნებს. პირიქით — ახალი აფეთქებისათვის ემზადებოდა. პეტერ მაიცენი კი ეწინააღმდეგებოდა, რადგან ქვეცნობიერად შიშობდა, რომ ნოველა გაიზრდებოდა, გაიბერებოდა და მერე ხელში შემოადნებოდა. ბევრჯერ დამართნია ასე.

„არა არა! ეს ნოველის ჩარჩოში ვერ მოთავსდება!“ — ჯიუტობდა იგი. მაგრამ გული უფრო და უფრო ძლიერ უცემდა, ნაცნობი თავდავიწყება ეუფლებოდა და თავბრუს ახვევდა.

მან ფარხმალი დაჰყარა.

„მართალია, ტემნიკსაც გადაწვავდნენ“.

„რასაკვირველია, გადაწვეს კიდეც! — პასუხობდა იგი თავის თავს. და იმავე წამს ეს ამბავი სიმართლედ იქცა, ცოცხალ და უცილობელ სინამდვილედ.—

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა რობში დახოცილი თეთრგვარდიელები და მკვდარი ტემნიკარი იპოვეს...“

„იპოვეს კია?“

„რასაკვირველია! მარტინ ლუჟნიკი თავის ჯარისკაცებიანად უკან არ მობრუნებულა იმ ლაშქრობიდან და არც შობა დღეს უნახავს ვინმეს. ჰოდა, მაშინ ვენც ზაპლატარმა....“

„იმ წყეულმა აყლაყუდამ?“

„დიახ, დიახ, ასე ეძახდნენ იმიტომ, რომ ჭოკივით გრძელი იყო და თუ ძოინდომებდა, სახურავზე კრამიტებს დაითვლიდა. ოდესღაც ტემნიკარის ქალს — იუსტინას თხოულობდა, ომის დროს კი გარნიზონში თარჯიმნად და მეგზურად დაიყენეს, რადგან ამ მხარეში ყველა ბილიკი იცოდა. მან შეყარა ეს არამზადები და მარტინისა და მისი ოთხი ჯარისკაცის საძებნელად გაუძღვა“.

„მერე?“

„მერე ტემნიკში შემოცვივდნენ და ყველას გაუსწორდნენ, ხოლო ტემნიკარის ცოლი...“

„არა, არა! — ეწინააღმდეგებოდა პეტერ მაიცენი ამ ჭეშმარიტებას, რახან ბოლომდე ჯერ კიდევ არ ჰქონდა კარგად მოფიქრებული, — ეს არ შეიძლება!“

„ჰო, მაგრამ არც ის შეიძლება, რომ ბებერ, ბუზღუნა მარიანასაც ვაჟკაცურად დაეჭირა თავი!“

„ჰო, ესეც გაუგებარია!“

„გაუგებარიო? განა ცოტა გაუგებარი ამბავი მოხდა ამ ომში! ადამიანმა არც კი იცის, რას შეიძლებს. მხოლოდ ყველაზე მძიმე განსაცდელის დროს იხსნება ის ცხრაკლიტული, სადაც იმალება ადამიანთა ფასდაუდებელი გამოცდილება და განუზომელი ძალა. ასე დაემართა ტემნიკარის ცოლსაც... ტემნიკარს რომ ენახა, საკუთარ თვალებს არ დაუჯერებდა, ვერც კი წარმოიდგენდა, რა ძალა ჰქონია ამ ჯარასავით გამხმარ დედაკაცს, ასე ეძახდა ხოლმე ტემნიკარი ცოლს. როცა ქალს შაშხანების ლულები დაუმიზნეს... არა, არა, მანამდე... როგორც კი თვალი მოჰკრა...“

ახლა პეტერ მაიცენმაც მოჰკრა მათ თვალი.

ისინი ისე გაბაწრულიყვნენ დათოვლილ მინდორზე, გეგონებოდა, შავი გველი მოიკლაკნებაო თეთრ სილაზე. ზამთრის ცივი მზე უძრავად ეკიდა ცივ ცაზე და ცივ სხივებს აფრქვევდა ისე ცივად მბზინვარე ცივ ჩაჩქანებს, ვითარცა მბზინვარებს გველის ცივ ზურგზე მზით გაბრწყინებული ცივი ლაქები.

სწორედ ამ დროს გამოვიდა სამზარეულოდან ტემნიკარის ცოლი „კათედრაზე“. ხელში წყლით სავსე ტაშტი ეჭირა. „კათედრა“ დაარქვა ტემნიკარმა აივანს, სახლის სამხრეთ მხარეს რომ გადიოდა. უყვარდა ქალს აქ დგომა და აქედან ჭკუის დარიგება ქმრისა, ასე და ასე გააკეთეო. ქალმა უკან გააქანა ტაშტი, რომ წყალი ღობის იქით გადაექცია და უცებ გაქვავდა. წყალი წინსაფარზე ჩამოეწუწა, ის კი მონუსხულივით

მიჩერებოდა იმ შავ გველს, ნელ-ნელა, ჩუმად რომ მოცოცავდა მისი სახლისაკენ.

— მოდიან! — თქვა ქალმა. ყრუ ხმითა თქვა, საოცრად მშვიდად, რამეთუ ამ საშინელმა სინამდვილემ შიშის შეგრძნება დაუკარგა. — მოდიან! — გაიმეორა ისევ ყრუდ და მშვიდად, თუმცა უცნაური მწარე კმაყოფილებაც ერია ხმაში, თითქოს დიდი ხანია მათ მოლოდინში იყო. იგი მართლაც ელოდა მათ გუშინ, ელოდა იმ გაუთავებელ წუხანდელ ღამეს, ტანთ გაუხდელად იწვა ღუმელზე და მზად იყო ყველაფრისათვის. საათის ისარი ჯიუტად მიიწევდა წინ და ამავე დროს ძლივას იძროდა, რადგან ირგვლივ ავი დრო გაქვავებულიყო და თავისი ტორით დაეჭირა ისრები. საათი უჩვეულოდ ხმამაღლა ტიკტიკებდა და ყოველ მის ჩამოკვრაზე ტემნიკარის ცოლის გულში იღვენთებოდა და ქვავდებოდა სამსალის თითო-თითო წვეთი: ასე ეგონა, რომ საათის ყოველ ჩამოკვრაზე მთელი ტემნიკი კრთოდა, რომ ხუტორი შორდებოდა სოფელს და საცაა სადღაც ჩაინთქმეოდა. ქალი ქვეშეცხეულად გრძნობდა, რომ ბედმა გაწირა, რომ ახლა მთლად მოწყვეტილი იყო სამყაროს. იგი პირაღმა იწვა და თვალნათლივ ხედავდა, როგორ ეხუტებოდა სახლი ციცაბო ფერდობს, ვით ბუდე კლდეს, ხოლო ქვემოთ, უკიდეგანო, დათოვლილ მინდორზე, მთვარით განათებულ უდაბნოს რომ ჰგავდა, ნელ-ნელა და ჩუმად მოცოცავდა შავი ქვეწარმავალი. იგი მოშლის მის ბუდეს და ბოლოს მოუღებს მათ. გაყინული ტოტების ლაწალუწი, თოვლით დამძიმებული ძველი ფიცრის ჭრიალი სხვენში აკრთობდა ქალს და შეშფოთებული დაცქვეტდა ხოლმე ყურს.

—მოდიან!

მართლაც სადაცაა აქ გაჩნდებოდნენ. ქალმა ფრთხილად დადო ტაშტი მიწაზე, წელში გაიმართა და გამხდარი ხელი თვალებზე მიიფარა, თვალს სჭრიდა თოვლით გადაპენტილი მინდორი.

— ოცდაათიოდე კაცი იქნება! — ივარაუდა ქალმა. — ყველა ვიგინდარა და თახსირი. მხოლოდ გერმანელებს ახურავთ მუზარადები.

ქალმა იცოდა, რომ საჩქაროდ უნდა წასულიყო თავის ქალვაჟთან, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა. გაშეშებული იდგა და უცქეროდა, როგორ მიიმალა გველი ქვემო ყანის მოსახვევში, თითქოს ნელ-ნელა ჩაეფლო ამ ბრჭყვიალა თოვლში. ტემნიკარის ცოლმა მზერა ზემო ყანისკენ გადაიტანა...

— რომ აღარ გამოჩნდნენ! — თქვა ქალმა. მართლაც აღარა ეშველა მათ გამოჩენას, იმიტომ რომ ქალის გვერდით ავი დრო გაქვავებულიყო.

ბოლოს გველი ისევ ამოსრიალდა თოვლიდან, მარცხნივ მოუხვია და ზემო ყანის კიდეს გაუყვა. ახლა კი ტემნიკარის ცოლმა საკაცეს მოჰკრა თვალი.

„ის მოჰყავთ! — გაუელვა თავში. — უპოვიათ!“

ქალი მიტრიალდა და სწრაფად შევიდა სამზარეულოში, ოთახის კარს მიაწყდა, მაგრამ კვლავ ადგილზე გაშეშდა.

— იგი მკვდარია! — თქვა მან და იმავ წუთს მიხვდა, რომ თავადაც მკვდარია. იგრძნო, როგორ შემოეცალა ხორცი და თანდათან უფრო და უფრო მჩატე გახდა — ისეთი მჩატე, რომ შეეშინდა, არ წავიქცეო, და მუხლებით ღუმელს მიებჯინა. თვალებიც დახუჭა, მაგრამ ყურებმა ისეთი შხუილი დაუწყო, საცა იყო წაიქცეოდა და საჩქაროდ გაახილა თვალები. მერე თავის გამხდარ ხელებს დახედა. თითქოს სხვისი ხელები იყო, მისი არა. ქალმა მუშტები შეკრა, მერე გაახსენდა, რომ მომაკვდავებს უყვართ ხოლმე საკუთარი ხელების ცქერა და წინსაფარში დამალა. შეკრთა, ირგვლივ მიმოიხედა და გამოფხიზლდა, სინამდვილეს დაუბრუნდა.

„იუსტინა! ტონე!“ — მაგრამ იმავე წამს მიხვდა, რომ ორთავე უკვე მკვდარი იყო, ქალმა თვალები დახარა და წამით ყურების შხუილს მინებდა, მერე კი მთელი ძალა მოიკრიბა და კვლავ ისეთი გახდა, როგორიც იყო იმ წუთიდან, როცა ერნეი თვალს მიეფარა, როცა თავადაც მიხვდა, რომ იგი აღარ დაბრუნდებოდა, — გახდა უტყვი და უდრეკი.

ქალი ტანში გაიმართა და აუჩქარებლივ შევიდა ოთახში. ბიჭი იჯდა, მარჯვენა ხელში ფოცხის კბილი ეჭირა და თვალმოჭუტული დასჩერებოდა, ხოლო მარცხენა ხელით კისერს იფხანდა. ქალს მოაგონდა ერნეი და ერთხელ კიდევ ინანა, რომ ტონე მამას არა ჰგავდა, რომ მამამისივით ამ წუთშივე არ წამოხტებოდა, ნაჯახს არ სტაცებდა ხელს. მან შეხედა ღუმელს, სადაც იუსტინა იჯდა და მაქმანსა ქსოვდა; დედა რომ დაინახა, თვალებით მორჩილად შეეკითხა, რა მოხდაო, მაგრამ დედამ თავი ისე დაიჭირა, ვითომც არაფერი მომხდარიყოს. მერე მაგიდასთან მივიდა და ერთხელ კიდევ გადახედა შვილებს. ჯერ იყო და იფიქრა, ისა სჯობს, აქედან ფეხიც არ მოიცვალონ — რატომ შევაშფოთოო, მაგრამ დედურმა გრძნობამ სძლია და გულიდან ყვირილი ამოხდა:

— გაიქეცით! არა! სათივეში შეაფარეთ თავი! თივაში დაიმალეთ! აბა, ჩქარა!

ტონე ისე წამოხტა, თითქოს ზამბარებმა აისროლესო, იუსტინამ ნელ-ნელა გაუშვა ხელიდან ჩხირები.

— არა! — გადაიფიქრა ტემნიკარის ცოლმა. მიხვდა, რომ ამაო იყო ყოველი. „მათ უკვე ძველ ყანასთან მოუხვიეს“, — გაიფიქრა მან შავ გველზე.

— რა მოხდა? — ჰკითხა იუსტინამ და შიშით აახამხამა თვალები.

— საშიში არაფერია! — მშვიდად მიუგო დედამ. — ზემოთ ადით, პატარა ოთახში და წყნარად იყავით!

— გერმანელები მოდიან?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ ვიცი... ზემოთ ადით! საშიში არაფერია!

— მამაც რომ არ არის შინ! — აფშლუკუნდა ტონე.

— წადით-მეთქი, — უთხრა დედამ. — საშიში არაფერია!..

ყმაწვილები ადგილიდან დაიძრნენ, მაგრამ ზღურბლზე შეჩერდნენ.

— წადით! წადით-მეთქი, ნურაფრისა გეშინიათ! — დედამ კარი გაუხურა შვილებს, მერე თვალდახუჭული ადგილზე გაშეშდა.

კვლავ ჩაესმა გამაყრუებელი ხმაური, კვლავ მოეჩვენა, რომ მთელი სახლი საცა იყო ჩაინგრეოდა.

— აი, უკვე სკოპიჩნიკამდე მოაღწიეს! — წარმოთქვა ქალმა და გონებაში დაინახა, როგორ მოხოხავდა ნაკადულის გაყოლებით შავი გველი. ქალმა თვალები გაახილა და მიმოიხედა. რალაც უნდა გადაწყდეს, მაგრამ რა — ეს არავინ იცის. წამით დაფიქრდა, მერე ხელები ულონოდ დაუშვა და ლუმელთან მივიდა.

„აქ დავხვდები მათ!“ — გადაწყვიტა ქალმა და ლუმელთან დაჯდა. ხელები მუხლებზე დაიწყო და სივრცეს მიაშტერდა. მის უკან, თითქოს გაქვავებულ დროს ჩაქუჩს ურტყამენო, ხმამაღლა წიკწიკებდა კედლის საათი.

„ამდენ ხანს რად შეაგვიანდათ?“ — გაიფიქრა ტემნიკარის ცოლმა და კვლავ დახუჭა თვალები, კვლავ უცნაურ ხმაურს მინებდა.

ასე გაქვავებული, დამუნჯებული იჯდა ქალი შობის წინადღესაც. ვერც ვაჟმა და ვერც ქალიშვილმა ვერ გაბედეს კრინტის დაძვრა. ბოლოს სიჩუმე ისევ იუსტინამ დაარღვია.

— ამდენ ხანს რად არა ჩანს! — თქვა მან.

— ალარც გამოჩნდება ალბათ! — უნებლიეთ ალმოხდა ტემნიკარის ცოლს.

— სადმე წავიდა? — იკითხა ტონემ.

— ტყეში! ხომ იცი! — მკაცრად უთხრა დედამ. „მამას რომ ჰგავდე, თან გაჰყვებოდი“, გაუელვა ქალს თავში და ჩაფიქრდა, აქ დარჩენა უჯობდა ჩემს ბიჭს, თუ მამის თანგაყოლაო. მაგრამ ამის გარკვევა მეტად ემძიმა, ისე რომ შემდეგისათვის გადადო.

ტონე იჯდა და ფოცხის კბილებს თლიდა. ისე გულმოდგინედ ჩაჰკირკიტებდა ხოლმე ამ საქმეს, მამას ზიზღი ერეოდა. საოცარია, ახლა დედაც გაღიზიანდა მისი შემყურე. ქალმა იუსტინას გადახედა, იქვე ჩხირებით რომ ქსოვდა. იუსტინამ ამოიოხრა და ცხვარივით მორჩილად შეხედა დედას. მისი ეს მზერა ხშირად აბრაზებდა ხოლმე ტემნიკარს. საოცარია, ახლა დედაც გაღიზიანდა. ქალმა ოთახს თვალი მოავლო და საათს ახედა. საათი აჭრიალდა და ნელა ჩამოჰკრა რვა. ტემნიკარის ცოლმა ხელი ასწია, რათა საათის გირი მაღლა აექაჩა, მაგრამ გირი ქანქარას გამოედო და საათი გაჩერდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იქნებ სულ წავიდა? — კვლავ თქვა იუსტინამ.
ტემნიკარის ცოლი შეკრთა და ქალიშვილს შეხედა.
— სად უნდა წასულიყო? — გაეხმაურა ტონე.
— პარტიზანებთან, — მიუგო იუსტინამ.
ტემნიკარის ცოლმა ამოიოხრა და ქანქარა შეარხია.
— პარტიზანებთან? — გაჭიანურებით თქვა ტონემ.
— მაშ სად? — მკაცრად მოუჭრა დედამ. — ამიტომაც ჩუმად იყავით!

ჰოდა, მთელი საღამო და მთელი შობა დღე ხმა აღარ გაუღიათ.

ტემნიკარის ცოლს ბევრჯერ გაუელვა თავში, ჩემი ქმარი ალბათ პარტიზანებთან წავიდაო, თუმცაღა გული მაინც უგრძნობდა, რომ ტემნიკარი ცოცხლებში აღარ ეწერა. დროდადრო თავს იმტყუნებდა — უნდა მეყვირა, უნდა გავკიდებოდი, მოსახვევს რომ მიეფარაო. მაგრამ იდუმალი, დაუცხრომელი ძალა უსიტყვოდ არწმუნებდა: დამნაშავე არა ხარ, სწორად მოიქეცი, ტემნიკარს მტკიცე გადაწყვეტილება ჰქონდა მიღებული და თავისი გზით უნდა წასულიყო. ქმარი უზომოდ გაიზარდა ქალის თვალში. გაახსენდა, გამომშვიდობებისას რომ უთხრა: „რა უცნაური ხარ... თითქოს სხვა ვინმე ხარ და არა შენო“. ისიც გაახსენდა, რა უპასუხა ქმარმა: „აი უკვე ორმოცი წელია, ჩემს თავს არა ვგავარ, დღეს კი კვლავ დავემგვანეო!“ მაინც როგორი იყო იგი? ისეთი, როგორიც იყო ნამდვილად და როგორსაც ცოლი არ იცნობდა თურმე.

„ერნეი!“ — ეძახდა ფიქრში ქალი და გულს რაღაც უჩინარი სითბო უთბობდა. ასე ახლოს არასდროს უგრძვნია ქმართან თავი.

ამ სიახლოვეს ახლაც გრძნობდა, როცა შავ გველს მისი ქმრის მკვდარი სხეული შინ მოჰქონდა. ქალი თვალს არ აშორებდა ხის კოვზს, ქმრისთვის რომ იდო მაგიდაზე, და უცებ ისე ნათლად დაინახა ქმარი, რომ უნებლიეთ ადგა და წყნარად დაუძახა:

— ერნეი!

ზურგს უკან საათმა ჩამოჰკრა. ქალს მოაგონდა, თავისი ქალ-ვაჟი რომ ოთახიდან გაუშვა. რაღაცის გაკეთება უნდოდა. დაელოდა, სანამ სამს ჩამოჰკრავდა, მერე კედელთან მივიდა, გამხდარი ხელი გაიშვირა და საათი გააჩერა.

— ღმერთო, შენ დაუმკვიდრე სამუდამო სასუფეველი! — წარმოთქვა ქალმა სიჩუმეში და ნელა გადაიწერა პირჯვარი.

— შენ არ ასვენებდი! — სიჩუმეში მიუგო თავისივე ხმამ.

ქალი ოთახში აწრიალდა, გული ლამის გასკდომოდა. დიდმა სევდამ შეიპყრო, სევდამ, უსაზღვრო სიყვარულთან ერთად რომ აუვსო გული. და უცებ მიხვდა, როგორ უშხამავდა სიცოცხლეს ქმარს, საკუთარ თავსა და შვილებსაც.

— მე ხომ მიყვარდა იგი! — წაისლუკუნა ქალმა. — სხვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაირად კი არ შემეძლო! არ შემეძლო!..

— არ შეგეძლო! — დაეთანხმა ნაღვლიანად ხმა. — არ შეგეძლო, თუმცა გინდოდა კი...

— მინდოდა!.. — ამოიოხრა ქალმა.

იგი ზურგით მიეყრდნო ღუმელს და წამით თვალები დახუჭა. მაგრამ მხოლოდ წამით, რადგან უეცრად იმ დაუცხრომელმა ძალამ, ქალი რომ დაარწმუნა, ერნეი უეჭველად უნდა წასულიყო, მისთვის ნათელი გახადა — თავადაც უნდა გასცლოდა აქაურობას. რადაც არ უნდა დასჯდომოდა, რაიმე უნდა ელონა.

— არა, მაგათ მე აქ არ დაველოდები! — გადაჭრით თქვა ქალმა. — მისი პირველი ცოლი აქ არასოდეს არ დაელოდებოდა, მობრუნებულს ასეთი გზიდან, წავიდოდა და შეეგებებოდა. მეც წავალ და შევეგებები! დროა...

ქალი წელში გასწორდა, ჭალარა ბუწუწები თავსაფარში შემალა და წინსაფარი გაისწორა. მერე საჩქაროდ გავიდა ოთახიდან, წინკარი შეაღო და ზღურბლზე დადგა. ამის იქით წასვლის თავი აღარ ჰქონდა. მან ხელები გულზე დაიკრიფა და მზერა მიაპყრო მოსახვევს, ამ ორი დღის წინ რომ მიეფარა ერნეი და საიდანაც ის-ის იყო უნდა გამოჩენილიყო.

— ოჰ! ერნეი!..

ახლა კვლავ მოაგონდა, რა უცნაური ეჩვენა ქმარი შინიდან წასვლისას. მოაგონდა მისი უცნაური სიტყვები, მისი უცნაური ხმა და, რაც ყველაზე უცნაურად მოეჩვენა მაშინ, ხელი რომ ჩამოართვა — მთელი სიცოცხლის განმავლობაში ქმარმა მხოლოდ ერთხელ გაუწოდა ხელი. ეს მაშინ მოხდა, ომში რომ მიდიოდა. მოაგონდა, როგორ დაირცხვინა და როგორ დააპირა უკან დადევნებოდა, მაგრამ ერნეიმ ჭრელასთან შეუხვია და ამიტომ დააცადა, ბოსლიდან გამოვიდესო, იფიქრა. მოაგონდა, რამდენ ხანს იდგა ზღურბლზე და ბოლოს როგორ ჩაილაპარაკა მწარედ: „ძროხისთვის მეტი აქვს სათქმელი, ვიდრე ჩემთვის!“ მოაგონდა, როგორ გამოვიდა ბოსლიდან ქმარი, ჩქარი ნაბიჯით როგორ გაუყვა მესერს, ერთხელაც არ მოუხედავს უკან. ქალს კი ძალა აღარ ეყო, დაეძახნა მისთვის, თუმცა გული გასკდომაზე ჰქონდა. რაღაც უჩინარმა ძალამ წაუჭირა ყელში და ჩასძახა: „გაუშვი, წავიდეს! გაუშვი, თავისი გზით იაროს!“ მოაგონდა, რა უხალისოდ დაემორჩილა ამ ბრძანებას, არ იყო ბრძანების შესრულებას დაჩვეული; მოაგონდა, როგორ თანდათან დაპატარავდა მისი მხარბეჭიანი ქმარი, როგორ თანდათან მიეფარა თეთრ ფერდობს და ბოლოს მთლად გაქრა; ბეწვის ქუდიღა მიგოლავდა შავი ბურთივით ცოტა ხანს და მერე ისიც უცებ გაუჩინარდა, თითქოს უფსკრულმა უყო პირი. ისიც მოაგონდა, რომ იმ წუთს თავად ესლა თქვა: „აი ახლა კი სკოპიჩნიკისკენ გაუყვა!“ — გაახსენდა, რა მწვავედ უჩხვლიტა რაღაცამ გულ-



ში, თითქოს ეს შავი ბურთი უხილავი ძაფით იყო მიბმული მის გულთან და ახლა, უფსკრულმა რომ შთანთქა, ქალიც თან წარიტანა. გაახსენდა, რა გულდამძიმებული მოტრიალდა სამზადში და რა უაზროდ მოძებნა ერნეის არნიკი და არაყი მწარე სასმელის მოსამზადებლად, რაც თავის დღეში არ უქნია. გაახსენდა, როგორ ეწოდა გულ-მუცელი და როგორ ეშინოდა ეფიქრა იმაზე, რაც მოხდა, როგორ მოეჩვენა, თითქოს ვიღაც უცხო შემოსულიყო სახლში. როგორ გამოალო წინკარი, მაგრამ იქ ვერავინ ნახა და ისევ სამზადში დაბრუნდა ისევ იმ მწარე სასმელის მოსამზადებლად. ისიც გაახსენდა, რომ ორჯერ კიდევ გაიხედა წინკარში, მერე კი ღუმელთან იჯდა გატრუნული, თუმცა რატომღაც სულ ეჩვენებოდა, თითქოს ვიღაც უცხო შემოსულიყო შინ.

სწორედ მაშინ ჩასახლდა სახლში უჩინარი და უტყვი სტუმარი — გაქვავებული ავი დრო. ახლა ეს უჩინარი სტუმარი ზურგს უკან ედგა.

„ამდენ ხანს რად არ გამოჩნდნენ!“ — გაიფიქრა ტემნიკარის ცოლმა, თეთრად მოქათქათე სივრცეს რომ მიშტერებოდა. გაიფიქრა და იმავ წამს წაბარბაცდა, წირთხლს მოეჭიდა— თეთრი ფერდობიდან ცივი ჩაჩქნები გამოჩნდა, გველის თვალებივით ცივად ბზინვარე.

— მოვიდნენ! — წარმოთქვა ქალმა. მას გულიც გაუქვავდა. თუმცა უსიცოცხლო ქვად კი არ ექცა, როგორც შიშმა იცის ხოლმე, მწარეზე მწარე გულისტკივილმა ცოცხალ ქვად, კაჟად უქცია, ყოველ ძარღვში რომ ცეცხლს მალავს. ქალის გული ყველაფრისთვის მზად იყო, ბრძოლისთვისაც და სიკვდილისთვისაც, თუმცა თვითონ ვერც გრძნობდა ამას. ადამიანი ხომ მაშინ არის ჭეშმარიტად დიადი, როცა თავად არც უწყის საკუთარი სიდიადე.

გველი თანდათან მოახლოვდა. მალე მინდორზე მთელი ტანით აღიმართა ოთხი ჩაჩქანიანი გერმანელი ჯარისკაცი. მერე ჩაჩქნებს ზემოთ პატარა თავი აყანყალდა, „დომობრანის“ [1] ქუდი რომ ეხურა.

— წყეული აყლაყუდა, — იცნო ტემნიკარის ცოლმა, — ისევ ეს ოხერი ზაპლატარი მოჰყვებათ!

ჩაჩქანიანი ჯარისკაცები გველის ტანს მოსწყდნენ, შაშხანები მოიმარჯვეს და ნელა წამოვიდნენ სახლისკენ. ზაპლატარი გაუბედავად მოჩანჩალებდა მათ უკან. ბოსელთან შეჩერდნენ.

— მარტო ხართ? — დაიყვირა ზაპლატარმა.

ტემნიკარის ცოლმა პასუხი არ გასცა.

---

[1] დომობრანებს 1941—1945 წლებში სლოვენიაში და ხორვატიაში ეძახდნენ პროფაშისტური მთავრობების ახლად შედგენილი სამხედრო ნაწილების ჯარისკაცებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისინი უფრო ახლოს მოვიდნენ და ზღურბლიდან ოთხოდე ნაბიჯზე გაჩერდნენ.

— გამარჯობათ, დედილო! — უთხრა ზაპლატარმა. ამ წყეულ აყლაყუდას არც ხმა ჰქონდა მტკიცე და არც გამოხედვა.

— როგორ მიბედავ და „დედილოს“ მეძახი, შე წყეულო აყლაყუდავ? — მშვიდად ჰკითხა ტემნიკარის ცოლმა. — როგორ მოგიბრუნდა ენა!

ზაპლატარს თითქოს სილა გააწნეს, ისე გაიქნია თავი და ცოტა ხანს მართლაც ვერ მოიბრუნა ენა. მერე კი მუქარით უთხრა:

— რატომ ლაპარაკობთ ასე დღეს?

— კარგა ხნის წინ უნდა მელაპარაკა ასე! — აუღელვებლად მიუგო ტემნიკარის ცოლმა და მზერა კვლავ შორეულ ფერდობს მიაპყრო.

— ჭკუაზე ხართ?

— როგორც იქნა, მოვედი ჭკუაზე!

— ძალიან ნაადრევად ხომ არ მოგვსვლია, ჰა? — გესლიანად ჰკითხა ზაპლატარმა, თუმცა მის ხმაში შიში უფრო იგრძნობოდა, ვიდრე გესლი.

— მოგვიანებით შენი სახსენებელიც ალარ იქნება. შე უბედურო!

— ხმა ჩაიკმიდე! — წაისისინა ზაპლატარმა.

— რას ღრიალებ, შე უბადრუკო! — ქედმაღლურად შეხედა ტემნიკარის ცოლმა. — თავადაც კარგად იცი, რომ უკვე ალსასრული დაგიდგა!

— ჩუმად! — გაცეცხლდა ზაპლატარი. — მიპასუხეთ. მარტო ხართ?

ტემნიკარის ცოლმა პასუხი არ გასცა, მაღლა იყურებოდა.

— მიპასუხეთ!

— არა, უკვე ალარა ვართ მარტო, — მშვიდად მიუგო ქალმა, წარბიც არ შეუხრია.

— რაო? — პირი დააღო წყეულმა აყლაყუდამ.

— აი, იქა დგას შენი გერმანული სიკვდილი! — უთხრა ქალმა და მის თავს ზემოთ მიუთითა.

ზაპლატარმა უკან მიიხედა. სახლიდან ათიოდე ნაბიჯზე, გაუკვალავ თოვლზე გაუნძრევლად იდგა აწოწილი, ჩამომხმარი გერმანელი ლეიტენანტი. ჩაყვითლებულ პატარა პირისახეზე ჩაჩქანი ჩამოფხატოდა, გამხდარი ნიკაპი, გაწელილი თხელი ტუჩები და დიდი შავი სათვალე თვალის ფოსოებივით მოუჩანდა.

— რაო, ნაბიჯის წინ გადმოდგმისა ეშინია თუ რა? — იკითხა ტემნიკარის ცოლმა.

— ზაპლიატერ! — გაისმა სწორედ ამ დროს გერმანული სიკვდილის ყლრიალა ხმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იავოლჰერშტურმფიუერ! — წამოიჩხავლა ზაპლატარ-მა და აცახცახდა.

— რას ცახცახებ? — ჰკითხა ტემნიკარის ცოლმა.

— ხმა ჩაიკმინდე! — დაიყვირა მოთმინებადაკარგულმა ზაპლატარმა. — თქვით, მარტო ხართ?

— ხომ გითხარი, არა ვარ-მეთქი მარტო.

— რაო?

— ნუ ცახცახებ, წყეულო აყლაყუდავ. გეუბნები, უკვე აღარა ვართ-მეთქი მარტო, ერნეი დაბრუნდა შინ. თუ იმისიც გეშინია?

— ზაპლიატერ! — კვლავ მიაწვდინა ხმა გერმანულმა სიკვდილმა.

— იავოლჰერშტურმფიუერ! — ელვის უმალ ქუსლებზე შემოტრიალდა ზაპლატარი და კვლავ მჩხავანა ხმით მოახსენა: — ნიჰსბანდიტენ, ჰერშტურმფიუერ.[1]

ლეიტენანტმა სწრაფად ასწია გრძელი ხელი. ტანდაბალმა, ჩამრგვალებულმა იტალიელმა ოფიცერმა, მოშორებით რომ იდგა, დაუსტვინა, გველი შეირხა და იმავ წამს ყოველი კუთხიდან გამოჩნდნენ შაშხანები და ნაირ-ნაირი ქუდოსანი თავები. ახლა ტემნიკარის ცოლს შეეძლო თვალნათლივ დარწმუნებულიყო, რომ მისი სახლის წინ წმინდაწყლის ჯოღლო-მოღლო ხალხს შეეყარა თავი: აქ იყვნენ გერმანელებიც, იტალიელებიც, ადგილობრივი მოღალატე-გამცემლებიც.

— რამდენი ძაღლი მოძუნძულებულა! — თქვა ქალმა.

— რაო? რა ძაღლები? — გაცეცხლდა ზაპლატარი.

— ბევრი ძაღლი ჰყოლია-მეთქი იმ შენს გერმანულ სიკვდილს, — მშვიდად მიუგო ტემნიკარის ცოლმა. — ყოველნაირი ჯიშისა.

— არ დაგადგებათ კარგი დღე, დედილო! — დაიჩხავლა ზაპლატარმა.

— აკი გითხარი, შე წყეულო აყლაყუდავ, აღარ დამიძახო-მეთქი დედილო! — მრისხანედ უთხრა ტემნიკარის ცოლმა. — აი ახლა კი მე უნდა გკითხო: თავად თუ გიფიქრია, რა დღე გელის? — ქალმა პასუხს აღარ დაუცადა, უცებ თვალი მოჰკრა მისი იღლიიდან გამოჩრილ სისხლიან ნაჯახს, — ჯალათად დაგაწინაურეს ეგებ? — უთხრა მან და ნაჯახზე მიუთითა.

— ხმა ჩაიკმიდეთ! — სუნთქვა შეეკრა ზაპლატარს. — ეს თქვენი ნაჯახია.

— ჩვენი? — შეკრთა ტემნიკარის ცოლი და თვალები კინაღამ გადმოსცვივდა. ნაჯახი ეცნო. ახლა კი მიხვდა, საითაც გაუხვია ტემნიკარმა. — მაშ იგი ოობში იყო? — წამოისლუკუნა ქალმა.

— იყო! ახლა ხომ მიხვდით, რომელია ჩვენს შორის ჯა-

[1] ბანდიტები არ არიან, ბატონო შტურმფიუერრო! (დამახინჯ. გერმ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლათი! — კუშტად მიუგო ზაპლატარმა და ნაჯახი მორში ჩაარჭო.

— მივხვდი! — ნელა დაუქნია თავი ქალმა. — ჰო, მივხვდი! ყველა მგელს მწყემსი ჯალათი ჰგონია, როცა მწყემსი ნაჯახით იცავს თავს.

— რომელ მგელს? — ჩაიბურტყუნა ზაპლატარმა.

— მონათლულს. ლუჟნიკს კი აქ ვერა ვხედავ რატომღაც. ნუთუ ველარც ვნახავ?

— ვერა.

— გზიდან ჩამოიშორა?

— ხუთივე ამოხოცა! — პირქუშად თქვა ზაპლატარმა.

— მარტომ?

— მარტომ!

— ოჰ, ერნეი! — შეჰყვირა ქალმა, სასოებით დაიჭდო გულზე ხელები და გორაკისკენ შეტრიალდა.

ოთხმა მოკლეფეხებმა, ჩამოძონძილმა ჯარისკაცმა საკაცე ზღურბლთან მიათრიეს და თოვლზე დადეს. ტემნიკარის ცხედარს მისი ძველი ავსტრიელი ჯარისკაცის მაზარა ფარავდა.

— ოჰ, ერნეი! — ჩუმად აღმოხდა ტემნიკარის ცოლს. მაგრამ ხმამაღალი ტირილი არ აუტეხია, ხელები არ დაუმტვრევია, არც მივარდნილა ქმართან, თუმცა არასდროს ასე ძალიან არ მონდომებია ეს. გრძნობდა, რომ ახლა ამისი დრო არ იყო. მისი მწუხარების დანახვაზე მტრები გაიხარებდნენ, ეს კი არ სურდა, არც ერნეი მოუწონებდა. მას კი უნდოდა ქმრის ღირსი ყოფილიყო. ამიტომაც წელში გაიმართა, ხელი სახლისკენ გაიშვირა და მბრძანებლურად თქვა: — შინ შეიყვანეთ!

ჯარისკაცები მიუხვდნენ, მაგრამ გაწვრთნილი ძალლებივით მაინც ჩამრგვალებულ იტალიელ ოფიცერს შეხედეს თვალებში; მან თავის მხრივ გერმანულ სიკვდილს შეხედა — ლეიტენანტი ახლა მორთან იდგა და ხელთათმანიანი ხელი ნაჯახზე ედო.

— ზაპლიატერ!

— იავოლჰერშტურმფიურერ!

ლეიტენანტმა კარისკენ გაიქნია ხელი.

ზაპლატარმა ზღურბლს გადააბიჯა, ოთახის კარი მოფლითა და კიბის საფეხურზე შეჩერდა. მას ჩაჩქანიანი ჯარისკაცი მიჰყვა და ტემნიკარის ცოლს კონდახი ისეთი ძალით ჰკრა, ქალი ბუმბულივით გაფრინდა კიბისაკენ და დაეცა. ზაპლატარი დაიხარა, რომ მიშველებოდა ქალს, მაგრამ ტემნიკარის ცოლმა ხელი ჰკრა, თავად წამოდგა და კედელს ეყუდა. ჯარისკაცებმა ტემნიკარის ცხედარი ასწიეს და სახლში შეიტანეს.

მერე გერმანულმა სიკვდილმა იტალიელი დამქაში გამოიყოლა და მედიდურად შემოვიდა ოთახში. ლეიტენანტმა თავი დახარა, ჩაჩქანი წინ წამოსწია, მაგრამ ოთახის შუაგულს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მიაღწია, წელში გაიმართა და ფრთხილად მიმოიხედა, უცებ მთელი ტანით შეკრთა — ფანჯარას აკაკანებული ქათამი მიეხეთქა. ეზოდან შეშინებული კრიახი მოისმა — თოვლის სითეთრით თვალმოჭრილი ქათმები ეზოში დარბოდნენ.

ლეიტენანტმა ზიზღით ჩაიცინა. ამ გაყინულმა სიცილმა ოქროს კბილები გამოუჩინა.

— La decapitazione delle galliene![1] — დინჯად მიუბრუნდა იგი იტალიელს და ხელები გაიქნია.

— La decapitazione delle galline, — მკაცრად გაიმეორა ლეიტენანტმა, თავი დააკანტურა და მაგიდას მიუჯდა. მან იდაყვი გაჰკრა ტემნიკარის ხის კოვზს და კოვზმა ყრუდ გაიკაკუნა იატაკზე. გერმანელმა ნელა მოიხსნა ჩაჩქანი და მრგვალი მოტვლეპილი თავი გამოაჩინა. ასევე დინჯად მოიხსნა შავი სათვალე. ღრმა ფოსოებიდან ცივად იელვეს პატარა მწვანე თვალებმა. მერე ჯიბეში ცხვირსახოცი მოძებნა და დალაქული შუბლი და ხორკლიანი თავის ქალა მოიწმინდა. ჯიბიდან ოქროსბუდიანი სათვალე ამოიღო, გულდაგულ გაწმინდა ცხვირსახოცით და ცხვირზე ჩამოიცვა. მაგიდაზე ოქროს საათუთუნე დადო, სიგარეტს მოუკიდა, ცხვირიდან კვამლი გამოუშვა და ოთახს თვალი მოავლო. მერე ცივი, გამგმირავი მზერა ძველ კედლის საათზე შეაჩერა.

— ზაპლიატერ!

— იავოლჰერშტურმფიურერ!

გერმანულმა სიკვდილმა ღუმელზე მიათითა.

ზაპლატარი ოთახში შემოვიდა. ხან ღუმელს შეხედა დაბნევით, ხან — მაგიდას, არ იცოდა, რა ექნა.

— Die uhr[2], — აუჩქარებლად წარმოთქვა გერმანულმა სიკვდილმა და ხელით ანიშნა, საათი აამუშავეო.

— იავოლჰერშტურმფიურერ! — სული ძლივს მოითქვა ზაპლატარმა და სასწრაფოდ შეასრულა ბრძანება.

აწიკწიკდა საათი, საოცრად ხმამაღლა, მტკიცედ, ცოცხლად.

„ჰო, მართლა“, — ასევე ძალუმად აუძგერდა გული ტემნიკარის ცოლსაც.

— რად გავაჩერე კედლის საათი? ის ხომ მკვდარი არ არის! არა, ერნეი არ მომკვდარა! — თქვა ქალმა და ოთახში შეიხედა.

ერნეი იატაკზე იწვა. მკვდარი უფრო დიდი ჩანდა. ზურგზე იწვა და ავსტრიელი ჯარისკაცის ძველი ფარაჯა ეფარა. ტემნიკარის ცოლმა მთელი არსებით იგრძნო: ერნეი რომ წევს, სწორედ ამიტომაა ყველაზე მაღალი, ყველაზე დიდი, დაუმარცხებელი, იგი მკვდარიც ისე ძლიერია, ვერა ძალა ვერ გატეხს.

---

1 ქათმების თავის წაწყვეტა (იტალ.).

2 საათი (გერმ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოჰ, ერნეი! — ჩურჩულებდნენ ქალის ტუჩები.

ქალმა იგრძნო, რომ თავად მასაც ვერავინ გასტეხს. ამ საოცარმა, გაუგებარმა გრძნობამ უფრო აუჩქროლა გული. მან ირგვლივ მიმოიხედა და მოეჩვენა, რომ ყველანი, ვინც ამ ოთახშია ახლა, დასალუპავად განწირული საცოდავი არაარაობანი არიან. უკვე აღარც თვითონ ადარდებს, დაიღუპება თუ არა. ქალმა თვალით გაზომა გერმანული სიკვდილი: ლეიტენანტი კედელთან იდგა, ზურგზე შემოწყობილ ხელებში ოქროსჩარჩოიანი სათვალე ეჭირა და ძველებურ, მინაზე დახატულ სურათებს ათვალიერებდა. იგი მშიშარა, საბრალო არაარაობა იყო, დასალუპავად განწირული. ქალმა ახლა ლიპიანი, ჯუჯა იტალიელი შეათვალიერა. მაგიდის ახლოს რომ ტკეპნიდა იატაკს, თან პირმოთნედ მიშტერებოდა სურათებს. ისიც დასალუპავად განწირული, უფრო მშიშარა და საბრალო არაარაობა ჩანდა. მერე ქალმა თვალი შეავლო წყეულ აყლაყუდას. ზაპლატარი იდგა და ფეხს ფეხზე ინაცვლებდა. ეს უკვე ყველაზე დიდი არაარაობა ბრძანდებოდა, საცოდავი მშიშარა და სიკვდილსაც ისე გარკვევით დაემჩნია თავისი დალი მის სახეზე, ტემნიკარის ცოლს შეეცოდა კიდეც.

— საცოდავი... — ხმამაღლა წარმოთქვა მან.

ზაპლატარი შეკრთა და გაოცებით შეხედა.

— ძალიან მებრალები, შე საცოდავო, — ისე წყნარად, გულში ჩამწვდომად უთხრა ტემნიკარის ცოლმა, ზაპლატარს შეაცახცახა.

— ხმა ჩაიკმინდეთ! — ჩაისისინა მან.

— ზაპლიატერ!

— იავოლჰერშტურმფიურერ! — თითქმის წამოიყივლა წყეულმა აყლაყუდამ და ლეიტენანტმაც მოუხედა. — იავოლჰერშტურმფიურერ!

ლეიტენანტმა თითით მოიხმო იგი, მერე კვლავ კედლისკენ მიბრუნდა და სურათს დააშტერდა. სურათზე წმიდა პავლეს თავის წარკვეთა იყო დახატული.

— Interessante! Molto interessante, — პირმოთნედ დაუკრა კვერი დამქაშმა. — Un bep lavoro![1].

— Un bel lavoro! — გაიკრიჭა ლეიტენანტი და ოქროს კბილები გამოაჩინა. — San Paolo decapitato dai romani![2]

— Eh... — იტალიელმა მორჩილად გაშალა ხელები და თავი მხრებში ჩაიძვრინა.

— Und grande popolo i romani![3] — წარმოთქვა ლეიტენანტმა.

---

[1] საინტერესოა! საინტერესოა! კარგი ნამუშევარია! (იტალ.)

[2] წმინდა პავლეს თავი წააგდებინეს რომაელებმა! (იტალ.).

[3] დიადი ხალხია რომაელები! (იტალ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

— Un grande popolo! — გაიბადრა მისი დამქაში და თავი მაღლა ასწია.

— Adesso i romani sono piccoli, — წელში გასწორდა ლეიტენანტი და ქედმაღლურად გადახედა თანამოსაუბრეს.— E Sono cristioni. Non taglano pict le teste ai gant, tagliano le teste alle galline.[1]

იტალიელ დამქაშს საქციელი წაუხდა და თავი კვლავ მხრებში ჩარგო.

— ზაპლიატერ! — დაიძახა ლეიტენანტმა და თითი „წმინდა პავლეს თავის წარკვეთას“ ატაკა. ეს თითქოს მიამიტურად დახატული სურათი მართლაც რომ შთამბეჭდავი და შემზარავი იყო.

— იავოლჰერშტურმფიურერ! — ზაპლატარმა ფრთხილად მოხსნა სურათი და კიდევ უფრო ფრთხილად დადო მაგიდაზე, ეტყობოდა, კარგად ესმოდა, სურათს რომ რაიმე მოსვლოდა, იქნებ თავიც წაეგო.

ლეიტენანტმა ორი სხვა სურათიც გადაარჩია, მერე ცხვირზე სათვალე წამოიცვა, მაგიდას მიუჯდა, ხელმეორედ გააბოლა სიგარეტი, მოწყენილი მზერა კედლებს მოავლო და ბოლოს ტემნიკარის ცოლისაკენ გაიშვირა თითი.

— მოდით აქ! — მიუბრუნდა ქალს წყეული აყლაყუდა.

ქალს თავისი ულონობა აღარც ახსოვდა. ჰოდა, როცა უცებ მოშორდა კედელს, კინაღამ დაეცა. ზაპლატარი წამსვე წამოხტა მისაშველებლად, მაგრამ ტემნიკარის ცოლის მზერამ შეაჩერა. ქალმა ხელი აუქნია, ძალა მოიკრიბა და მტკიცედ შევიდა ოთახში.

— ზაპლიატერ! — ჩაისისინა ლეიტენანტმა.

— იავოლჰერშტურმფიურერ! — მოიკაკვა ზაპლატარი და ტემნიკარის ცოლს მხრებში ჩაავლო ხელი.

— მაგას რა აღრიალებს? — იკითხა ქალმა. — მე მინდა ერნეის დავხედო მხოლოდ.

ქალმა მხრიდან უცხო ხელი მოიშორა, იატაკზე ჩაჯდა და ნელა გადასწია ფარაჯა. ერნეის სისხლის ლაქები ზედ შეჰყინვოდა, მაგრამ გაყინულმა სისხლმა ოთახში გალხობა იწყო და ისე ბრწყინავდა ახლა, როგორც ნამის წვეთები ყვავილზე. მიცვალებულს სახეზე ღიმილი შესცივებოდა, ის უცნაური ღიმილი, მთელი სიცოცხლე რომ სტანჯავდა ქალს, მაგრამ ვერ ამოეცნო. ახლა კი ქალი ყველაფერს მიხვდა: წინათ ეს ღიმილი ოცნებით წარმოსახული გამარჯვების ღიმილი იყო, ახლა კი — ნამდვილი გამარჯვებისა, ამიტომაც აღარ დაჰკრავდა

[1] ახლა რომაელები სხვანაირები გახდნენ. თანაც ქრისტიანები არიან. ისინი წმინდანებს აღარ კვეთენ თავებს, ქათმებს თუ წააწყვეტენ მხოლოდ (იტალ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

იდუმალი იერი, თავდაჯერებულ სიამაყესა და კმაყოფილებაზე მეტყველებდა იგი.

— ზაპლიატერ!

— იავოლჰერშტურმფიუერ!

ტემნიკარის ცოლი წამოდგა, ერნეისთვის თვალი არ მოუშორებია, საათთან ისე მივიდა.

— E gli altui? [1] — თქვა იტალიელმა დამქაშმა და გამარჯვებულის იერით გადახედა გერმანულ სიკვდილს.

— ზაპლიატერ!

— იავოლჰერშტურმფიუერ! — კვლავ მოიკაკვა წყეული აყლაყუდა და ტემნიკარის ცოლს მიუბრუნდა. — ტონე სადლაა? ან იუსტინა? შინ არიან?

— თავი დაანებეთ იმათ! მე მომიღეთ ბოლო! — მტკიცედ უთხრა ქალმა, ოღონდაც ხმაში მუდარა დაეტყო.

— ზაპლიატერ!

— იავოლჰერშტურმფიუერ! — ზაპლატარი აპირებდა ნათქვამი გადაეთარგმნა, მაგრამ ლეიტენანტმა ბოლომდე აღარ მოუსმინა და დერეფანში დარჩენილ ჯარისკაცებს მოუხმო.

ოთახში ნალდაკრული ფეხსაცმელების ბრახაბრუხი ატყდა. საფეხურები აჭრაჭუნდა, კარები გაჯახუნდა, ჭერი აჭრიალდა. გაისმა არაადამიანური ბღავილი.

— ტონე! — გაჰკრა დედას გულში.

თუმცა პირველად ოთახში იუსტინა შემოაგდეს. დედამ გულში ჩაიკრა შვილი.

— საშიში არაფერი არ არის! — უმტკიცებდა იგი გოგოს და ხელზე ხელს უჭერდა. — მხოლოდ წყნარად იყავი! საშიში არაფერია!

იუსტინას ბალღური ნდობა ეხატა თვალებში, მორჩილად მისჩერებოდა დედას.

მერმე ორმა ჯარისკაცმა ტონე შემოათრია. ჯარისკაცები ცდილობდნენ ფეხზე დაეყენებინათ ტონე, მაგრამ ბიჭს თითქოს სხვისი ფეხები გამობმოდა, უკან რჩებოდა. ჯარისკაცები ხელისკვრით მოათრევდნენ და ტომარასავით უწყალოდ აჯანჯღარებდნენ.

გერმანულმა სიკვდილმა ზიზღით ჩაიქნია ხელი. ჯარისკაცებმა ხელი გაუშვეს და ტონე იატაკზე დაეცა. ბიჭი ავზნიანივით იკრუნჩხებოდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად სლუკუნებდა.

— ტონე! — ტემნიკარის ცოლმა ჩაიჩოქა. — ტონე!.. საშიში არაფერია!.. მხოლოდ წყნარად იყავი! არაფერია საშიში!

უცებ ტონე მოიკაკვა, ტანი დაეკრუნჩხა, ერთი დაიკვნესა და მიჩუმდა.

— გათავდა... — ჩაუკვდა გული დედას. ქალმა ხელისგუ-

[1] დანარჩენები სადღა არიან? (იტალ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლით გადაუწმინდა სველი ცივი სახე შვილს და თვალები დაუხუჭა. ასე უჯობსო, ფიქრობდა იგი, ერნეი ალბათ ვერ აიტანდა ამის ყურებას. რაკი მას ასცდა, მე არა მიშავს, მეყოფა ძალა, რომ გადავიტანოო.

— Morto![1] — გაისმა იტალიელი დამქაშის ხმა.

— ზაპლიატერ!

— იავოლჰერშტურმფიურერ! — ზაპლატარმა ტემნიკარის ცოლს მხრებში ჩაავლო ხელი.

— მადლობა ღმერთს, ცოცხლებში აღარ სწერია! — ამოიოხრა ქალმა, უკანასკნელად გადაუსვა შვილს თავზე ხელი და წამოდგა.

— Tot![2] — აუწყა ზაპლატარმა.

გერმანულმა სიკვდილმა ცხვირიდან კვამლი გამოუშვა. მერე წინკარში გაიხედა, სადაც ის ვიგინდარა ხალხი ირეოდა, ერთი სული რომ ჰქონდათ, როდის გვანიშნებენ, ძარცვა-რბევას შევუდგეთო.

ლეიტენანტმა გაუკრიჭა მათ და მედიდურად დაუქნია თავი.

მერე კვლავ ატყდა ნალდაკრული ფეხსაცმელების ბრახა-ბრუხი და კვლავ აჭრაჭუნდა საფეხურები, გაჯახუნდა კარები, აჭრიალდა ჭერი, გაიხსნა კარადები, აიხადა ზანდუკების სახურავები.

სამ ყაჩაღს ჩალად არ უღირდა ძარცვა-რბევა. ალესილ დანასავით ააბრწყინეს თეთრი კბილები და იუსტინას ეცნენ. გოგომ იწივლა. ტემნიკარის ცოლმა მოიხედა და იატაკზე გათრეულ თეთრ შიშველ ფეხებსლა მოჰკრა თვალი. დედა წამსვე დაედევნა, მაგრამ გერმანელმა ჯარისკაცმა კონდახი ჩაარტყა და ღუმელისაკენ მოისროლა. ქალი იატაკზე დაეცა.

— ჰალტ! — დაიყვირა ზაპლატარმა და იუსტინას გაეკიდა.

— ზაპლიატერ! — გაისმა მკვახე, მუქარით სავსე ძახილი.

— იავოლჰერშტურმფიურერ! — ზაპლატარი წაბორძიკდა და ოთახში დაბრუნდა.

ტემნიკარის ცოლი ქანდაკივით იდგა კედლის საათთან და გაქვავებული მიშტერებოდა ქმრის სახეს.

„ოჰ, ერნეი! — ეუბნებოდა ქმარს გუნებაში, — შენ ხომ ამას არ ხედავ! შენ აგცდა ეს ამბები!.. ხომ ვიცი, რომ შენ სწორად მოიქეცი. მე ვერ ვიზამდი ამას, მაგრამ ვერც შენ გადაიტანდი ჩემს წილ ხვედრს!“

კედლის საათი ხმამაღლა, ყრუდ ტიკტიკებდა, რადგან გვერდით გაქვავებული ავი დრო ედგა...

ლეიტენანტმა ერთხელ კიდევ მოავლო კმაყოფილი თვალი ნაძარცვ დოვლათს, აუჩქარებლად ჩაილაგა სურათები ტყავის

---

1 მკვდარია? (იტალ.).

2 მკვდარია (გერმ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩანთაში, მერე თავის ქალაზე ჩაჩქანი ჩამოიფხატა, ხოლო ცხვირზე შავი სათვალე წამოიკოსა.

— ზაპლიატერ! — მოუხმო მან საჩვენებელი თითით.

— იავოლჰერშტურმფიურერ! — წამოხტა ზაპლატარი.

ლეიტენანტმა ტემნიკარის რევოლვერზე უჩვენა, მაგიდაზე რომ იდო, თითი ისე მოკაკვა, თითქოს ჩახმახს გამოჰკრა და იქვე, საათთან გაუნძრევლად მდგარ ქალს ესროლაო.

ზაპლატარი აცახცახდა და შიშით მოხედა ქალს.

— ზაპლიატერ? — გაუკვირდა გერმანულ სიკვდილს.

— ა-ა-ა... — ილერლებოდა ზაპლატარი.

— ზაპლიატერ? — კიდევ უფრო მეტი გაოცება დაეტყო გერმანულ სიკვდილს.

— ა-ა-აბერ, — ჯანჯალებდა ზაპლატარი, მაგრამ რევოლვერს მაინც მოკიდა ხელი და ღუმელისკენ მიბრუნდა.

— Avanti! Coraggio![1] — გაისმა იტალიელი დამქაშის ხმა.

— მესროლე, ზაპლატარ, მე მზადა ვარ, — უთხრა ტემნიკარის ცოლმა, წელში გაიმართა და თვალები დახუჭა.

— Was? — ჩაისისინა გერმანულმა სიკვდილმა და ტემნიკარის ცოლს შეხედა. მერე მოკაკული თითი ზაპლატარს შუბლზე მიუკაკუნა და გაიცინა: — Nicht die Alte! Die Uhr![2]

— Die U-u-uhr... — ლენჩივით ჩაიხითხითა ზაპლატარმა. მერე შვებით ამოიოხრა, ოფლით დაცვარული შუბლი მოიწმინდა და აკანკალებული თითი ჩახმახს გამოსდო.

რაღაც გასკდა და დაიწკრიალა, კედლის საათმა ზარი ჩამოჰკრა და აღარც შეჩერებულა.

— ზაპლიატერ? — შეეშინდა კიდეც ლეიტენანტს და ზიზღით გაიქნია ჩაჩქანი.

ზაპლატარმა ორჯერ გაისროლა ერთმანეთის მიყოლებით. ძველი კედლის საათი ნაწილ-ნაწილ დაიმსხვრა და მკვდარი ნამსხვრევები იატაკს მოეფინა. მხოლოდ მოქნილმა ფოლადის ზამბარამ დაუსტვინა ჩიტივით ჰაერში; ოთახის შუაგულამდე რომ მიფრინდა, რამდენჯერმე შეხტა, მერე ტემნიკარის თავთან მიგორდა და კარგა ხანს ხტოდა და წკრიალებდა იქ, თითქოს ამ ზამბარაში იმალებოდა ამ სახლის სული და ვეღარ და ვეღარ გასცლოდა აქაურობას.

— საათი გატეხა! — ჩაილაპარაკა ტემნიკარის ცოლმა, მაგრამ თვალები არ გაუხელია. „ნეტა რად ვერ მომახვედრა ამ უბედურმა?“ — ფიქრობდა ქალი და ელოდა, როდის ესროლონ, მაგრამ რომ აღარ ესროლეს, თვალები გაახილა.

ზაპლატარი წინ იყურებოდა და იდაყვით სველ შუბლს იწმენდდა. გერმანული სიკვდილი ხელთათმანებს იცვამდა და ოქროს კბილებს კრეჭდა.

---

1 წინ! გაბედულად! (იტალ.).

2 დედაბერს კი არა! საათს! (გერმ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა მოხდა? — თქვა ტემნიკარის ცოლმა. — თუ ჯერ ვერ მორჩი?

ლეიტენანტი ადგა, ზაპლატარს მხარზე ხელი მოუცაცუნა, მკვდარ ტონეს გადაალაჯა და ოთახიდან გავიდა. იტალიელი დამქაში გორაობა-გორაობით მიჰყვა კვალდაკვალ.

წუთით დაძაბული სიჩუმე გამეფდა.

— როგორ მოხდა, რომ ვერ მომახვედრე? — მშვიდად ჰკითხა ტემნიკარის ცოლმა.

— ხმა ჩაიკმიდეთ! — გაშმაგდა ზაპლატარი, — მე საათს ვესროლე.

— საათს რადა? — გაუკვირდა ქალს. — საცოდავმა საათმა რალა დაგიშავა.

— არაფერი! ასე იცის ხოლმე იმან.

— სულელი!...

— სულელი! — ხრიწინებდა ზაპლატარი. — ეს არის მაგის ნიშანი, ყველაფერს მორჩითო...

— მე ხომ ეს ადრეც ვიცოდი! მაგრამ რატომლა არ მომიღე ბოლო?

— მე? მე? — ცახცახებდა ზაპლატარი, თვალი ვერ გაესწორებინა ქალისთვის.

— რად კანკალებ? პირველი ხომ არ არის შენთვის.

— გაჩუმდით! — წამოიყვირა ზაპლატარმა და წაბარბაცდა.

ეზოდან მჭახე სტვენა მოისმა.

სახლი ისევ აზანზარდა; ნადავლით დატვირთულ ყაჩაღთა ხროვა წინკარს მიაწყდა.

— წადით! — ჩაიხრიწინა ზაპლატარმა და ტემნიკარის ცოლს ხელზე მოჭაჩა. — ახლა ცეცხლს წაუკიდებენ!

— გამიშვი, უბედურო! — მკაცრად უთხრა ტემნიკარის ცოლმა და ხელი გამოჰგლიჯა. ქალმა ტემნიკართან მიირბინა და მის წინ ჩაიჩოქა. ხეშეში, დამჭკნარი ხელი შუბლსა და ლოყებზე გადაუსვა მიცვალებულს და ნელა გადააფარა დაგლეჯილი ავსტრიული ფარაჯა. შემდეგ ტონესკენ დაიხარა და იმასაც თავზე გადაუსვა ხელი, მერე უაზროდ მივარდა კარს, პირსახოცი ჩამოხსნა და ბიჭს სახეზე წააფარა.

— ზაპლიატერ! — მოისმა ეზოდან.

ზაპლატარს შეაძიგძიგა, ტემნიკარის ცოლს ხელი სტაცა და ოთახიდან გაათრია.

გერმანული სიკვდილი დიდ შავ მორთან გაშეშებულიყო, ცალი ხელთათმანიანი ხელი ნაჯახზე ედო, ხოლო მეორეთი შემორაგული ბალისკენ უთითებდა.

— იავოლჰერშტურმფიუერერ! — გამოეხმაურა ზაპლატარი და ტემნიკარის ცოლი გორაკისაკენ წაათრია.

— გამიშვი! — ქალმა კვლავ გამოგლიჯა ხელი და თავისით ავიდა გორაკზე. იგი გაჩერდა ასკილის დიდ ბუჩქთან, ჩაშა-

ვებულ ფუტურო მესერში რომ მოჩანდა, თავსაფარი გაისწორა და ეზოს თვალი მოავლო.

— იუსტინა!.. იუსტინა სადღაა? ცოცხლად გამოიწვევა!..

ზაპლატარი შეკრთა და ნაბიჯი წინ წასდგა.

ქალმა ხელით შეაჩერა, რადგან იმავ წამს სულ სხვა აზრმა გაუელვა თავში.

— ის ხომ მკვდარია! — მის ხმაში შვება გაისმა. — ხოლო თუ მკვდარი არ არის, მაინც სახლში დარჩენა უჯობს. ეყოფა, რაც გადახდა!

— მე-მე-მე არ-ა ვარ დამნაშავე! — ცახცახებდა ზაპლატარი.

— ჩუმად, იყავი, უბედურო! ჩუმად-მეთქი, — უთხრა ქალმა ნელი, გულში ჩამწვდომი ხმით.

კარში თმაგაჩეჩილი ჯარისკაცები გამოჩნდნენ. ისინი ეზოში გამოვიდნენ, დადგნენ და ერთგული ძალლებივით მორჩილად დაელოდნენ ახალ ბრძანებას.

გერმანულმა სიკვდილმა ასწია ხელი, რათა ებრძანებინა და მის წინ ყოველივე აღეგავა პირისაგან მიწისა, მაგრამ იტალიელმა დამქაშმა არ დააცალა. იგი ხელებს იქნევდა და ყვიროდა:

— E la figlia? E la figlia, la maledetta puttana.[1]

ლეიტენანტმა მედიდურად დაუშვა ხელი და მხრები აიჩეჩა. მისი დამქაში ჯარისკაცებს მიუბრუნდა და სამხრეთელისათვის ჩვეული ხელების ქნევით აუხსნა მათ საქმის ვითარება. ჯარისკაცები გაიკრიჭნენ და სახლში შებრუნდნენ.

ტემნიკარის ცოლი თვალებით ნთქავდა თავისი სახლის კარს. სიბნელეში დაინახა, ჯარისკაცები თეთრ, შიშველ სხეულს რომ მოათრევდნენ, სხეული კი იგრიხებოდა და იკრუნჩხებოდა.

— იუსტინა! იუსტინა! საშიში არაფერია!.. — ქალმა ხელები გაშალა და სახლისაკენ გაიწია.

— ზაპლიატერ! — გაისმა მკვახე ხმა.

ზაპლატარი ტემნიკარის ცოლს ეცა და ხელი დაუჭირა.

— გამიშვი! — დაუყვირა ქალმა და ისეთი ძალით გაიწია, ფეხზე ველარ დამაგრდა და თოვლში დაეცა. იწვა გაუნძრევლად და თავისი სახლის კარს მისჩერებოდა. თეთრი სხეული მიწაზე მოისროლეს, მერე ჯარისკაცებმა აიღეს და ზღურბლისაკენ წაათრიეს. ტემნიკარის ცოლმა ველარ შესძლო ამის ყურება.

— მოჰკალით! — დაიყვირა მან. — მოჰკალით, თქვე მხეცებო!

თითქოს მის ბრძანებას დაემორჩილაო, გერმანულმა სიკვდილმა ხელი წინ გასწია. გაისმა სროლა. ჯარისკაცები ნადი-

---

[1] გოგო? ის წყეული ჯიბა გოგო? (იტალ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებივით განზე გაცვივდნენ, თეთრი სხეული კი ზღურბლზე დარჩა, ქათქათა, დაკლაკნილი, ისეთი უძრავი, თითქოს არც ეცოცხლოს არასდროს.

— მე...მე...მე... — სლუკუნებდა . ზაპლატარი, ტემნიკარის ცოლისკენ რომ დახრილიყო და მის წამოყენებას ცდილობდა.

— ჩუმად იყავი, უბედურო! არ მომეკარო! — ყრუდ უთხრა ქალმა, მაგრამ ხმა ისეთი მბრძანებლური ჰქონდა, ზაპლატარი წამსვე მოშორდა.

ტემნიკარის ცოლი ნელა წამოდგა, ტანსაცმლიდან თოვლი ჩამოიბერტყა. იგრძნო, რომ უკანასკნელი ლოდიც მოეშვა გულიდან. ახლა მჩატედ იყო, მჩატედ და მარტოდმარტოდ. მარტობამ კი ძალა მისცა, სწორედ რომ უძლეველად აქცია...

„ოჰ, ერნეი! შენ ხომ ეს ამბები არ გინახავს! რომ გენახა, ვერც გაუძლებდი. არა, ვერ გაუძლებდი!..“ — ქალი კარგად გრძნობდა, რომ მამაკაცის გმირობა ისევე განსხვავდება დედაკაცის გმირობისაგან, როგორი განსხვავებულიც არის მათი დანიშნულება ამ ქვეყანაზე. მამაკაცი — ბრძოლაშია გმირი, ქალი — ტანჯვაში, ტანჯვა კი ძალიან ხშირად ყველაზე მძიმე ბრძოლაზე უფრო საშინელია. ქალს უხაროდა, რომ ერნეი ცოცხალი ალარ იყო.

იგი ბალჩაში დაბრუნდა, ისევ ასკილის დიდ ბუჩქთან დადგა და მესერს მიეყრდნო. თავსაფარი გაისწორა. საოცარია, მაგრამ ცმაყოფილებით გაიფიქრა, ყველაფერი რიგზეაო. ჯერ ერნეი წავიდა, მერე — ტონე, მერე — იუსტინა, თვითონ — ბოლოს წავა, დედები ხომ ყველაზე ბოლოს მიდიან დასასვენებლად... მერე ამოიოხრა და მაღლა აიხედა. იქ ცივი, შეუბრალებელი ლურჯი ცა გადაჭიმულიყო, ღრუბლის ნასახიც არ ჩანდა ზედ...

— მე...მე...მე... არ-ა ვარ დამნაშავე! — კვლავ ამოისლუკუნა ზაპლატარმა.

— ჩუმად იყავი, შე უბედურო, ჩუმად! — ისე უთხრა ტემნიკარის ცოლმა, თავი არც მიუბრუნებია მისკენ.

კარიდან ბოლქვა-ბოლქვად გამოიჭრა სქელი კვამლი. ფანჯრები მეწამული შუქით აფერადდა. აქა-იქ მინები გასკდა. ცეცხლის ალი გარეთ გამოიჭრა, კედლებს ენა აუსვა და ზღაპრული გაუმაძღარი ვეშაპივით მაღლა ავარდა, სახურავს ეცა.

„რა ნელა იწვის!“ — გაიფიქრა ტემნიკარის ცოლმა.

დიდხანს მოძვრებოდნენ ფანჯრებსა და ხის კედლებიდან ცეცხლის ენები, დიდხანს ლოკავდნენ, ფლეთდნენ, კბენდნენ ისინი ყოველი მხრივ ჩალის სახურავს...

ბოსელში ძროხები აბღავლდნენ. ვილაცამ ჭიშკარი მოფლითა. სამი ძროხა მინდორში გაიჭრა, ჭრელა სახლის კუთხეს მიაწყდა. უცხოთა დანახვაზე ძროხა წამით გაქვავდა, მერე კი ზმუილით გავარდა ეზოში. ატყდა ყვირილი და ხარხარი, დაიგრგვინა ავტომატის ჯერმა. ჭრელა ფერდობზე მიჰქროდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბალიასკენ, მაგრამ უცებ ფეხები მოეკეცა და დაეცა, წითელმა სისხლმა შელება თეთრი თოვლი.

— ოჰ, ერნეი, აბა ეს დაგინახავს შენ! — ჩაილაპარაკა ტემნიკარის ცოლმა.

მეორე სახლის ჭერმა დაიგმინა, დაიგმინა ცოცხალი ადამიანივით, საშინელი წამებით რომ ლევს სულს.

— ერნეი! ტონე! იუსტინა!

სახურავი ჩამოიქცა. ცეცხლის ენები მაღლა აიჭრა, თითქოს უცებ ვულკანმა დააღო ხახა. უთვალავი ნაპერწკალი უთვალავი ცეცხლოვანი ფუტკარივით მოედო ყოველ მხარეს, მაღლა აიჭრა. რიალებდნენ ბნელში, ქრებოდნენ, მიწაზე ეშვებოდნენ და შავი მატლებივით ხრავდნენ თოვლის თეთრ ქერქს.

გერმანული სიკვდილი ფერდობზე ასულიყო და ახლა იტალიელ დამქაშთან ერთად ნელ-ნელა ჩამოდიოდა ეზოში. შავ მორთან შედგნენ და ირგვლივ თვალი მოავლეს... დამქაშმა დაუსტვინა და ბრბომ წამსვე მოიყარა თავი. ზაპლატარიც შეირხა.

— მე რალას მიზამენ? — იკითხა ტემნიკარის ცოლმა.

— ჩუმად იყავით! — ყრუდ ჩაიხრიწინა ზაპლატარმა. — იქნებ გადაავიწყდეთ.

— რატომ უნდა გადავავიწყდე? — შეჰყვირა ქალმა და გულზე ხელები დაიჭდო.

— ხმა ჩაიკმინდეთ! — ჩაჰსისინა ზაპლატარმა და საჩქაროდ წასვლა დააპირა.

— ზაპლატარ!

ტემნიკარის ცოლის ხმა იტალიელს მოესმა და ისიც აჩქარდა:

— E la vecchta? E la vecchta?[1]

— Schuss![2] — მოღლილად ჩაიქნია ხელი გერმანულმა სიკვდილმა.

სამი ჩაჩქანიანი ჯარისკაცი ჩამწკრივდა და თოფი მოიმარჯვა. სწორედ ამ დროს ლეიტენანტმა უკან მოიხედა და ეზოში ჩამომავალი ზაპლატარი დაინახა. ლეიტენანტს თხელი ტუჩები საზიზღარმა ღიმილმა დაუმანჭა.

— ზაპლიატერ!

— იავოლპერშტურმფიუერ! — თითქოს წაბორძიკდაო, ზაპლატარი ბილიკზე გაქვავდა.

— Schuss! — ცივად წარმოთქვა ლეიტენანტმა და გრძელი ხელი ტემნიკარის ცოლისკენ გაიშვირა.

ზაპლატარი აცახცახდა.

ტემნიკარის ცოლი წელში გასწორდა და თვალები დახუჭა.

---

[1] დედაბერი? დედაბერი? (იტალ.).

[2] დახვრიტეთ! (გერ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

— Schuss! — გაიმეორა ლეიტენანტმა და ოქროს კბილები გამოაჩინა.

— ა...ა... აბერ... — სლუკუნებდა ზაპლატარი და ძლივს იდგა ფეხზე.

— ზა-პლია-ტერ!

— ა...ა...აბერ... — სლუკუნით მოიხსნა ზაპლატარმა ავტომატი.

ისევ დამქაში მოგორდა:

— Fucilare? Ma no! Oggi è santo Stefano. Dovrebbe essere lapidata![1]

— Was?

— Lapidare! Lapidare! — იმეორებდა იტალიელი, მერე ტალახიანი თოვლის გუნდა უჩვენა, აქაოდა, ტემნიკარის ცოლი უნდა ჩაიქოლოსო.

— Zapidare? — ქედმაღლურად შეიკრა წარბი გერმანულმა სიკვდილმა. — Giustizia romana![2] — ზიზღით გაიქნია მან თავი. მერე ხელთათმანიანი ხელი მტკიცედ დაადო ნაჯახს და გადაჭრით თქვა:

— Giustizia germanica decapitare![1]

— Decapitare? — შეძრწუნდა იტალიელი დამქაში. — Ma guesto è orribile! E orribile![4]

— De-ca-pi-ta-re! — ფოლადი ჩაიღვარა ხმაში გერმანულმა სიკვდილმა და უკან მიიხედა. — ზაპლიატერ, — შეჰყვირა მან და ჯერ ტემნიკარის ცოლზე მიათითა, მერე შეშის საჩეხ მორზე.

— იავოლჰერშტურმფიურერ...— ენა დაება ზაპლატარს და ძალა არ ეყო, ადგილიდან დაძრულიყო.

ტემნიკარის ცოლი მიხვდა, რასაც უპირებდნენ. იგი ლოზეს მოსწყდა და ნელი, მაგრამ მტკიცე ნაბიჯებით დაეშვა ფერდობზე. ზაპლატარს რომ გაუსწორდა, მშვიდად უთხრა:

— ნუ კანკალებ, ზაპლატარ! წავიდეთ! საშიში არაფერია...

— დედავ!.. — ამოისლუკუნა ზაპლატარმა ფეხმოუცვლელად.

— წავიდეთ! საშიში არაფერია!.. — გაუმეორა ქალმა და სახელოზე ხელი მოჰკიდა.

მთლად აცახცახებული ზაპლატარი მორჩილად მიჰყვა.

ბრბო ერთბაშად გაყუჩდა და წრედ შეიკრა.

ტემნიკარის ცოლი მორთან მივიდა და გაჩერდა.

გერმანულმა სიკვდილმა თითით მოუხმო ერთ ჯარისკაცს და ხელებით ანიშნა, ამ ქალს თავი უნდა გავაგდებინოთო.

---

[1] დავხვრიტოთ? არა! დღეს წმიდა სტეფანეს დღეა. ქვით უნდა ჩაიქოლოს! (იტალ.).

[2] რომაული მართლმსაჯულება! (იტალ.).

[3] გერმანული მართლმსაჯულებაა: თავი მოეკვეთოს! (იტალ.).

[4] მაგრამ ეს შემზარავია! შემზარავი! (იტალ).

ჯარისკაცს გაოცება გამოეხატა თვალებში, მერე თავი აიქიცინა. სამარისებურ სიჩუმეში მან ნაჯახი ამოაძრო და მორიდან ხელით გადაფერთხა ჩაშავებული თოვლი. მერე ორიოდე ნაბიჯით განზე გაიწია, დაიხარა და ნაჯახის პირი თითით მოსინჯა.

ტემნიკარის ცოლმა თავი ასწია, ზაპლატარს მიუბრუნდა და ხმამაღლა ჰკითხა:

— გამიგონია, სიკვდილმისჯილს უკანასკნელ სურვილს უსრულებენო თითქოს?

— რაო, რას ისურვებდით? — ამოისლუკუნა დაბნეულმა ზაპლატარმა.

— იმას, რომ თავი შენ გამაგდებინო.

— დედავ... — ზაპლატარს ფეხები მოეკვეთა.

— ამას დედასავით გთხოვ, — უთხრა ქალმა, — და ყველაფერს გაპატიებ.

— ზაპლიატერ?

— დედავ!.. — ზაპლატარი კვნესით დაეცა მუხლებზე.

— ზაპლიატერ! — შეხტა ადგილზე გერმანული სიკვდილი.

ტემნიკარის ცოლი ახლა გერმანულ სიკვდილს მიუბრუნდა, თითი მის ფეხებთან დაკრუნჩხულ ზაპლატარს ატაკა და კეფაზე ხელი გაისვა.

ლეიტენანტი ისე გაოგნდა, წუთით კრინტი ვერ დასძრა. მერე უცნაურმა ღიმილმა დაუმანჭა სახე და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

ტემნიკარის ცოლი აუჩქარებლად მიუახლოვდა მორს.

ლეიტენანტი წელში გასწორდა და სამიოდე ნაბიჯით უკან დაიხია. სიჩუმე მისმა ფოლადისებურმა ხმამ გაჰკვეთა:

— ზაპლიატერ!

— დედავ!.. — ბლუკუნებდა ზაპლატარი და ტემნიკარის ცოლისკენ იწვდიდა ხელს.

— ზა-პლია-ტერ!

ზაპლატარი პირქვე ჩაეცა თოვლში. გერმანელმა ჯარისკაცმა მიირბინა და კონდახი ჩასცხო. მერე მეორე ჯარისკაცი გამოხტა და იმანაც ჩასცხო კონდახი, შემდეგ ორთავემ ილლიებში ხელი ჩაავლო ზაპლატარს და ფეხზე დააყენეს.

— ა... ა...აბერ, — გაისმა არაადამიანური ღრიალი.

— ზაპლიატერ! — ჩაისისინა გერმანულმა სიკვდილმა და დამბაჩაზე ხელი წაივლო.

ჯარისკაცი წყეულ აყლაყუდასთან მივიდა და ორივე ხელით გაუწოდა ნაჯახი.

— ზაპლიატერ! — გერმანულმა სიკვდილმა ხელი ასწია.

ზაპლატარი წაბარბაცდა და უნებლიეთ გაიწვდინა წინ გამხმარი მკლავები. ხელში რომ ნაჯახის სიმძიმე იგრძნო, შეაძიგძივა და ღმუილი აღმოხდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნუ ლმუიხარ, უბედურო! — წყნარად ჩაულაპარაკა ტემნიკარის ცოლმა. — სამიში არაფერია!..

— დედავ!..

ჯარისკაცები ტემნიკარის ცოლთან მივიდნენ, რომ მუხლებზე ჩაეჩოქებინათ. ქალმა თავი დაუქნია, სამარისებურ სიჩუმეში თავსაფარი მოიხადა და მორს გადააფარა. მერე შავ თოვლში ჩაიმუხლა, თავი თავსაფარზე დადო და თვალები დახუჭა.

— ზაპლიატერ! — გააპო სიჩუმე ბრძანებამ.

— დედავ, შემიბრალეთ! — წამოიკვნესა ზაპლატარმა.— შემიბრალეთ...

— ნუ ყვირი, უბედურო! — უთხრა აუღელვებლად ტემნიკარის ცოლმა, თვალებიც არ გაუხელია, ისე. — მე მებრალები. წამაცლი თავს და ყველაფერი გეპატიება.

— დედავ...

— სამიში არაფერია, ზაპლატარ!..

— ზაპლიატერ! — დაიწივლა ლეიტენანტმა და ჰაერში დასცალა დამბაჩა.

ზაპლატარი ისე შებარბაცდა, თითქოს ტყვია მოხვდაო. მერე უცებ გამართა თავისი გრძელი ტანი, თითქოს უკანასკნელად გაიბრძოლაო. გრძელტანიანი ნაჯახი მაღლა აფრიალდა. მას იქ მყოფთა მზერაც თან მიჰყვა. ნაჯახი მაღლა აიჭრა, — ასცდა დამწვარ კედელს, ხანძრის კვამლს, ულრუბლო ლურჯ ცას შეერია. მისმა ალესილმა პირმა ცივი მზის სხივებში გაიბრწყინა, გაიელვა და სწრაფად დაეშვა ძირს...

— კმარა! კმარა! — შეჰყვირა პეტერ მაიცენმა და თავი გაიქნია, რომ ეს საზარელი ზმანება მოეშორებინა. — მეყო! მეტი ძალა აღარა მაქვს!.. მეყო,— გაიმეორა უფრო ხმამაღლა, ხელები აიქნია და წამოხტა.

ისე სწრაფად წამოხტა, თავბრუ დაეხვა, თვალები აუჭრელდა, ყურებმა შხუილი დაუწყო, ფეხები თითქოს მოეკვეთა. პეტერ მაიცენი კვლავ ჯირკზე დაეშვა, ხელისგულები საფეთქლებზე მიიჭირა, თვალები დახუჭა და შეეცადა გონს მოსულიყო. მაგრამ გვიანღა იყო. შხუილმა იმძლავრა, მბურღავ ტკივილად იქცა და წამით ჩამოწოლილ შავ წყვდიადში ულმობელი ძალით ნაპერწკლებად გაიფანტა, — ამ ნაპერწკლებში კვლავ ნაჯახის პირმა იელვა.

— კმარა! — ძლივს გასაგონად ჩურჩულებდა პეტერ მაიცენი. მაგრამ ეს მხოლოდ წამით გაგრძელდა. თავბრუსხვევამ გაუარა. მან მაგრად მოისრისა ლოყები და ირგვლივ მიმოიხედა.

ჰო, წყნარი ბარის ზემოთ იჯდა. ირგვლივ საოცარი სიჩუმე გამეფებულიყო. არაფერი იძროდა, როგორც ქარიშხლის წინ იცის ხოლმე. ხეობა მძიმე, მოლურჯო-მოტყვიისფრო სინათლეში ჩანთქმულიყო. იგი გამადიდებელ შუშასავით ახლოს გაჩვენებდა ირგვლივ ყოველივეს, თუმცა ყველაფერს არა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნებრივ, უსიცოცხლო იერს ჰფენდა, თითქოს ხეობას სიცოცხლე მეწყვიტა უცებ და ნამდვილი გამხდარიყო.

პეტერ მაიცენმა მკერდში ტკივილი იგრძნო, წელში გაიმართა და ღრმად ამოისუნთქა. მერე მაღლა, ზვარს ახედა. ვაზს ისეთი ხეშეში ფოთლები ესხა, თითქოს ჟანგიანი რკინისაგან გამოეჭრათ, არც კი იორხეოდნენ. მერე მწვანე ველსა და ჩამავებულ მდინარეს მოავლო მზერა, მდინარის გასწვრივ ჩაყოლებულ შავ ტირიფებს, უძიროო მორევსა და შავი რცხილის ჩრდილში შეფარებულ თეთრ წანწალებზე გაუჩერდა თვალი. უნდოდა უფრო შორსაც მიეწვდინა მზერა, მდინარის გალმა მდებარე გზისთვის, დაენახა მარცხენა ფერდობზე ეულად მდგარი მუხა, აყვავებული წიწიბურა და წითელსახურავიანი სახლი, მაგრამ გადაიფიქრა და ახლა მდინარეს გახედა, შავი ტყისაკენ რომ მიიკლაკნებოდა, მერე — შავ გორაკსა და მთის შავ თხემებს. ცას არ შესცქეროდა. გრძნობდა, რომ არ უნდა ეცქირა მათთვის; საღლაც გულის სიღრმეში ეშინოდა, ლურჯ ცამდე შემართული ნაჯახი არ მეზმანოსო ისევ. იცოდა, რომ ეს წარმოსახვის ნაყოფი იყო, მაგრამ თავი მაინც მხრებში ჩაიძვრინა და ხელი უნებლიეთ ყელისკენ გააპარა.

„კარგი, გეყოფა“, — უბრძანა თავს, წელში გაიმართა და მაღლა აიხედა. ცა კაშკაშა და ცარიელი იყო, მთლად ცარიელი. ნელ-ნელა ააცურა მზერა მის სივრცეში: სილურჯე მოჩანდა მხოლოდ, სილურჯე და კვლავ სილურჯე — უშფოთველი, ცივი და ულმობელი...

— ნაჯახი აღარ არის, ეს კი დარჩა, — ჩაიბურტყუნა პეტერ მაიცენმა. ისე ნაგვემ-ნაწამები იყო, თითქოს ტანჯვის ღამე გაეტარებინოს.

მაგრად მოქაჩა სიგარეტი. აუტანელი დაღლა იგრძნო და ბალახზე დაეცა.

— არა, ეს საშინელია! — გაიმეორა მან. — მეტისმეტად საშინელი...

მან ნელ-ნელა ცერად ააყოლა თვალი მარცხენა ფერდობს და მზერა მზეზე მოგიზგიზე წითელ სახურავზე შეაჩერა.

— ჰო, შენს შემხედვარეს მეზმანა ის საზარელი სურათი, — ცოტა არ იყოს ყვედრებით წაილაპარაკა პეტერ მაიცენმა.

მან ფართოდ გააღო თვალები და საკუთარ გულისცემას მიაყურადა. გული ძლიერ უძგერდა, ასე ემართებოდა შთაგონების წუთებში მუდამ. მაგრამ სულისა და ხორცის ამ მიუწვდომელ ტკბობას, იმ საოცარ, ოდნავ მოღლილ სიხარულს, ასეთ წუთებში რომ ეუფლებოდა, ის სიწმინდე აღარ ახლდა ახლა; შიგ სამსალა ერია, იდუმალი შიში და სირცხვილი. ასე ხდება, როს საყვარელ ადამიანთან განცდილი სიყვარულის ნეტარება გაივლის და წამიერი დუმილი დგება.

„რად არის, რომ იმ უდიდეს სიხარულს, რასაც შემოქმედება ბადებს, უეჭველად სიმწარე უნდა შეერიოს?“

პეტერ მაიცენმა თვალები დახუჭა და დაელოდა, იქნებ გაიაროსო ამან, თუმცა გული შიშით უგრძნობდა, ეს არ მოხდებოდა. სიმწარე არ გამქრალა.

„საიდან, როგორ გეზმანა ეს? — ეკითხებოდა თავს და ამ კითხვის მეტი აღარა აინტერესებდა რა. — საიდანო? მე ხომ მაგდაგვარი არაფერი გამივლია აზრად!.. და არც ყური მომიკრავს არასდროს!... და, რაღა თქმა უნდა, არც მინახავს!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერე ის ორი მოკვეთილი თავი? — მოაგონდა უცებ.

და ყველაფერი გაუცოცხლდა თვალწინ...

ომის დროს პეტერ მაიცენმა ერთხელ ნახა ფოტოსურათი, ტყვედ ჩავარდნილ გერმანელ ჯარისკაცს რომ უპოვეს. ცარიელ მაგიდაზე ორი მოკვეთილი თავი იდო, ერთს სიგარეტი ჰქონდა გაჩრილი კბილებში. მოკვეთილი თავები ზღვისპირელი გლეხებისა იყო. გერმანელებმა მათ ჩვეულებრივ მორზე გააგდებინეს თავები. სურათმა შეაძრწუნა პეტერ მაიცენი და სამუდამოდ დაამახსოვრდა. გლეხების სახეები ისეთი მახლობელი გახდა მისთვის, თითქოს მთელი სიცოცხლე იცნობდა ამ ადამიანებს. თვალს დახუჭავდა თუ არა, ცოცხლად წარმოუდგებოდნენ. უფრო ხშირად ძილ-ღვიძილის დროს ეზმანებოდა ისინი, როცა საშინლად დაღლილი იყო და თვალის მოხუჭვა კი უჭირდა. ზმანებანი ჯერ სადღაც შორს გამოჩნდებოდნენ, ჰაერში რიალებდნენ, თანდათან უახლოვდებოდნენ ერთმანეთს და მერე სულ ახლოს დაუდგებოდნენ წინ: სახე დამშვიდებული ჰქონდათ, გაოცება სამუდამოდ შეჰყივნოდათ პირსახეზე ამ უბრალო ადამიანებს. პეტერ მაიცენმა მალე იგრძნო, რომ ოდესმე უსათუოდ დასწერდა რაიმეს ამ ორ კაცზე. გადაწყვიტა, მოევლო ზღვისპირეთი, თავისი თვალით ენახა ის ადგილები, სადაც ეს ამბავი მოხდა, გამოლაპარაკებოდა მათ ახლობლებს და ასე შეეკრიბა საჭირო ცნობები. საქალალდეში, სადაც შავად ნაწერს ინახავდა, უკვე ედო ფურცელი, ზედ ეწერა „თავმოკვეთილნი“ და რამდენიმე პატარ-პატარა ჩანაწერიც ჰქონდა გაკეთებული. იგი უკვე გარკვევით ხედავდა ახალგაზრდა გერმანელ ჯარისკაცს, თავი რომ მოკვეთა იმ გლეხს. კბილებში სიგარეტი ჰქონდა გაჩრილი, ხედავდა, როგორ ჩამოეყარა შუბლზე გერმანელს რბილი, სწორი, ქერა ქოჩორი, როცა ნაჯახის ასაღებად დაიხარა, მერე როგორ გასწორდა წელში გერმანელი, პატარა ბიჭივით როგორ გადაიყარა თმა უკან, სანამ ნაჯახს აღმართავდა. ასევე გარკვევით ხედავდა ექვსიოდე წლის ბიჭუნას, სახლს უკანა ეულ ლარიქსთან ქანდაკებასავით რომ გაშეშებულიყო, შიშველი მუხლები უკანკალებდა მხოლოდ და ჩალურჯებული ტუჩები უთრთოდა, ხოლო წამწამებზე გაშტერებული თვალებიდან ჩამოწვეთებული კურცხალი დაჰკიდებოდა... ზმანება თანდათან იძაბებოდა, უფრო და უფრო საშინელი ხდებოდა. ისე რომ პეტერ მაიცენს კიდეც ეჭვი შეეპარა, მეყოფა თუ არა ძალა ამ ამბის დასაწერადო. მაგრამ მოკვეთილი თავები არ ქრებოდნენ მისი მეხსიერებიდან. პირიქით, უფრო და უფრო ხშირად ამოტივტივდებოდნენ ხოლმე. ჰოდა, პეტერ მაიცენსაც ქვეშეცნეული რწმენა გაუჩნდა — ისინი მანამ ირიალებენ ჰაერში და იდგებიან ჩემ თვალწინ, სანამ მათ ამბავს ქალალდზე არ გადმოვიტანო.

„ჰო, იქნებ ეს მოკვეთილი თავები, აგერ ათი წელიწადია რომ მდევნიან, მართლაც დაერთო ტემნიკარის ამბავს. მათ წარმოშვეს ალბათ ტემნიკარის ისტორია. მაგრამ რანაირად?...“

პეტერ მაიცენი ზურგზე გადაბრუნდა და მის წინ გადაშლილ ლურჯ სივრცეში ჩაიძირა.

„ვთქვათ, ეს ცა, უსასრულოდ მაღლა რომ მიემართება, — თავისებური უზარმაზარი რცხილაა. ჩვენს ქვეყანაში, ამ პატარა აუზში საშინელი ამბები მოხდა, ისეთი საშინელი, ღვთის რისხვას და წყალობას რომ იმსახურებს. მერე? ნუთუ მათი ხსოვნა სამუდამოდ გაჰქრა? ან იქნებ ზეცამ გადაიღო მათი სურათი რაღაც კოსმიური ძალების შემწეობით და თავის ურიცხვ ლურჯ

ფენებში ჩამალა? ახლა კი თანდათან აღწევს ეს სურათები შემოქმედთა სულს და ასი წლის შემდეგაც ასევე იქნება... მათ ჩემს სულშიაც შემოალწიეს. სასეირნოდ გამოვედი, სიკვდილზე ფიქრები გულიდან რომ გადამეყარა, დავწყნარებულიყავ და გონს მოვსულიყავ. მერე იდუმალი საყვირის ხმამ ამ ფერდობზე შემომიტყუა, თუმცა ისიც არ ვიცი ნამდვილად — საყვირი იყო თუ მომეჩვენა მისი ხმა და აქ შემოვრჩი; აღარც საყვირი მახსოვდა, ბუნების სიმშვენიერით ვტკბებოდი. მერე ის იყო, ეს გადამწვარი და ხელახლა აშენებული სახლი დავინახე და ისევ გამიცოცხლდა უცებ წითელი სახურავის ამბავი. ჩემი გულის მორევის მიწყნარებულ ზედაპირზე დაეცა ფოთოლი, წყალმა გაშალა იგი და თვალწინ ახალი სურათები დამიდგა... მერე როგორი სურათები!..“

პეტერ მაიცენი ფიქრებში ჩაიძირა.

„ჰოდა, რას დავინახავდით, ამ ლურჯ ცას რომ მართლაც ყველაფერი ეჩვენებინა, რაც ჩვენს ქვეყანაში მოხდა? მილიონობით მკვდარს!..“

„მათ შორის ტემნიკარის ცოლსაც!“

„ტემნიკარის ცოლს? — გაკვირვებით გაიქნია თავი პეტერ მაიცენმა — ტემნიკარის ცოლს? არაფერი მესმის!.. ეს ქალი ვულკანივით აფეთქდა და თითქმის ზღაპრულ გმირად იქცა“.

„სწორედ ეს არის მთელი სიძნელე! — ჩაფიქრებით თქვა მან. — რა უნდა ვუყო ამ ქალს? ის ხომ ამბის ქარგას მინგრევს, მაგრამ ეს კიდევ არაფერი. მთავარი ის არის, რომ იგი ტემნიკარს მიჩრდილავს. მყავდა გმირი, სწორედ ისეთი კაცი, როგორიც მინდოდა, მის ირგვლივ მყოფნი რომ მასთან შედარებით გახვრეტილ გროშადაც არ ღირდნენ და აბა უყურე...“

„განა ახლა კი დაპატარავდა ტემნიკარი?“

„არა! რასაკვირველია, არა! — ამოიოხრა პეტერ მაიცენმა. ამან გული გაუხარა. — სულაც არ დაპატარავდა!“

„მაშასადამე, თავი და თავი ისაა, სად მივაბათ ტემნიკარის ცოლის ამბავი?“

„ჰო, ან იქნებ ისე გავაკეთოთ, თითქოს ტემნიკარს დაესიზმრა ეს ამბავი? მერე როდის?.. ან თვითონ ტემნიკარს რაღა მოუვა? იქნებ შეყოყმანდეს კიდეც. არა, იმას არ ვამბობ, გატყდება-მეთქი, ბედისწერა არ მისცემს ნებას, რომ გატყდეს, მაგრამ ღონე რომ გამოეცალოს... ხომ აღარ იქნება ის გმირი, ერთი მთლიანი ლოდისაგან გამოძერწილი, როგორიც მე მესახებოდა“.

„მაგრამ ესეც უნდა მოხდეს“.

„ჰო, მაგრამ, თუკი არაფერი წარმოიდგინა? თუკი მე მისი ოჯახის აღსასრულს არ დავანახვებ?“

„მაშინ მართლაც დაპატარავდება... თუმცა ეს სულ ფუჭი ლაპარაკია. განა შენ არა ხარ მისი სულისა და გულის ბატონ-პატრონი? ეს ზმანება უკვე თანა სდევს მას“.

— რასაკვირველია, — წაიბურტყუნა პეტერ მაიცენმა.

„სად არის ახლა იგი?“

„სად არის ახლა?“ — დაფიქრდა პეტერ მაიცენი. — მალნოვის მთასთან კრნოს გამოემშვიდობა და მელინის ტყის გზას დაადგა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მაშ, საცაა რეიჩევის ბილიკზე გავა“.

— ჰო, საცაა რეიჩევის ბილიკზე გავა... — პეტერ მაიცენმა ხეობის სიღრმეში გაჭიმულ ველს გადახედა, მზეს რომ ორად გაეყო: განათებულ და ჩრდილიან მხარედ. — აი ახლა გავა რეიჩევის ბილიკზე... — გაიმეორა მან და მზერა ტყისპირისაკენ გადაიტანა. — რეიჩევის ბილიკზე გავა... — მესამედ წარმოთქვა მან და ნაღველი მოერია...

ტემნიკარი რეიჩევის ბილიკზე გამოვიდა. ნელა მიდიოდა, მოლლილობა ეტყობოდა. სახეზეც დაბერებული ჩანდა, დაპატარავებულიყო კიდეც. წელში მოხრილი, მძიმე ტვირთს მიეზიდებოდა თითქოს.

ტყის პირას შეჩერდა. წინ რეიჩევის სავალი გადაიშალა... ზუსტად მის შუაგულზე გადიოდა შუქისა და ჩრდილის საზღვარი. ცალ მხარეს თოვლს ვერცხლისფერი გადაჰკრავდა, მზეზე ბრწყინავდა, თბილი და ცოცხალი გეგონებოდა, მეორე მხარეს კი მოლურჯო ნისლს შეებურა და თოვლიც ცივი და მკვდარი ჩანდა.

ტემნიკარს შეამცივნა, სულშიაც სიცივე გამეფებოდა, თუმცა არ სურდა ეს დაეჯერებინა. მან მათარისკენ ხელი წაიღო, არაყი მოყლურწა და კვლავ ჩრდილს გახედა.

— მალე თორმეტი იქნება, — წარმოთქვა მან თავის დასამშვიდებლად. — კარგია!.. ის ძალთაპირი თხუნელები ახლა მიაღწევენ მხოლოდ რავნიშის მდელოს. ან იქნებ იქამდე არც არიან ჯერ მისულნი.

მან ოფლით დაცვარული შუბლი მოიწმინდა და კვლავ არყით დაიამა გული.

— ესეც ასე. ახლა გავსწიოთ! — უბრძანა თავის თავს, მაგრამ ხმა ისე მტკიცე ალარ ჰქონდა.

ტემნიკარი წელში გასწორდა, ღრმად შეისუნთქა და პირდაპირ შუქჩრდილის საზღვრისაკენ გაალაჯა. მერე ისევ გაშეშდა, თითქოს უფსკრულის პირას იდგა. ერთხანს გაუნძრევლად იყურებოდა წინ, მერე თავი ასწია:

— წავალ!

თოვლით პირი მოიბანა და მზეს შეხედა.

— ახლა წავალ... იქით... იმ მხარეს... — ჩუმად უთხრა თავის თავს და ჩრდილზე მიუთითა.

მზე ოდნავ შეტორტმანდა.

— წავალ... ასე მოხდა, უნდა წავიდე... მე და შენ ველარ ვნახავთ ერთმანეთს!..

მზე ისევ შეტორტმანდა.

— ალარასოდეს გაანათებ ჩემთვის... ალარასოდეს!..

მზემ თავი დაუქნია.

— მაგრამ შენს სხივებს დღეს კიდევ დავინახავ. იქ... —

ტემნიკარმა მრგვალ გორაკზე მიუთითა, სადაც სათიბები იდგა, — იქ, ბრეზში ვნახავ. თუმცა მათ ჩასვლას სადამოთი ვერ დავინახავ, თავად ჩემი მზე ჩაესვენება მანამ... გაიგე?

მზემ თავი დაუქნია.

— აბა, ახლა კი წავალ... გადავაბიჯებ... ე-ე... არა, ეტყობა, არც ისე იოლია მზიანი მხრიდან ჩრდილში გადაბიჯება. ხომ გჯერა?

მზემ კვლავ თავი დაუქნია.

— არაფერი გაქვს ჩემთვის სათქმელი? — წყენით უთხრა ტემნიკარმა.

— გეტყვი, — მისივე ხმით მიუგო მზემ. — თუ შენ არ გადააბიჯებ ჩრდილში, იცოდე, ჩრდილი თავად გადაგაბიჯებს.

ტემნიკარმა გაიხედა და დაინახა, რომ მოლუურჯო ჩრდილი ზედ ფეხებთან მიუცოცდა. ტემნიკარი შეკრთა და ორი ნაბიჯით უკან დაიხია.

— ეს რაღა არის? — წაიბურტყუნა მან და შეტორტმანდა. იგრძნო, გულზე თითქოს ლოდი დააწვა. — რა არის? — გაიმეორა და საჩქაროდ მათარას მისწვდა, თუმცა იცოდა, არაყი ახლა ვერ უშველიდა. — რა არის?

შორიდან ზარის რეკა მოესმა.

„შუადღეა! შინ უკვე მელოდებიან! — გაუელვა თავში. — აი, თურმე რა მიმძიმებს გულს! რატომ არ ვიფიქრე ამაზე?.. ხვალ რაღა იქნება? მთელ დღესასწაულს ჩავუმწარებ!.. რატომ არ შეიძლება ყოველივე ცოტათი ადრე ან ცოტათი გვიან აღსრულდეს!..“

„ნუ ფიქრობ მაგაზე! — უთხრა თავის თავს. — აბა ვის ედღესასწაულება დღეს!.. მტერი უქმე დღესაც სწვავს სახლებს და ხოცავს ხალხს! წინ-მეთქი!“

ტემნიკარმა წასვლა დააპირა, მაგრამ ფეხებმა არ გაუშვეს.

„ღმერთმა იცის, რა მოხდება, მე რომ მიპოვნიან? — მოიბუზა იგი. — იქნებ სახლ-კარიც გადამიწვან...“

„ბევრს გადაუწვეს უკვე! — უპასუხა თავის თავს. — ყველას რომ ჩემდენი ეფიქრა ამაზე, კარგა ხანია ამოჟლეტდნენ ხალხს! წინ-მეთქი!“

მაგრამ ფეხები მაინც ვერ დაძრა.

„იქნებ აწამონ... მოკლან!“..

ამის პასუხი ტემნიკარმა ვერ იპოვა.

„მოკლან!“ — თვალწინ დაუდგა, როგორ იძიებდა მტერი შურს, გადაბუგავდა ყველაფერს.

„შინისაკენ! — შეცახცახდა ტემნიკარი — შინისაკენ!“...

გამალებული მოტრიალდა და მელინის ტყისკენა ჰქნა პირი. მაგრამ ოცოდა ნაბიჯი რომ გადადგა, გაშეშებული შედგა.

— საღამოს ხომ ჩარეკვის გამოქვაბულში თორმეტი მკვდა-

რი იქნება, — გაისმა სიჩუმეში წყნარი ხმა, ეს ხმა თავად ტემ-ნიკარისა იყო, — საღამოს ხომ ჩარევის გამოქვაბულში თორ-მეტი მკვდარი იქნება! — გაიმეორა ტემნიკარმა და თვალები დახუჭა.

დიდხანს იდგა გაუნძრევლად ერთ ადგილას. ბოლოს მოტ-რიალდა, მაგრამ კაცი ვეღარ იცნობდა: ეს აღარ იყო წინან-დელი ტემნიკარი. ახლა სამოცდაათისას კი არა, ათასი წლი-სას ჰგავდა, თითქოს მთელი თავით გაზრდილიყო. სახე ჩათე-თქვოდა და გაქვავებოდა, მხოლოდ თვალები არ მიუგავდა ძველი ქანდაკებების მსგავსად ორ ნახვრეტს, შიგ ცეცხლი უგიზგიზებდა, გაქვავებულ ლოყებზე კი ნელ-ნელა ჩამოს-დიოდა ცრემლები.

ცრემლები პეტერ მაიცენსაც ჩამოსდიოდა პირისახეზე.

— ჩემი ტემნიკარი მე აღარ მეკუთვნის! — ამოიოხრა მან და თავი გააქ-ნია. — ახლა იგი უკვე გასცდა ჩემთვის მისაწვდომ და ჩემ მიერ შეძლების-დაგვარად წარმოსახულ სამყაროს. იგი გასცდა ამ საზღვრებს და ბედისწერის ზენარ ტრაგიკულ კანონებს ემორჩილება, იქამდე კი მე არ მიწერია ამალ-ლება.

ტემნიკარი კვლავ შუქ-ჩრდილის საზღვარს მიადგა.

— ახლა რობში წავალ! — თქვა მან ფოლადის ხმით და მზეს ახედა.

მზემ თავი დაუქნია.

— მათ სახლ-კარი გადამიწვეს, მომიკლეს ცოლი, ვაჟი და ქალი! გესმის?

მზემ კვლავ თავი დაუქნია.

„რაო? — გაოცდა პეტერ მაიცენი. — განა ეს უკვე მისთვის სიმართლედ იქცა? მაგრამ მართლაც ასე რომ მოხდა?...“

ტემნიკარმა ხელები გაიწვდინა, მზემ ხელისგულებზე და-აცხუნა. მერე ისე მომუშტა ხელები, თითქოს უნდოდა მზის სხივები დაეჭირა.

იმავ წამს საყვირის ხმა ჩაესმა.

— მოვდივარ, მოვდივარ! — წარმოთქვა ტემნიკარმა და

ხელისგულით პირისახე მოიწმინდა, თითქოს მზით მოიბანა პირი.

ისევ გაისმა საყვირის ხმა.

ტემნიკარმა მზეს ხელი დაუქნია, წელში გასწორდა და მტკიცედ გადააბიჯა შუქ-ჩრდილის საზღვარს.

— მშვიდობით! — ჩაიბურტყუნა პეტერ მაიცენმა და გულისტკივილი იგრძნო იმის გაფიქრებაზე, რომ ტემნიკარი მასაც გამოემშვიდობა სამუდამოდ. — მშვიდობით! — გაიმეორა მან. — გიჯობნია და ეს არის. შენ რობში მიდიხარ, ბრძოლაში, მე კი...

მან ვეღარ დაასრულა სიტყვა, საყვირის ხმამ ფეხზე წამოაგდო. გონს მოეგო და ყური მიუგდო. საყვირი იქვე, სადღაც მის გვერდით უკრავდა.

პეტერ მაიცენმა ირგვლივ მიმოიხედა. ზვარს ზემოთ, ბილიკზე ქალიშვილი მიდიოდა, თავზე გარეცხილი თეთრეულით სავსე ვარცლი შემოედგა შავი კოფთა და მწვანე ქვედაკაბა ეცვა.

— ეს ხომ ის გოგოა! — შეჰყვირა პეტერ მაიცენმა და თვალები დააჭყიტა. — ისაა, ნეკერჩხალთან რომ იდგა. ისაა, ნეკერჩხალა! ასეც უნდა დავარქვა: ნეკერჩხალა...

პეტერ მაიცენი ბილიკზე დაეშვა, რომ ქალისათვის გზა გადაეჭრა.

— გამარჯობა, ქალიშვილო! — მიესალმა იგი.

ქალმა პასუხი არ გასცა, არც კი შეჩერებულა. ლამაზ პირსახეზე გაოცება და რაღაც უცნაური იდუმალი გამომეტყველებაც ეხატა. ნაღველი და სიამაყე, იმედი და სასოწარკვეთილება — ყველაფერი ერთად აღბეჭდოდა სახეზე ქალს.

— მორევისკენ მიდიხართ? — ჰკითხა პეტერ მაიცენმა და ჯოხი ტოტებგაშლილი რცხილისაკენ გაიშვირა.

ქალიშვილს არც ახლა ამოუღია ხმა და არც შეჩერებულა. თეთრი ხელებით ვარცლს ჩასჭიდებოდა და ჯანმაგარი სხეული სიმივით დასჭიმვოდა.

— მაპატიეთ, რომ ასე გაწუხებთ! — განაგრძო პეტერ მაიცენმა და ქალიშვილს გვერდში ამოუდგა. — ვინ უკრავს საყვირზე?

ქალიშვილმა არც პასუხი გასცა და არც შეჩერდა, ეს იყო მხოლოდ, ოდნავ მიიბრუნა თავი მისკენ და მედიდურად გადახედა უძირო ლურჯი თვალებით.

— ნუთუ ნამდვილად არ არსებობს ეს წყეული საყვირი? — გაუკვირდა პეტერ მაიცენს.

ქალიშვილმა არც ახლა გასცა პასუხი, შეჩერდა. პეტერ მაიცენი მის თვალებს ვეღარ ხედავდა, რადგან ქალმა ზვარს შემოუარა და ხეობისკენ დაეშვა.

— რა უბედურებაა! — ჩაიბურტყუნა პეტერ მაიცენმა და ბებერ ტირიფთან შედგა. — ისე მიდის, გეგონება, ტყის ალი იყოს და უბრალო მოკვდავთ არად აგდებდეს... თუმცა ეს ალი რაღაც ვერა ჩანს გულმხიარული...

ქალიშვილი თვალს მიეფარა, მაგრამ ჰაერში მაინც ნაღველის მწარე სურნელი იგრძნობოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რა დაემართა ამ ქალს? — თავის თავს ეკითხებოდა პეტერ მაიცენი. — ან მე რა მჭირს დღეს?.. თანდათან ნაღველით მევსება გული...“

მან ისევ უკან მოიხედა და შეაკანკალა. ირგვლივ ყველაფერი ისევ უცნაურ ზმანებად ეჩვენა. გორაკები და ხეები, გადაშლილი მინდვრები და ბებერი ტირიფები, სახლის სახურავი და გზა, თეთრი გველივით რომ შემოხვეოდა ფერდობს, ბებერი მუხა და ტოტებგაშლილი ოცხილა, მორევი და წანწალები, შავი წყალი, ახლა რომ უხმოდ მიწანწკარებდა შავ ბალახებში, ყველაფერი ჩამკვდარი და ცარიელი გეგონებოდა. ცარიელი ჩანდა ზემოთ ლურჯი ცაც, ღრუბლის ფთილასაც ვერ მოჰკრავდი ზედ თვალს! — ცარიელი იყო მის ფეხქვეშ მიწა, სიცარიელე ედგა გულშიაც. პეტერ მაიცენი მარტოდმარტო იყო.

ენით უთქმელი მარტოობის გრძნობა კარგა ნაცნობი იყო პეტერ მაიცენისათვის.

„დავიღალე, — იმშვიდებდა თავს. — გული გამიტყდა... ზმანებებმა დამღალა... და ეჭვებმა...“

იგი ბებერი ტირიფის ხორკლიან ტანს შუბლით მიეყრდნო და თვალები დახუჭა.

„მაგრამ მარტო მე არა ვარ ამ დღეში, — განაგრძობდა პეტერ მაიცენი. — ახლა...“

უცებ საყვირის ხმა ისე ძლიერად ეტაკა ზურგში, რომ წაბარბაცდა, თვალდაჭყეტილი ელოდა, როდის აჟღერდებაო ისევ. საყვირმა კვლავ დაუკრა, თანაც ახლოს, იქვე, მის გვერდით, ზვარში.

პეტერ მაიცენს გულზე მოეშვა. იგი ახლოს მივიდა და ბუჩქები გადასწია. იქვე, სამიოდე ნაბიჯზე მოხუცი დაინახა, საყვირს რომ უბერავდა. ტანმორჩილი, ჯმუხი მოხუცი იყო, ბრტყელი ცხვირი და დაბერილი ნესტოები ჰქონდა, ნიკაპზე რუხი წვერი გაბარდნოდა, მელოტზე ჯაგარა თმა გვირგვინივით შემოვლებოდა, ხშირი წარბები გაფანჩვოდა, პირისახე ლურჯი ძარღვებით დასეროდა, წყლიან თვალებში სევდა ედგა, დაღარულ ნაოჭებში ნაღველი ჩაბუდებოდა.

„ბებერი პანია“, — გაიფიქრა პეტერ მაიცენმა.

მოხუცის გვერდით ხუთიოდე წლის პირმრგვალი ბიჭუნა იდგა, ცისფერი თვალები და ქერა ხუჭუჭა თმა ჰქონდა. ბიჭსაც თვალები დასევდიანებოდა და ტუჩებზე ნაღველნარევი ღიმილი აღბეჭდოდა.

„ნორჩი პანია“, — გაიფიქრა პეტერ მაიცენმა.

ბებერმა პანმა ნაღვლიანი ხალხური სიმღერა დაუკრა საყვირზე და დაძარღვული ხელის ზურგით სქელი ტუჩები მოიწმინდა.

— კიდევ! — უთხრა ნორჩმა პანმა და ვედრებით ასწია ხელი.

ბებერმა პანმა ნაღვლიანად შეხედა და თავზე ხელი გადაუსვა. მერე ფილტვებში ჰაერი დაიგუბა და საყვირი ტუჩებზე მიიდო..

ნორჩმა პანმა ხელი ჩაიქნია და საყვირიც აგუგუნდა.

პეტერ მაიცენს უცებ ამ სიმღერის სიტყვები მოაგონდა:

სიკვდილი კარს მომდგომია,
გათავდა ჩემი ამბავი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

V

თითქოს მძიმე ლოდი მოსწყდაო პეტერ მაიცენს. და თუმცა საყვირი ნაღვლიან ჰანგს უკრავდა, იმ ხალხური სიმღერის სიტყვებიც სევდიანი იყო, არც მოხუცსა და ბიჭს ეტყობოდათ მხიარულება და ერთი შეხედვით არამიწიერ არსებებსაც ჰგავდნენ, პეტერ მაიცენმა მაინც შვებით მოითქვა სული. ფეხქვეშ კვლავ იგრძნო ნიადაგი, ბუნებაც გამოცოცხლდა.

ძლივს არ დაინახა საყვირი, ამდენ ხანს რომ სულს უშფოთებდა. გულდაწმენდილი, მადლობის თვალით შესცქეროდა ბიჭს და ბერიკაცს. უნდოდა ხმა მიეწვდინა მათთვის, ახლოს მისულიყო, მაგრამ ჩუმად, გაუნძრევლად კი იდგა თავისთვის, არ სურდა დაეღვია მათი ტკბილი ჭუკჭუკი და თანხმობა, საყვირი რომ ასე იდუმალ იერს ჰფენდა.

— კიდევ დაუკარი, — ბიჭმა თხოვნის ნიშნად ხელი ასწია.

— განა უკვე სამჯერ არ დავუკარი! — ალერსიანად უთხრა ბერიკაცმა და ხუჭუჭა თმაზე ხელი გადაუსვა.

— კიდევ ერთხელ რა...

— დამაცა ცოტა, სული მომათქმევინე!

მოხუცმა საყვირი ბიჭს გადასცა. იმან კი ფრთხილად, სიყვარულით გულში ჩაიკრა, თითქოს ცოცხალი არსება — ჯრავი, ბაჭია ან თიკანი იყო. მოხუცმა მხრებზე ხელები მოხვია ბიჭს, თვალები დახუჭა და ნელ-ნელა დაარწია, თითქოს ამ ნანავით ამშვიდებდეს, ან უნდაო იგრძნოს ბიჭის სითბო. მზეც ასევე ალერსიანად დაჰყურებდა მოხუცსა და ბიჭს და თბილ სხივებს აფრქვევდა.

— იდილიაა! — წაილაპარაკა პეტერ მაიცენმა; იგი მშვიდმა, თბილმა ნაღველმა აიტანა. ასე ემართებოდა ყოველთვის, როცა ადამიანთა გულწრფელ სიახლოვეს დაინახავდა. „ძველისძველი იდილიაა, პაპა და შვილიშვილი. ერთს უკვე სუნთქვა უჭირს, მეორეს კი ჯერ არ ჰყოფნის. ორი თაობაა... წარსული და მომავალი, ერთი გალმა დგას, მეორე გამოლმა, შუაში კი საშუალო თაობა ჯიუტად უსვამს ნიჩბებს და გზას მიიკვლევს ცხოვრების აბობოქრებულ მღვრიე მდინარეში!“.

— ჰმ, რას იზამ... რაკი გინდა... — ენის ბორძიკით ჩაიბურტყუნა ბერიკაცმა, თუმცა თვალები ისევ დახუჭული ჰქონდა და ისევ ისე ირწეოდა. მერე ძლივს გასაგონად გააბა თავისი ბოხი, მოგუდული, ჩახლეჩილი ხმით:

სიკვდილი კარს მომდგომია,
გათავდა ჩემი ამბავი...

— იცოდეთ, კიდევ სამჯერ უნდა დაუკრათ! — ხმამაღლა უთხრა ბიჭმა და თითით დაემუქრა.

— კაი, — მორჩილად დაუქნია თავი პაპამ, — სამჯერ დავუკრავ...

— როგორც ყოველთვის.

— როგორც ყოველთვის...

— მერე ზღაპარი მიამბეთ!

— მერე ზღაპარს გიამბობ... მაგრამ ზღაპარი ხომ მოგიყევი უკვე! — შეკრთა პაპა და თვალები გაახილა. — არ მიამბნია განა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კიდევ ერთიც მომიყევით! აკი დამპირდით, ორ ზღაპარს გიამბობთ. ერთს დილით, მეორეს — საღამოთი.

— ჰო, თუ დაგპირდი, გიამბობ კიდეც, — დამორჩილდა ბერიკაცი, — მაგრამ ჯერ მარანში წავიდეთ, ყელი გავისველოთ.

— მხოლოდ იცოდეთ, უეჭველად მომიყვებით, ხომ?

— კაი, კაი, — დაეთანხმა პაპა, — მანამდე კი აქ მეტი მზე უნდა შემოვუშვათ. — მოხუცი დაიხარა და ორივე ხელით გადასწია ვაზის ლერწები. მერე ხელისგულზე სიყვარულით მოსინჯა მტევნის სიმძიმე და ნელა ჩაილაპარაკა: — აი ასე, აქეთ გამოძვერით!... მზეს მიეფიცხეთ! დაგაშაქრებთ, სიტკბოს ჩაგიყენებთ, სიტკბოს...

— მერე როგორ დააშაქრებს მზე ყურძენს? — ჰკითხა ბიჭმა და პაპასთან ჩაცუცქდა.

— როგორ?... აი ასე, ადგება და დააშაქრებს, — ჩაფიქრებით მიუგო ბერიკაცმა ისე, რომ თავი არ მოუბრუნებია. — მზე ყველაფერს იძლევა, ძალას... სინათლეს... ცეცხლს... ჰო, ცეცხლსაც იძლევა მზე... მზე იძლევა... ჰო, ჰო: მზე იძლევა მზეს! რაც კი ამქვეყნად მოიძევება, ყველაფერს იძლევა მზე! კი, კი!

— მერე ვინ აძლევს მზეს შაქარს? — ჰკითხა ბიჭმა.

— ვინ აძლევს? თვითონა აქვს! — კვლავინდებურად უგულისყუროდ მიუგო ბერიკაცმა, მას მზის სხივებისათვის მიეშვირა ყურძნის მტევანი. — თავიდანვე ჰქონდა... და მუდამ ექნება... ვიდრემდე... ხოლო მზე რომ გაქრება, აღარც ძალა გვექნება და აღარც სინათლე... აღარც ცეცხლი... მზე ჩაგვიქრება! რას იზამ კაცი!..

სიკვდილი კარს მომდგომია,
გათავდა ჩემი ამბავი...

ბერიკაცი ნელა, ჩაფიქრებით ლაპარაკობდა და ანგარიშმიუცემლად ღიღინებდა. ეს სიმღერა თითქოს შესისხლხორცებოდა და თავისთავად ყოლრდა დროის გამოზომილ შუალედებში. ამიტომაც მხოლოდ პირველ ორ სტრიქონს ღიღინებდა მოხუცი.

— ბაბუ, მაშ თავად აკეთებს? — გაისმა ბავშვის ხმა.

— რას აკეთებს? — შეხედა ბერიკაცმა.

— შაქარს.

— ვინ აკეთებს შაქარს?

— მზე.

— აჰ, მზე...

— თქვენ ხომ თქვით, ყურძენს ის აშაქრებსო! — არ ცხრებოდა ბიჭი.

— მზე? რასაკვირველია, შაქარსაც ის აძლევს და ძალასაც...

— ბაბუ, მარანში წავიდეთ! — შეაწყვეტინა ბიჭმა, ეტყობა, მოსწყინდა აქ ყოფნა...

— წავიდეთ... — ამოიოხრა მოხუცმა და ნელა წამოდგა, ძლივს აითრია ბებერი ძვლები.

— მაგრამ ჯერ დაუკარით, — ბიჭმა საყვირი მიაწოდა, — ხომ მოითქვით სული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოვითქვი... — ნაღვლიანად გაიღიმა პაპამ და საყვირს ხელი მოჰკიდა.— აბა შეხედე, ჩემი ფანჯარა კვლავ დაკეტილია?

ბიჭი ცერებზე შედგა, კისერი წითელსახურავიანი სახლის მხარეს წაიგრძელა და თავი დაიქნია:

— დაკეტილია, დაკეტილია.

— ჰმ, დაკეტილია... — გაიმეორა პაპამ და თვალებსა და შუბლზე ხელისგული გადაისვა.

— რა არის, სულ იმას რომ მეკითხებით, ფანჯარა დაკეტილია თუ არაო? — ჰკითხა ბიჭმა.

— ჰო, ისე გეკითხები... — მიუგო პაპამ და ბიჭს თავზე ხელი დაადო. — გეკითხები, რას იზამ კაცი!

მან ამოიოხრა და წაიმღერა:

სიკვდილი კარს მომდგომია,
დამთავრდა ჩემი ამბავი...

— აბა, დაუკარით!

— ახლავე...

— აბა, ჩქარა! — არ ეშვებოდა ბიჭი.

ბერიკაცმა სქელ, ჩალურჯებულ ტუჩებზე ენა მოისვა, მხრებში გასწორდა, ფილტვებში ჰაერი დაიგუბა და საკრავი ასწია. საყვირი მზის სხივებზე ბაჯაღლო ოქროსავით გაბრწყინდა.

— აბა! — უბრძანა ბიჭმა და ხელი აიქნია.

საყვირი აჟღერდა.

პეტერ მაიცენს წელანდელივით გულმა რეჩხი უყო, როცა არ იცოდა, საყვირი მართლაც უკრავდა თუ მხოლოდ ეჩვენებოდა. მართალი რომ თქვას კაცმა, დაენანა კიდეც, საყვირი რომ მისი წარმოსახვის ნაყოფი არ გამოდგა. რატომ — თავადაც ვერ იტყოდა; ჰანგი ისევე მგრძნობიარე და იდუმალი იყო. საყვირი ნაღვლიანად ჟღერდა განა მარტო იმიტომ, რომ სიმღერა იყო სევდიანი, მისი ჟღერა თავისთავად ბადებდა უფრო ღრმა, გამოუნელებელ სევდას. ამიტომ მწარედ გაჰკრა იმ ფიქრმა, რომ ეს საყვირი რაღაც საბედისწეროდ აკავშირებს ყოველივეს, რაც მის სულს აფორიაქებს და რაც ირგვლივ ხდება. განა მისმა ხმამ არ ჩააღწია გულში და არ წამოაგდო ზეზე, ვითარცა მისივე ეჭვების, ნაღვლიანი ფიქრების, სიკვდილის წინათგრძნობის დასტურმა. განა მან არ გამოიყვანა სახლიდან გარეთ! ეს ხმა რომ არ გაეგონა, ოთახიდან ფეხსაც არ მოიცვლიდა, წყნარად იჯდებოდა მაგიდასთან და იმუშავებდა. მერე ეს საყვირი მის მოთხრობაშიაც აჟღერდა. ეს ხმა აჩქარებდა ტემნიკარს, წინ უბიძგებდა, აიძულებდა მიელო გადაწყვეტილება, ემოქმედნა, ბრძოლაში ჩაბმულიყო და სიკვდილს შეგებებოდა. ნუთუ ეს ხმა მართლაც დაღუპვას მოასწავებს?

— კიდევ! — ბიჭუნამ კვლავ აიქნია ხელი.

ისევ გაისმა საყვირის ხმა.

— რა გულში ჩამწვდომად ჟღერს! — თქვა პეტერ მაიცენმა. მას კვლავ შეაჟრჟოლა და, საკუთარ თავზე გაცეცხლებული, კვლავ შეეკამათა თავის თავს:

„რა დაღუპვა, რის დაღუპვა? ან რა აქვს საერთო ამ ბერიკაცს ტემნიკართან? სად ტემნიკარი და სად ჩრნილოგარი? ან სად ჩრნილოგარი და სად ეს ბერიკაცი? თუმცა არა! აქ უთუოდ რაღაც კავშირი უნდა იყოს. ჩრნილოგარს ნამდვილად მოესმა საყვირის ხმა, მაგრამ ვითომც არ გაუგონიაო. რატომ წაუყრუა? ან მე რად დამიშალა წყნარ ბარში წასვლა? უცნაურია! ჰოდა, ახლა ყველაფერი გაირკვევა. ყველაფერი. ამ ნეკერჩხალას ამაყი სევდაც გასაგები გახდება“.

— კიდევ! — ეხვეწებოდა ბიჭი და ხელს იქნევდა.

მესამედ აყლერდა საყვირი.

„აბა რა სისულელეა! — თავი გაიქნია პეტერ მაიცენმა, რადგან ავმა წინათგრძნობამ კვლავ გაჰკრა გულში. — აბა რა არის ამაში გასაკვირი? პაპა შვილიშვილს საყვირზე დაკვრას ასწავლის, ჰოდა, შინაურებს რომ თავი არ გააბეზრონ, ვენახში წამოსულან. ეს არის და ეს!.. თუმცა არა, ასე არ არის! ეს რა უბედურება მჭირს, ყველაფერი მეეჭვება, ყველაფერს მნიშვნელობას ვაძლევ, ყველაფერს ერთმანეთთან ვაკავშირებ, ყველაფერი გაურკვევლად მეჩვენება! კმარა! დღეისთვის მეყოფა!.. ერთი-ორ სიტყვას ვეტყვი ბერიკაცს, ბიჭუნას წავეთამაშები, გონს მოვალ, დავმშვიდდები და მერე შინისკენ გავუყვები — მაგიდას მივუჯდები!“

— კიდევ! — არა ცხრებოდა ბიჭი.

— მე ხომ უკვე სამჯერ დავუკარი! — პაპამ ხელი ალერსით გადაუსვა ბიჭს ხუჭუჭა თავზე.

— კარგი, მაშ მარანში წავიდეთ და იქ ზღაპარი მიამბეთ, — თქვა ბიჭმა, საყვირი აიღო და წასასვლელად მიტრიალდა.

— დილა მშვიდობისა! — ხმამაღლა მიესალმა პეტერ მაიცენი და ხუმრობით დაუმატა: — ეს თქვენა ხართ, რომ უკრავთ?

ბერიკაცს და ბიჭს თითქოს არც გაჰკვირვებიათ უცნობი კაცის გამოჩენა.

— ჩვენა ვართ, — წყნარად დაუკრა კვერი ბერიკაცმა, — ჩვენ ვუკრავთ...

— კარგა ხანი კია უკრავთ! — ხუმრობით განაგრძობდა პეტერ მაიცენი.

— კარგა ხანია... — ნაღვლიანად ჩაიღიმა ბერიკაცმა, თითქოს თავს იმართლებდა. — კარგა ხანია. სამი დღეა უკვე...

— ნუთუ მართლა? — გაუკვირდა პეტერ მაიცენს, არ იცოდა, როგორ აეხსნა მისი პასუხი.

— სამი დღეა! — ამოიოხრა ბერიკაცმა. — რას იზამ... ერთ ჭიქას ხომ არ გადაჰკრავდით?

— სიამოვნებით. — დაეთანხმა პეტერ მაიცენი, ახლაღა იგრძნო, როგორ გაშრობოდა ყელი. — არც თქვენ გაწყენდათ, თუკი სამი დღეა უკრავთ! — ღიმილით დაუმატა მან.

— სამი დღეა, სამი დღე! — თავი დაუკანტურა ბერიკაცმა. — რას იზამ, ასეა და! აბა, ახლა წადი! — მიუბრუნდა იგი შვილიშვილს. — შიში ნურაფრისა გაქვს!..

— არც მეშინია არაფრის! — წყენით მიუგო ბიჭმა.

— რისა უნდა ეშინოდეს? — იკითხა პეტერ მაიცენმა. — მეც მაგოდენა ბიჭი მყავს.

— აი, ხომ ხედავ! — ბერიკაცმა გამამხნევებლად მოუთათუნა მხარზე ხელი ბიჭს, — ეს ბატონიც მამა ყოფილა. ბიჭი ჰყოლია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გოგო არა გყავთ? — დაინტერესდა ბიჭუნა.

— გოგოც მყავს.

— ჩვენსავით, — დააკანტურა პაპამ თავი. — მხოლოდ შინ არაა ახლა! ბიძასთან გავუშვით. ჩვენ კი ვენახში წამოვედით... რას იზამ.

— დაკვრას ასწავლით ბიჭს?

ბერიკაცს ნაღვლიანად გაეღიმა.

— არა, — მიუგო მან და შვილიშვილს კვლავ ალერსით გადაუსვა თავზე ფართო ხელისგული. — მართალი რომ გითხრათ, ეგ მასწავლის მე. ასეა... ბიჭი თვითონ უკრავს, პირდაპირ შეშლილია საყვირზე. ეს არის, სუნთქვა არ ჰყოფნის ჯერ. მაგრამ ეს თავისთავად მოვა. ასე არ არის, იანკეც?

— მაშ იანკეცი გქვია?

— იანკეცი გახლავთ, იანკეცი, — თქვა ბერიკაცმა და შვილიშვილი გულში ჩაიკრა. — იანკეც ბლაჟიჩი... მეც ბლაჟიჩი ვარ. რასაკვირველია, მოხუცი ბლაჟიჩი. შუათანა ბლაჟიჩი კი შინ არის. წევს...

— ავად არის?

— ავად არის, ავად!... რას იზამ, ასეა და!... აბა, მარანში წავიდეთ!

პეტერ მაიცენს უნდოდა გამომშვიდობებოდა პაპა-შვილიშვილს, მაგრამ უცებ რატომღაც შეეცოდა ბერიკაცი, უფრო კი ეს უდროოდ დადინჯებული და დალონებული ბიჭუნა. უნდოდა შესაფერისი სიტყვა ეთქვა, მაგრამ ვერაფერი ვერ მოიგონა და ხელიღა გაიწვდინა:

— აბა მაჩვენე ეგ შენი საყვირი!

— მამას საყვირია! — უარი სტკიცა იანკეცმა და პაპას შეხედა.

— აჩვენე, აჩვენე, არ შეჭამს ბატონი მაგ საყვირს!

პეტერ მაიცენმა საყვირი აიღო და ყურადღებით დააკვირდა, თუმცა საკრავებისა არა გაეგებოდა რა. იცოდა, რომ სასაცილო შესახედავი იყო, მაგრამ საყვირს მაინც არ უშვებდა ხელს — ასე ეგონა, რომ ამ საკრავში მართლაც ნაღველი იყო ჩაბუდებული და რომ სწორედ ამ საყვირის ხმა მოესმა ტემნიკარს.

— ძველია, ძველი!.. — ჩაილაპარაკა პაპამ.

— რას ეძახით?

— ფრთოსან ბუკს, — მაშინვე მიაგება პასუხი იანკეცმა.

— შორს ისმის მაგისი ხმა, შავ ხევამდეც კი აღწევს! — თქვა პეტერ მაიცენმა და მოხუცს შეხედა.

— შავ ხევშიც ისმის? — შეჰყვირა იანკეცმა და საყვირს ხელი დასტაცა. — დაუკარით, პაპა!

— მერე რა საოცარი ეგ არის! — დინჯად მიუგო ბერიკაცმა, — საყვირი მაშ რისაა... ამიტომ აქვთ ჯარშიაც საყვირი... განკითხვის დღესაცო, ამბობენ, საყვირი დაუკრავსო...

— ოღონდაც თუ თქვენ დაუკრავთ, ჩრნილოგარი ვერ გაიგონებს, — მრავლისმეტყველად თქვა პეტერ მაიცენმა და გაიღიმა.

— რად ვერ გაიგონებს? — ჰკითხა ბიჭმა.

— დღესაც ვერ გაიგონა, — მიუბრუნდა პეტერ მაიცენი მოხუც ბლაჟიჩს, — და როცა მე ვუთხარი, გაოცდა.

მოხუც ბლაჟიჩს სულაც არ გაჰკვირვებია ეს.

— ალბათ მიეჩვია უკვე, — აუღელვებლად გააჭიანურა სიტყვა მან, — იცით, ყური ეჩვევა ხოლმე... ან კიდევ ჩრნილოგარს ცოტა ყურს დააკლდა, თუმცა არც ისე ხნიერია. რამდენის იქნება? ორმოცდაათისა. მეტის არა!.. რას იზამ... თანდათანობით ყველაფერი გაკლდება. ერთს უფრო ადრე, მეორეს — უფრო გვიან; ერთს ეს, მეორეს — ის. მე, მაგალითად, ჯერჯერობით არ მაკლია ყურს. ძალიან კარგად მესმის, ღვთის მადლით! თვალთ კი დამაკლდა... იანკეც, აბა გახედე, ფანჯარა თუ ისევ დაკეტილია...

— დაკეტილია, დაკეტილია! უკვე გავხედე, — მიუგო იანკეცმა და ხელში საყვირი შეაჩეჩა.

— ჩვენ იქ ვცხოვრობთ, აი იქ, — ბერიკაცი მიუბრუნდა პეტერ მაიცენს და საყვირი წითელსახურავიანი სახლისაკენ გაიშვირა.

— ლამაზი სახლია.

— სახლი?.. ლამაზია... რასაკვირველია, ლამაზია...

— როგორც ჩანს, გადაიწვა.

— გადაიწვა, რასაკვირველია, გადაიწვა... რას იზამ, ასე კი მოხდა და...

— ომის დროს გადაიწვა?

— ომის დროს, რასაკვირველია, ომის დროს... რას იზამ!...

— ბაბუ, დაუკარით!

— ახლავე...

— ჩქარა რა!

მოხუცმა ბლაჟიჩმა ტუჩებზე ენა მოისვა და საყვირი ასწია. მერე მკერდში ჰაერი ჩაიგუბა, მაგრამ საკრავში არ ჩაუბერავს. მიუბრუნდა პეტერ მაიცენს, თვალით შვილიშვილზე მიანიშნა და ჩუმად ჩასჩურჩულა:

— ნუ გაბრაზდებით, ბატონო! ბავშვი მაინც ბავშვია!..

პეტერ მაიცენმა გაკვირვებით შეხედა, მაგრამ ბერიკაცს უკვე ტუჩზე მიედო საყვირი და თვალები მიელულა.

— დაუკარით! — ხმამაღლა ბრძანა იანკეცმა და ხელი აიქნია.

სიკვდილი კარს მომდგომია,
გათავდა ჩემი ამბავი...

ყლერდა საყვირი.

„მართლა ასე ნაღვლიანად უკრავს, თუ მე მაწევს გულზე ნაღველი და მეჩვენება? — თავის თავს ჰკითხა პეტერ მაიცენმა. — კი, ბატონო, ჩემი გამოგონილი იყოს ყველაფერი! მხოლოდ ის კი ვერ გამიგია, რად უნდა გავბრაზდე ან რად უკრავენ პაპა და შვილიშვილი სამი დღე ზედიზედ? ან ფანჯარა რად უნდა იყოს დაკეტილი. ან იქნებ ეს ყველაფერი ამ ბერიკაცის ახირებაა? ვერ გამიგია. ვერაფერი ვერ გამიგია. მართლაც ასე მოხუცი და გამოყრუებულია ეს კაცი თუ გონება მისი ერთ აზრს დაუპყრია და წუთითაც ვერ ეთიშება? უცნაურია! ჩრნილოგარი დედაბერივით უბედია და ცნობისმოყვარე, ამ ბერიკაცს კი არც აინტერესებს ახალმოსული კაცი — ვინ არის, საიდან მოვიდა ან რას აკეთებს ამ მიყრუებულ მხარეში“.

პეტერ მაიცენმა ირგვლივ მიმოიხედა. მზერა მორევზე შეაჩერა. ნეკერჩხალა უკვე იქ იყო. სარეცხს რეცხდა; ზეწარი დაასველა წყალში, დაგრიხა და თეთრ წანწალებს დასცხო. მერე უცებ წელში გასწორდა და მათკენ გამოიხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და. „მგონი, ყურს უგდებს საყვირს. ვინ იცის, რა მოგონებებს უღვიძებს ეს საკრავი სულში?“ — გაიფიქრა პეტერ მაიცენმა. ვერც ამ ქალის ამბავი გაიგო. თუმცა ან რა უნდა გაეგო? ქალი თუ ტყეში ხეს მიეკრა და მასთან ლაპარაკი არ მოისურვა, რა საოცარი ამბავი ეს არის?

„ღმერთმანი, ყველაზე საოცარი რამ დღეს ეს მოჩვენებებია!“ პეტერ მაიცენმა ცას ახედა და კვლავ თეთრი ღრუბელი შეამჩნია. ისე გაუხარდა მისი დანახვა, კინაღამ ხმამაღლა მიესალმა. საყვირის ხმა თანდათან ყრუდ და ყრუდ ისმოდა. ხმა ნაღვლიანი იყო, მაგრამ ალერსიანი ჰანგიც ისმოდა შიგადაშიგ. კაცმა რომ თქვას, ღრუბელსაც ჩემმა ფანტაზიამ შეასხა აზრი,—ჩაიცინა პეტერ მაიცენმა, — ეს მიხარია კიდეც. რის იმედს მაძლევს იგი? რომ მუშაობას შევუდგები? რასაკვირველია, იგი მიბრძანებს, შინ წავიდე და მაგიდას მივუჯდე. მეც ავდგები და წავალ. ახლავე წავალ. მხოლოდ ერთს შევიხედავ მარანში და ნახვამდისაც ვეტყვი ამათ“.

— კიდევ! — თქვა იანკეცმა.

— მე ხომ უკვე სამჯერ დავუკარი, — ალერსიანად უთხრა პაპამ და საყვირი ისევ ბიჭს მიაწოდა.

ისინი ქვემოთ დაეშვნენ, ვენახისაკენ. მოხუცი ბლაჟიჩი რამდენჯერმე შეჩერდა, აქ ლერწი პალოზე მიამაგრა, იქ ხელისგულზე აწონა მტევანი. იანკეცი ფრთხილად მიდიოდა, საყვირი მაგრად ჩაებღუჯა. პეტერ მაიცენი წყნარ ბარს გადასცქეროდა და მორევზე უშტერდებოდა თვალი, სადაც დიდი ყვავილივით ირხეოდა ნეკერჩხალა.

— რა მშვენიერი ხეობაა! — თქვა მან.

— აჰ, ხეობა? — ჩაფიქრებით შეუბრუნა კითხვა ბერიკაცმა: — მშვენიერი ხეობაა. რასაკვირველია, მშვენიერი ხეობაა...

— ირგვლივ სიწყნარეა, ყველაფერი კრიალებს, ყველაფერი ლამაზია: ველი, მდინარე, მორევი, და ეს ტოტებგაშლილი რცხილაც.

— აჰ, რცხილა?.. რცხილაც ლამაზია, რასაკვირველია, ლამაზი რცხილაა...

— გოგოც გვარიანია! — ანცად თქვა პეტერ მაიცენმა და გაიღიმა.

— აჰ, გოგო! — ისევ ისე ჩაფიქრებით წაილაპარაკა მოხუცმა ბლაჟიჩმა, თუმცა ირგვლივ არც მიუხედ-მოუხედია. — გოგოც გვარიანია, რასაკვირველია, გვარიანია.

„ეს ბერიკაცი ჭკუაზე ვერ არის, — გაიფიქრა პეტერ მაიცენმა, — ეტყობა, უკვე დაავიწყდა, გადაგაკვრევინებო, რომ დამპირდა. იქნებ გამოვემშვიდობო ამათ?“

მაგრამ სანამ სათქმელს მოიფიქრებდა, სახლსაც მიუახლოვდნენ.

— ოჰო, ეს ხომ ჩემი მარანია! — განგებ მხიარულად წამოიწყო პეტერ მაიცენმა, — ამ ცოტა ხნის წინ ხეობიდან გამოვცქეროდი. ალერსიანად მიღიმოდა ამ ფერდობიდან.

— ალერსიანად, ალერსიანად... — თავს აკანტურებდა მოხუცი ბლაჟიჩი. იგი კედლის ნაბზარში აფათურებდა ხელს და თან ჩუმად ღიღინებდა თავისთვის:

სიკვდილი კარს მომდგომია,
გათავდა ჩემი ამბავი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გასაღებს ეძებთ? — ჰკითხა პეტერ მაიცენმა.

— გასაღებს, რასაკვირველია, გასაღებს...

— გასაღები ხომ კარშია...

— აჰ, კარშია?.. ჰო, აკი თავად დავტოვე კარში! — ღრმად ამოიოხრა ბერიკაცმა და თავი გააქნია, — რას იზამ კაცი!..

მან ნელა გააღო რკინით აჭედილი მძიმე, ჩაჟანგული კარი. კარმა გაიჭრიალა. მარნიდან ღვინისა და ობის სუნით გაჟღენთილმა საამო სიგრილემ მოჰბერა.

პეტერ მაიცენი ზღურბლზე ჩამოჯდა.

— აქეთ მოდით! აქეთ! — ეპატიჟებოდა ბერიკაცი. მოშორებით ორი სამფეხა დაბალი ტაბურეტი იდგა, — აი ამაზე დაბრძანდით, ეს კი ჩემია, აქა ვზივარ ხოლმე, იანკეცი კი ზღურბლზე დაჯდება. ასეა ხომ, იანკეც? — ალერსიანად მიუბრუნდა პაპა ბიჭუნას, მივიდა და კვლავ გადაუსვა ხუჭუჭა თმაზე ხელი. — ასე ვზივართ აქ: მე კუთხეში, იანკეცი ზღურბლზე, სახლს რომ ვხედავდეთ. მე თვალს მაკლია... თუმცა ხომ გითხარით უკვე! რას იზამ... აბა, იანკეც, გახედე, ფანჯარა დაკეტილია?

იანკეცმა სახლს გახედა და ნაღვლიანი ხმით უთხრა:

— დაკეტილია, დაკეტილია.

— დაკეტილია, დაკეტილია... — ჩაიბურტყუნა მოხუცმა ბლაჟიჩმა. მერე აიღო ტუჩდაკბილული მაიოლიკის დოქი და ნელა მივიდა ღვინის კასრთან. მერე ხელი მძიმედ დაჰკრა კასრს და საცობი ამოაგდო. შემდეგ სუნთქვა შეიკრა და ამოწრუპა ღვინო კასრიდან. ღვინო დოქში ჩაჩხრიალდა, მოხუცმა კი ხმადაბლა გააბა:

სიკვდილი კარს მომდგომია,
გათავდა ჩემი ამბავი...

იანკეცი ზღურბლზე იჯდა, საყვირი მუხლებზე ედო.

— მაშ მამაშენმა საყვირის დაკვრა იცის? — ჰკითხა პეტერ მაიცენმა.

— მამამ იცის. მხოლოდ ახლა არ უკრავს, — მიუგო ბიჭუნამ.

— რადა მერე?

— იმიტომ, რომ სუნთქვა აღარ ჰყოფნის.

— ასე მძიმედაა ავად?

— მძიმედ, მძიმედ, — მოისმა სიბნელიდან მოხუცის ხმა, — რას იზამ კაცი!..

— მაგრამ ხომ მორჩება, — თქვა პეტერ მაიცენმა.

— არა, არ მორჩება! — თავი გაიქნია იანკეცმა.

— ვინ გითხრა?

— თავად მითხრა.

— რა სჭირს ასეთი? — მიუბრუნდა მოხუცს პეტერ მაიცენი.

— ჭლექი სჭირს, ჭლექი!..

— ახლა ჭლექი აღარ არის მოურჩენელი.

— არჩენენ? — მიაძახა იანკეცმა.

— რასაკვირველია, არჩენენ.

— თქვენ იყავით ავად ჭლექით?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, არ ვყოფილვარ.

— არ ყოფილხართ? — გააჭიანურა სიტყვა ბიჭმა და ყვედრებით შეხედა, თითქოს უნდოდა ეთქვა: „მაშ რაღას ამბობთო?“

— ეჰ, რას იზამ კაცი, ასე კია და!.. — კვლავ თქვა ბერიკაცმა. ღვინის ლიკლიკი შეწყდა. მოხუცმა ბლაჟიჩმა დოქზე მიაკაკუნა და ჩაიბურტყუნა:— ახლა კი გვეყოფა!.. რამდენსაც დაასხამ, იმდენი დაილევა...

მან ხმაურით დააცო საცობი და აუჩქარებლად დაბრუნდა თავის ადგილზე. მერე აიღო ჭუჭყიანი ჭიქა, თითი ამოუსვა, სული შეუბერა, შარვალზე შეიწმინდა, პეტერ მაიცენს წინ დაუდგა და დაუსხა. ღვინო წყალ-წყალა სისხლისფერი იყო და მდორედ მოლიკლიკებდა.

— დალიეთ!

პეტერ მაიცენმა დალია და ჭიქა გვერდზე გადადო.

— მჟავეა. რას იზამ კაცი, თუკი მზე აკლია!.. — თქვა მოხუცმა და ტაბურეტზე დაჯდა. ჩუმად დაისხა თავისთვის და დალია. ხელი უკანკალებდა, ღვინის წითელი ნაკადი გაჯაგრულ ნიკაპზე ჩამოეღვარა. დაცლილი ჭიქა პეტერ მაიცენს დაუდგა წინ, თავად კი დაჯდა, იდაყვები მუხლებს დააყრდნო და სივრცეს მიაშტერდა.

მძიმე სიჩუმე ჩამოწვა. პეტერ მაიცენმა ალარ იცოდა, რა ეთქვა, და ისევ ბიჭუნას მიუბრუნდა.

— მამა მხრებზე შეგისვამს ხოლმე?

— არა, — გაიქნია ბიჭმა თავი, — კარგა ხანია, არა.

— დედა?

— დედა შინ არ არის.

— არ არის შინ დედა, არ არის... — ჩაიბურტყუნა ბერიკაცმა.

— დიდი ხანია, რაც არ არის! — ამოიოხრა ბიჭმა.

— დიდი ხანია არ არის, დიდი ხანია! — ამოიოხრა პაპამაც. — რას იზამ კაცი. ასე კია და!...

— მერე სად წავიდა? — იკითხა პეტერ მაიცენმა.

— წავიდა... წავიდა... — ბლაჟიჩმა ხელები გაშალა. — რას იზამ კაცი, წავიდა.. დალიეთ!..

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. პეტერ მაიცენს ისევ ნაღველი მოაწვა გულზე.

— ვაჟი ერთის მეტი არა გყავთ?

— რაო, ვაჟი?.. ოთხი მყავდა, ოთხი! — თავს აკანტურებდა ბერიკაცი. — სამი უკვე ალარა მყავს!..

— დაიღუპნენ?..

— დაიღუპნენ, დაიღუპნენ! რას იზამ კაცი, ასე კია და!..

— არა, არ არის მასე! — თქვა უცებ ბიჭმა, — ცეცხლში დაიწვნენ.

— ცეცხლში დაიწვნენ, ცეცხლში! — ამოიოხრა ბერიკაცმა და ჭიქა ააცსო. — რას იზამ!.. დალიეთ!..

პეტერ მაიცენმა დალია და დაელოდა, ვიდრე ბერიკაციც დალევდა. ეგონა, მოხუცი ბლაჟიჩი წვრილად მომიყვება თავისი ვაჟების ამბავსო, მაგრამ იგი ხმას არ იღებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როდის მოხდა ეგ ამბავი? — იკითხა პეტერ მაიცენმა, — როდესაც სახლი გადაწვეს?

— მაშინ, მაშინ...

— როგორ მოხდა?

— როგორ? ბიჭები შინ მოვიდნენ, მათ კი ალყა შემოარტყეს. არ დანებდნენ ბიჭები და ამიტომაც გადაწვეს სახლი... თუმცა მე საიდან მეცოდინება? მე მანამდე დამიჭირეს. როგორც კი ბიჭებმა ტყეს შეაფარეს თავი, მაშინვე რაბ'ში[1] გამგზავნეს. დედა მარტო დარჩა შინ.

— ბებიაც დაიწვა, — დაუმატა იანკეცმა.

— ბებიაც, ბებიაც!.. — ამოიოხრა ბერიკაცმა — რას იზამ კაცი, ასეა კია და! დალიეთ!

— როდის მოხდა ეგ? რომელ წელს? — ცოტა იყუჩა და შემდეგ ჰკითხა პეტერ მაიცენმა.

— რომელ წელს? ორმოცდასამში. შობის წინადღეს.

— შობის წინადღეს! — აღმოხდა პეტერ მაიცენს.

— დიახ, სწორედ შობის წინადღეს... ბიჭები დედის სანახავად მოვიდნენ შინ. იფიქრეს, კუჭსაც გამოვიძღობთ და გავთბებით ცოტასო. თავად იცით, შენი სახლი მაინც შენი სახლია და დედასაც მუდამ გემრიელი სასუსნავი აქვს გადამალული... ჰოდა, ალყა შემოარტყეს და სახლი გადაწვეს... ასე დაიღუპა დედა თავისი სამი ვაჟით... ის კი, ახლა რომ ავადმყოფი წევს, ყველაზე უმცროსი ბიჭი, არ იყო მათთან. მეკავშირე გახლდათ და საღლაც ზღვისპირეთში იყო წასული... ჰოდა, ახლა მისი აღსასრულიც დადგა! — წყნარად ამოიოხრა მოხუცმა. მერე პეტერ მაიცენისაკენ დაიხარა და ძლივს გასაგონად ჩაუჩურჩულა: — სულს ლევს... სულს... — ხელი მოისვა პირისახეზე და ჩვეულებრივი კილოთი წარმოთქვა: — აბა, იანკეც, გახედე, ისევ დაკეტილია თუ არა ფანჯარა?

— დაკეტილია, — მიუგო ბიჭმა.

— დაკეტილია... — ბურტყუნებდა მოხუცი ბლაჟიჩი და ჭიქას უვსებდა პეტერ მაიცენს. — დალიეთ!.. რას იზამ კაცი!.. — მერე მაიოლიკის დოქი აიღო და ისევ კასრს მიადგა. ისევ გაისმა ყრუ დარტყმა და ამოვარდა საცობი, ისევ აჩხრიალდა ღვინო, ისევ მიუკაკუნა ბერიკაცმა დოქს და თავისთვის ჩაილაპარაკა: — აბა, რამდენსაც დაასხამ კაცი, იმდენი დაილევა! — მერე ისევ ხმადაბლა დაამღერა:

სიკვდილი კარს მომდგომია,
გათავდა ჩემი ამბავი...

პეტერ მაიცენმა გადაწყვიტა ამდგარიყო და წასულიყო, თუმცა გრძნობდა, რომ უხერხული იყო ახლა წასვლა.

— კარგად იყავით, დროა შინ წავიდე, — თქვა მან და წამოდგა.

— საით მიგეჩქარებათ? — უთხრა თითქმის შეშინებულმა ბერიკაცმა და დოქით ხელში მივიდა მასთან. — აკი თქვით, დასასვენებლად ვარო ჩამოსული?

[1] საკონცენტრაციო ბანაკი კუნ. რაბზე, სადაც ოკუპანტები ამწყვდევდნენ სამოქალაქო მოსახლეობისაგან წამოყვანილ მძევლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მართლაც ასე ვთქვი. მაგრამ დასვენება დასვენებაა და სამუშაო კი მაინც მაქვს.

— გასაგებია, ყოველ კაცს აქვს თავისი სამუშაო, ყოველ კაცს, — დაუკანტურა ბერიკაცმა თავი, თან ღვინოს უსხამდა. — ყოველმა კაცმა უნდა იმუშაოს, სიკვდილამდე უნდა იშრომოს... რას აკეთებთ, თუ არ გამიწყრებით, გკითხოთ?

— ცოტ-ცოტას ვწერ.

— აჰ, წერთ? მაშ, ასე ვთქვათ, თქვენც თქვენი საწერი გაქვთ?.. მოხელე იქნებით ალბათ, არა? — ეკითხებოდა ბერიკაცი, თუმცა დიდი ცნობისმოყვარეობა არ ეტყობოდა. როგორც ჩანს, უფრო იმიტომ ლაპარაკობდა, რომ სტუმარი შეეჩერებინა. — ჰო, ახლა ყველა წერს... რას იზამ კაცი... დალიეთ!

— გმადლობთ, გმადლობთ! ყელი ჩავისველე უკვე.

— ჰოდა, ცოტა კიდევ დალიეთ! და დაბრძანდით!.. იანკეც, შენც სთხოვე სტუმარს.

— დაბრძანდით, — უხალისოდ უთხრა ბიჭმა.

— აი, ხომ ხედავთ. დაბრძანდით, რა! — გაიმეორა ბერიკაცმა.

პეტერ მაიცენი დაჯდა, მაგრამ ვერ მოისვენა, კვლავ ადგა და ბიჭთან მივიდა.

— გინდა გაგასეირნო?

— მინდა, — მიუგო ბიჭმა უხალისოდ.

— როგორ გასეირნებდა მამაშენი? მხრებზე შეგისვამდა ხოლმე?

— მხრებზედაც მისვამდა.

პეტერ მაიცენმა მხრებზე შეისვა ბიჭი, რამდენჯერმე აატარ-ჩამოატარა მარნის წინ, მერე კი ბილიკს ჩაუყვა ქვემოთ. მაგრამ იანკეცმა შეაჩერა:

— დავბრუნდეთ უკან. ბიცოლა მოდის.

პეტერ მაიცენმა მოიხედა და დაინახა ის შავებიანი ქალი, წელან რომ მორევთან ნეკერჩხალას ემასლაათებოდა.

— რა ჰქვიან ბიცოლაშენს? — ჰკითხა მან ბიჭს.

— მინკა ბიცოლა.

— აგერ, სარეცხს რომ რეცხავს, იმ დეიდას რაღა ჰქვია?

— ზმაგა დეიდა.

— ისიც შენი დეიდაა?

— არა, — მოუჭრა ბიჭმა, — დავბრუნდეთ უკან!

ქალი მოახლოვდა. მარცხენა ხელში კალათი ეჭირა, მარჯვენაში — პატარა კასრი.

— სად ასულხარ, იანკეც? — შორიდან დაუყვირა ქალმა.

— ამ ბატონს ვეთამაშები.

— თქვენ საიდან მოხვედით? — ჰკითხა ქალმა პეტერ მაიცენს, როცა ის მოახლოვდა. — შავი ხევიდან ხომ არა?

— როგორ მიხვდით? — გაუკვირდა პეტერ მაიცენს.

— ისე, ყური მოვკარი... გმადლობთ, რომ გაართეთ ეს ჩვენი საცოდავი ბიჭი!

— მამას სძინავს? — ჰკითხა იანკეცმა.

— სძინავს! — წყნარად მიუგო ქალმა, გატრიალდა და მარანში შევიდა. პეტერ მაიცენმა ბილიკზე გაიარ-გამოიარა და უკან დაბრუნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარნის კართან საუბარს მოჰკრა ყური.

— მოხელეა-მეთქი, მოხელე, — ამბობდა მოხუცი ბლაჟიჩი.

— რა მოხელე, რის მოხელე, — არ ეთანხმებოდა ქალი, — ისტორიებს წერს.

— აჰ, ისტორიებს წერს?

— წერს. ჩვენების ამბავსაც დაწერდა, რომ იცოდეს! — ამოიოხრა ქალმა.

— მერე რა დასაწერი ეგ არის? — თქვა ბერიკაცმა. — სამი ბიჭი დედის სანახავად მოვიდა შინ, ალყა შემოარტყეს და დედიანად გამობუგეს სახლში. საშინელი ამბავია, რა ისტორია ეგ არის.

— მაშ, თქვენი ფიქრით, რას ეძახიან ისტორიას?

— ისტორია... ისტორია... ისტორია დიდ საქმეებს ასახავს!

პეტერ მაიცენმა ბიჭი ძირს ჩამოსვა. იანკეცმა ხელი ჩაჰკიდა, მარანში შეიყვანა და ხელში ჭიქა ჩასჩარა.

— მამა გასეირნების მერე მუდამ ღვინოს სვამს ხოლმე, — აუხსნა ბიჭმა, — თქვენც ქშენა აგივარდათ იმასავით.

— დალიეთ, დალიეთ, თქვენი ჭირიმე!.. მჟავე კია, რას იზამ კაცი! — მიატანა ბერიკაცმაც.

ქალმა იანკეცი საფეხურზე დასვა და მუხლებზე თეფშით ერბოკვერცხი დაუდო.

— მამამაც ჭამა ერბოკვერცხი? — ჰკითხა ბიჭმა.

— ჭამა, ჭამა, — თავი დაუქნია ქალმა და თავზე ხელი გადაუსვა. — ჭამე, გენაცვალე! — ქალი მიტრიალდა, წინსაფრით თვალები მოიმშრალა და პეტერ მაიცენთან მივიდა. — ახლა ახალ ისტორიას წერთ?

— ვწერ... ნელ-ნელა...

— იცით, ქალაქში რომ ვმსახურობდი, ბევრს ვკითხულობდი. ახლა კი კარგა ხანია არაფერი წამიკითხავს. ვერ ვიცლი. ან რა უნდა წავიკითხო! თუ ლამაზადაა დაწერილი — მაშასადამე, სიმართლე არ სწერია, ხოლო ცუდად დაწერილის წაკითხვა... არ მიყვარს! გარდა ამისა, წიგნი მაინც ახალგაზრდებისათვის არის. ახალგაზრდა ყველაფერს კითხულობს — კარგსაც და ცუდსაც, ყველაფერი აინტერესებს. ხოლო ასაკში რომ შევა კაცი... ეჰ, რა გითხრათ, ყველას თავისი ისტორია აქვს და რაღა დაბეჭდილი იკითხოს!...

— სწორია, ყველას თავისი ისტორია აქვს, — დაეთანხმა პეტერ მაიცენი.

— რა თქმა უნდა. შეიძლება ისიც კი ითქვას, რომ კაცი, იმიტომ ცხოვრობს ამქვეყნად, თავისი ისტორია გამოიაროს.

— ეჰ, რას იზამ კაცი! — ამოიოხრა ბერიკაცმა. — იჩქარე შენ, იჩქარე, ავადმყოფს მარტო ნუ დატოვებ.

ქალი დიდ კასრთან მივიდა და მიუკაკუნა.

— თავდება, თავდება! — შენიშნა მან. — მესაფლავეებს კი წყურვილს ვერ მოუკლავს კაცი.

— რამდენსაც დაასხამ, იმდენი დაილევა... — ამოიოხრა მოხუცმა ბლაჟიჩმა და ხელისგული შუბლზე მოისვა.

ქალმა პატარა კასრში ჩამოწრიტა ღვინო და კალათს ხელი წამოავლო.

— ესეც ასე. ახლა წავალ.

— მეც შინ წამოვალ, — განაცხადა იანკეცმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა გინდა შინ? — ალერსიანად ჰკითხა ბიცოლამ და თავზე ხელი გადაუსვა.

— მეც უნდა ავჩქარდე, — თქვა პეტერ მაიცენმა და წამოდგა.

— რა გეჩქარებათ! — შესძახა ბერიკაცმა და სტუმარს ხელი ჩაავლო. — დარჩით!.. იანკეც, სთხოვე ბატონს, დარჩეს.

— დარჩით! — სთხოვა ქალმაც. — ნუ დატოვებთ ამათ მარტო.

ქალი წავიდა. სიჩუმე გამეფდა. მარანში, თითქოს უფრო და უფრო რომ ვიწროვდებოდა, აშკარად ჩამოწვა ნაღველი. იანკეცი გაუნძრევლად იჯდა ზღურბლზე, მოხუცი ბლაჟიჩი სივრცეს მიშტერებოდა და ისე მღეროდა:

სიკვდილი კარს მომდგომია,
გათავდა ჩემი ამბავი...

„რაღაც უნდა ვთქვა, — აწამებდა ეს ფიქრი პეტერ მაიცენს. — მაგრამ რა უნდა ვთქვა, რა?“ ვერა და ვერ შეერჩია სათქმელი! სამაგიეროდ მისთვის ასე კარგად ნაცნობი საკუთარი უძლურების გრძნობა დაეუფლა. შესცქეროდა ბლაჟიჩს, იანკეცს, და გულდამძიმებული ფიქრობდა, რომ თავადაც ახლა ისევე უმწეო იყო, როგორც პაპა და შვილიშვილი.

პეტერ მაიცენმა ჯიბეში სიგარეტები და ასანთი მოიძებნა. „ჰოდა, ერთადერთი, რაც ასეთ დროს შემიძლია გავაკეთო — ეს არის!“ — მწარედ გამოუტყდა თავის თავს და რაც ძალა და ღონე ჰქონდა ასანთის ღერი კოლოფზე გაჰკრა.

ბერიკაცი შეკრთა და შეხედა. წამით, ეტყობა, ვერც იცნო სტუმარი, მაგრამ უცებ გონს მოეგო, ნაღვლიანად გაიღიმა და ჭიქა შეუვსო.

— დალიეთ!.. დალიეთ!.. რას იზამ კაცი!..

პეტერ მაიცენმა ჭიქა აიღო და სულმოუთქმელად დალია. მერე ჭიქა ხელში გააჩერა და ჩახედა — თითქოს ვარდისფერ ნალექში ეძებდა სიმხნევესა და სიმშვიდეს.

— დიახ, ყველას უნდა სიცოცხლე, — წაილაპარაკა ბერიკაცმა. — ყველას უნდა, ყველას! და ყველა კი კვდება. ყველა! რას იზამ კაცი, ასე კია და.

სიკვდილი კარს მომდგომია,
გათავდა ჩემი ამბავი...

„ნეტავ იმ ქალს მეც გავყოლოდი!“ — უთხრა თავის თავს პეტერ მაიცენმა, მაგრამ იმწამსვე გაიფიქრა, რომ ახლა არ შეიძლებოდა წასულიყო, ის კი არა და, არც უნდა ეფიქრა წასვლაზე. „მაგრამ რა უნდა ვაკეთო აქ? რა ვუთხრა ამ ბერიკაცსა და ბიჭს? იქნებ არც ისე ცუდადაა საქმე. გავყოლოდი იმ ქალს, მეტყოდა, რა ჭირს მართლა და მართლა ახალგაზრდა ბლაჟიჩს... ის გოგოც შემოგვხვდებოდა გზაზე. გზა ხომ მორევს ჩაუვლის. აი მაშინ კი გამომელაპარაკებოდა ალბათ. თუ საიდუმლოა რამე, ის ქალი მეტყოდა. ან რა საიდუმლო უნდა იყოს? ან თუკი არის, ყველაფერში მე ხომ არ უნდა ჩავყო ცხვირი? განა დღეს საკმარისად არ გავიგე საიდუმლოებანი? განა ცოტა მაქვს საფიქრალი ტემნიკარზე? საკმარისზე მეტი! მან მძლია და დამაშინა.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხუცმა ბლაჟიჩმა ხმაურით დაუცო საცობი. პეტერ მაიცენი ისევ შეკრთა, თითქოს ეს ხმა მისი აზრების დასტური იყო.

ბერიკაცმა სიბნელიდან გამოხედა, ნელა დაჯდა თავის ტაბურეტზე და ჭიქა ღვინით შეავსო.

— დალიეთ!

— კმარა, მეყოფა!

— ალბათ შინ წასვლა გინდათ? რასაკვირველია, თუ სამუშაო გელით და საჩქარო საქმე გაქვთ...

— არა, არა, არსად არ მეჩქარება! — შეაწყვეტინა პეტერ მაიცენმა და თავადვე გაუკვირდა, ეს რა ვთქვიო.

„ღმერთმანი, აქ ზედმეტი ვარ. წავალ!“ მტკიცედ გადაწყვიტა მან, მაგრამ ფეხი ვერ მოიცვალა.

— დაუკარით, ბაბუ! — სთხოვა ბიჭმა და პაპას საყვირი გაუწოდა.

— ახლა? — ჰკითხა მოხუცმა და თავზე ხელი გადაუსვა.

— სული ხომ მოითქვი უკვე?

— მოვითქვი, — თავი დაუქნია ბერიკაცმა და საყვირი გამოართვა. — ფანჯარას თუ გახედე? ისევ დაკეტილია?

— დაკეტილია.

— დაკეტილია, რასაკვირველია, დაკეტილია, — მორჩილად წარმოთქვა ბერიკაცმა , — ბიცოლაშენი ხომ ჯერ შინ არ მისულა.

— ჯერ არ მისულა, დეიდა ზმაგას ელაპარაკება, — მშვიდად მიუგო იანკეცმა და ხეობისაკენ გაიშვირა ხელი.

— ობოლ გოგოს, — ამოიოხრა ბერიკაცმა.

— დეიდა არ არის ობოლი! — არ დაეთანხმა ბიჭი. — დიდებს ხომ არა ჰყავთ დედ-მამა, მხოლოდ ბავშვები ობლდებიან. მეც ობოლი ვიქნები, მამა რომ მომიკვდება.

— არა, არა! — აფუსფუსდა ბერიკაცი და ისევ ბიჭთან მივიდა. — მე ვთქვი, რომ დეიდა ზმაგაა-მეთქი ობოლი.

— ზმაგა? მერე ის ხომ დიდია! — არ დაეთანხმა ბიჭი.

— დიდია? რასაკვირველია, დიდია. მაგრამ დიდებიც არიან ხოლმე ობლები. ზოგი კი მთელი სიცოცხლე ობოლია.

— მე არ მინდა დავობლდე დიდობაში! — განაცხადა იანკეცმა.

— რა თქმა უნდა, შენ არ იქნები ობოლი! — დაეთანხმა პაპა.

— რომ გავიზრდები, ჭაბუკი ვიქნები.

— რასაკვირველია, ჭაბუკი იქნები. დიდი ჭაბუკი. კარგი ჭაბუკი!

— ხოლო ომი თუ იქნება, პარტიზანად არ წავალ, — დინჯად თქვა ბიჭმა.

— ო...ო...ო! — გააჭიანურა სიტყვა ბერიკაცმა. — შენ ხომ მუდამ ამბობდი, პარტიზანი გავხდებიო.

— გავხდებოდი კიდეც, — დინჯად მსჯელობდა ბიჭი, — მაგრამ არ მინდა, ჩემი შვილები დავობლო.

— ოჰ, — ჩაიფშლუკუნა ბერიკაცმა და თავი გააკანტურა. — მაშ ნეტა სად წახვალ, ჩემო ბიჭო? ახლანდელ ომს ვერსად დაემალები კაცი. ყველგან მოგაგნებს, ყველგან! შინ მოგაკითხავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იანკეცი პაპას თვალებგაფართოებული მიშტერებოდა.

— რას იზამ კაცი! — ამოიოხრა ბერიკაცმა. — ხომ ხედავ, ისა ხჯობს, სულ არ გყავდეს შვილი.

იანკეცმა ნერწყვი გადაყლაპა და განცვიფრებით იკითხა:

— ჰო, მაგრამ ხომ ყველას ჰყავს შვილები, ასე არ არის?

— რასაკვირველია, ყველას ჰყავს და მუდამაც ეყოლებათ, მადლობა ღმერთს! მხოლოდ ომი აღარ უნდა იყოს მეტად.

ბიჭი გაოცებული მისჩერებოდა პაპას, თვალებზე ეტყობოდა, არ სჯეროდა მისი.

— დაუკარით, ბაბუ! — კვლავ სთხოვა მან.

ბერიკაცი წაბარბაცდა.

— ახლავე, — თავი დაუკანტურა და ბავშვს მხარზე დაადო ხელი. — რასაკვირველია, დავუკრავ.

— აბა, მიდით! — ბიჭმა მოუთმენლად აიქნია ხელი.

მოხუცი ბლაჟიჩი ნელა გატრიალდა და ოხვრით დაეშვა ტაბურეტზე. ისევ დახედა საყვირს, თითქოს პირველად სჭეროდეს ხელში, ხელისგულით გადაწმინდა სატუჩე და სქელ, ჩალურჯებულ ტუჩებზე ენა მოისვა. მერე მთელი მკერდით ჩაისუნთქა და ასწია საკრავი, მაგრამ აღარ ჩაუბერავს, პეტერ მაიცენისაკენ დაიხარა და ჩურჩულით გაუმეორა:

— ნუ გაჯავრდებით, ბატონო. ბავშვი მაინც ბავშვია!

— რასაკვირველია, რასაკვირველია! — მყის მიაგება პეტერ მაიცენმა, მაგრამ თავისი ნაჩქარევი და უადგილო პასუხისა შერცხვა და სისხლმა აასხა თავში. „ნეტა რა მემართება დღეს? — ბრაზით ჰკითხა თავს. — რატომ წესიერად ვერ მილაპარაკნია ამ ბერიკაცთან? რატომ არის, რომ ერთი ტკბილი სიტყვა ვერ მითქვამს ბავშვისათვის? ნუთუ მთლად წარმეკვეთა სასო!“

ბერიკაცი წელში გასწორდა, კეფა ძველი წნეხის ფუტურო ბოძს მიაყრდნო, თვალები დახუჭა, სუნთქვა შეიკრა და საყვირი აყლერდა.

პეტერ მაიცენი თვალს არ აშორებდა ძველ საყვირს, ნახევრადბნელ მარანში უცნაურად აციალებულს. მისი ხმები კედლებს ეხლებოდა, უკან ბრუნდებოდა, ერთმანეთს ეჯახებოდა და დაფლეთილ ნახმევად წყდებოდა. ამ ნახმევს კი ახალ-ახალი ხმები შეუბრალებლად ალურსმავდა მიწურ იატაკს.

„ეს სიკვდილია! — შეაცახცახა პეტერ მაიცენს. — არა, უბრალო დამთხვევაა მხოლოდ, — შეეცადა დაემშვიდებინა თავი, — მაგრამ უბრალო დამთხვევაც რომ იყოს, მაინც მეტად უცნაურია! მე ხომ სწორედ მაშინ მოვესმა საყვირის ხმა, როცა შთაგონებამ გამიარა და პირველად ამიტანა ეჭვმა და სასოწარკვეთილებამ. ისე შემძრა კაცი, იძულებული გავხდი შინიდან გამოვსულიყავი. თავისკენ მიმიხმო. რატომ? იმიტომ, რომ ჩრნილოგარს არ სურდა მისი გაგონება. რასაკვირველია, ჩრნილოგარმა მაიძულა წყნარ ბარში წამოსვლა! ახლა რაც არის, არის. პირველად ყველაფერი კარგად მიდიოდა, თითქოს შემეშველა საქმეშიც: საყვირმა ფიქრით ტემნიკართან წამიყვანა და გამიხარდა კიდეც. მაგრამ ტემნიკარი გამონაგონია, აქ კი სიმართლეა, ცხოვრებაა. არა, აქ ისტორია კი არ არის, როგორც მოხუცი ბლაჟიჩი იტყოდა. მისთვის ყოველივე, რასაც მოესწრო და რისი გადატანაც მოუხდა, საშინელი ამბავია და არა გამოგონილი ისტორია. ტემნიკარზედაც ასე იტყოდა, ეს საშინელი ამბავია და არა გამოგონილი ისტორიაო. ღმერთო ჩემო, იქნება არ არის გამოგონილი

ისტორია? განა ის შემაძრწუნებელი ამბები, ადამიანი რომ სჩადის, არ შეიძლება გამოგონების საგნად იქცეს, თუკი ადამიანმა და კაცობრიობამ ჭეშმარიტად დაიწყეს ისეთი საქმეების ჩადენა, კალამსაც რომ არ ძალუძს აღწერა? ნუთუ ტემნიკარმაც გადალახა ის მიჯნა? თუ ასეა, მაშ ისიც იმ საყვირს დადევნებია, მე რომ შინიდან გამომიტყუა, რათა ჩემთვის აქამდე უნახავი საზარელი სურათები ეჩვენებინა".

საყვირი დადუმდა. უკანასკნელი ხმები თანდათანობით მიწყდა მთრთოლვარე ნახმევად.

პეტერ მაიცენის წინ კვლავ ბერიკაცი და ბიჭი ისხდნენ.

კვლავ გული დაუსერა იმის ფიქრმა, ერთმანეთში მერევა მწარე სინამდვილე, ჩემი ფანტაზიის მწარე სამყარო და საკუთარი გამწარებაო.

ბიჭმა ფრთხილად გამოართვა ბერიკაცს საყვირი.

— ახლა კი ზღაპარი მომიყევით.

— ზღაპარი? — ჩაიხრიწინა პაპამ და ჭიქა დასცალა. — ჰო, რასაკვირველია.

— იცით კი, რა ზღაპარს მიამბობთ?

— ჯერ არა, — თავი დააკანტურა ბერიკაცმა და ხელი შუბლზე მიიდო. — ან იქნებ ბატონმა გვიამბოს ზღაპარი?

— არა, მე ერთი ზღაპარიც არ ვიცი, — დაიბნა პეტერ მაიცენი.

— ერთიც არ იცით? — გაუკვირდა ბიჭს და თვალები ეჭვითა და სიბრალულით აევსო.

— არც ერთი.

— იცი, იანკეც, ბატონი ისტორიებს წერს, — უთხრა ბერიკაცმა. — ისტორია კი ბავშვის საქმე არ არის. ბავშვების საქმე ზღაპრებია.

— ბაბუ! — შეევედრა იანკეცი, — მწყემსი გოგოსა და ნეკერჩხლის ზღაპარი მიამბეთ.

პეტერ მაიცენმა ყურები ცქვიტა.

— მწყემსი გოგოსა და ნეკერჩხლისა? — ჩაიბურტყუნა მოხუცმა ბლაჟიჩმა ისე, რომ თვალები არ გაუხელია, — მერე ძალიან ნაღვლიანი რომ არის?

— ნაღვლიანია, მაგრამ ლამაზი ზღაპარია.

— კეთილი. მხოლოდ დაიცა, ცოტა სული მოვითქვა. მანამდე წადი და ნახე, ფანჯარა დაკეტილია თუ არა?

„მწყემსი გოგოსა და ნეკერჩხლისა? — ჩაფიქრდა პეტერ მაიცენი, — მე არ გამიგონია ასეთი ზღაპარი... იქნებ ეს ნეკერჩხალას ზღაპარია? იქნებ მოხუცმა ბლაჟიჩმაც დაინახა, ის გოგო რომ ნეკერჩხალს მოეხვია? იქნებ მან იცის იმ ხის ამბავი და ამიტომაც მოიგონა მასზე ზღაპარი... აჰ, არა! ეს შეუძლებელია. ისევ ამბავი ამბავს ემთხვევა... მაგრამ რა უცნაური დამთხვევაა. სწორედ რომ დაუჯერებელია. მწყემსი გოგო და ნეკერჩხალი? ნაღვლიანი, მაგრამ ლამაზი ზღაპარი? უნდა მოვისმინო ეს ზღაპარი. მაინც ხომ უნდა მოვიცადო ბერიკაცის გამოღვიძებამდე".

პეტერ მაიცენი კედელს მიეყრდნო. თვალწინ თითქოს შავ ჩარჩოში ჩასმული სურათი ედგა, მშვენიერი და ცხადი სურათი. მაღალ ზღურბლზე, როგორც ხის ცხენზე, იანკეცი იჯდა. მუხლებზე საყვირი უბრწყინავდა და კულულებიც ამ კამკამა ჰაერში ისე უჩანდა, ოქროსი ჰქონდა თითქოს. ბიჭის უკან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვარ-პრიმიტივისტების ან ბავშვების ნახატების დარად სივრცე მოჩანდა. მარჯვნივ გზა მიიკლაკნებოდა, მარცხნივ, შიშველ ფერდობზე, მუხა ხარობდა. ბიჭის ზემოთ, სურათის მთელ სიგრძეზე ფართო მოვარდისფრო-მოთეთრო რკალად გადაჭიმულიყო აყვავებული წიწიბურას მინდორი. მის ზემოთ მდელო ბიბინებდა, მდელოზე ხეები იდგა, ხოლო ხეებში წითელსახურავიანი სახლი მოჩანდა. სხვენის დაკეტილ ფანჯარას მზის ათინათები დასთამაშებდა. ყოველივე ამას ლურჯი ცა გადახურვოდა, ცაზე კი გაუნძრევლად ეკიდა თეთრი ღრუბელი.

„ღრუბელი! — ჩაიჩურჩულა პეტერ მაიცენმა და ბავშვური სიხარულით აევსო გული. — ღრუბელი სულ ალარ მომგონებია. ხედავ, მობრუნებულა უკან. აი, რა კარგია — გამოიგონებ რაღაცას და თავადვე გჯერა საკუთარი გამონაგონისა“.

მან შეხედა ბიჭს და ბერიკაცს, თითქოს ღრუბელს მათთვისაც ხსნა უნდა მოეტანა.

„მაგრამ ეს ხომ ჩემი ღრუბელია! იგი მაიმედებს, რომ ბოლოს და ბოლოს დავამთავრებ ტემნიკარის ამბავს. ეს მისი ღრუბელიცაა. ტემნიკარი ჯერ კიდევ ცოცხალია, ცოცხალია. სადღაც შორს, ქვემოთ იგი თავისი უკანასკნელი ბრძოლისკენ მიიჩქარის...“

პეტერ მაიცენმა სახლს გახედა და მზერა აყვავებული წიწიბურას მინდორზე შეაჩერა. მისჩერებოდა პეტერ მაიცენი ამ მინდორს, თვალს არ აშორებდა, მაგრამ ის წამი მაინც გამოეპარა, როცა წიწიბურა თოვლად იქცა უცებ და ირგვლივაც ზამთარმა დაისადგურა.

დათოვლილ მინდვრის შუაგულში კი კაცი იდგა — ის ტემნიკარი იყო...

ტემნიკარი რობის წინ ფლატეზე იდგა, ციცაბო, თეთრ ფლატეზე. იდგა გაუნძრევლად, ვით შავი უსულო ქანდაკება და იმავე დროს შემზარავად ცოცხალი, როგორც შეიძლება იყოს ადამიანი, ვინც იცის, რომ რაღაც ორი-სამი საათის შემდეგ განგების ძალით იგი მოკვდება. ნაოჭებით დაღარულ პირისახეზე ნაცრისფერი ედო; თვალის ფოსოებშიღა ენთო ცინცხალი ნაპერწკლები; იქ ბრეზი ირეკლებოდა — მზეზე აბრჭყვიალებული თოვლიანი მთის წვერო.

ტემნიკარმა მტკიცედ გაიქნია თავი და თვალები დახუჭა, ხოლო როცა გაახილა, მზერა დათოვლილი სათიბებიდან ხეობისაკენ გადაიტანა. იქ, მდინარის მეორე ნაპირას გადიოდა შუქ-ჩრდილის საზღვარი.

— მალე პირველი საათი იქნება! — მტკიცედ წარმოთქვა ტემნიკარმა. — კარგად ვიარე და, შეიძლება ითქვას, მიზანს მივაღწიე! ბილიკზე გავალ და უკვე ადგილზე ვიქნები.

ტემნიკარი ქშინავდა, ზურგზე წურწურით ჩამოსდიოდა ოფლი. უნდოდა მათარა მიეყუდებინა და ყელი ჩაესველებინა, მაგრამ გადაიფიქრა: „არა, უნდა წავიდე, რომ იმ ძალლთაპირმა თხუნელებმა არ მიმასწრონ!“

მან მარცხნივ მოუხვია, უნდოდა ფლატეს გაპყოლოდა და ბილიკზე გასულიყო. ბილიკი კლდეს გადაკვეთდა და ჩარევის გამოქვაბულთან მიიყვანდა. ტემნიკარი ქვებს, გამხმარი ბალახის ღეროებს, ბუჩქებს, ფესვებს ებღაუჭებოდა და ისე მიიკვლევდა გზას. ხეშეში ხელისგულები გადატყავებოდა და დასისხლიანებოდა, მაგრამ ტკივილს ვერ გრძნობდა. არც ეცალა ამაზე ეფიქრა, ერთი აზრიღა აკვიატებოდა და უბურღავდა ტვინს: მარტინმა და მისმა კაცებმა არ მიმასწრონო. ეს ფიქრი თითქოს შოლტის ცემით ერეკებოდა. კარგა ხანია ასე მსუბუქად და ასე ლონივრად არ უგრძვნია თავი.

„კარგად მიმათრევთ, ბებერო ძვლებო, კარგად! თუ ასე განვაგრძეთ, დავამარცხებთ!“ — იმხნევებდა თავს.

ბილიკს რომ მიუახლოვდა, უცებ ადგილზე გაშეშდა.

„არა, ამ მხრიდან მისვლა არ შეიძლება, აქეთ მარტინი გაატარებს თავის ძაღლთაპირ თხუნელებს, ჩემს კვალს წააწყდებიან და ყველაფერი წყალში ჩამეყრება“.

თავისივე კვალს უკან გაჰყვა და ჩაფიქრდა, რომელი მხრიდან სჯობს ბილიკს მივადგეო.

„კლდე-კლდე! — გაუნათლდა უცებ გონება. — კლდე-კლდე, ისევე, როგორც ჩემი მწყემსობისას ავსულვარ გამოქვაბულში.“

აზრადაც არ მოსვლია, რომ სად თოთხმეტი წლის მწყემსი და სად სამოცდაათი წლის ბერიკაცი, წუთითაც არ დაეჭვებულა, ასვლას ვერ შევძლებო. ხელად იპოვა ის ადგილი, საიდანაც ოდესღაც ადიოდა და აღმართს შეუდგა. მალე კლდის პირველ შვერილს მიაღწია და დასასვენებლად ჩაიმუხლა. ვიწრო იყო ეს შვერილი, თითქოს მისი ჭაბუკობის დროიდან დავიწროებულიყო კიდეც, და ტემნიკარს უცებ ძველებურად შეეშინდა:

„ვაითუ ჩამოვვარდე?!“

„მაშინ რომ ჩამოვარდნილიყავ, კარგა ხანია გაქრებოდა შენი სახსენებელი! — უთხრა თავის თავს და კლდეს უფრო მიეკრა. — ახლა კი არა მაქვს ჩამოვარდნის უფლება. თუ ჩამოვვარდი — მარტო მე კი არა, ყველა დაიღუპება, ვინც გამოქვაბულშია. აბა, წინ გავსწიოთ!“

ტემნიკარმა მთელი ძალა ხელებში მოიკრიბა, ტანი აზიდა, მეორე შვერილამდე მიცოცდა და კვლავ სული მოითქვა. ორიოდეჯერ შეისვენა და მალე მშვიდობით გააღწია ბილიკზე.

„უჰ, მადლობა ღმერთს! — ხმამაღლა თქვა მან და თოვლში ჩაჯდა. მათარისაკენ ხელი გაიწვდინა და ორი დიდი ყლუპი მოსვა. მერე ულვაშები გაიწმინდა და მიმოიხედა.

„ახლა რაღასა ვიქმთ? — ჰკითხა თავის თავს. — სად უნდა დაველოდო მათ და როგორ მოვიქცე, რომ არ დამასწრონ და არ მიმაწვინონ? ისინი ხომ ხუთნი არიან!“

„იუსტინ გაჩნიკიც მარტო იყო, მაგრამ ცხრა კაცს გაუსწორდა!“ — უპასუხა უმალვე ამ კითხვას ტემნიკარმა; მას მოაგონდა ის სახელგანთქმული კონტრაბანდისტი, უიარაღომ რომ დაამარცხა ცხრა ჩაფარი საზღვარზე: დიდ კლდესთან ვიწრო ბილიკზე ჩაუსაფრდა და ერთიმეორის მიყოლებით ჩაჰყარა ძირს. სამი სასიკვდილოდ დაშავდა და დანარჩენებსაც საკადრისი მიეზღოთ.

„დიდ კლდესთან დაველოდები, — გადაწყვიტა ტემნიკარმა. — იქ დამალვა ადვილია. ვერც დამინახავენ და ვერც ჩამიჩუმს გაიგებენ ჩემსას. დაწალიკებულები კლდე-კლდე ივლიან, ნელ-ნელა, თითო-თითოდ, რადგან ბილიკი ვიწროა და ქვემოთაც უფსკრულია. ხოლო ვინც ამას ვერ მოახერხებს, დაოთხილი გაცოცდება. გაცოცდება, ვით ვერაგი მხეცი, ჰოდა... მეც ისე დავცხებ, როგორც მხეცს ეკადრება!“

ამ ფიქრებმა ძალა შემატა ტემნიკარს.

— მაშ, მხეცს დავცხებ და არა ადამიანს! — მტკიცედ წარმოთქვა მან და წამოდგა.

საჩქაროდ უნდა მიეღწია დიდ კლდემდე. გულდაჯერებული მიდიოდა და დროდადრო იმეორებდა: — მაშ, მხეცს დავცხებ და არა ადამიანს!

შესაფერი ადგილი შეარჩია კლდის უკან და ირგვლივ თოვლი დატკეპნა, რომ მოძრაობის საშუალება ჰქონოდა. მერე კლდეს მიეყრდნო, მათარას ხელი მიუწვდინა და მოსვა.

— ერთსაც მოვყლურწავ, მერე ველარ მოვასწრებ... — ჩაიბურდღუნა მან. უნდოდა მათარა კვლავ ქამარზე ჩამოეკიდა, მაგრამ გადაიფიქრა. — ეშმაკმა არ შემაცდინოს! — თქვა და მათარა გვერდით მოიდო თოვლზე.

მერე ჯიბეში ხელები ჩაიყო და მზით გაბრწყინებულ ბრეზის მთას მიაჩერდა.

„ხუთი საათისათვის მზე ჯერ კიდევ მაღლა იქნება! ამ დროისათვის ალბათ ყველაფერი გათავდება!“

ტემნიკარმა ხეობაში გადაიხედა. შუქ-ჩრდილის საზღვარი მდინარეს გადასცდენოდა უკვე.

„სამის ნახევარია... — შუბლშეკრული ტემნიკარი შორეთს გასცქეროდა. — რად აღარ გამოჩნდნენ ის ძაღლთაპირი თხუნელები? აქამდე კუც ამოაღწევდა!“

მიაყურადა.

სიჩუმე იდგა, ისეთი ყრუ, დაძაბული სიჩუმე, ტემნიკარმა უნებლიეთ რევოლვერზე წაივლო ხელი. მერე დინჯად აიღო ნაჯახი და ჩვეულებისამებრ თითით მოუსინჯა პირი. უცებ ისე მოეჩვენა, თითქოს ზურგს უკან ვიღაც ედგა და თვალს არ აცილებდა: მტერი კი არა, მისი კარგი ნაცნობი, შინაური. მოიხედა. უკან ტიტველი, ნაცრისფერი კლდე აღმართულიყო.

„მარტო ვარ, მარტო!.. ჩასაფრებული ვზივარ დიდ კლდეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან და ნაჯახალმართული ველოდები მტერს. ვინმეს რომ დაენახა, არ დაიჯერებდა... რა, თავად დავიჯერებდი თუ?“

ტემნიკარმა ნაჯახი გვერდზე გადადო და მათარას წაავლო ხელი. მაგრამ პირთან მიტანაც ვერ მოასწრო, რომ გახევდა და სუნთქვა შეიკრა: ლაპარაკი შემოესმა.

— მოდიან! — ჩაიჩურჩულა მან და ხელი ჩაიყო, რომ რევოლვერი ამოეღო. ვერა და ვერ შეეჩვია იგი ამ იარაღს და არც მაინცადამაინც ენდობოდა. თუმცა, რომც მენდობოდა, ახლა მაინც არ შეიძლებოდა სროლა. „არა, ამ ეშმაკთან კავშირს ვერ დავიჭერ. ერთს რომ ჩამოაგდებ, მეორე გაგეპარება. ნაჯახს დავარტყამ, ნაჯახს. ისე დავცხებ, როგორც მხეცს და არა ადამიანს“.

— ახლა, ბიჭებო, ჩუმად ილაპარაკეთ! — მოესმა კლდის მოსახვევიდან მარტინის ხმა, — ზამთარში შორს ისმის ლაპარაკი.

„შორს ისმის“, გაიმეორა ჩურჩულით ტემნიკარმა და ნაჯახი მოიმარჯვა.

— აბა, ერთხელ კიდევ გავაბოლოთ, — თქვა მარტინმა. — მერე აღარ გვექნება ამისი დრო, სანამ ბეთლემს არ გავამგზავრებთ იმათ.

„არა, მეტად ველარ გააბოლებთ! — ჩაილაპარაკა ტემნიკარმა. — აღარ გელირსებათ... აღარ გელირსებათ...“

— მარტინ, ერთი მაინც მოგვაყლურწინე, — მოესმა ტემნიკარს ვილაცის ხრინწიანი ხმა, — ჩვენც ხომ ადამიანები ვართ!

„ადამიანებიო?“ — მოიღუშა ტემნიკარი.

— დედაჩემი ამბობს, არა ხართო, ხი-ხი! — მიუგო მარტინმა.

„მართლაც არა ხართ, ადამიანები! — დაეთანხმა ტემნიკარი. — არა ხართ, სწორე უთქვამს დედაშენს. საცოდავი! ყოველთვის ჭკვიან ქალს ეძახდნენ. ქალიშვილობაში კარგი გოგო იყო. ტილჩკას სიკვდილის მერე სულ მეტმასნებოდა, კინაღამ ცოლად შევირთე. მაშინ მარტინი ჩემი შვილი იქნებოდა და ახლა... ახლა ნაჯახალმართული მის მოლოდინში ვიდგებოდი აქ!.. ღმერთო, საიდან მომდის ასეთი აზრები?.. არა, მაინც როგორ მოვიქცეოდი ნეტა, მარტინი რომ მართლაც ჩემი შვილი ყოფილიყო და იმათი მხარე დაეჭირა? — ბერიკაცს შეაჟრჟოლა ამის გაფიქრებაზე. — აი სანამდე მივედი, რაები არ მომდის თავში? ისე კი ასეთი რამ მართლა შეიძლებოდა! გამიგონია, რომ მომხდარა კიდეც!“

— აბა, მიხა, წინ წადი! — უბრძანა მარტინმა.

— რატომ მე უნდა წავიდე მაინცადამაინც? — ხრინწიანი ხმით იკითხა მიხამ.

— ვინმე ხომ უნდა იყოს პირველი, ყველანი ერთად ვერ წავალთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ვინმე ხომ უნდა იყოს პირველი!“ — ჩურჩულით გაიმეორა ტემნიკარმა და ფეხი უფრო მოიმაგრა.

— ეს მეც ვიცი, — ბუზღუნებდა მიხა.

— მაშ რაღას წუწუნებ? — დაცინვით ჰკითხა მარტინმა, — თუ იმ ცოცხალმკვდრების გეშინია?

— არ მეშინია... მხოლოდ იცოდე, ძალიან ცდები, თუ გგონია, მათ იარაღი არა აქვთ.

— რასაკვირველია, უიარაღოდ არ არიან, — ჩაიფრუტუნა მარტინმა. — მაგრამ დღეს ხომ შობის წინა დღეა. აზრადაც არ მოუვათ, რომ ჩვენისთანა ხალხი ესტუმრებთა. წვანან ალბათ თავიანთ ბუნაგში. ჩვენც მალე კარს მივადგებით.

— ეს კიდევ საკითხავია — ბურტყუნებდა მიხა.

„ეს კიდევ საკითხავია!“ — გაიმეორა ტემნიკარმა, თითქოს ეს ბედკრული მიხა მისი მომხრე ყოფილიყოს.

— რა კითხვა უნდა ამას! — მოუჭრა მარტინმა. — გამოქვაბულთან მივიპარებით, ჯერ ხელყუმბარას შევუგდებთ, მერე კი შევვარდებით შიგ და გავჟუჟავთ დაუნდობლად...

„დაუნდობლად!“ — ჩაიბურტყუნა ტემნიკარმა. მან უნებლიეთ დახედა თავის ცივად აბზინებულ ნაჯახს.

— ყველა უნდა გაიჟუჟოს!

„ყველა უნდა გაიჟუჟოს!“ — გაიმეორა ტემნიკარმა.

— გვეყო! — ბრძანა მარტინმა, — წინ წადი და კრინტი ალარ დასძრა!

„კრინტი ალარ დასძრა!“ — გაიმეორა ტემნიკარმა, თითქოს ეს ბრძანება მასაც ეხებოდა.

— ჩუმად! — ჩაისისინა მარტინმა.

„ჩუმად!“ — გაიმეორა ტემნიკარმა.

ჩამოვარდა ცივი, გამყინავი სიჩუმე.

ტემნიკარის ხელები რკინის მარწუხებივით ჩასჭიდებოდა ნაჯახის ტარს. მზერა კლდის კიდისთვის მიეპყრო. ალარაფერს ფიქრობდა, ალარაფერს გრძნობდა და იმასღა ელოდა, პირველი ვინ გამოჰყოფსო თავს. დიდხანს ელოდა, დიდხანს, მთელი საუკუნე.

ბოლოს იმ ბედნავსი მიხას თავი გამოჩნდა.

— თუნდაც მამალმერთი იყო, მაინც დაგარტყამ! — ამოიხრიალა ტემნიკარმა და ნაჯახი მოიქნია. გაისმა სუსტი კვნესა, მიხა შეტორტმანდა. ტემნიკარმა მხრებში ჩაავლო ხელი და უცებ თავისკენ მიიზიდა, რომ ზურგს უკან გადაეგდო. მოტრიალდა, უნდოდა ერთხელ კიდევ დაერტყა ნაჯახი, მაგრამ თოვლზე სისხლი შეამჩნია. მიხვდა, ის საცოდავი მკვდარი იყო უკვე და თავადაც რაღაც ჩასწყდა მკერდში. თითქოს მისი სული სხეულს გაჰყროდეს. მაგრამ ამაზე ფიქრის დრო სადღა იყო. იმაზეღა უნდა ეზრუნა, რომ მეორეც პირველისათვის მიეყოლებინა. ტემნიკარი თვალს არ აშორებდა კლდის კიდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დავკრავ მხეცს და არა ადამიანს, — იმეორებდა იგი ხრინწიანი ხმით.

გამოჩნდა მეორე თავი. ტემნიკარმა მოიქნია ნაჯახი და რაღაც საოცარი კმაყოფილებით იგრძნო, რომ კვლავ მიზანს მოახვედრა.

გამოჩნდა მესამე თავი. ეს თავი მიწას გასწორებოდა, რადგან ის მესამე ოთხზე მოცოცავდა. ტემნიკარი დაელოდა მის მოახლოებას და ნაჯახი აღმართა. მაგრამ ამ დროს კაცმა წამოდგომა იწყო. ტემნიკარმა ნაჯახი მოიქნია და თავში ჩაარჭო. გაისმა გულის გამგმირავი ყვირილი. კაცი წამოდგა. ტემნიკარმა ისევ მოიქნია ნაჯახი, მაგრამ კაცი წაბარბაცდა და ქვევითკენ გაფრინდა.

— გადავარდა! — გაისმა მარტინის ხმა.

— გადავარდა! — გაიმეორა ტემნიკარმა. მიხვდა, მარტინს ეგონა, იმ მესამეს თვალი აუჭრელდა და კლდიდან გადავარდაო. გულზე მოეშვა, თუმცაღა ქვეშეცნეულად გრძნობდა, სადაცაა ყველაზე საშინელი წამი დადგება და მისი აღსასრულიც მოვა.

— ასეც უნდა იყოს... ასეც უნდა იყოს... — გამოეხმაურა საკუთარი სული სადღაც შორიდან, თეთრ, გაყინული სიჩუმიდან.

გამოჩნდა მეოთხე. ტემნიკარმა აღმართა ნაჯახი, მაგრამ უცებ ხელი გაუშეშდა. იმ კაცმა დაინახა ტემნიკარი. ეს მხოლოდ წამით გაგრძელდა, მაგრამ ტემნიკარმა კარგად გაარჩია შიშისაგან გადმოკარკლული თვალები და დაღებული პირი, სადაცაა ღრიალი რომ აღმოხდებოდა. ტემნიკარმა იგრძნო, რომ უნდა დაესწრო, სანამ ეს კაცი ღრიალს ასტეხდა, და საჩქაროდ ისევ მოიქნია ნაჯახი. მაგრამ კაცმა მოასწრო, გატრიალდა და უკან მიაწყდა. ტემნიკარმა ზურგშიღა მოახვედრა ნაჯახი, მერე წინ ისკუპა და კიდევ და კიდევ ჩასცხო. კაცი ჩაიკეცა. ტემნიკარმა წაიბორძიკა და ზედ დაეცა.

— ტემნიკარ! — გაისმა სიჩუმეში.

განცვიფრებულმა, არაადამიანურმა ყვირილმა ტემნიკარი თითქოს ზე აისროლა, მისგან ათიოდე ნაბიჯზე მარტინი იდგა. ისეთი სახე ჰქონდა, გეგონებოდა, მოჩვენებას ხედავსო.

— ა... ა... ა!.. — ჩაიხრიწინა ტემნიკარმა, ნაჯახი ასწია და მისკენ გაემართა.

— ტემნიკარ! ჭკუაზე ხომ არ შეიშალე! — დაუყვირა მარტინმა. — შესდექ! შესდექ!.. თორემ მოგკლავ! მოგკლავ!

— ვერ მომკლავ! — ხრიწინებდა ტემნიკარი.

იგრიალა თოფმა. ტემნიკარმა დაინახა ლულიდან გადმოფრქვეული ალი. რაღაცამ ცხლად გაუარა ბარძაყში, მაგრამ არ შეჩერებულა.

— შეჩერდი! — კვლავ დაუყვირა მარტინმა და ჩახმახი

დასხლიტა. მაგრამ, ეტყობა, ვერ მოასწრო კარგად დამიზნება, ხელი აუკანკალდა და ტყვიები ტემნიკარის ფეხებთან ჩაცვივდა თოვლში. — მოგკლავ, იცოდე! მოგკლავ!.. — ღრიალებდა მარტინი.

— ვერ მომკლავ! — მთელი ძალა მოიკრიბა და ჩაიხრიწინა ტემნიკარმა.

მარტინმა შიშით გადმოკარკლა თვალები, თითქოს ბებერი ტემნიკარი კი არა, ურჩხული უახლოვდებოდა, ტყვია რომ ვერ ჰკლავდა.

— შემიბრალე! შემიბრალე! — იბღავლა მან, უკან გატრიალდა, კლდის შვერილს მოეფარა და იქიდან შაშხანა გამოჰყო. — მოგკლავ, იცოდე, მოგკლავ!.. — ჰკიოდა იგი.

— ვერ მომკლავ! — ხრიწინებდა ტემნიკარი.

კვლავ იგრიალა თოფმა. ტყვიებმა სიცარიელე დასერეს. ტემნიკარმა მოიქნია ნაჯახი და მთელი ძალით დაარტყა შაშხანის ტარს. ასე ბევრჯერ შეუურჭვია კლდეში ფოლადის სოლი.

გონდაკარგულმა მარტინმა ისევ იბღავლა.

ტემნიკარი უკვე წინ ედგა. ჭაბუკი კლდეს მიჰკვროდა, მთელი ტანით ცახცახებდა და სლუკუნებდა:

— შემიბრალე, ტემნიკარ! შემიბრალე...

ტემნიკარმა ნაჯახი გადააგდო, ლულას ხელი წაავლო და ერთი მოქნევით გამოგლიჯა მარტინს შაშხანა.

— შემიბრალე, ტემნიკარ! დამინდე! — გაჰკიოდა მარტინი და ხელ-ფეხით იგერიებდა მტერს.

ტემნიკარმა ამოიღლიავა მარტინი, ბილიკის პირას მიიყვანა და ჩალის ძნასავით მოიქნია.

— ტემნიკარ! — გაჰყვიროდა განწირული ხმით მარტინი და ხელებით ებღაუჭებოდა, — ერთად გადავვარდებით!.. ერთად გადავცვივდებით!.. ერთად! ტემნიკა... ა... არ!

მოხუცმა იგრძნო, როგორ ეცლებოდა ფეხქვეშ მიწა.

„გათავდა! — შვებით გაიფიქრა მან, თვალები დახუჭა და შავ უფსკრულში გადაეშვა. დიდხანს მიფრინავდა ქვემოთ და ქვემოთ, რაღაცეებს ეხეთქებოდა და ბოლოს რომელიღაც კიდევ უფრო ღრმა უფსკრულმა უყო პირი. — გათავდა!“ — გაიმეორა მან და გონი დაკარგა.

თუმცა არ გათავებულა. რობთან თეთრ ფლატეზე ერთხელ კიდევ მოვიდა გონს. ცოცხალმკვდარს განძრევის თავი არ ჰქონდა. რის ტანჯვით გაახილა თვალი და ჩამავალი მზის სხივებით ალაპლაპებული ბრეზი დაინახა.

„ალბათ მალე ხუთი საათი იქნება...“ — იდუმალი სიხარულით გაიფიქრა. მძიმე, ძალზე მძიმე საქმე მოილია, ამას კი გრძნობდა, მაგრამ რა მოილია ან როგორ — ეს ალარ ახსოვდა. ისღა იცოდა, კარგი საქმე რომ იყო, ისეთი კარგი, ახლა შეეძლო არხეინად წოლილიყო და ძილისთვის მიეცა თავი.

ტემნიკარი გრძნობდა, რომ მაგრად ჩაიძინებდა. მკერდი ისე-თი ნეტარი სიმშვიდით აუდ-ჩამოუდიოდა, თითქოს ტილჩა ეხვეოდა და ეუბნებოდა: „იძინე, ჩემო, ძალიან დაღლილი ხარ!“

ტემნიკარი ბრეზს გასცქეროდა. მოგვალი მთა ფართოვდე-ბოდა და დიდდებოდა, ფართოვდებოდა და დიდდებოდა და ტემნიკარს თავის თბილ, ვარდისფერ შუქს აფრქვევდა. მან გაოცებით გააჯილა თვალები, უნდოდა მზერა მოევლო ფარ-თო, დათოვლილი სათიბებისათვის, მაგრამ ვერ მოახერხა, რადგან მთელი ცა მათ დაეფარა.

„ოჰ, რა ბალახი აბიბინდება გაისად!“ — კმაყოფილებით გაიფიქრა და თვალები დახუჭა. ძილი უკვე ისე ახლოს ედგა, მის ალერსიან შეხებასაც კი გრძნობდა, ჰოდა, დაღლილ-და-ქანცულმა ძლივს მოიკრიბა ძალა და ესღა წაიჩურჩულა:

— ღამე მშვიდობისა, ტილჩა...

პეტერ მაიცენი შეკრთა და კინაღამ ტაბურეტიდან გადავარდა. მოხუც ბლაჟიჩს მისთვის მუხლზე ხელი დაედო და თვალებდაჭყეტილი შესჩერე-ბოდა.

— მოკვდა, — წაიჩურჩულა მან.

— მოკვდა, — თავი დაუქნია პეტერ მაიცენმა.

— მოკვდა!.. — გაიმეორა ბერიკაცმა და შეშუპებულ ქუთუთოებზე ცრემ-ლი გადმოეკიდა, — ფანჯარა ღიაა.

— ფანჯარა ღიაა, — გაიმეორა პეტერ მაიცენმა და უცებ მოისაზრა, რომ ბერიკაცი თავის ვაჟზე ეუბნებოდა და არა ტემნიკარზე.

— ასე გვქონდა დათქმული, — ჩურჩულებდა ბლაჟიჩი და უფრო და უფ-რო ახლოს იხრებოდა პეტერ მაიცენისაკენ. — ის რომ მოკვდებოდა, ბიცოლას ფანჯარა უნდა გაეღო. ჰოდა, ახლა... ახლა... — თავის კანტურით უთითებდა ფერდობისაკენ.

პეტერ მაიცენმა ამწვანებულ ხეებს შორის მიკუნჭულ, მზით გაჩახჩახე-ბულ სახლს შეხედა. სხვენის სარკმლის მინებზე ალარ ცეკვავდა ჩამავალი მზის ათინათი. ფანჯარა ჩაშავებული, ჩამკვდარი ჩანდა. პეტერ მაიცენს შეაკრქო-ლა, თითქოს სიკვდილმა ჩაუარა გვერდით. ახალგაზრდა ბლაჟიჩი ამქვეყნად ალარ იყო. პეტერ მაიცენი წამოდგა, მაგრამ სათქმელი ვერ იპოვა. ხელიღა გაუწოდა თანაგრძნობის გამოსახატავად, მაგრამ ბერიკაცი, ეტყობა, ვერ მი-უხვდა. ჭიქას დასტაცა ხელი და დოქიდან ღვინის ჩამოსხმა იწყო.

— ბაბუ, ფანჯარა ღიაა! — დაიყვირა იანკეცმა.

დოქი შეკანკალდა და ჭიქას მიეჯახა. ჭიქამ დაიწკრიალა და შეყანყალდა. მაგრამ ბერიკაცმა დროზე წაავლო ხელი, პეტერ მაიცენს დაუდგა და ჩაიჩურ-ჩულა:

— ვენახში იმიტომ ვიყავით, რომ ბიჭს არ დაენახა.

— ბაბუ, ფანჯარა ღიაა! — გაიმეორა იანკეცმა და წამოდგა. — ახლა ხომ წავალთ შინ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერიკაცმა გულში ჩაიკრა ბიჭი და კოჟრიანი თითები გადაუსვა თავზე.

— მტკივა! — თავი გაიქნია ბიჭუნამ.

— ტკივა!.. — ჩაიხრიწინა ბერიკაცმა, — რასაკვირველია, ტკივა...

ხმა უცნაური ჰქონდა, ბიჭმა გაოცებით შეხედა. ბერიკაცი არ უშვებდა და თავზე უსვამდა ხელს.

— ბაბუ, დაუკარით!

ბერიკაცმა ნელა მოკიდა საყვირს ხელი და პეტერ მაიცენს მოხედა.

— დაუკარით! — ბიჭმა მოუთმენლად აიქნია ხელი.

— ახლავე, — ამოიოხრა პაპამ და გაიღიმა.

— აბა, ჩქარა!

ბერიკაცმა თვალებზე ხელი მოისვა, ტუჩები მოილოკა და ნელა ასწია საყვირი.

პეტერ მაიცენი მილურსმულივით გაშეშდა.

ბერიკაცი მისკენ დაიხარა და ძლივს გასაგონად ჩასჩურჩულა:

— ეეჰ, ბატონო, ბავშვი მაინც ბავშვია!..

პეტერ მაიცენმა ძლივსღა მოიკრიბა ძალა, რომ თავი დაექნია.

საყვირი ამღერდა. მისი ხმები მარნის ცივ ბნელ კედლებს ისე აწყდებოდა, ვით ნაღველი გულს, როცა გამოსავალ გზას ვერ პოულობს.

პეტერ მაიცენმა ძლივს შეიკავა თავი. მასაც ნაღველით უძგერდა გული. საყვირის ხმა რომ მიწყდა, იგი მივიდა ბერიკაცთან და უსიტყვოდ მოჰკიდა ხელზე ხელი.

— აბა, ახლა კი ჩვენც წავალთ, — მორჩილად თქვა ბერიკაცმა, — დავკეტავთ მარანს და წავალთ.

— არა, არა! — არ დაეთანხმა იანკეცი. — ერთხელ კიდევ დაუკარით.

პეტერ მაიცენი მიტრიალდა და თავქუდმოგლეჯილი გავარდა გარეთ. მან გადასჭრა გზა, ზვარს გასცდა და მორევთანღა შეჩერდა. ნეკერჩხალა არსად ჩანდა. მწვანე ბალახზე თეთრი ზეწრები იყო გაფენილი. პეტერ მაიცენს მხოლოდ სამი ნეკერჩხალი შემოეგება წინ, ვით სამი პირქუში დიაცი, სამი შავი პარკა.

სწორედ ამ დროს კვლავ გაისმა საყვირის ხმა.

პეტერ მაიცენმა მიიხედა და მარანი ველარ მიამსგავსა მწვანეში ჩათვლემილ შავთვალა ქალწულს. ახლა იგი უზარმაზარ თავის ქალას ჰგავდა.

— ეს სიკვდილია! — შეაკანკალა პეტერ მაიცენს და თითქმის სირბილით გაშორდა წყნარ ბარს.

VI

ტყეშიღა მოითქვა სული. მდინარესთან ჩავიდა, პერანგი გაიხადა და ხელპირი დაიბანა. მალე მთლად დამშვიდდა.

— აი ეს არის ცხოვრება, — წარმოთქვა მან. — ჩვეულებრივი, ყოველდღიური ცხოვრება, შემთხვევაა მხოლოდ არაჩვეულებრივი. თუმცაღა რა არ ხდება ცხოვრებაში!

პეტერ მაიცენმა სიგარეტი გააბოლა და გადაწყვიტა, აღარ ეფიქრა ამაზე, მხრებში გასწორდა და ჩქარი ნაბიჯით გაუყვა გზას. მზის სხივთა სვეტებს ახლა უკვე ფერი ჩაკრთობოდა და ამოლტილ ფიჭვებს შორის ირიბად ეცემოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეკერჩხალთან ის გოგო გაახსენდა და შეჩერდა.

„ნეტა სად არის?.. ალბათ ბიცოლას მისახმარებლად წავიდა“.

მან ხელი გადაუსვა ხის სრიალა ტანს და გზა განაგრძო, მაგრამ იქვე შეჩერდა. ხეებს შორის რაღაც გაკრთა. დააკვირდა და ჩრნილოგარი შეიცნო. მხარზე ცელი გაედო და მისკენ მოდიოდა.

— ეს კოშმარიღა მაკლდა! — შეჰყვირა პეტერ მაიცენმა, საჩქაროდ გადაუხვია გზიდან და სქელ ფიჭვს მოეფარა.

ჩრნილოგარმა ნელა, თითქმის უხმოდ ჩაუარა. ისე იყო ჩამომხმარი და გაძვალტყავებული, მართლაც ჩონჩხს ჰგავდა. რწევა-რწევით მიდიოდა, მისი ცელი მზის სვეტებს კვეთდა. ნეკერჩხალთან გლეხმა რაღაც ჩაიბურტყუნა, მერე ხელი ჩაიქნია და გზა განაგრძო.

პეტერ მაიცენმა ინანა, გზიდან რად გადავუხვიეო. საოცარმა ღვარძლიანმა სურვილმა აიტანა, — ჩრნილოგართან შეხვედრა მოუნდა.

„ნეტა როგორღა აჭიკჭიკდებოდი, რომ გაგეგო, წყნარი ბარი მოვიარე და მაინც ვიპოვე საყვირი?“

კინალამ გამოხტა ფიჭვებიდან, მაგრამ თავი შეიკავა. „ჯანდაბას, წავიდეს, კიდევ შევხვდებით!“

პეტერ მაიცენი დაელოდა, სანამ ჩრნილოგარი მოსახვევს მიეფარებოდა და მერე შინისაკენ გასწია. მალე გზაჯვარედინზე გავიდა, აქედან ხეივანი იწყებოდა. რა მშვენიერი იყო დაისის მზის სხივებით გაბრწყინვებული ხეივანი! მის ბოლოს ჯადოსნურ ციხე-დარბაზივით თეთრად მოჩანდა სახლი. ფანჯრები ჩახჩახებდა, ხოლო ფიჭვებს შორის მზის სვეტები ვეება ორლანის მილებივით ბრწყინავდა.

პეტერ მაიცენი სიხარულის ღელვამ აიტანა.

ტემნიკარი უკვე ხეივანთან გავიდა. ამჟამად წელში გამართული მიდიოდა. ზღურბლზე ტილჩკა ელოდა. ქალს მწვანე ქვედაკაბა და შავი კოფთა ეცვა. თეთრი ხელები მალალ მკერდზე დაეჭდო. მაგრამ უცებ გაშალა ხელები და შეჰყვირა:

— დაბრუნდი, ერნეი?

— დავბრუნდი!.

— დიდხანს არ ჩანდი!

— დიდხანს.

— ყველაფერი მოასწარი?

— ყველაფერი!

— ყველაფერი! ოჰ, ერნეი!..

უცებ პეტერ მაიცენი ადგილზე გაქვავდა. ზღურბლზე ნეკერჩხალა იდგა. პეტერ მაიცენი მოულოდნელობისაგან ისე დაიბნა, უნებლიეთ შეჰყვირა:

— ნეკერჩხალა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყმაწვილი ქალი შეკრთა და მაიცენს შეხედა. მის გამოხედვაში ნაღველი იყო და წყრომაც.

„ხომ წამომცდა, ნეკერჩხალთან რომ ვნახე!“ — მიხვდა პეტერ მაიცენი.

— ნუ გეწყინებათ! — კვლავ დაბნეულად ჩაიბურტყუნა მან.

ნეკერჩხალამ ზღურბლს გადააბიჯა და პეტერ მაიცენს გვერდით ჩაუარა. მაღალმა ამოლტილმა გოგომ ნელა გაიარა ხეივანი. გრძელ, ოქროსფერ თმას საღამოს ნიავი საბრძოლო ბაირაღივით უფრიალებდა.

— ჰეი! — ზურგში ეცა პეტერ მაიცენს გამყინავი ხმა.

მის უკან ჩრნილოგარის ცოლი იდგა.

— ვინ არის ეს გოგო? — ხეივნისკენ მიუთითა პეტერ მაიცენმა.

— აბა სადა? — ქალმა კისერი წაიგრძელა.

ხეივანი ცარიელი იყო, ნეკერჩხალას თითქოს მიწამ უყო პირი.

— აბა სადა? — გაიმეორა ჩრნილოგარის ცოლმა და გაოცებით შეხედა პეტერ მაიცენს. ალბათ გაიფიქრა, ისევ რაღაც მოეჩვენაო.

პეტერ მაიცენი მიუხვდა და მეტი აღარაფერი უთქვამს. მხრებიღა აიჩეჩა და სახლისაკენ წავიდა.

ჩრნილოგარის ცოლი უკან მიჰყვა.

— სად იყავით? — ჰკითხა ქალმა.

— წყნარ ბარში.

— წყნარ ბარში? — გაუკვირდა ქალს. — მერე ჩემი ქმარი არ შეგხვედრიათ?

— შემომხვდა! საყვირიც ვნახე.

— საყვირიც? — პირი დააღო ქალმა, — ვისი საყვირი?

— ბლაჟიჩის!

— მერე იქ იყავით?

— ვიყავი, ახალგაზრდა ბლაჟიჩი ეს-ეს არის მიიცვალა.

— მიიცვალა, — ამოიოხრა ქალმა და სამზარეულოს კარის წირთხლს მიეყრდნო.

— მიიცვალა, — ღვარძლი ველარ შეიკავა პეტერ მაიცენმა.

VII

პეტრე მაიცენმა მაგრად მიიხურა თავისი ოთახის კარი, ფანჯარასთან მივიდა და ხეივანს გახედა. იქაურობა განათებული და ცარიელი იყო.

— აკი ნეკერჩხალა აქ იყო! — წარმოთქვა მან. — რაღაი ჩრნილოგარის ცოლს არ უნახავს, მაშასადამე, მეძებდა. რად მეძებდა?.. ან საიდან იცის ჩემი ვინაობა, ან ის, რომ აქა ვარ? ბიცოლა ბლაჟიჩმა თუ უთხრა? მერე რად ეტყოდა? რა უნდა ამ გოგოს ჩემთან?

პეტერ მაიცენი ფანჯარას მოშორდა და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა.

„კიდევ ერთი უცნაური დამთხვევა მოხდა. ახლა ნეკერჩხალაა ჩარეული ტემნიკარისეულ ზმანებებში. იქნებ იმიტომ, რომ ზღურბლზე იდგა? ვინ იცის! ყველაფერი შესაძლებელია!.. მაგრამ მოვეშვათ ნეკერჩხალას და ზმანებებსაც. მე ხომ რეალურ მოთხრობას ვწერ. ჰოდა, ახლა ყველაზე რეალური ის იქნება, რომ მაგიდას მივუჯდე და სამუშაოს მოვკიდო ხელი“.

პეტერ მაიცენი მაგიდას მიუჯდა და საბეჭდი მანქანა მოიჩოჩა. ხუთიოდე ფრაზა რომ დასწერა, სწორებას შეუდგა, თუმცა მშვენივრად ესმოდა, რომ არც ერთი გროშადაც არ ვარგოდა. მაგრამ მანამდე არ მოშორებია მაგიდას, სანამ ვახშმად არ დაუძახეს.

სამზარეულოში ივახშმეს. ჩრნილოგარი კუთხეში დაღვრემილი იჯდა, თავი ჩაქინდრა და ხმამაღლა ხვრეპდა კერძს. მისი ცოლი ღუმელთან ფუსფუსებდა და ხშირ-ხშირად იწმენდდა წინსაფრით პირისახეს. პეტერ მაიცენი გრძნობდა, რაღაც ვერ იყო რიგზე და ინანა კიდეც, რატომ არ ვთხოვე, ვახშამი ჩემს ოთახში მოეტანათო.

დუმილი აშკარად აწუხებდათ სახლის პატრონებს. პეტერ მაიცენი უხერხულად გრძნობდა თავს და ამიტომ საჩქაროდ მორჩა ჭამას.

ჩრნილოგარის ცოლმა პეტერ მაიცენს ჭიქით ყავა დაუდგა წინ, პირისახე შეიმშრალა და ჰკითხა:

— ახლა უკვე იცით, როგორ დაამარცხა მან ისინი?

— ვინ მან? — ვერ მიუხვდა პეტერ მაიცენი.

— აი იმ გლეხმა, ვისზედაც თქვენ წერთ. ახლა იცით-მეთქი, როგორ დაამარცხა თეთრგვარდიელები?

— ვიცი, — მოუჭრა პეტერ მაიცენმა.

ჩრნილოგარის ცოლმა ცოტა იყუჩა და კვლავ ჰკითხა:

— მერე როგორ დაამარცხა?

— ოთხი ნაჯახით მიაწვინა, მეხუთეს კი თავადვე ჩაჰყვა უფსკრულში.

— ოჰ! — პირი დააღო ქალმა. — თავად რაღად ჩაჰყვა უფსკრულში? ან იქნებ იმ მეხუთემ ჩაიყოლია?

— არა!

— მაშ რად?

— იმიტომ, რომ ჩაჰყვა და იმიტომ, რომ ასე იყო საჭირო. მეტი არაფერი შემიძლია გითხრათ.

ჩრნილოგარის ცოლი გაჩუმდა, მერე კი კვლავ იკითხა შემკრთალი ხმით:

— ჰოდა, რა მოხდა მერე? რა ბედი ეწია მისიანებს?

— სახლი გადაუწვეს, ვაჟი და ქალიშვილი მოუკლეს, ცოლს კი მორზე წააგდებინეს თავი.

ქალმა შეჰყვირა და ქმარს შეხედა:

— გაიგონე?

— გავიგონე, — ჩაიბურტყუნა ჩრნილოგარმა და ქვემოდან ისე ახედა პეტერ მაიცენს, თითქოს გულში ნატრობდა, ნეტა ამასაც თავს წააცლიდნენო.

— შემზარავი ამბავია! — შეაკანკალა ქალს. — რომ სცოდნოდა, რაც მოუვიდოდა, ალბათ არ ჩაიდენდა ამ საქმეს.

— კარგად იცოდა, — შეესიტყვა პეტერ მაიცენი.

— იცოდა? — გაუკვირდა ქალს. — აბა საიდან უნდა სცოდნოდა?

— იცოდა. იცოდა კი არა, საკუთარი თვალითაც ნახა, როგორ მოხდა ეს. კლდეებისაკენ რომ მიდიოდა, თავისი სახლი გაახსენდა და თავის თავს ჰკითხა: რას უზამენ ჩემიანებს, თეთრგვარდიელებს რომ ამოვხოცავო... თვალწინ მაშინვე სიკვდილი და ცეცხლი დაუდგა.

ქალი თვალმოუშორებლივ მისჩერებოდა პეტერ მაიცენს, მერე ტუჩები მოიწმინდა.

— ის კი არა და, კინალამ უკან დაბრუნდა,— განაგრძო პეტერ მაიცენმა,— თქვენ გგონიათ, არ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო? ბევრს დაუპირებია გმირობის ჩადენა, მაგრამ შეშინებია და გზიდან გამობრუნებულა.

ქალმა ღუმელისაკენ იბრუნა პირი.

ჩრნილოგარმა ხმამაღლა ჩაახველა, ამოიოხრა და თქვა:

— იმან კი არაფერი არ იღო ყურად და მაინც წავიდა...

— არაფერი არ იღო ყურად... — თავი დაუქნია პეტერ მაიცენმა.

— ჰმ, მაშ ასე, — ნიკაპი მოიქექა გლეხმა. — ყველა ადამიანი ერთნაირი არ არის.

„ჰმ, — გაიფიქრა პეტერ მაიცენმა. — რაღაც მძიმე ცოდვა აწევს ამათ სულს. ვინ იცის, იქნებ... იქნებ ბლაჟიჩებისა? — გაუელვა უცებ თავში. — არა! — თავიდან მოიშორა ეს ფიქრი. — მე ხომ ორჯერ გადავუკარი სიტყვა შავ ხევზე, მოხუც ბლაჟიჩს კი წარბიც არ შეუხრია... ეგება თავადაც არაფერი იცის?“

მან შეხედა სახლის პატრონს და სასხვათაშორისოდ ჰკითხა:

— საღამოს მიცვალებულის გამოსამშვიდობებლად წახვალთ?

ცოლ-ქმარმა ერთმანეთს გადახედა.

— იქნებ კიდევაც წავიდეთ, — მიუგო ქალმა.

— ჰმ, მაშ ასე, — თქვა გლეხმა. — იქნებ კიდევაც წავიდეთ.

— მეც წავიდოდი, — თქვა პეტერ მაიცენმა. — ახლა კი უნდა ვეცადო და წავიმუშავო, თორემ მთელი დღე დამეკარგა. ხომ არ შეგაწუხებთ, ლამით რომ ვბეჭდო?

— არა, არა!

— ღამე მშვიდობისა!

პეტერ მაიცენი თავის ოთახში დაბრუნდა, უხაროდა, როგორც იქნა მარტო დავრჩიო. მაგრამ მისმა სიხარულმა დიდხანს არ გასტანა. მაგიდასთან რომ მივიდა და თავის ქაღალდებს დახედა, მაშინვე ნაცნობმა სევდამ აიტანა. ამ სევდას ახლა რაღაც ბუნდოვანი შეშფოთების გრძნობაც ახლდა თან, რაც წინათ არ განუცდია.

„ერთი ნახევარი საათით დავისვენებ, დავმშვიდდები და აზრებს მოვიკრებ!“

პეტერ მაიცენმა სიგარეტი გააბოლა, ზურგზე ხელები შემოიწყო და ცალკე დამწყვდეულ ტყვესავით თავის ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა. მაგრამ ვერ იქნა და ვერ დაიმშვიდა გული, უფრო და უფრო უმძიმდებოდა. იდუმალი ნაღველი შიშად ექცა, ასე ეშინოდა ხოლმე ბავშვობაში, როცა ღამით სასაფლაოს ჩაუვლიდა მარტო.

„ეჰ, ნეტა რა მაგიჟებს! — გაბრაზდა საკუთარ თავზე. — დღევანდელი განცდების ბრალია. როგორმე უნდა დავივიწყო ეს ამბები. აღარ მოვიგონო მოხუცი ბლაჟიჩი და იანკეცი. აღარც საყვირი. ჰო, უწინარეს ყოვლისა, საყვირი აღარ უნდა გავიხსენო, რადგან დღევანდელი განცდები მისი ბრალია. მან ამიშალა ფიქრები სიკვდილზე და შემახვედრა იმ ხალხს... მაგრამ საყვირი ახლა ტემნიკარსაც უჭირავს და კიდეც დაუკრავს ალბათ... რაო? ისევ საყვირის ხმა ისმის!“ — შეკრთა პეტერ მაიცენი და ყური მიუგდო.

სიჩუმე იდგა. ღამეს თითქოს სუნთქვა შეჰკვროდა.

„არა, ახლა კი ნამდვილად მომეყურა! — შვებით ამოიოხრა პეტერ მაიცენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა. — საყვირი ჩემს თავში ხმიანობს. შეუძლებელია ახლა მოხუცი ბლაჟიჩი უკრავდეს“.

ეს ფიქრი რომ თავიდან მოიშორა, პეტერ მაიცენმა გარკვევით დაინახა ბნელში ჩაფლული წყნარი ბარი, მარანი, თავის ქალას რომ ჰგავდა, შავი მორევი, შავი წიფელი და შავ მოლზე გაფენილი თეთრი ზეწრები, დაინახა შავი ტირიფები, ფერდობზე ამოსული შავი მუხა, აყვავებული წიწიბურას რუხი სარტყელი, შავ ხეებში ჩაფლული ბლაჟიჩის სახლი და სახლის წინ ბერიკაცი, თავის ნალველს ბნელს რომ ატანდა.

„არა, არა! ამაზე საერთოდ არ უნდა ვიფიქრო!.. ახლა ტემნიკარი მყავს საფიქრალი, მხოლოდ ტემნიკარი!“..

პეტერ მაიცენმა ნებისყოფა მოიკრიბა და ფანჯარაში გაიხედა. უმთვარო ღამე იყო, მაგრამ ისეთი ნათელი და კაშკაშა, ხეთა ტანებიც კარგად მოჩანდა და დაცარიელებული რუხი ხეივანიც... მაგრამ ხეივანი ცარიელი არ იყო — იქ ჩქარი ნაბიჯებით მოდიოდა ვილაცა.

„ნეკერჩხალაა?“ — მიხვდა პეტერ მაიცენი, აშოლტილი ტანი და მსუბუქი სიარული რომ იცნო. მაგრამ კარგად რომ დააკვირდა, დაინახა: ყმაწვილი ქალი მისკენ კი არ მიდიოდა, პირიქით, უკან მიიჩქაროდა, მერე კი ისე გაქრა, თითქოს თვალსა და ხელს შუა გადნა. ყველაფერი თვალისწამში მოხდა.

„ესეც მომეჩვენა?“ პეტერ მაიცენმა თვალები მოიფშვნიტა და ისევ გაიხედა ფანჯარაში. ხეივანში კვლავ გამოჩნდა შავი ლანდი: ხან ახლოვდებოდა, ხან კი შორდებოდა და ქრებოდა. ეს ყველაფერი ისევ თვალისწამში მოხდა.

„რა არის ეს?“ — ჰკითხა თავის თავს პეტერ მაიცენმა. იგი თვალს არ აშორებდა ხეივანს, მაგრამ ამაოდ — იქაურობა ცარიელი იყო, ჩრდილებიც არ იძროდნენ.

— მომეჩვენა, მომეჩვენა, — ჩაიჩურჩულა პეტერ მაიცენმა და ფანჯარას ზურგი აქცია. — დავიღალე და იმიტომ. ყველაზე ჭკვიანური ის იქნება, რომ დავწვებოდე და დავიძინებდე.

საჩქაროდ შეუდგა ტანთ გახდას, მაგრამ უცებ გადაიფიქრა. ღამისა ეშინოდა, თუმცა ამაში თავს არ უტყდებოდა.

„არა, უნდა ვიმუშავო! უნდა!“ არწმუნებდა თავს, მაგიდასთან რომ ჯდებოდა. აიღო და წაიკითხა ვახშმობამდე დანაწერი. უმეტყველო, უფერული და უსისხლხორცო სიტყვები დაეწერა — პოეზიის მადლი ოდნავადაც არ ეტყობოდა, ისეთი მკვდარი და უცხო იყო. აიღო ფანქარი და შეუდგა სწორებას, მაგრამ მალე სასოწარკვეთილებამ შეიპყრო.

— არა, არა და არა! — გულგატეხილი აქნევდა თავს. — არ გამოდის!.. ყველაფერი ასე ნათელი და დასრულებული იყო, ახლა კი... მერე ვინ არის დამნაშავე? ეს უცნაური გარემო? ეს დაღვრემილი გლეხი?.. თუ იმისი ცოლი...

პეტერ მაიცენი შეკრთა, — კარზე კაკუნი შემოესმა. დაელოდა. ახლა უფრო ხმამაღლა დააკაკუნეს და, სანამ სიტყვის თქმას მოასწრებდა, კარი ნელ-ნელა გაიღო.

— ნეკერჩხალა! — შეჰყვირა მან და თითქოს სკამიდან ვილაცამ აისროლა. კარებში მშვიდად იდგა ტურფა ყმაწვილი ქალი. ოთახი საოცარი ნაღველით აივსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მობრძანდით, გეთაყვა, — უთხრა პეტერ მაიცენმა. შეეცადა გაღიმა, მაგრამ ვერ მოახერხა.

ნეკერჩხალამ თითი ტუჩთან მიიდო და წყნარად მიხურა კარი. მერე პეტერ მაიცენთან მივიდა და უსიტყვოდ გაუწოდა ხელი; რბილი, თბილი ხელისგული ჰქონდა და ნათელი, ნაღვლიანი გამოხედვა.

— თქვენ მეძებდით? — ჰკითხა პეტერ მაიცენმა.

ყმაწვილმა ქალმა ქვედა კაბაზე მიკერებული დიდი ჯიბიდან რვეული და ფანქარი ამოიღო, მაგიდას მიუჯდა და ჩქარა-ჩქარა წერას შეუდგა.

— მუნჯი ყოფილა! — უნებლიეთ ხმამაღლა აღმოხდა პეტერ მაიცენს.

ნეკერჩხალამ თავი ასწია და ნაღვლიანად დაუქნია.

პეტერ მაიცენი გაქვავებული ელოდა, რას დაწერდა ქალიშვილი. ქალი ადგა და რვეული გაუწოდა.

„მე ენა მომაჭრეს, — წაიკითხა მან, — ვარსკვლავი ამომშანთეს. იმასაც გაჩვენებთ. ბიცოლა ბლაჟიჩმა მიამბო, ისტორიებს წერთ თურმე. სწორედ დროზე მოხვედით. ყველაფერს გიამბობთ, რომ ჩემი ამბავიც დაწეროთ. ზმაგა გორიანეცი“.

პეტერ მაიცენმა ვერ შესძლო, ვერა და ვერ შესძლო ქალისთვის შეეხედა. რამდენჯერმე გადაიკითხა ქალის ნაწერი. მხოლოდ კარგა ხნის მერე ასწია თავი.

ყმაწვილი ქალი მისგან ორიოდე ნაბიჯზე იდგა. უცებ ტანში გასწორდა და ორივე ხელით მოიღელა კოფთა: თეთრ, მკვრივ მკერდზე და გედივით ყელზე გარკვევით აჩნდა ხუთქიმიანი ვარსკვლავის ნაიარევი.

პეტერ მაიცენი გაქვავდა, გულიღა უცემდა ძალუმად.

ნეკერჩხალამ მკერდი დაიფარა. მზერაზე ეტყობოდა, პასუხს ელოდა; პეტერ მაიცენმა კი არ იცოდა, რა ეთქვა, სიტყვა გაუწყდა. ყმაწვილი ქალი უფრო ახლო მივიდა მასთან, რვეული გამოართვა და საჩქაროდ დაუწერა:

„მელაპარაკეთ! მე ლაპარაკი მესმის!“

— მელაპარაკეთ! მე ლაპარაკი მესმის! — ჩუმად წაიკითხა პეტერ მაიცენმა. — მელაპარაკეთ! მე ლაპარაკი მესმის, — გაიმეორა მან. მაგრამ სიტყვები გასწყდომოდა და დუმდა.

ნეკერჩხალა თვალს არ აშორებდა პეტერ მაიცენს, სიჩუმე უფრო და უფრო მძიმდებოდა. მერე ყმაწვილ ქალს დიდრონ თვალებში წყენა, ნაღველი, რისხვა და ზიზღიც აესახა. ხელიდან გამოგლიჯა პეტერ მაიცენს რვეული და სწრაფად გატრიალდა კარისაკენ.

— ნეკერჩხალავ! ზმაგა!..

ქალიშვილს არ მოუხედავს, ისე გაიხურა კარი.

პეტერ მაიცენი არ დადევნებია, საკუთარი თავი მეტისმეტად პატარა და საცოდავი ეჩვენა ამ ქალის გვერდით. ფანჯარასთან მივიდა და გადაიხედა. დიდხანს არ მოუწია ლოდინმა. ნეკერჩხალა მალე გამოჩნდა ხეივანში. შავი ლანდი ისე სწრაფად მიდიოდა, თითქოს უჩინარი ფრთები ესხა.

— წავიდა!.. — ამოიოხრა პეტერ მაიცენმა, როცა ყმაწვილი ქალი შავ ხეებს მიეფარა. — წავიდა! — გაიმეორა მან და გამოცარიელებული თვალებით მიაჩერდა გამოცარიელებულ ხეივანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VIII

პეტერ მაიცენმა არ უწყოდა, რამდენ ხანს იდგა და ღამის სიბნელეს გასცქეროდა. ხოლო როცა ბოლოს და ბოლოს ფანჯარას მოსწყდა, მიხვდა, რომ აქ ერთ სიტყვასაც ველარ დასწერდა მეტს.

— მორჩა! — ჩაიბურტყუნა გულგატეხილმა, რაკი კარგად იცოდა, რასაც მოასწავებდა ეს უჩვეულო გრძნობა. ოთახი მიათვალიერ-მოათვალიერა და ისეთი უცხო და პირქუში ეჩვენა იქაურობა, ღამის ამწუთსვე გაქცეულიყო.

„ყველაზე ჭკვიანური ის იქნება, თუ ბარგს ავიკრავ და წავალ, — თქვა თავისთვის, — მაგრამ რად უნდა წავიდე?“ — ეკითხებოდა თავის თავს სასოწარკვეთითა და ჯავრით და ბოლთას სცემდა ოთახში.

კარზე ისევ დააკაკუნეს. პეტერ მაიცენი ადგილზე გაქვავდა და სუნთქვა შეიკრა.

„ნეკერჩხალაა! მობრუნდა! რა უნდა ვუთხრა?“ — ისეთმა მღელვარებამ აიტანა, არც კი გამოხმაურებია კაკუნს.

კარი ნელა გაიღო და ჩრნილოგარი შემოვიდა.

პეტერ მაიცენმა კბილები გააკრაჭუნა: მეტის მოთმენა აღარ შეიძლებოდა, ახლავე, დაუყოვნებლივ უნდა აეკრა ბარგი. ეტყობა, ისეთი მძვინვარე გამომეტყველება ჰქონდა, გლეხი კარებშივე შეჩერდა.

— ნუ გამიბრაზდებით... — აბლუკუნდა იგი და ძვალტყავა ნიკაპი მოიქექა, — ნუ გამიბრაზდებით, რომ ხელს გიშლით...

— ზმაგა გორიანეცს თუ იცნობთ? — მიახალა პეტერ მაიცენმა.

— ზმაგა გორიანეცს?.. — შეუბრუნა კითხვა სახლის პატრონმა და გაფანჩულ წარბებიდან აიხედა.

— ჰო! იმას, ენა რომ მოსჭრეს და ვარსკვლავი ამოშანთეს.

— მაშ, უკვე ყველაფერი გცოდნიათ!.. — ჩაიხრიწინა გლეხმა.

— არა, ჯერ კიდევ არაფერი ვიცი! — მკვახედ მიუგო პეტერ მაიცენმა. — და არც მინდა ვიცოდე! არც მინდა! — ყვიროდა იგი, უკვე თითქმის დაკარგვოდა თავშეკავების უნარი. მერე მაგიდას მივარდა, თავის ქაღალდებს ხელი დასტაცა და დაჭმუჭნა.

სახლის პატრონმა ჩაახველა და ჩამკვდარი ხმით ჰკითხა:

— იქნებ წერის საქმე ვერ მიგდით კარგად?

პეტერ მაიცენმა პასუხი არ გასცა. მან ქაღალდები ღუმელში შეჰყარა და ასანთს გაჰკრა. ღუმელში გაისმა შრიალი, მერე — გუგუნი, ღმუილი, კვნესა.

— გესმით, როგორ კვნესის?

— ვინ კვნესის? — შეეკითხა გლეხი.

— ტემნიკარი! — მიუთითა ღუმელზე პეტერ მაიცენმა. — რად არ უნდა იკვნესოს? რაც უნდა იყოს, ცოცხალი ადამიანია!

— ჰმ, მაშ ასე! მართლა რომ გაგაგონათ, როგორ კვნესიან ცეცხლში ცოცხალი ადამიანები...

— თქვენ თუ გაგიგონიათ? — ჰკითხა პეტერ მაიცენმა ისე, რომ არც მიბრუნებულა მისკენ.

— გამიგონია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბლაჟიჩების კვნესა?

— ბლაჟიჩებისა... თქვენ ხომ უკვე ყველაფერი იცით. ამიტომაც მოვედი თქვენთან... მინდა მოგიყვეთ...

— უკვე გითხარით, აღარაფრის მოსმენა აღარ მსურს-მეთქი! — პეტერ მაიცენს თავადვე შერცხვა საკუთარი უხეშობისა. — ნუ გეწყინებათ, — ხმას დაუწია მან. — მაგრამ უნდა გესმოდეთ, რომ ჩემს საქმესაც ვერ ავუდიგარ!

— მესმის... მესმის... — თავს აკანტურებდა გლეხი და თვალებში არ უცქეროდა.

პეტერ მაიცენმა კარადიდან ჩემოდანი გამოათრია, მაგიდაზე დადო და საქალალდეების ჩალაგებას შეუდგა.

— ნუთუ მიემგზავრებით? — შიშით ჰკითხა სახლის პატრონმა.

— არა, — იცრუა პეტერ მაიცენმა. — რალაც დამრჩა შინ, ჩავალ და წამოვიღებ.

გლეხი გაჩუმდა. დიდხანს არ გაუღია ხმა. მერე კვლავ ჩაახველა და შიშით ჰკითხა:

— ნუ გამიჯავრდებით და კიდევ გკითხავთ — ტემნიკარზე თუ დაწერდით რამეს, თეთრგვარდიელებს რომ არ შებმოდა?

— არ ვიცი, — მოუჭრა პეტერ მაიცენმა.

— ჰმ, მაშ ასე... მაშინ გამცემად მიიჩნევდით მას, არა?

— მე რომ არ მიმეჩნია, ალბათ თავად მიიჩნევდა თავის თავს.

— ჰმ... მაშინ რალას დასწერდით მასზე? როგორ დაამთავრებდით ამბავს?

— თავად მიხვდებოდა, როგორც უნდა დაემთავრებინა. ადრე თუ გვიან მოაგონდებოდა იუდა ისკარიოტელი, აიღებდა ბაწარს და თავს ჩამოიხრჩობდა.

— ჰმ. მაშ ასე... ეს არც მომსვლია აზრად...

— მაშ რა გეგონათ? — ჯიქურ შეხედა პეტერ მაიცენმა. — მე ხომ ჯერ კიდევ ვახშმობისას გითხარით, ტემნიკარი სულდამძიმებული ვერ იცხოვრებდა და თავს მოიკლავდა-მეთქი.

— დიახ... დიახ... — აბლუკუნდა სახლის პატრონი და კვლავ თავი ჩაჰკიდა.

— ახლა კი კმარა! — თქვა პეტერ მაიცენმა. — მეყოფა!

— ნუ გამიბრაზდებით! — მიუგო გლეხმა, — როდის აპირებთ გამგზავრებას?

— ახლავე. ამწუთას.

— აჰ, ამწუთას... — გააჭიანურა სიტყვა გლეხმა. — იქნებ დილამდე დაგეცადათ?

— რადა? — ჰკითხა პეტერ მაიცენმა და შეხედა.

— ისე... ღამით რომ არ გემგზავრათ...

— მე არ მეშინია!

— არა, მაგიტომ არა, უბრალოდ...

— არა, რაკი წასვლა გადავწყვიტე, აღარ დავაყოვნებ!

— ჰო, თუ ასეა, ხელს აღარ შეგიშლით. კეთილ მგზავრობას გისურვებთ!

— გმადლობთ! ჰო, არ დაგავიწყდეთ, დერეფნის კარს ნუ დაკეტავთ!

— კეთილი! — მიუგო სახლის პატრონმა და გავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IX

პეტერ მაიცენმა საჩქაროდ შეკრა ბარგი და ლოგინზე წამოწვა, რომ დამშვიდებით გაებოლებინა თამბაქო. იგი ჭერს მისჩერებოდა და ღამის ხმაურს აყურადებდა. ოთახში ღამურა შემოფრინდა, სადღაც ახლოს ბუმ დაიჩხავლა. პეტერ მაიცენს გულმა ძალუმად დაუწყო ცემა. მერე დერეფნის კარმა გაიჭრიალა და ვიღაც გავიდა გარეთ. ფეხის ხმა ნელ-ნელა მიწყდა.

პეტერ მაიცენმა ფანჯარასთან მიირბინა. ხეივანში სახლის პატრონის ლანდი მიირხეოდა, გრძელ ხელში ფარანი ეჭირა. მისი ჩრდილი მოჩვენებასავით მისრიალებდა შავ ხეებში.

„ნეტა სად მიდის? — გაიფიქრა შეშფოთებით პეტერ მაიცენმა. — ან ფარანი რალად უნდა? არც ისე ბნელი ღამეა“.

იგი მანამ გაჰყურებდა ხეივანს, სანამ ფარნის შუქი თვალს არ მიეფარა. მერე ფანჯარაში სიგარეტის ნამწვი გადააგდო, ზურგჩანთა მოიკიდა, ჩემოდანსა და საბეჭდ მანქანას ხელი დაავლო და თითის წვერებზე გამოვიდა ოთახიდან.

სწრაფი ნაბიჯებით მიდიოდა ხეივანში; უცებ ისევ ფარანს მოჰკრა თვალი და შეჩერდა. დაელოდა, სანამ თვალს მიეფარებოდა შუქი. მაგრამ შუქი ადგილს არ ინაცვლებდა.

„რას ნიშნავს ნეტა ეს? მე ხომ არ მელოდება ჩრნილოგარი?“ — გაიფიქრა პეტერ მაიცენმა უკმაყოფილოდ. ხეივანს გახედა, იქნებ როგორმე გვერდი ავუაროო, მაგრამ რაკი არ იცოდა, სხვა მხრით საით წასულიყო, გზა განაგრძო.

ფარანი გზაჯვარედინზე იდგა.

პეტერ მაიცენმა აუჩქარებლად მიმოიხედა. გლეხი არსად ჩანდა. ერთხელ კიდევ მიმოიხედა და უცებ დაინახა: ჩრნილოგარი მუხაზე კონწიალებდა.

— თავი ჩამოუხრჩვია! — ჩუმად წაილაპარაკა პეტერ მაიცენმა. მაგრამ თავზარი არ დასცემია, თავადვე გაუკვირდა საკუთარი სიმშვიდე. არც კი დაფიქრებულა, რად ჩამოიხრჩოო ჩრნილოგარმა თავი. უკვე ყველაფერი იცოდა. პეტერ მაიცენმა ჩემოდანი და საბეჭდი მანქანა ფარნის გვერდით დადო და სახლში შებრუნდა.

ჩუმად შეაღო საწოლი ოთახის კარი და ბნელში თქვა, ჩრნილოგარმა თავი ჩამოიხრჩოო. ქალმა შეჰკივლა, მაგრამ ლოგინიდან არ ამდგარა. ეტყობოდა, ამ ამბავმა სულაც არ გააკვირვა. მან შუქი აანთო, გამოცარიელებული თვალებით შეხედა პეტერ მაიცენს და ამოიკვნესა:

— ასეც ვიცოდი, ცუდად დაამთავრებდა!..

პეტერ მაიცენმა ცოტა ხანს იყუჩა და მერე მკაცრად ჰკითხა:

— მან გასცა ისინი?

— ჰაა? — დაიბნა ქალი.

— გეკითხებით, მან გასცა-მეთქი ბლაჟიჩები?

— არა! — ასლუკუნდა ქალი, — არ გაუცია... ოღონდაც... ოღონდაც... იცოდა, რომ სახლს ალყა ჰქონდა შემორტყმული...

— ჰოდა, არ წავიდა და არ გააფრთხილა, ხომ?

— აკი უნდოდა წასვლა — დაიღმუვლა ქალმა, — მართლა უნდოდა წასვლა, მაგრამ მე ვუთხარი, ტყუილად რად უნდა გასწიროო-მეთქი თავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აჰ, მაშ ასე, — თქვა პეტერ მაიცენმა და უნებლიეთ ხმამაღლა წამოსცდა ნაფიქრი: — მაშ, თქვენც გაგიციათ ისინი!.

— ოჰ! — ამოიკვნესა ქალმა, თითქოს ზურგში დანა ჩასცესო, — ოჰ! — და ისე შეტოკდა, გეგონებოდათ, ღალატისა და თვითმკვლელობის მთელი სიმძიმე ახლალა დააწვაო ლოდად. მერე უცებ ჩაჩუმდა, თითქოს გამოსავალი იპოვაო.

— აკი მწყემსი ქალი წავიდა!

— მწყემსი ქალი! — გაოცდა პეტერ მაიცენი. — რომელი მწყემსი ქალი? ნეკერჩხალა?

— ჰა? — ჰკითხა ქალმა.

— ის გოგო, ვისაც მერე ენა მოსჭრეს.

— თქვენ უკვე იცით? — ქალი ისე პირდაღებული შესცქეროდა პეტერ მაიცენს, თითქოს მის წინ ჯადოქარი იდგა.

— ვიცი, — დაუდასტურა პეტერ მაიცენმა და უცებ შეკრთა, ახლალა მიხვდა საკუთარ დანაშაულს — ეს ხომ მე ჩამოვახრჩობინე თავი! — ჩაიბურტყუნა მან. — მე ვარ დამნაშავე!..

— დიახ, თქვენა ხართ დამნაშავე!.. — შეჰყვირა ქალმა. — თქვენ და თქვენი ტემნიკარი! რად იგონებთ ასეთ სისულელეებს? თქვენ რომ არა, იგი კიდევ იცოცხლებდა! წყეულო სატანავ! — ქალმა ხელი დასტაცა მაღვიძარას და პეტერ მაიცენს ესროლა. საათი კარს მოხვდა და დაიმსხვრა. ზამბარა საწოლქვეშ შევარდა და ცოდვილი სულივით აცახცახდა.

პეტერ მაიცენს ტემნიკარის სახლში აწკრიალებული ზამბარა მოაგონდა, შეტრიალდა და ოთახიდან გავიდა.

— დაიცადეთ! — მიაყვირა ქალმა და პერანგისამარა დაედევნა, — დაიცადეთ! დაიცადეთ!

პეტერ მაიცენი უკვე ზღურბლთან იდგა.

— საით გასწიეთ? — ქალმა ხელზე ხელი სტაცა.

— შინ მივემგზავრები. — მიუგო პეტერ მაიცენმა და ქალის ხელიდან განთავისუფლებას შეეცადა.

— არა! — დაიყვირა განწირულივით ქალმა, — არა! თქვენ ხომ გამცემთ!

პეტერ მაიცენმა ძალით მოიშორა ქალი.

— ნუ გამცემთ, ნუ გამცემთ! — ქალი მივარდა და ორივე ხელებით შემოეხვია. — ათი ათასს მოგცემთ! ოცი ათასს! ასი ათასს!.. ყველაფერს თქვენ მოგცემთ! ყველაფერს! ოღონდ ნუ გამცემთ!

— ეს მე არ მეკითხება! — მკვახედ მიუგო პეტერ მაიცენმა და ხელი ჰკრა.

— ხომ არ გამცემთ?

— უკვე გითხარით, ეს მე არ მეკითხება-მეთქი! — გაუმეორა პეტერ მაიცენმა.

— ო... ო... ო! — ქალი აქვითინდა და იატაკზე გაიშხლართა. პეტერ მაიცენმა წამოაყენა და საწოლ ოთახში შეიყვანა.

— დაიცადეთ! — კვლავ დაიყვირა ქალმა. — ვინემ ხალხს დავუძახებდე, მანამ მაინც დამიცადეთ!

— კეთილი, — მიუგო პეტერ მაიცენმა, — ქუჩაში დავიცდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

X

პეტერ მაიცენი გამოვიდა სახლიდან, ზღურბლზე დადგა და ცივი ოფლით დაცვარულ შუბლზე ხელი მოისვა. თუმცა ახლა აღარ ეკვროდა სუნთქვა. ჰაერი აღარ იყო გაჟღენთილი იმ მომშხამავი ნაღველით, მთელი დღე რომ გულს ულევდა მას. პეტერ მაიცენი წელში გასწორდა, მთელი მკერდით შეისუნთქა ჰაერი და მაშინღა იგრძნო, როგორ დაცარიელებოდა სული, როგორ ჩაკვდომოდა ყველაფერი.

— მორჩა! — ჩაიბურტყუნა გულგატეხილმა, თუმცა თავადაც არ უწყოდა, რაზე ამბობდა, მორჩაო. — ყველაფერი დამთავრდა!

ნელ-ნელა წაჩანჩალდა ხეივნისაკენ. მარჯვნივ თუ მარცხნივ ტანაყრილი ხეები ალმართულიყო, მაგრამ პეტერ მაიცენს თავი არ აუწევია მათი კენწეროების შესახედად, რაკი კარგად იცოდა, ეს ხეები კუბოსთან მდგარ ყარაულებივით უძრავნი და პირქუშნი იყვნენ. არც ცისთვის გაუსწორებია თვალი, რაკი გრძნობდა, მაღალი იყო ცა, ძალზე მაღალი და ბნელი.

— მორჩა! — გაიმეორა მან, — ყველაფერი მორჩა!..

ფეხებს წინ მიჰყავდათ. ფარანთან იგი შეჩერდა, ჩემოდანზე ჩამოჯდა და უაზროდ მიაშტერდა ცარიელ სივრცეს.

ცოტა ხნის შემდეგ უკარნახა მხოლოდ გონების ხმამ, რომ სწორედ ჩამოხრჩობილის ფერხთით ჩამომჯდარიყო. თუმცა არაბუნებრივად და შემზარავად ეჩვენა აქ ჯდომა, მაინც არ შეძრწუნებულა. „გესმის, შენ ხომ იმ ჩამოხრჩობილის ფერხთით ზიხარ, ჩამოსახრჩობი ბაწარიც რომ თავად ჩაუდე ხელში“, — მკაცრად ჩასძახოდა გონების ხმა.

„არა, არა! — გაიქნია თავი პეტერ მაიცენმა. — ასეთ საქმეს ჩემისთანა უძლური კაცი ვერ იკისრებდა. ტემნიკარმა მიაჩეჩა ბაწარი, ტემნიკარმა.“

იმავ წამს ტემნიკარიც დაინახა. ტემნიკარი შუა ხეივანში იდგა, თავისი ძველი მაზარა და დახეული ფეხსაცმელები ეცვა, ქამარზე მათარა ეკიდა, ილლიაში კი ნაჯახი ამოედო. იდგა თავით ფეხებამდე ნაცრისფერი, თითქოს საკუთარი სახლის ფერფლიდან ალმდგარიყოს. მაგრამ ფერფლისა კი არა, ლითონისა იყო, სისხლის ცეცხლში ნაწრთობი, შემართული და ამაყი, პირისახეზედაც სიმართლისათვის მებრძოლი კაცის დიდებული გამომეტყველება შეჰყინვოდა. ისეთი ვეება მოჩანდა, ხეებს ასცილებოდა სიმაღლით.

— მე კი... მე მინდოდა მასზე დამეწერა მოთხრობა, — ჩაიბურტყუნა დალონებით პეტერ მაიცენმა. — მინდოდა უბრალო თავგადასავალი დამეწერა, უბრალო გლეხისა, ის კი თანდათან გაიზარდა, გაიზარდა და აგერ ახლა ჩემ წინაშე მთელი თავისი დიდებით წარმოსდგა. ჩემი კალამი მეტისმეტად უძლურია. მე იგი მხოლოდ ჩემს წარმოსახვაში შევქმენ და დაე დარჩეს იქვე.

პეტერ მაიცენმა დაბლა ჩაჰკიდა თავი. მთელი არსებით ცდილობდა არ ეფიქრა, რადგან დამძიმებული გული ისე საშინლად უცემდა დაცარიელებულ მკერდში, ვით უსულო რკინის ქანქარა პირქუშ კოშკში!

ტყეში ქარმა დაქროლა. პეტერ მაიცენის ფერხთით ფოთოლი დაეცა, ათრთოლდა, როგორც სასიკვდილოდ დაჭრილი ჩიტუნა და მიყუჩდა. მას მეორე ფოთოლი მოჰყვა, მერე მესამე, თითქოს ჩამოხრჩობილი სწყვეტდა ხეებიდან ფოთლებს და ქვევით ჰყრიდა. მაგრამ პეტერ მაიცენი მასზე არ ფიქრობდა.

გაისმა ნაბიჯების ხმა და პეტერ მაიცენი წამოდგა. დიდი სიამოვნებით

მოჰკიდებდა ხელს ახლა თავის ბარგს და გაქრებოდა აქედან. მაგრამ იძულებული იყო მდგარიყო და ეცადა.

ფარნის შუქზე მოხუცი ბლაჟიჩი და ჩრნილოგარის ცოლი, ნეკერჩხალა და პატარა იანკეცი დაინახა საყვირით ხელში. ერთი კი ახედეს ჩამოხრჩობილს და უსიტყვოდ მიაჩერდნენ მერე პეტერ მაიცენს.

პეტერ მაიცენი ის იყო ზურგჩანთის ასაღებად დაიხარა, რომ ბლაჟიჩის დალონებული ამოოხვრა მოესმა:

— მორჩა ტანჯვას!..

— მორჩა ტანჯვას!.. — აქვითინდა ჩრნილოგარის ცოლი და მიწაზე დაიმხო, — ოჰ, მორჩა წამებას!

პეტერ მაიცენმა მიმოიხედა. გამჭვარტლული ფანრის მბჟუტავი ოქროსფერი შუქი დაჰფენოდა მოხუცს, ბავშვსა და ყმაწვილ ქალს. ხეივნის სიღრმეში კი ტემნიკარი დაინახა, ამ უზარმაზარ ხეებზე ისევე მალალი და ძალოვანი რომ მოჩანდა.

პეტერ მაიცენმა რამდენიმე წამს უცქირა მას, მერე კი ჩემოდანსა და საბეჭდ მანქანას წამოავლო ხელი.

— აბა, მშვიდობით იყავით... — ძლივს ამოღერღა მან და ღამის სიბნელეს შეერია.

ღამე კი არც მაინცდამაინც ბნელი იყო. მალე ნაღველმა განდევნა სასოწარკვეთილება. პეტერ მაიცენმა თვალები მოიფშვნიტა და დაინახა, რომ ნაცრისფერ გზაზე გასულიყო. დინჯი ნაბიჯით დაადგა ამ გზას... სამყარო უსასრულო ჩანდა, სიჩუმე ღამის ცას ასწვდენოდა. შორს, უსაზღვროების კიდეზე ხაღვლიანად ჟღერდა საყვირი, ცაზე კი, სადაც სიჩუმეს გაეშალა ფრთები, მშვიდად მიცურავდა თეთრი ღრუბელი.

□